სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რეზო მარნაძე

თუმანიშვილების სათავადო

(XV-XIX სს.)

**ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი**

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ისტორიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა**

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი**

თბილისი – 2022

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია 5

§ 1. წყაროები 5

§ 2. ისტორიოგრაფია 7

თავი II. თუმანიშვილების საგვარეულოს წარმომავლობა 12

თავი III. თუმანიშვილების სათავადოს ჩამოყალიბება 26

თავი IV. თუმანიშვილების სათავადოს სოციალური მდგომარეობა 57

§ 1. თავადი 57

§ 2. გლეხი 75

თავი V. თუმანიშვილების სათავადოს ეკონომიკური განვითარება 112

§ 1. სოფლის მეურნეობა 112

§ 2. მევახშეობა 120

§ 3. ვაჭრობა-ხელოსნობა 136

თავი VI. თუმანიშვილების სათავადოს მართვა–გამგეობა 140

თავი VII. თუმანიშვილები – სასულიერო მოღვაწენი 143

თავი VIII. თუმანიშვილების ურთიერთობა სხვა წარჩინებულ საგვარეულოებთან 151

თავი IX. თუმანიშვილების ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან 165

თავი X. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში და თუმანიშვილების საგვარეულო 187

თავი XI. თუმანიშვილების სათავადოს პოლიტიკური ისტორია XVIII–XIX სს. 194

დასკვნა 202

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 213

დანართები 229

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფეოდალური ურთიერთობების შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება ექცევა და დღემდე აქტუალურ მიმართულებად რჩება. შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მიმდინარე ფეოდალური პროცესები გავლენას ახდენდა ქვეყნის განვითარებაზე და მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა.

XV საუკუნის II ნახევრიდან საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. 1453 წლის 29 მაისს, ოსმალეთის მიერ ბიზანტიის იმპერიის განადგურებისა და 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ, საქართველო მაჰმადიანური სახელმწიფოების გარემოცვაში მოექცა, რამაც ჩვენს ქვეყანას განვითარების პერსპექტივა მოუსპო. XV საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოში პოლიტიკური დაშლის პროცესი გაღრმავდა. შესუსტდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის, ჩამოშლამდე მივიდა ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყანა ანარქიამ მოიცვა.

აღნიშნული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სათავადოთა სისტემის წარმოსაქმნელად. ფეოდალებმა, რომლებიც სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობებთან ერთად საგამგებლოდ გადაცემულ მიწებს ფლობდნენ, გააფართოვეს თავიანთი უფლებები და კუთვნილ სამფლობელოებში სრულ შეუვალობას მიაღწიეს. სათავადოთა სისტემა კიდევ უფრო ასუსტებდა დანაწევრებულ საქართველოს და ფაქტიურად შეუძლებელს ხდიდა მის გაერთიანებას.

XV საუკუნეში პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულ საქართველოში აღმოცენებულ სენიორიათა შორის იყო თუმანიშვილთა საფეოდალო, რომელიც არატიპიურ სათავადოს წარმოადგენდა. თუმანიშვილები მცირემიწიანი თავადები იყვნენ. მათი მამულები კონკრეტულად ერთ არეალში არ არსებობდა, თუმცა ისინი ეკონომიკურად სხვა თავადებს არ ჩამოუვარდებოდნენ და საქართველოს სამეფო კარზე დიდი თანამდებობებიც ეკავათ.

თუმანიშვილების სათავადო ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია. არ გვაქვს აღნიშნული ფეოდალური სახლის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ერთიანი სურათი, თუ არ ჩავთვლით მეცნიერთა (ა. ბაქრაძე, გ. აკოფაშვილი, პ. რატიანი, ზ. ცქიტიშვილი და სხვ.) მიერ მათი საგვარეულოს შესახებ გამოქვეყნებულ ცალკეულ ნაშრომებს.

წინამდებარე ნაშრომს განსაკუთრებით აქტუალობას სძენს ის ფაქტი, რომ თუმანიშვილთა მამულების ერთი ნაწილი შიდა ქართლში, ამჟამად არსებულ საოკუპაციო ხაზთან ახლოს იყო.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია თუმანიშვილების სათავადოს ისტორიული წარსული, ჩამოყალიბებიდან მის გაუქმებამდე (XIX საუკუნის შუა წლები).

ნაშრომი ეფუძნება თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებული კვლევის მეთოდებს, ესენია: ისტორიულ-შედარებითი, ობიექტურობა, ყოველმხრივობა, სისტემატურობა, ქრონოლოგიური, რეტროსპექტული, ლოგიკური, ანალიტიკური, სინქრონული, დიაქრონული, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

სადოქტორო დისერტაცია, თუმანიშვილების სათავადოს მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა და იგი ვერ იქნება დაზღვეული მცირე უზუსტობებისაგან. სპეციალისტთა და საკითხით დაინტერესებული პირებისაგან მიღებულ ყოველ საქმიან შენიშვნას ავტორი აუცილებლად გაითვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

§ 1. წყაროები

თუმანიშვილთა ფეოდალური სახლის შესახებ, ნარატიული წყაროები არ გამოირჩევა ინფორმაციულობით. ამ დანაკლისს ავსებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებში შემონახული უმნიშვნელოვანესი ცნობები, რომლებიც ძირითადად დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივისა და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში. ისტორიული პირების მიერ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გაცემული საბუთები (სასამართლო განჩინებები, ნასყიდობის, პირობის წიგნები, წყალობის სიგელები და სხვ.) ძვირფასი წყაროა ქართული ფეოდალური საგვარეულო სახლების ისტორიის შესასწავლად. დოკუმენტებში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ფაქტია დაფიქსირებული, რომელთა შესახებ ნარატიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ არის შემონახული. სწორედ ისტორიული საბუთების მონაცემების საფუძველზე ხდება ფეოდალურ საგვარეულოთა გენეალოგიის, სამამულე მფლობელობის არეალის, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა რიგი საკითხების შესწავლა. ნარატიულ, ზეპირ წყაროებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცული ცნობები მეტნაკლებად ავსებს დოკუმენტურ მონაცემებს.

ქართული ისტორიული საბუთები გამოცემული აქვთ ექვთიმე თაყაიშვილს [**საქართველოს.., 1920**; **საქართველოს.., 1909**; **საქართველოს.., 1910**], ივანე ჯავახიშვილს [**ჯავახიშვილი, 1967**; **ჯავახიშვილი, 1974**] და სხვ. მკვლევარებს. აღსანიშნავია მამისა ბერძნიშვილის მიერ, უშუალოდ, თუმანიშვილებთან დაკავშირებით მოძიებული და გამოქვეყნებული ეპისტოლარული სახის დოკუმენტები [**ბერძნიშვილი, 1965**: 121-209].

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევაში გვეხმარება ვლადიმერ ფუთურიძისა [**ქართულ-სპარსული.., 1955**] და ნუგზარ დუნდუას [**ქართულ-სპარსული.., 1984**] მიერ გამოცემული ქართულ-სპარსული ორენოვანი ისტორიული საბუთები. გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტების სპარსულენოვანი ტექსტები ინფორმაციულობით გამოირჩევა, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საკითხის სრულყოფილად შესწავლას.

საყურადღებოა *„საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი“,* რომელშიც თუმანიშვილებთან დაკავშირებული ეპიგრაფიკულ

ძეგლთა აღწერილობა და ფოტომასალაა ასახული [**საქართველოს.., 1953**]. საკვლევი საკითხის შესახებ მნიშვნელოვანია შიდა ქართლში, მათ შორის, თუმანიშვილების სოფ. ხელთუბანში არსებული სიძველეების აღნუსხვის მიზნით *გიორგი ბოჭორიძის* მოგზაურობის ჩანაწერები [**ბოჭორიძე,** 2011]. ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესასწავლად საყურადღებოა *„პირთა ანოტირებული ლექსიკონის“* I, II, IV და V ტომები [**პირთა.., 199**1; **პირთა.., 1993; პირთა.., 2007; პირთა.., 2015**], სადაც თავმოყრილია ინფორმაცია XI-XVII სს. ამა თუ იმ ისტორიული პირის მოღვაწეობის დროის, სოციალური მდგომარეობის, წარმომავლობისა და საქმიანობის შესახებ.

თუმანიშვილების ყმა-მამულის მფლობელობის გარკვევისათვის ძვირფასი წყაროა 1721 წლის მეწინავე (ქვემო ქართლის) სადროშოს აღწერა [**მასალანი.., 1907**]. მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს *„ოსმალობის“* პერიოდში შედგენილი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი – *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“* ორტომეული [**1728 წლის.., 2009**; **1728 წლის.., 2010**].

საინტერესოა, ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა სია, რომელიც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დაერთვის. ნუსხაში თავადი თუმანიშვილი 28-ე ადგილზე მოიხსენიება [**1783 წლის.., 1983**: 58; **ქართული.., 1965**: 484]. აღნიშნულ სიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელშეკრულების მე-9 მუხლით ისინი რუს თავადაზნაურობას უთანაბრდებოდნენ [**1783 წლის.., 1983**: 7].

XIX ს. თუმანიშვილების შესახებ სხვადასხვა საკითხების შესასწავლად გვეხმარება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული *„აქტები“ („Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею“* т. I-XII, 1866-1904).

1832 წლის შეთქმულებაში თუმანიშვილების მონაწილეობის შესახებ საინტერესო დოკუმენტები გამოქვეყნებული აქვს გიორგი გოზალიშვილს [**გოზალიშვილი, 1935**; **გოზალიშვილი, 1970**; **გოზალიშვილი, 1976**]. სხვადასხვა ქართული ფეოდალური სახლის წარმომადგენლების, მათ შორის, თუმანიშვილების მოღვაწეობის, ოჯახის წევრთა ვინაობისა და რაოდენობის შესახებ ცნობებს გვაწვდის XIX ს. 40-იან წლებში შედგენილი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია [**ქართლ-კახეთის.., 2005**].

ცალკე უნდა აღინიშნოს იოანე ბაგრატიონის ნაშრომი, რომელშიც საინტერესო ცნობებია დაცული ქართველი ფეოდალების წარმომავლობის შესახებ [**ბაგრატიონი, 1997**]. თუმანიშვილების შესახებ საინტერესოა, ვახუშტი ბატონიშვილის [**ბატონიშვილი,**

1973], ფარსადან გორგიჯანიძის [**გორგიჯანიძე, 1925**], სეხნია ჩხეიძის [**ჩხეიძე, 1913**], პაპუნა ორბელიანის [**ორბელიანი, 1981**] და სხვ. თხზულებებში დაცული ცნობები.

§ 2. ისტორიოგრაფია

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების კვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება ექცევა. შესწავლილია ფეოდალური ფორმაციის არაერთი საკითხი, მათ შორის ფეოდალიზმის წიაღში წარმოქმნილი სათავადო-სენიორიების სოციალურ-ეკონომიკური თვისებები, პოლიტიკური წარსული.

სათავადოების საკითხის კვლევით პირველად სარგის კაკაბაძე დაინტერესდა და მათი წარმოშობა ფეოდალიზმის განვითარების პროცესს დაუკავშირა [**Какабадзе, 1912**]. ქართული ფეოდალური ურთიერთობების შესახებ ძალზე საინტერესო და აქტუალურია სიმონ ჯანაშიას ნაშრომები [**ჯანაშია, 1952**: 464-481; **ჯანაშია, 1947**: 1-12].

სათავადოთა ჩამოყალიბების მიზეზებისა და მახასიათებლების მეცნიერულ კვლევას, ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაუყარა აკად. ნიკო ბერძენიშვილმა [**ბერძენიშვილი, 1965**: 49-70; **Бердзенишвили, 1965**: 71-110; **ბერძენიშვილი, 1965**:111-140].

საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების, სათავადოთა სტრუქტურის შესახებ მნიშვნელოვანია ვალერიან გაბაშვილის გამოკვლევა [**გაბაშვილი, 1958**]. აღნიშნული ხანისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, გივი ჯამბურიას [**ჯამბურია, 1973**: 187-224], ვიქტორ გუჩუას [**გუჩუა, 1963**: 141-154; **გუჩუა, 1962**: 34, 43-65], გულჩინა აკოფაშვილის [**აკოფაშვილი, 1962**: 67-83; **აკოფაშვილი, 1973**: 518-569], დერმიშა გოგოლაძის [**გოგოლაძე, 1971**; **გოგოლაძე, 1980**: 129-141] და სხვ. შრომები, რომლებიც საკითხის შესწავლისთვის საინტერესოა.

ქართული ფეოდალური ურთიერთობებისა და სათავადოების კვლევის თვალსაზრისით ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი ნაშრომია შექმნილი, მათგან აღსანიშნავია: დავით გვრიტიშვილის [**გვრიტიშვილი, 1955**], გივი ჯამბურიას [**ჯამბურია, 1955**], ნოდარ ასათიანის [**ასათიანი 1959**: 27-55], ოლღა სოსელიას [**სოსელია, 1966**; **სოსელია, 1973**; **სოსელია, 1981**; **სოსელია, 1990**], რიმა ფირცხალაიშვილის [**ფირცხალაიშვილი, 1978**], მანანა ქიქოძის [**ქიქოძე, 1963**: 97-113], დავით ნინიძის [**ნინიძე, 1995; ნინიძე, 2004**],

ელდარ მამისთვალიშვილის [**მამისთვალიშვილი, 1996**], გიორგი ოთხმეზურის [**ოთხმეზური, 1999**; **ოთხმეზური, 2006**; **ოთხმეზური, 2009**], გიორგი სოსიაშვილის [**სოსიაშვილი, 2003**: 45-52; **სოსიაშვილი, 2005**; **სოსიაშვილი, 2007**; **სოსიაშვილი, 2008**; **სოსიაშვილი, 2012**: 46-54; **სოსიაშვილი, 2016**: 18-36; **სოსიაშვილი, 2018**: 113-134; **სოსიაშვილი, 2019**: 114-147; **სოსიაშვილი, 2020**: 212–231; **სოსიაშვილი, 2021** და სხვ.], მზია სურგულაძის [**სურგულაძე, 1999**], ნიკო ჯავახიშვილის [**ჯავახიშვილი, 1997**], მიხეილ ბახტაძის [**ბახტაძე, 2006**; **ბახტაძე A, 2008**; **ბახტაძე B, 2008**], თამაზ ლაცაბიძის [**ლაცაბიძე A, 2010; ლაცაბიძე B, 2010**; **ლაცაბიძე A, 2015**; **ლაცაბიძე, 2016**;], როლანდ თოფჩიშვილის [**თოფჩიშვილი, 2011**; **თოფჩიშვილი, 2021**], ალექსანდრე ბოშიშვილის [**ბოშიშვილი, 2012**], თამაზ გოგოლაძის [**გოგოლაძე, 2012**], ზაზა ჭაიას [**ჭაია, 2013**], მანანა მიჩიტაშვილისა [**მიჩიტაშვილი, 2016**] და სხვათა შრომები.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მრავალრიცხოვანი შრომებისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში სათუმანიშვილო, როგორც სათავადო, დღემდე არ არის შესწავლილი. თუმცა, არსებობს ცალკეული სამეცნიერო შრომები, რომლებიც თუმანიშვილების საგვარეულოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხების კვლევას ეხება. თუმანიშვილთა საგვარეულოს გენიალოგიის, მდივან-მწიგნობრების ვინაობისა და მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიური რიგის დადგენის კუთხით მნიშვნელოვანია ანა ბაქრაძის ნაშრომები [**ბაქრაძე, 1960:** 65-80; **ბაქრაძე, 1963:** 163-177; **ბაქრაძე, 1983:** 84-105].

XVIII ს. II ნახევრისა და XIX ს. დამდეგის ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გამოჩენილი მოღვაწეების, მათ შორის, სულხან თუმანიშვილის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა შესწავლილია ზურაბ ცქიტიშვილის ნაშრომში [**ცქიტიშვილი, 1980**].

თუმანიშვილთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა პროკოფი რატიანმა, რომელშიც საარქივო მასალების საფუძველზე შესწავლილია XIX ს. დასაწყისში პეტერბურგში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსის ავთანდილ ბირთველის ძე თუმანიშვილის ცხოვრება [**რატიანი, 1982**]. თუმანიშვილთა შესახებ საინტერესო ცნობებია თავმოყრილი მიხეილ ხელთუბნელის ნაშრომშიც [**ხელთუბნელი, 1938**].

საქართველოდან რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის ამალის წევრთა შორის იყო ოთარ თუმანოვი, რომელიც შემდეგ რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩადგა და 1754

წელს საიდუმლო მზვერავად გამოგზავნეს საქართველოში. კაპიტან ოთარ თუმანოვის საქმიანობა, მის მიერ რუსეთში საიდუმლოდ გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს იასე ცინცაძეს [**ცინცაძე, 1946**: 1–32]. ოთარ თუმანოვის საქმიანობის შესახებ თავის შრომებში საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვალერიან მაჭარაძეს [**მაჭარაძე, 1968; მაჭარაძე, 2007**].

XIX საუკუნის დამდეგს თუმანიშვილებისა და ამილახვრების ფეოდალური სახლების წარმომადგენელთა შორის არსებულ უთანხმოებას შეეხო იოსებ ალიმბარაშვილი თავის სტატიაში [**ალიმბარაშვილი,** 2017: 18-23]. თუმანიშვილები ყოფა-ცხოვრებით დაკავშირებულები იყვნენ ქ. გორთან, აღნიშნული საგვარეულოს სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის საკითხებს შეეხო ელდარ მამისთვალიშვილი თავის მონოგრაფიულ ნაშრომებში [**მამისთვალიშვილი, 2018A** ; **მამისთვალიშვილი B, 2018**].

ამა თუ იმ სათავადოს შესწავლისას, ბუნებრივია დიდი ყურადღება ექცევა მის მეურნეობასაც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, გულჩინა აკოფაშვილის ნაშრომები, სადაც თუმანიშვილების სახლის ერთ-ერთი გამორჩეული წევრის, მანუჩარ გორჯასპის ძის მეურნეობის მახასიათებლებია განხილული, როგორიცაა სასაქონლო წარმოების განვითარება, მიწების მაქსიმალური და უფრო რენტაბელური დამუშავების ხერხების ძიება. მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში მეურნე მანუჩარ თუმანიშვილმა ნატურალური გამოსაღები ზოგიერთ შემთხვევაში ფულადი გადასახადით შეცვალა, რამაც გლეხთა ექსპლოატაცია კიდევ უფრო დაამძიმა [**აკოფაშვილი, 1963**; **აკოფაშვილი, 1966**].

თუმანიშვილთა სავაჭრო საქმიანობის შესახებ საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომი, რომელშიც ხაზგასმულია კათოლიკე თუმანიშვილების როლი გურიაში, კერძოდ, ოზურგეთში სავაჭრო სფეროს განვითარების თვალსაზრისით [**ჭიჭინაძე, 1905**]. ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტნაკლებად არის შესწავლილი თუმანიშვილების სავაჭრო-ეკონომიკური მოღვაწეობა [**გვრიტიშვილი, 1954**; **აკოფაშვილი, 1980; კაშია, 1990**; **სანაძე, 1992**; **კაშია, 2007**; **კაშია, 2008; კაშია, 2011; კაშია, 2012**; **მამისთვალიშვილი A, 2018**] და მათი სამევახშეო საქმიანობა დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება დევი ბერძენიშვილი ნაშრომში, რომელიც ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის კვლევას წარმოადგენს. მასში ნაწილობრივ გარკვეულია ქვემო ქართლში თუმანიშვილების სამამულე მფლობელობის საკითხი.

[**ბერძენიშვილი, 2014**]. საკვლევი საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვანია იასე ლორთ-ქიფანიძის ნაშრომი, რომელშიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქვემო ქართლში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებზე დაყრდნობით მებატონეთა ვინაობა და ყმა-გლეხების სტატისტიკაა მოცემული [**ლორთქიფანიძე, 1935**; **ლორთქიფანიძე, 1938**].

საყურადღებოა, ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება თუმანიშვილთა გვარის წარმო-მავლობისა და მათი ქართლში განსახლების სავარაუდო დროის შესახებ [**ბერძენიშვილი, 1937**]. კირილ თუმანოვი თუმანიშვილებს სომეხ თუმანიანებთან აიგივებს და მათ მა-მიკონიანებს უკავშირებს, რომლებიც კილიკიაში მაცხოვრებელი ემიგრანტები ყოფი-ლან, მოგვიანებით კი საქართველოში მოსულან [**Toumanoff, 1990**: 338], რაც სარწმუნო არ უნდა იყოს. იგი გვთავაზობს თუმანიშვილების საგვარეულო გენეალოგიას, რომელიც XI საუკუნიდან იწყება და ფრაგმენტულია, ამას გარდა მისი მოსაზრებები ნაშრომებში არ არის სათანადოდ არგუმენტირებული, ხშირად არ უთითებს წყაროს, რომლითაც ისარგებლა [**Toumanoff, 1963**; **Toumanoff, 1976**; **Toumanoff, 1990].**

საინტერესოა, დიანა ტერ-ბაღდასაროვის სამეცნიერო სტატია, რომელიც თუმანი-შვილების სომხურ წარმომავლობას ეხება [**ტერ-ბაღდასაროვი, 2018**: 242-255]. XIX ს. პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში მონაწილე პირთა (მათ შორის თუმანიშვილების) შესახებ საინტერესოა მაქსიმე ბერძნიშვილის ნაშრომი [**ბერძ-ნიშვილი, 1983**]. თბილელ-მიტროპოლიტების, მათ შორის, ქრისტეფორე თუმანიშვილის მოღვაწეობის საკითხს შეეხო თეიმურაზ ბერიძე [**ბერიძე,** 2001: 10-16], თუმცა მის მიერ განსაზღვრული, ქრისტეფორეს თბილელად ყოფნის წლები დაზუსტებას მოითხოვს.

თუმანიშვილთა საგვარეულოს კულტურული ცხოვრების შესახებ საყურადღებოა ელენე მეტრეველის ნაშრომი – *„ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი“,* სადაც გარკვეულია სხვადასხვა საყურადღებო ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხი, კერძოდ, გამოვლენი-ლი და შესწავლილია თუმანიშვილთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – მდივან გივი თუმანიშვილის პოეტური შემოქმედება. სახელდობრ, ნაშრომში გამოკვლეულია ხელნაწერი, რომელიც შედგება *„შვიდთა მთიებთა ბუნების“* თემაზე დაწერილი მეფე ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანისა და გივი თუმანი-შვილის სამი ლექსისაგან. ხელნაწერში ფიქსირდება ვახტანგ VI-ის, ეპიტაფიის სახელით ცნობილი ლექსი, რომელიც სხვადასხვა წყაროებით თვითონ მეფეს მიეწერებოდა. თუმ-ცა, ელენე მეტრეველის აზრით, აღნიშნული ეპიტაფიის ავტორია მდივანი გივი ზურა-

ბის ძე თუმანიშვილი, რომელსაც იგი 1737 წელს ვახტანგ მეფის გარდაცვალებისთანავე უნდა შეექმნა [**მეტრეველი, 1951**: 141-152; **მეტრეველი, 2012**: 100-145].

ხელთუბნის სამების ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებანი და ისტორიული მიმოხილვა ასახულია ნატო გენგიურის წიგნში [**გენგიური, 2005**]. ყველა ფეოდალური სახლისათვის, მათ შორის, თუმანიშვილებისთვის მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა საგვარეულო გერბი. ამ მხრივ, საყურადღებოა, თორნიკე ასათიანის ნაშრომები [**ასათიანი, 2002**; **ასათიანი, 2010**], სადაც თუმანიშვილთა გერბზეც არის მსჯელობა. მათი საგვარეულო გერბის თანამედროვე ვერსიას წარმოგვიდგენენ გიორგი ზაგაშვილი და მალხაზ ციბაძე [**ზაგაშვილი, 2006**]

თავი II. თუმანიშვილების საგვარეულოს წარმომავლობა

თუმანიშვილების გვარის წარმოშობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული წყაროები სომხურ წარმომავლობაზე მიუთითებენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ვრცელ და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იოანე ბაგრატიონი: *„ესენი ძველად იყვნენ ვანის ადგილთა შინა მოსულნი კილიკიიდგან და მსახურებდენ მეფესა ბაგრატოანსა თეოდორეს, სომეხთა მეფესა წელსა 1167-სა. ხოლო უკანასკნელ ამათნი გვარნი უკვე გარდასახლდნენ გილანსა შინა და იყო ამათსა შინა უპირველესი თუმანა სომეხი თავადობისა ხარისხითა, ხოლო უკანასკნელ ესე თუმანა მოვიდა დედა წული თურთ თვისით საქართველოსა შინა და მიღებულ იყო მეფეთაგან. ხოლო ასწყდენ რა გვარნი ამისნი დაშთა ერთი ოდენ ყრმა მცირე და ზრდიდა ბებია თვისი. ჟამსა თურქთგან დაპყრობისა ქართლისა წარვიდნენ დასახიზნავად სამეფოსა ადგილსა შინა მთასა კავკასიისასა, როკად წოდებულსა, და მუნ ბებიამან მისმან აქორწინა კარგისა ოჯახისა გვარისა ქალსა ზედა და შვა მუნ ძენი და უკანასკნელ ბებია ამათი მოვიდა ძღვნითა ისაყ ფაშისა თანა და ევედრა შვილის შვილთა თვისთათვის და რომელ ფაშამან მისცა ადგილი ხელთუბანი და შთამოვიდნენ მუნ თუმანიანნი და რომელიმე დაშთა მასვე ადგილსა როკასა შინა, რომელნიც იწოდებიან თომანიანად და ესენი თუმანიანად. წელსა 1726-სა ოდეს განასხა ნადირშამ ოსმალნი საქართველოდგან, ამათ გვარნი იწოდნენ მდივნებად მეფისა თეიმურაზ მეორისა და მსახურებდენ. ხოლო შემდგომად მეფემან ირაკლიმ მიუბოძა გვარად მამიკუნიანობა, რომელნიცა აცხადებდენ თავსა თვისსა მამაკუნიანად, გარნა გაგვარებულად აქვსთ თუმანისშვილობა, რომელ არიან რაოდენიმე სახლად: 1) ნიკოლაოზის შვილები, 2) სულხანის შვილები, 3) მანუჩარის შვილები, 4) ბირთველის შვილები, 5) ეგნატეს შვილები, 6) კიდე თუმანის შვილები, ბირთველისა და სხვათა“* [**ბაგრატიონი, 1997**: 29-30].

იოანე ბატონიშვილის ცნობა უზუსტობებს შეიცავს (მაგალითად, *„ყიზილბაშობის“* დაწყება 1726, თეიმურაზ მეორის მიერ თუმანიშვილებისადმი მდივან-მწიგნობრის სახელოს ბოძება, როცა ისინი ჯერ კიდევ XV საუკუნეში მოიხსენიებიან ამ თანამდებობით) და აქედან გამომდინარე, მას სრულად ვერ დავეყრდნობით. თუმცა, უდავოა, რომ მისი მონათხრობი გარკვეულ სინამდვილეს ირეკლავს: თუმანიშვილების მდივან-მწიგნობრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, სოფელ ხელთუბნის მფლობელობას, ფეოდალური სახლის წევრთა განშტოებებს (ბირთველ, მანუჩარ, სულხან, ნიკოლოზ,

თუმან, ეგნატის შვილები), სომხურ წარმომავლობას (რაც ქვემოთ მოტანილი დოკუმენ-ტებითაც მტკიცდება).

2021 წლის 3 აპრილს, ვიმყოფებოდით სოფელ ხელთუბანში, შევხვდით თუმანი-შვილთა შთამომავლებს – ნაზი და ზაალ თუმანიშვილებს. ისინი, როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილის ცნობას ეყრდნობიან, რადგან თუმანიშვილებს კილიკიიდან მოსულებად თვლიან.

იოანე ბატონიშვილის მონათხრობის მსგავსია კ. თუმანოვის მოსაზრება, როგორც ჩანს, იგი თუმანიშვილებს სომეხ თუმანიანებად აიგივებს და მათ მამიკონიანებს უკავშირებს, რომლებიც კილიკიაში მაცხოვრებელი ემიგრანტები ყოფილან და შემდეგ საქართველოში ჩამოსულან [**Toumanoff, 1990**: 338], რასაც ვერ გავიზიარებთ. კ. თუმანოვს შედგენილი აქვს თუმანიშვილების საგვარეულო გენეალოგია, რომელიც XI ს-დან იწყება და წყვეტილია. მისი მოსაზრებები ნაშრომებში არ არის სათანადოდ არგუმენტირე-ბული, ხშირად წყაროსაც არ უთითებს, რომლითაც ისარგებლა [**Toumanoff, 1963**; **Toumanoff, 1976**; **Toumanoff, 1990**].

საქართველოში მოღვაწე ცნობილი სომეხი მწერალი, ჰოვანეს თუმანიანი, საკუ-თარი საგვარეულოს წარმომავლობის გარკვევას ცდილობდა და თუმანიანებს მამიკო-ნიანთა საგვარეულოს შთამომავლებად თვლიდა. ლ. მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, ჰ. თუმანიანს უეჭველად ხელთ ექნებოდა ისეთი დოკუმენტი, რომელიც თუმანიანების მამიკონიანთაგან ჩამომავლობას ადასტურებდა. დ. ტერ-ბაღდასაროვის ვარაუდით, თუმანიანების მამიკონიანთაგან ჩამომავლობის დასამტკიცებლად ჰ. თუმანიანს ხელთ უნდა ჰქონოდა ეფრემ კათალიკოსის მიერ დაწერილი კონდაკი, რომელიც ხელმოწერილია ეჩმიაძინის 6 არქიეპისკოპოსისა და 2 მოძღვრის მიერ 1813 წლის 13 მარტს. აღნიშნული კონდაკი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და აქვს შემდეგი სათაური: *„გენეალოგია მამიკონიანთა, რომლებსაც ამჟამად თუმანიანებს უწოდებენ“*. დოკუმენტი კომპილაციას წარმოადგენს, მისი პირველი სამი აბზაცი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს მ. ვ. ჩამჩიანის *„სომეხთა ისტორიის“* 39-ე თავის §4-ს. ეს უკანასკნელი კი მიჰყვება მოსე ხორენელის *„სოხეთის ისტორიას“* (II, 81), დანარჩენი ნაწილი ამ კონდაკისა მისდევს დიაკვან ზაქარია ჰოვანავანელის *„ისტორიოგრაფიის“* მესამე წიგნის 48-ე თავს. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ კონდაკთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ზაქარია სარკავაგის *„ისტორიოგრაფიიდან“* ამოღებული ეპიზოდი, რომელიც

ბაჰანდურ თუმანეცისა და შიოშ ბარათელის დუელს აღწერს, ემთხვევა ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობს, როსტომ ხანის შვილობილის მკვლელობისას ეჭვმიტანილთა (ბაადურ თუმანიშვილი და შიოშ ბარათაშვილი) ორთაბრძოლის შესახებ [**ტერ-ბაღდასაროვი, 2018**: 247-249].

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული 1813 წელს შედგენილი კომპილაციური დოკუმენტი (კონდაკი), შეთხზულია სომეხი თუმანიანებისა და თუმანიშვილების, მამიკონიანთაგან ჩამომავლობის დასაბუთების მიზნით.

თუმანიშვილთა გვარის მამიკონიანთაგან ჩამომავლობა, შეთხზულად მიაჩნიათ ნ. ბერძენიშვილსა და ზ. ცქიტიშვილს. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით: *„ონომასტიკონის მიხედვით, თითქოს შესაძლებელია თუმანიშვილების გვარი ორბელთაგან ჩამომავლად ვიგულისხმოთ. ასეთ ვარაუდისას ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს, როგორც ჩანს, ნაგვიანევად შეთხზული თუმანიანთ გენეოლოგია*[1] *მათი მამიკონიანთაგან ჩამომავლობის შესახებ“* [**ბერძენიშვილი, 1937**: 65]. ზ. ცქიტიშვილის აზრით: *„ის ზღაპარს უფრო წააგავს, ვიდრე სინამდვილეს. გადმოცემა თუმანიშვილთა წარმომავლობას უცხო ქვეყნებსა და შორეულ წარსულს უკავშირებს, რაც ამ საგვარეულოს განდიდების მიზნით უნდა იყოს შეთხზული“* [**ცქიტიშვილი, 1980**: 80]. თუმანიშვილთა სომხურ წარმოშობას ეხება ფარსადან გორგიჯანიძე. თავის თხზულებაში იგი თუმანიშვილებს სომხებად მოიაზრებს როსტომ ხანის შვილობილის მკვლელობასთან დაკავშირებულ ეპიზოდში [**გორგიჯანიძე, 1925**: 264].

საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ქართული ფეოდალური საგვარეულოების წარმომავლობაზე გვაწვდის ცნობებს, თუმანიშვილების შესახებ დუმს. როგორც ჩანს, პ. იოსელიანი თუმანიშვილებს სომხებად არ თვლიდა, რადგან დიმიტრი თუმანიშვილს ქართველად მოიხსენიებდა [**იოსელიანი, 1978**: 66, 149].

პირველი დოკუმენტური ცნობა თუმანიშვილთა საგვარეულოს შესახებ XV ს. დასაწყისს ეკუთვნის. ეს არის 1412-1431 წწ. შეწირულობის წიგნი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბის ღვთისმშობლისადმი,[2] რომელშიც აღნიშნულია: *„ვიყიდე ქუწმო ბრეძა*

---

[1] როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილი ზემოთ აღნიშნულ 1813 წ. 13 მარტით დათარიღებულ კომპილაციურ კონდაკს გულისხმობს.

[2] დოკუმენტი გამოსცა თ. ჟორდანიამ და დაათარიღა 1389 წლის ახლო ხანებით, თუმცა თარიღში ეჭვი შეიტანა გ. ოთხმეზურმა. მან საბუთი შეისწავლა და ხელახლა გამოსცა შესაბამისი კომენტარებით, მისი ძირითადი ტექსტი, კი სადაც თუმანიშვილი იხსენიება 1412-1431 წწ. განსაზღვრა. იხ: [**ოთხმეზური, 1966**: 197-206; **ოთხმეზური, 2009**].

კლიმიჩაძისაგან და შევსწირე პატიოსანსა ულუმბისა ღ˜თისმშობელსა და განუჩინე აღაპი ჩემი და ჩემის შვლის რამინისთჳნ. საღუალაშენი ჩიტალაძისაგან კუჭაძისათჳს მისყიდული, ახალდაბისათჳს მომცა, ვითაცა ახალდაბა კუჭაძისგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა, ძუწლთაგან მათი ყოფილიყო" [**ქრონიკები.., 1897**: 211]. ამ ცნობის საფუძველზე ა. ბაქრაძე, რომელსაც XV-XVIII სს. მოღვაწე მდივან-მწიგნობარ თუმანიშვილების შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული თვლის, რომ აღნიშნული გვარი XIII ს-ში თუ არა XIV საუკუნეში მაინც არსებობდა [**ბაქრაძე, 1963**: 163; **ბაქრაძე, 1983**: 84].

საყურადღებოა, რომ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით თუმანიშვილთა გვარის ფუძემდებელი ვინმე თუმან უნდა ყოფილიყო XIII-XIV სს. და ამ გვარის წარ-მომადგენლები, უკვე XIV ს. დამლევს ქართლში ცხოვრობდნენ.[3] მისი შეხედულება ემყარება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული Hd ფონდის №14632 საბუთის[4] მონაცემებს, რომელშიც მოხსენიებულები არიან თუმანი, მურადი, ზაქარია, ჯანი და რატი. კერძოდ, ნ. ბერძენიშვილი წერს: *„სახელებზე დაკვირვებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩამოთვლილი პირები მეფეთა კარის მდივნებია XV საუკუნის შუა წლებში. მაინც და მაინც მურად და ზაქარია თუმანიშვილები - მეფის კარის მდივნები XV ს. მეორე ნახევარში ცნობილი არიან. თუმანიშვილობასვე გვაფიქრებინებს სახელი თუმან. ეს სახელი ყველაზედ მოსალოდნელი სწორედ ამ გვარშია, სადაც ერთი თუმან ამ გვარის სახელის მიმცემი ყოფილა, საფიქრებელია, XIII-XIV ს-ში: XIV ს-ის დამლევს ეს გვარი უკვე თუმანიშვილად იწოდება და ქართლში ბინადრობს"* [**ბერძენიშვილი, 1937**: 64-65].

საინტერესოა, რომ 1441 წ. საქართველოს მეფე ალექსანდრე I სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელში მოიხსენიებს: *„ჩუენსა მდივანსა თუმანს"* [**ქართული.., 2013**: 231], იგი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული Hd ფონდის №14632 საბუთში დასახელებული პირი – თუმანი უნდა იყოს, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, რომ ნ. ბერძენიშვილმა თუმანიშვილად იგულისხმა.

გასაზიარებელია ნ. ბერძენიშვილის შეხედულება პირის სახელიდან *„თუმან"* გვარი თუმანიშვილის მომდინარეობის შესახებაც. ქართველ წარჩინებულთა გვარების

---

[3] ნ. ბერძენიშვილს ასეთი ვარაუდის საფუძველს აძლევს ზემოთ ნახსენები XV ს. ამირეჯიბთა საგვარეულო სიგელიც.

[4] საბუთი დაზიანებული, თავნაკლული და უთარიღოა, ნ. ბერძენიშვილის აზრით, დაწერილია მე-15 საუკუნის მხედრულით და ზევდგინიძეთა გვარს ეკუთვნის [**ბერძენიშვილი, 1937**: 44-45].

დიდი ნაწილი იმ წინაპრის სახელიდან არის ნაწარმოები, რომელმაც სათავე დაუდო საგვარეულოს მაგ. ციცი/ციციშვილი, ზაალ/ზაალიშვილი და ა. შ. თუმანიშვილებთან დაკავშირებითაც, ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იოანე ბატონიშვილთან ნახსენები *„სომეხი თუმანა“* უნდა ყოფილიყო სწორედ საგვარეულოს სათავეში.

საინტერესოა როდის მოხდა *„თუმანას“* საქართველოში ჩამოსვლა და თუმანიშვილთა მიერ მდივან-მწიგნობრის სახელოს საუკუნოდ დაუფლება? ამ მხრივ, მნიშვნელოვანია 1799 წლის 24 მაისს გიორგი XII-ის მიერ ეგნატი თუმანიშვილისადმი მიცემული სარგოს წყალობის წიგნი, სადაც თუმანიშვილების გვარის შესახებ აღნიშნულია: *„როდესაც ბაგრატოვანი მეფე საქართველოში მეფეთ დადგინებულა ამავ მეფისაგან თქვენს ოჯახს* (თუმანიშვილებს – **რ.მ.**) *მდივნობა ჰბოძებია და მას აქეთ თქვენს ოჯახში მდივნობა არის და მეფეთათვისაც მდივნობით გიმსახურნიათ“* [**გსიემ** 7782/6, ფ. 532; **ხეც** Hd-13957]. ამ ცნობას, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მმართველობამდე მივყავართ, როგორც ჩანს, მის დროს თუმანიშვილები მდივან-მწიგნობრები გახდნენ. საინტერესოა, კიდევ ერთი დოკუმენტი, კერძოდ, 1788 წელს თუმანიშვილები დარეჯან დედოფლისადმი მირთმეულ არზაში წერენ, რომ გორში მამულებსა და საგვარეულო ეკლესიას ფლობენ უკვე 6-7 საუკუნეა: *„მერე ძველად მეპატრონეთაგან და თქვენი წყალობა გორს ეკლესია და მამულები გვქონია და გვაქვს... გორს რომ პატარა ყოვლად წმიდის ეკლესია არის, ის ეკლესია ერთობ ჩვენ თუმანიანთი არის... ექვსას-შვიდასი წელიწადი მეტია, რომ ის ეკლესია ჩვენია“* [**ქართული.., 1981**: 765-766]. როგორც ჩანს, XI-XII სს. თუმანიშვილები უკვე ქართლში მყარად ცხოვრობდნენ, სადაც სალოცავი და მამულებიც ჰქონდათ.

1799 წ. 24 მაისს გიორგი XII-ის მიერ ეგნატი თუმანიშვილისადმი მიცემული სარგოს წყალობის წიგნის, XV საუკუნეში მათი მდივნებად მოხსენიებისა და ულუმბის ღვთისმშობლისადმი შეწირულობის სიგელზე დაყრდნობით მ. ხელთუბნელი წერს, რომ: *„თუმანიშვილები საქართველოში გამოჩდნენ, რასაკვირველია არა უგვიანეს XIV საუკუნისა, ხოლო მდივნებად გახდნენ XV საუკუნეში მაინც“* [**ხელთუბნელი, 1938**: 7-8].

საინტერესოა, დ. ციციშვილის ცნობა, რომელიც თუმანიშვილების ქართლში გადმოსახლებას ეხება: *„ესენი შთამოვიდნენ საათაბეგოდამ ოდეს მამადიან იქმნა საათაბაგო“* [**თოფჩიშვილი, 2011**: 151; **თოფჩიშვილი, 2021**: 165]. თუმცა, თუმანიშვილები სამცხის დაპყრობამდე ქართლში უკვე დიდი ხანია ცხოვრობდნენ. შესაძლებელია, დ.

ციციშვილი სამცხეში მცხოვრები თუმანიშვილების ქართლში მიგრირებას გულისხმობს, რომელიც ოსმალეთის მიერ სამცხის დაპყრობას უნდა გამოეწვია.

თუმანიშვილების სომხური წარმომავლობის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული გორის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში[5] გადაწერილი წიგნის ანდერძში. ჯერ კიდევ XV საუკუნეში აღნიშნულ ეკლესიაში მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. 1469 წ. სომხური ხელნაწერის ანდერძში გორელი გადამწერი გრიგორი ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებს *„თუმანენცს“*, ანუ თუმანიანთ, თუმანიშვილების ეკლესიას, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ამშენებლები თუმანიშვილთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ [**მამისთვალიშვილი, 2018A**: 401].

აღნიშნული ეკლესია[6] რომ თუმანიშვილებს ეკუთვნოდათ, დასტურდება 1701 წლის 13 აგვისტოს საბუთით, საიდანაც ნათელია, რომ ვინმე გაბრიელ ამირაღაშვილმა ეკლესიას გალავანი შემოავლო: *„ესე წიგნი მოგეც მე ამირაღას შვილმა გაბრიელ თქვენ თუმანის შვილს მდივანს ოთარს გივს ბახუტას და სულ თუმანიანთ ასე რომე მე თქვენს სღდარს* (საყდარს – **რ.მ.**) *ყოვლად წმინდისას ჩემი სულისთვინ გალავანს ვავლებ სამამულეთ მე ხელი არა მაქვს თქვენი სამკვიდრო ყოფილა და ახლაც არის“* [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 4, ს. 9].

გაბრიელ ამირაღაშვილი მოიხსენიება XVIII ს. მიწურულს შედგენილ გორის თუმანიანთ ყოვლად წმინდის ეკლესიისათვის სხვადასხვა პირთა მიერ ჩატარებული საამშენებლო სამუშაოთა და შეწირული დუქნების ნუსხაში. დოკუმენტის მიხედვით, გაბრიელს თუმანიშვილების ყოვლად წმინდის ტაძრისთვის ქვითკირის გალავანი შემოუვლია და დუქანიც შეუწირავს. გაბრიელ ამირაღაშვილის გარდა ყოვლად წმინდის ეკლესიისთვის ზაქარია მამაჯანაშვილს სამრეკლო აუშენებია და ერთი დუქანი

---

[5] ელდარ მამისთვალიშვილის მითითებით, 1802 წლისთვის გორში 4 სომხური ეკლესია ყოფილა: ღვთისმშობლის მიძინების, წმ. სტეფანესი, ქრისტეს აღდგომისა და ღვთისმშობლის, რომელიც მეცნიერის აზრით: *„დღევანდელი ღვთისმშობლის შობის ტაძრის ცოტა აღმოსავლეთით ბ. ჯუღაშვილისა და აკ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთასთან იდგა“*. მისივე თქმით, დოკუმენტურ წყაროებსა და ხელნაწერთა ანდერძებში მოიხსენიება ორი სომხური ეკლესია – წმ. ღვთისმშობლისა (თუმანიშვილების ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის – **რ.მ.**) და წმ. სტეფანესი. სამწუხაროდ უცნობია, ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების თარიღი. მოაღწია ამ ეკლესიის 1661 წლის წარწერის ფრაგმენტის პირმა. 1920 წლამდე წარწერა ინახებოდა გორში წმ. სტეფანეს სომხურ ეკლესიაში, ვიდრე მას მიწისძვრა გაანადგურებდა [**მამისთვალიშვილი, 2018A** : 400-401].

[6] თუმანიშვილები წყაროებში გორის ღვთისმშობლის ტაძარს მოიხსენიებენ, როგორც *„ყოვლად წმინდის ეკლესიად“*. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1788 წლის საბუთში თუმანიშვილები წერდნენ, რომ გორში ყოვლად წმინდა ეკლესია ჰქონდათ უკვე 6-7 საუკუნეა [**ქართული.., 1981**: 765-766].

შეუწირავს, თაყინაშვილ ზაალს საყდრისთვის ერთი ოთახი აუშენებია, თაყინაანთ მელიქ-ფარსადანას ჟამატუნი[7] ხით დაუხურავს და ერთი დუქანი შეუწირავს, ამირაღანთ დოლმაზას ორი დუქანი შეუწირია, ამირაღანთ ამირას შვილს ზურაბს ხორანი განუახლებია. ჩამოთვლილი შეწირული დუქნების გარდა ეკლესია 9 დუქანს ფლობდა. საბუთის თანახმად, ყოვლადწმინდის ეკლესიას ხის ნაშენობაც ჰქონდა. [**მასალები.., 1955**: 18-19]. თუმანიშვილთა ტაძრის ქონებიდან გამომდინარე, ე. მამისთვალიშვილი შენიშნავს, რომ: *„ეკლესია დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა“*[**მამისთვალიშვილი, 2018A**: 401].

როგორც ირკვევა, დავით ამირაღაშვილს *„ოსმალობის“* დროს თუმანიშვილების ყოვლად წმინდის ეკლესიაზე შეწირული დუქანი შეუსყიდია, 1788 წელს თუმანი-შვილები დავითის შვილებს, იოვანესა და ფარიდონას შეედავნენ და სასამართლო განჩინებით დუქნის წილები ისევ ეკლესიის საკუთრებაში დააბრუნებინეს: *„ესე წიგნი მოგეცი მე ამირაღაანთ დავითის შვილმა... თუმანი შვილს მდივანის გორჯასპის შვილს მდივნის მანუჩარსა ასე რომ საბრალო მამაჩემის ოსმალობას გორს თქვენი სასაფლაო დიდის ყოვლად წმინდის ეკლესიის შეწირული ერთი დუქანი ეყიდა იმ დუქანზედ ლაპარაკი დავიწყევით და სამართლიდამ განჩინება აიღევით, რომ როგორც ნასყიდი ქონდა მამი ჩემის ის ფასი უნდა აგვეღო და დუქანი ეკლესიას დარჩომოდა ის მამაჩემის ნასყიდი დუქანი ოთხისავ ძმისა საერთო იყო მე... ჩემი მეოთხედი წილი იმ დუქნის ფასი თქვენ მანუჩარისაგან მამებარა თამამათ რომ მე... თქვენთან სადაოთ და სალაპარაკოთ არა მაქვს რა“*[**სეასცა**, ფ. 1450. დ. 4, ს. 5, 6].

გორის ყოვლად წმინდის სახელობის ეკლესიის გამო თუმანიშვილები ზაალ თაყინაშვილს[8] ერეკლე II-სთან უჩიოდნენ 1783 წელს, თუმცა დავის რეალური მიზეზი ბუნდოვანია. ზაალ თაყინაშვილი სასამართლოს არ დაელოდა და გორში სომხური ახალი საყდრის დეკანოზს ტერ-სააკას დაუკავშირდა. ტერ-სააკამ გორელები შეკრიბა და გამოუცხადა თანხა აეკრიფათ თუმანიშვილების ყოვლად წმინდის ეკლესიის მახლობ-ლად ახალი საყდრის აშენების მიზნით. თუმანიშვილები მეფეს შესჩიოდნენ, რომ თუ

---

[7] ჟამატუნი (გავიტი) – შუა საუკუნეების სომხურ არქიტექტურაში გუმბათოვანი სალოცავი დარბაზი [**უნივერსალური.., 2004**: 126].

[8] ჩვენი აზრით, ეს ის ზაალ თაყინაშვილი უნდა ყოფილიყო, რომელმაც ზემოთ ნახსენებ XVIII საუკუნის მიწურულს შედგენილ გორის თუმანიანთ ყოვლად წმინდის ეკლესიისათვის სხვადასხვა პირთა მიერ ჩატარებული საამშენებლო სამუშაოთა ნუსხის თანახმად, საყდრისთვის ოთახი ააშენა.

თავიანთი ეკლესიის მახლობლად სხვა სალოცავი აშენდებოდა მათ მრევლი მოაკლ-დებოდათ და ტაძარი გაუქმდებოდა [**მამისთვალიშვილი, 2018A** : 401-402].

როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს, თავიდან თუმანიშვილების მოწინააღ-მდეგეებს ეკლესიის ასაშენებელი ადგილი არ ჰქონდათ და მეფე ერეკლე თავს იკავებდა ნებართვის მიცემაზე, მაგრამ ტერ-სააკამ, რომლის გვარის წარმომადგენლები ტრა-დიციულად სომხური ეკლესიის წინამძღოლები იყვნენ, თავისი სახლის წინ არსებული ბაღი ეკლესიას შესწირა და მეფისაგან მშენებლობის ნებართვა მიიღო [**მამისთვა-ლიშვილი, 2018A** : 402].

ჩვენი აზრით, ზაალ თაყინაშვილსა და ტერ-სააკას თუმანიშვილების ყოვლად წმინდის სახელობის ეკლესიის ავტორიტეტიდან და ქონებიდან გამომდინარე სურდათ მისი დაპატრონება, მათ ახალი ეკლესიის ასაშენებელი ადგილი და ფინანსური სახსრები არ ჰქონდათ, თუმცა თუმანიშვილები სალოცავს არ დათმობდნენ. ამის გამო ტერ-სააკამ ჯიბრით თუმანიშვილთა ეკლესიის გაუქმება გადაწყვიტა. 1788 წელს თუმანიშვილები დარეჯან დედოფალს არზაში წერდნენ, რომ თავიანთ ეკლესიაში ტერ-სააკამ 2 წლის განმავლობაში მრევლს არც აწირვინა და არც ალოცვინა. ისინი დახმარებას სამეფო კარს სთხოვდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ტერ-სააკამ და მისმა მომხრეებმა მიზანს მიაღწიეს და ახალი სალოცავი თუმანიშვილების ყოვლად წმინდის სახელობის ეკლესიასთან[9] ისე ახლოს ააშენეს, რომ მათი ტაძრის კუთვნილი ხის ნაშენობა დაანგრიეს, 5 ადლი მიიტაცეს და შემოსავლიანი დუქნებიც ჩადგეს [**მამის-თვალიშვილი, 2018A** : 402-403].

თუმანიშვილების სომხური წარმომავლობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვ-დის 1638-1660 წ.წ. შედგენილი დოკუმენტი, რომლის თანახმად, თუმანიშვილის (სახე-ლი უცნობია) მიერ ატენში აგებული საყდარი, ქრისტეფორე კათალიკოსმა ატენელ სომ-ხებს დაუბრუნა: *„კათალიკოზმა ასე პატრონმა ქრისტეფორე, ეს წიგნი გიბოძეთ ერთო-ბილთა ატენელთ სომხებსა ასრე რომე ატენს საცივს გაღმა თუმანისშვილის აგებული*

[9] გორის ყოვლად წმინდის სახელობის სომხურ ეკლესიასთან 1868 წელს დაარსდა პირველ-დაწყებითი სასწავლებელი და პირველსავე წელს მიღებულ იქნა 50 მოსწავლე. ქართულ და რუსულ ენებს ასწავლიდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეკატერინე გაბაშვილი [**თავზიშვილი, 1963**: 6]. 1920 წლის თებერვლის მიწისძვრამ გორში საზოგადოებრივ შენობებთან ერთად სამლოცველოებიც დაანგრია, ნგრევას მხოლოდ 3 ეკლესია გადაურჩა: ოქონის, კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული წმ. სტეფანეს სახელობის ტაძარი [**ალიმბარაშვილი, 2012:** 83; **სოსიაშვილი, 2014**: 91]. როგორც ჩანს, თუმანიშვილების ყოვლად წმინდა ტაძარი მიწისძვრამ გაანადგურა.

საყდარი არის და მოკითხული ვქენით და თქვენი ყოფილიყო და აწ ისრევ თქვენვე დაგანებეთ“[**სეასცა**, ფ. 1450. დ. 46, ს. 178].

თუმანიშვილებს XVIII საუკუნის ქართული საზოგადოება სომხებად მოიაზრებდა. მაგალითად, 1787 წლის 18 ნოემბრის დოკუმენტში, რომელიც ეგნატე თუმანიშვილისა და მისი ბიძის, პაპუას ქონების განაწილებას ეხება აღნიშნულია: *„ამ ქალაქში მყოფ სომეხთ სამართალი ეს არის“*[**ქართული.., 1974**: 386-387].

XIX ს. დასაწყისში ამილახვრები, რომლებიც დაპირისპირებულები იყვნენ მანუჩარ თუმანიშვილთან წერილით მიმართავდნენ და შეახსენებდნენ, რომ მათი გვარის წარმომავლობა არ დავიწყებოდა [**ალიმბარაშვილი, 2017**: 22]. სავარაუდოდ, ამილახ-ვრები თუმანიშვილების სომხურ წარმომავლობას გულისხმობდნენ.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება H-404 ხელნაწერი ორგვერდიანი ანდერძით, რომელიც თუმანიშვილების სომხურ წარმომავლობას ეხება. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი შესრულებულია ქართულად და შეიცავს ასევე ლი-ტურგიული ხასიათის სომხურ ტექსტებს ქართული ტრანსკრიფციით (მხედრულით). ხელნაწერი არის რელიგიური შინაარსის მქონე ტექსტების კრებული, რომელიც დაწერა გიორგი ამირაღაშვილმა ირანის ქალაქ იეზდში 1717 წ. და გამოგზავნა ქართლში მდივან ოთარის შვილ ოთართან [**ტერ-ბაღდასაროვი, 2018**: 242-243].

H-404 ხელნაწერის ორგვერდიან ანდერძში ვკითხულობთ: *„ქ. ქრისტეს მეუფის ამაღლებას უკანა ხანი გაევლო. გრიქორას შაგირდობის სახელი ნათელის დაერქვო ლუსავორაჩი*[10] *და თვითანაცა და თავისი პატრიაქებნიცა ადამის აქეთა მარქარებასა*[11] *თავიანთა ფეღაბარობითა*[12] *ქრისტეს დაბადების რომა ემოწამათ და ამათაც ოთხთავის მოწამობითა ქვეყ(ა)ნის დარიგებისა ყველა ეთარქმანთა, რომა თავიანთ სამრავლოთა უღაფარობითა*[13] *ქრისტიანობის რიგებითა მუდამ ილოცონ თავის დროსა. და ამარიგათა ლუსავორაჩის ბეჟანიანასვითა*[14] *ქართლის სიტყვათა გარდავწერეთ, რომა თავიანთა მორჯულაებულნი თავიანთა წინამძღ/ვ/(ა)რების დარიგებულნი ქრისტეს დაბადებისაცა და ქვეყნის დარიგებისცა და ისევ მღთეულობითა, ტ/ა/ნითა, სულითა, შეყ(ა)რილობითა*

---

[10] განმანათლებელი.

[11] წინასწარმეტყველება.

[12] *ფეღაბარ* – სპარს. წინასწარმეტყველი.

[13] მართლმადიდებლობა.

[14] ბეჟანიანივით.

ამაღლებისაც ყველა შეიტყონ და ილოცონ. და ამარიგათა ესე პატარა წიგნი, ლუსავორაჩის მორჯულებულთა ჴემწიფებ(ა)ნი რომა იყვნენ, იმა ჴემწიფების დროს თავადობითა იყვნენ თუმანიანთა გვარნი, და ქართლის მდივანთა ოთრის შვილსა ოთარას მივართვით, რომა მრავალი სარჯლის წამებების რიგები წაკითხონ. და გრიქორა ნათელის სახელოვანის ბძანებითა მამითა, ძითა, სულითა მითამა მღთეულობით, ტანითა, სულითა, სამებითა რომა დაურ/იგ/ებია, ლუსავორაჩის ბძანებითა, მიავორიალა მიბნუთუნობითა[15] ითქვოს სხვასავითა მიაცელობითა[16] მარქარებას ფელაბარობითა არ ითქმოს. ყურანშიაც ისი რუჰ[17] ალაჰობით უმოწამიათ, თუ ამარიგათა რომა დაუწერიათ, ჯერან კარგია და მეც მოქალაქე მირიმანთა ამირაღ/ა/სა შვილმან გიორგიმა იეზადის ქალაქს დავწერე და მივართავ ქართლის მდივანსა, რომა რამთონიც წაიკითხონ, საბრალობითა გ(ა)ვახსენონ, ჩვენი საგამრჯელო ხს/ე/ნება იყოს და რამაც ქრისტიანმან გ(ა)ვ/ა/ღირსოს იმათაც ქრისტეს მეუფეს წინათა იხსენებოდნენ. ამინ. და თუ რამ ან სიტყვოში, ან სხვაფერად მეტი ნაკლები დაგვეწეროს, შეგვინდოთ. ქ კს უე. ამინ“ [**ტერ-ბაღდასაროვი, 2018**: 242-243].

როგორ უნდა გავიგოთ ანდერძში ავტორის სიტყვები *„ლუსავორაჩის ბეჟანიანასვითა ქართლის სიტყვათა გარდავწერეთ“?* დ. ტერ-ბაღდასაროვის აზრით: *„ბეჟანიანი“ მისთვის ისტორიის აღმნიშვნელი იყო: „განმანათლებლის ისტორია“. „ბეჟანიანი“ გადმოგვცემს შემოკლებით ბეჟან ფალავანისა და აფრასიაბის ქალის მანიჟავის მიჯნურობის ამბავს... პატრი ბერნარდე, რომელიც საქართველოში 1670-1679 წლებში იყო, ამბობს, რომ ქართველები ძალზე მიზიდულნი არიან ,,ბეჟანიანის“ კითხვაზეო. როგორც ჩანს, გიორგიმ იცოდა „ბეჟანიანის“ შესახებ და მიზანმიმართულად ახსენა „ბეჟანიანი“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გიორგი ქართულ გარემოს კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ ,,ბეჟანიანი“ ქართველებში პოპულარული ყოფილა“* [**ტერ-ბაღდასაროვი, 2018**: 253].

ჩვენი აზრით, ხელნაწერის ავტორის სიტყვები: *„ლუსავორაჩის ბეჟანიანასვითა ქართლის სიტყვათა გარდავწერეთ“,* უნდა გავიგოთ – განმანათლებლის ისტორია შემოკლებულად გადავწერეთ (გადავთარგმნეთ ქართულად). ამ კრებულს, გიორგი ამირაღაშვილი გზავნის თუმანიშვილებთან და უწოდებს – *„პატარა წიგნს“*.

---

[15] შერწყმული ერთბუნებიანობით.

[16] გაერთიანება, გაერთიანებული. ამრიგად, მიაცელობა ერთობის ტოლფასია.

[17] *რუჰ* – სპარს. ალაჰის სული.

თუმანიშვილები მსხვილი ვაჭრები იყვნენ, ქმნიდნენ სავაჭრო ამხანაგობებს, გზავნიდნენ ვაჭრებს ირანის ქალაქებში და ჩვენი აზრით, გიორგი ამირაღაშვილი თუმანიშვილების მიერ წარგზავნილი ამხანაგობის წევრი და ოთართან დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო, რომელმაც კარგად იცოდა მათი საგვარეულოს სომხური წარმომავლობა. ამირაღაშვილები იხსენიებიან ზემოთ განხილულ საბუთებშიც, რომლებიც თუმანიშვილთა გორის ყოვლად წმინდის სახელობის ეკლესიას ეხება.

H-404 ხელნაწერის ანდერძის შემსწავლელის დ. ტერ-ბაღდასაროვის დასკვნით: *„ხელნაწერის ადრესატები არიან თუმანიშვილები, კერძოდ, მწიგნობარი ოთარ თუმანიშვილი და მისი შვილი - პატარა ოთარი; აგრეთვე ისინი, ვისაც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ: ,,ხუცური წიგნი არ წაუკითხავს“. ამას ადასტურებს ანდერძი. ავტორი ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ მათ უნდა წაიკითხონ ეს ხელნაწერი, შეიტყონ ყველაფერი და იცოდნენ გრიგოლის დარიგებული. თითქოს ცდილობს თუმანიშვილებს შეახსენოს, რომ ისინი სომხები არიან. ამიტომ იგი მათ თუმანიანებად მოიხსენიებს... ავტორი მშობლიურ ქალაქს არ მიუთითებს, მაგრამ ისტორიული დოკუმენტებიდან ვიცით, რომ ამირაღაშვილები გორიდან იყვნენ“* [**ტერ-ბაღდასაროვი, 2018**: 254]. მისი აზრით, ხელნაწერში გიორგი ამირაღაშვილმა თუმანიშვილებს სომხური წარმომავლობა შეახსენა, ამიტომ ისინი თუმანიანებად მოიხსენია. თუმცა დ. ტერ-ბაღდასაროვი ეხება რა H-404 ხელნაწერში რიცხვის წარმოების თავისებურებებს წერს, რომ წყაროში: *„მრავლობითი რიცხვი გადმოცემულია ძირითადად -ებ მრავლობითის მაწარმოებლით, მაგრამ გამოყენებულია აგრეთვე ნართანიანი მრავლობითიც (ნ-/-თა)“* [**ტერ-ბაღდასაროვი, 2019**: 96].

ვფიქრობთ, ტექსტის არასწორ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე. ქართულ ენაში ყოლა-ქონების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ექვსი სუფიქსი, მათ შორის – იან [**ღლონტი, 1971**: 112]. დადგენილია, რომ -იან (-ი-ან) ბოლოსართი მჭიდრო კავშირშია აღმოსავლეთ საქართველოსა და რაჭაში არსებულ ტოპო-პატრონიმულ ლექსემებთან. ქართლსა და კახეთში, მაგალითად, იგი გამოყენებულია ერთი გვარის მქონე ადამიანთა კრებულის, მთელი საგვარეულოს შტოს *„კორპორაციის“* აღმნიშვნელად. ამის მიხედვით მჭედლიაანი, ანუ მჭედლიანი მჭედლიშვილების ერთობლიობაზე მიუთითებს. ა-ფუძიან სახელებთან იან-ი აან-ად იქცევა [**მაისურაძე, 1979**: 65]. სწორედ აღნიშნულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ზემოთ წარმოდგენილ ხელნაწერში თუმანიშვილებთან

მიმართებით. მათთან დაკავშირებულ საბუთებში ხშირად ვხვდებით შემდეგ ფრაზებს: *„თუმანიანთ რუზედ... თუმანიანთ სახლის ეკლესიის დეკანოზი ტერ მოსესა... მოწამე ვარ“* [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 3, ს. 55]; *„თუმანიანი ყმის ნუსხა არის“* [**გსიემ**, 7782/4, ფ. 375-378; **სეასცა**, ფ. 1448 ს. 1692]; *„თუმანიანთ გიორგის შვილს – ზურაბს და ქვრივს დედას დარჩა“* [**ქართული.., 1981**: 227-228]; *,,თუმანიანთა... ჯავახიშვილი ველარას შეუვიდოდა“* [**ქართული.., 1972**: 179-180; **პირთა.., 1993**: 346]; *„...თუმანიანთ სამძღურამდინ თავეთი მინდორი მეჯუდას გაღმა-გამოღმა იმ წყლითა და თავეთის რუთი მორწყონ; თუმანიანთ წყალთან და რუსთან ჭელი არა აქუსთ“* [**ქართული.., 1972**: 304-306; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3 ს. 57], რაც ერთი შეხედვით ჩანს, როგორც გვარი თუმანიანი, სინამდვილეში კი *„თუ-მანიანთ“/„თუმანიანი“* აღნიშნავს თუმანიშვილების გვარსა და მათ კუთვნილებას.

ამრიგად, H-404 ხელნაწერის ანდერძის ავტორის სიტყვები *,,თუმანიანთა გვარნი“* უნდა გავიგოთ არა, როგორც *,,თუმანიანების“*, არამედ, როგორც თუმანიშვილების გვარი. შდრ. მაჩაბლიანთ, ფავლენიანთ გვარი და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ წყაროებში ვხვდებით თუმანაშვილებს, თუმცა მათ საერთო კავშირი არ აქვთ თუმანიშვილებთან. ისინი გლეხები იყვნენ. მაგალითად, 1798 წლის 24 მარტს დარეჯან დედოფალმა განუახლა იოსებ ყორღანაშვილს ველისციხეში მცხოვრები ერთი კომლი ყმა-გლეხი – თუმანაშვილი შერმაზანა [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 4280].

აქვე გვინდა შევეხოთ, თუმანიშვილების საგვარეულო განშტოებებსა და რელიგიურ აღმსარებლობას. მათი ნაწილი გრიგორიანულ სარწმუნოებას მისდევდა. 1790 წლის 22 დეკემბერს გიორგი თუმანიშვილი ანდერძში წერს: *„გორს ავად გავხდი. ჩემს თავს შევატყევ, რომ ჩემი მორჩომისაგან იმედი გადავიწყვიტე. ჩემს მოძღვარს ავაქერეცს, დეკანოზს ტერ-ყაზარას დაუძახე, აღსარება ვქენ და ეს ანდერძი წიგნათ დავაწერინე... ჩემს მოძღვარს ტერ-დავითას საორმოცე უნდა მისცეთ... სურფ-სტეფანოს დეკანოზს საორმოცე უნდა მისცეთ“* [**ქართული.., 1985**: 917-918]. მოტანილი ციტატიდან, ნათელია, რომ გიორგი გრიგორიანული სარწმუნოების აღმსარებელი იყო.

თუმანიშვილთა ნაწილი კათოლიკურ აღმსარებლობასაც აღიარებდა. ისინი ცხოვ-რობდნენ გორში, ხელთუბანში, ახალციხესა და ოზურგეთში. ზ. ჭიჭინაძის გადმო-ცემით: *„ოზურგეთელ კათოლიკ თუმანიშვილების წინაპარნი ქართლის სოფ. ხელთუბ-ნელები ყოფილან, უეჭველია თავადისშვილები და აქვე დაკავშირებულნი კათოლიკის სარწმუნოების, რადგანაც დღემდე ვიცით ჩვენ რომ კათოლიკ თუმანიშვილები გორსა*

და ხელთუბანს ჩვენს დრომდისაც სცხოვრობდენ. ამ თუმანიშვილების გვარში დაშთენილა ასეთი თქმულება... ქართლს ლეკები დასცემიან და ახალციხისკენ ტყვეები წაუყვანიათ, სხვათა შორის, ამ ტყვეებში თუმანიშვილებიც რეულან. ლეკებს ეს ტყვეები ახალციხეში დაუტოვებიათ თუ დაუყიდნიათ ქრისტიანებზედ. ამ სახით თუმანიშვილებიც ახალციხეს დაშთენილან, აქ უცხოვრიათ, აქ იგინი შესჩვევიან აღებ-მიცემას, ანუ ვაჭრობას, შემდეგ დროს, ამათ ამის საქმე აქეთ კარგა წასვლიათ, აღორძინებას მისცემიან, მერე ვაჭრობის მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც უწყვიათ მგზავრობა ნამეტურ ოზურგეთს, რაც ახალციხეს ახლოდ ესაზღვრებოდა. ასე და ამგვარად, თუმანიშვილები ოზურგეთში XVIII საუკუნეში უნდა იყვნენ გადმოსულნი. ამას ეჭვი არ უნდა" [**ჭიჭინაძე, 1905**: 89-90].

ნაზი და ზაალ თუმანიშვილებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რომ დღემდე აქვთ კავშირი ახალციხეში, სოფელ უდეში მაცხოვრებელ კათოლიკე თუმანიშვილებთან. კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი იყო პაპუა თუმანიშვილი, რადგან 1756 წლის 16 დეკემბრის საბუთში იხსენიება მისი მოძღვარი – *„განდობის მამა პატრი"* [**ქართული.., 1981**: 34].

ქართლში დამკვიდრებულ თუმანიშვილთა ერთი ნაწილი მართლმადიდებლური აღმსარებლობის იყო. სოფელ ხელთუბნის ცენტრში მდებარეობს სამების ეკლესია,[18] რომელიც 1806 წელს გიორგი თუმანიშვილმა ააშენა. ამას გვამცნობს ეკლესიის

[18] ხელთუბნის სამება გამოირჩევა *„კუპელჰალეთა"* (არქიტექტურული ტიპის აღმნიშვნელი გერმანული ტერმინი – *„კუპელჰალე"* ქართულად ითარგმნება, როგორც გუმბათიანი დარბაზი) შორის ინდივიდუალურობით. XVIII ს. ბოლოს მოსკოვისა და პეტერბურგის არქიტექტურაში ფეხი მოიკიდა კლასიცისტურმა სტილმა, სწორედ რუსული კლასიციზმის გავლენა იგრძნობა ხელთუბნის სამების ეკლესიაში. ქტიტორი გიორგი თუმანიშვილი 1801 წელს იოანე ბატონიშვილს რუსეთში ეახლა. იქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა განაპირობა „ახლებური" ტაძრის აშენების იდეა [**გენგიური, 2005**: 6, 162-163]. საბჭოთა პერიოდში ხელთუბნის სამების სალოცავს მაღაზიის საწყობად იყენებდნენ, 1970-იან წლებში კი იქ პურს აცხობდნენ. 2003 წლის ზაფხულში ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო ეკლესიის შეკეთება. ახალმა მაშენებლებმა 2004 წელს სახურავიდან მოხსნეს თავდაპირველი კოშკურა და მის ადგილას ყელიანი გუმბათი ამოიყვანეს [**გენგიური, 2005**: 123]. სამწუხაროდ, ნ. გენგიური აღნიშნულ ნაშრომში, რომელიც ტაძრის რესტავრაციამდელ აღწერას წარმოადგენს, არ ეხება ეკლესიაში დაცულ საფლავებს. ნაზი და ზაალ თუმანიშვილებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რომ ხელთუბნის სამების ტაძარში თუმანიშვილების საფლავები იყო, რომელთა კვალიც რესტავრაციის შემდეგ გაქრა. ამჟამად ეკლესიაში ერთადერთი საფლავი ჩანს, რომელიც ეკუთვნის რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალ გიორგი იესეს ძე თუმანიშვილს (1839-1901). ნაზისა და ზაალის მონათხრობიდან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია რატომ მოხდა საფლავების სამშენებლო კერამიკული ფილებით დაფარვა და მხოლოდ ერთი საფლავის ხელუხლებლად დატოვება. სამების ეკლესიის გარდა, ხელთუბანში მდებარეობს წმ. პეტრე მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც თუმანიშვილების აგებულია.

დასავლეთ ფასადზე, შესასვლელის მაღლა, სპილენძის ფირფიტაზე შესრულებული სააღმშენებლო წარწერა: *„წელსა . ჩყვ სა. საფუძვლითურთ . აღვაშენე . ეკლესია . ესე . ყ˜დ . წმიდის . სამებისა . შემოვავლე . გალავანი . და . ყოვლის . საეკლესიოჲსა . სამკაულითა . შევამკევ . საკუთარისა . საფასის . წარგებითა . ჩემითა . მე . მონამან . ღ˜თისამან . სტატსკის . სოვეტნიკმან . და . კავალერმან . თავადმან . გიორგი . მდივანის . ეგნატის . ძემ . თუმანოვმა . საოხად . სულთა . მშობელთა . ჩემთა . ჩემთვის . და . მეუღლისა . ჩემისა . კნეინა . მარია . ორბელიანის . ასულისათვის . შვილთა . და . ძმათა . ჩემთა . იესესა . და . დავითისათვის“* [**ბოჭორიძე, 2011**: 90-91]. ზემოთ მოტანილი წარწერა ადასტურებს, რომ მოხსენიებული პირები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.

თავი III. თუმანიშვილების სათავადოს ჩამოყალიბება

XIII საუკუნიდან საქართველოს სამეფოში წარმოქმნილმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ, ძალაუფლებისადმი ლტოლვამ ქვეყანა დეგრადაციის გზით წაიყვანა. XIV ს. დასაწყისიდან აღნიშნულმა ტენდენციამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა განშტოებათა წარმოქმნასა და სეპარატიზმის ფორმის *„პროვინციის მეფეთა“* ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. მიმდინარეობდა სახასო მამულის დაქუცმაცების პროცესი. *„ხელმწიფობის“* მსურველთა მიწების უმეტესი ნაწილი უკვე გამოყოფილი იყო სამეფო დომენისაგან. გაჩნდა სოციალური საყრდენი – დიდებულ-აზნაურთა ფენა, რომელიც სამეფო ტახტის საზიანოდ ემხრობოდა *„კნინ მეფეს“* და მათგან უფრო დიდი წყალობის მიღებას ელოდა. ამრიგად, შეიქმნა საფუძველი *„პროვინციის მეფეთა“* წარმოსაქმნელად [**ნინიძე, 1995:** 190-191]. სამეფო კარზე საუფლისწულოების განცალკევების პროცესს დაერთო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულება, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს სამეფოს დაშლას.

გ. სოსიაშვილი აღნიშნავს, რომ: *„ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაწყებული ფეოდალური პროცესი დიდებულთა მიერ თავიანთი სახელოებისა და საგანმგებლო ტერიტორიების სამემკვიდრეოდ გადაქცევისა, XV საუკუნეში სათავადოთა საბოლოო ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა... სათავადოს ჩამოყალიბებისთანავე, ე. ი. როცა თავადი საბოლოოდ გამოეყო ცალკე სოციალურ კატეგორიად ქვეყანაში გაბატონებულ დიდგვაროვანთა ფენას, ყალიბდება გარკვეული ფეოდალური ურთიერთობის ნორმა სამეფო ხელისუფლებასა და თავადებს შორის“* [**სოსიაშვილი,** 2005: 23-24].

დასუსტებულ სამეფო კარს ძალა არ ჰქონდა წინააღმდეგობა გაეწია ფეოდალებისათვის, რომლებიც სრული შეუვალობის მოპოვებას ცდილობდნენ და მეფე იძულებული იყო ქვეყანა მათი მიზნებიდან გამომდინარე ემართა. დ. გვრიტიშვილი აღნიშნავდა: *„სათავადოები... ცდილობენ მიაღწიონ დამოუკიდებლობას. ამიერიდან თავადთა პოლიტიკა კი არ ისაზღვრებოდა მეფის პოლიტიკით, არამედ მეფე თავადთა ზრახვების გამტარებელი იყო“* [**გვრიტიშვილი, 1955**: 310].

გვიანფეოდალურ საქართველოში, სამი ხარისხის თავადი არსებობდა: დიდებული, საშუალო და მცირე. დ. გვრიტიშვილი წერდა, რომ: *„საქართველოში არიან ისეთი*

თავადები, რომელთაც ყმა-მამული აქვთ, მაგრამ ეს ყმა-მამული ერთიან ტერიტორიაზე არ იმყოფება და ამიტომ მათ არა აქვთ სათავადო. ასეთ თავადებად ჩანან მაგ. თუმანიშვილები“ [**გვრიტიშვილი, 1955**: 256]. დაფანტული ყმა-მამულის ფლობის გამო, თუმანიშვილების საფეოდალო არატიპიურ სათავადოს წარმოადგენდა. მათი სამფლობელოს სათავადოდ არ აღიარება, ვფიქრობთ, მიუღებელია. ისეთი დიდი სათავადოებიც კი მაგ. საამილახორო, ქსნის საერისთავო, რომლებსაც ყმა-მამული ერთიან ტერიტორიაზე ჰქონდათ მოქცეული, ქონებას მეზობელ საფეოდალოებშიც ფლობდნენ. თუმანიშვილებს ჰქონდათ ყველა ის მახასიათებელი ნიშანი, რაც მათ საკუთრებას სათავადოდ წარმოაჩენდა: თავდაცვითი ნაგებობა, არაერთი ეკლესია-მონასტერი, საგვარეულო სამვალე, ყმა-მამული, მეურნეობა და სხვ. *„სათუმანიშვილოს“* არსებობას ადასტურებს 1761 წელს ედიშერ თუმანიშვილის მიერ გადაწერილი ყმების დავთარიც [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 32, ს. 57].

1788 წელს თუმანიშვილები დარეჯან დედოფლისადმი მირთმეულ არზაში აღნიშნავენ, რომ გორში მამულებსა და საგვარეულო ეკლესიას ფლობენ უკვე 6-7 საუკუნის განმავლობაში: *„მერე ძველად მეპატრონეთაგან და თქვენი წყალობა გორს ეკლესია და მამულები გვქონია და გვაქვს... გორს რომ პატარა ყოვლად წმიდის ეკლესია არის, ის ეკლესია ერთობ ჩვენ თუმანიანთი არის... ექვსას-შვიდასი წელიწადი მეტია, რომ ის ეკლესია ჩვენია“* [**ქართული.., 1981**: 765-766]. ეს გვაფიქრებინებს, რომ თუმანიშვილები XI-XII საუკუნეში მამულების მფლობელები იყვნენ ქართლის ცენტრში, ქ. გორში.

პირველი ცნობა თუმანიშვილთა სამამულე მფლობელობის შესახებ დასტურდება XV საუკუნის დასაწყისიდან, ამირეჯიბთა საგვარეულო სიგელში, სადაც აღნიშნულია, რომ ქუცნა ამირეჯიბს კუჭაძისაგან ნასყიდი ახალდაბის სანაცვლოდ საღუალაშენი მიუღია. ახალდაბა, როგორც ძველ მეპატრონეს, თუმანიშვილს მისცეს: *„ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა, ძუწლთაგან მათი ყოფილიყო“* [**ქრონიკები.., 1897**: 211; **ოთხმეზური, 2009**: 50].

აღნიშნული გარემოებისა და XV ს. შუა ხანებიდან სამეფო კარზე თუმანიშვილების მდივან-მწიგნობრებად არსებობის გამო ნ. ბერძენიშვილი და ა. ბაქრაძე, ვარაუდობენ, რომ თუმანიშვილები XIII საუკუნეში ან XIV საუკუნის დამლევს მაინც ქართლში ცხოვრობდნენ [**ბერძენიშვილი, 1937**: 64-65; **ბაქრაძე, 1963**: 163; **ბაქრაძე, 1983**: 84]. როგორც

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, თუმანიშვილების წინაპრებმა მამულად ახალ-დაბა (სოფ. გორის მუნიც.) დაიმკვიდრეს.

თუმანიშვილების სამამულე მფლობელობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია 1441 წ. საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებული შეწირულობის სიგელი, რომლის მიხედვითაც მდივანი თუმანი (თუმანიშვილი) სოფ. მისაქციელში (მცხეთის მუნიც.) ყმა-მამულს ფლობდა: *„და მას აქეთ მისაქციელი შე-მოვსწირე. ჩუენსა მდივანსა თუმანს* (თუმანიშვილს – **რ.მ.**) *რაც გლეხნი, საზღუარნი და წყალი აქუ(ს), მას აქათ შემოგვიწირავს მისაქციელი. ესე სოფელნი და გლეხნი ს(რუ-ლია)დ შემოგვიწირავს თუმანისა საქონელისა აქათ ყ(ოველ)ნითა ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, წყლითა, მზღურითა, მთითა და ბარითა მისითა მიდგამითა სამართლი(ანი)თა, ყოვლითურთ უნაკლულოდ“*[**ქართული.., 2013**: 231].

როგორც ვხედავთ, თუმანიშვილები XV საუკუნის პირველ ნახევარში სოფ. ახალ-დაბასა და მისაქციელს ფლობდნენ. მათ მამულები უნდა ჰქონოდათ გორშიც. თუ გავითვალისწინებთ, XV ს. შუა ხანებიდან თუმანიშვილების დაწინაურებას სამეფო კარზე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ისინი ახალდაბის, მისაქციელისა და გორის გარდა სხვა მამულსაც[1] ფლობდნენ, თუმცა ამის შესახებ წყაროებს ვერ მივაკვლიეთ.

XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს დაშლის პერიოდში თუმანიშვილთა ფეო-დალური სახლი სათავადოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო. რაც შეეხება XVI საუკუნეში თუმანიშვილების სამამულე მფლობელობას, მანუჩარ თუმანიშვილს, რომელიც დავით X-ისა და მისი შვილის ლუარსაბ I-ის კარზე მდივნის თანამდებობას იკავებდა, უკანონოდ მიუსაკუთრებია ატენში მცხოვრები სვეტიცხოვლის ყმა თბილელაშვილი, რაც აღნიშნულია 1519-1530 წლებით დათარიღებულ სვეტიცხოვლის დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში [**პირთა.., 1993**: 349].

ამ ფაქტის გამოძახილი უნდა იყოს 1574 წლის 6 ივნისის საბუთი, საიდანაც ირკ-ვევა, რომ ატენში მცხოვრები თუმანიშვილების მიერ მითვისებული ყმები – თბილელა-შვილები, დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა კვლავ სვეტიცხოველს დაუბრუნა: *„ვიძიეთ და ვცანით, რომელ ატენის თბილელაშვილნი... ძუწლითდან... თქუწნთჳს (მცხეთას) შემოწირულნი ყოფილიყვნენ... და თუმანიშვილთა გაემამულა... აწე ჩუწნ... ახლად*

[1] 1657 წლის საბუთით, სოფელი ხელთუბანი, *„ძველთაგანვე“* თუმანიშვილთა საგვარეულო საკუთრება იყო (ვრცლად იხ. ქვემოთ).

სიგლითა ამით დავამტკიცეთ...“ [**ქრონიკები.., 1897**: 415]. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ თუმანიშვილები XVI საუკუნეში ყმა-მამულის რაოდენობის გაზრდას ცდილობდნენ. სხვა ცნობები XVI ს. თუმანიშვილთა სამამულე მფლობელობასთან დაკავშირებით არ მოგვეპოვება.

XVII საუკუნის 10-იანი წლებიდან ხდება თუმანიშვილების თანდათან აღზევება და ფეოდალური სამფლობელოს არეალის გაფართოვება. ამას ისინი სამეფო კარისადმი ერთგულებით აღწევენ. ქართლის გამაჰმადიანებული მმართველების – ბაგრატ VII-ის, სიმონ II-ისა და როსტომ ხანისადმი კეთილგანწყობილებით საფუძველი ჩაეყარა თუმანიშვილების სამამულე მფლობელობას ქვემო ქართლში. ბაგრატ მეფემ, რომელსაც ფაქტობრივად მხოლოდ ქვემო ქართლი ემორჩილებოდა, 1618 წ. ნასრ თუმანიშვილს უბოძა – *„სომხითს ნაოჯარი ნასოფლარი ხანძორისი“* [2] [**დოკუმენტური.., 2019**: 147-148]. 1637 წლის 27 მარტს კი როსტომ მეფემ ნასრის შვილს, პაპუნას/პაპიას განუახლა მამამისის მკვიდრი სოფლის, ხანძორისის წყალობა [**პირთა.., 1993**: 357].

1626 წლის 1 ივლისს, ქართლის მეფე სიმონ II-მ, ერთგულების ნიშნად, თაყა თუმანიშვილსა და მის ძმებს, მანუჩარს, ბირთველსა და დავითს სოფ. დარბაზი (ბოლნისის მუნიც.) უბოძა [**საქართველოს.., 1909**: 128-129]. 1628 წლის 1 მარტს, სიმონ II-ის მიერ გაცემული ორენოვანი სიგელიდან ვიგებთ, რომ მან მანუჩარს უწყალობა ნასრ თუმანიშვილის მამული, რომელიც რამაზას ეჭირა და ასევე ნასრიას სასახლე. საბუთის სპარსულენოვანი ტექსტიდან ირკვევა ნაწყალობევი მამულის სახელწოდება: *„ვუბოძეთ... მანუჩარს... ნასრის* (თუმანიშვილი – **რ.მ.**) *თიულში შემავალი სოფელი ჯალისი, რომელიც მის ძმისწულს რამაზას*[3] *ჰქონდა თიულად დამტკიცებული“* [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 74-75; **პირთა.., 1993**: 350]. ჩვენი აზრით, ჯალისი იგივე სომხითის სოფელი ჯილიზაა,[4] რადგან 1635 წლის 14 ივნისს, როსტომ მეფემ თაყა თუმანიშვილს უწყალობა ამოვარდნილი რამაზასა და გოჩიას კუთვნილი მამული სომხითში - სოფელი ჯილიზა [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 118-120; **პირთა.., 1993**: 347-348]. ორივე საბუთში

---

[2] ხანძორისი (ხანძორკუტი) – სოფელი მდ. შულავრისწყლის მარჯვნივ, მის ზემოწელზე, სადაც თუმანიშვილების გარდა სხვა მებატონეებიც ფლობდნენ მამულებს [**ბერძენიშვილი, 2014**: 305]. 1632 წლისთვის ხანძორისი ისევ ნასოფლარად იხსენიება [**მასალები.., 1964**: 271].

[3] რამაზა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ნასრის, ასევე მანუჩარის ძმისწულად. აღნიშნული ციტატა ამ მხრივ ურთიერთგამომრიცხავია.

[4] სოფ. ჯილიზა მდებარეობს მდ. შულავრისწყლის მარჯვნივ, ოფრეთის ციხის დასავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ზე [**ბერძენიშვილი, 2014**: 332], ლორეს პროვინციაში.

მოხსენიებული რამაზა ერთი პირი უნდა იყოს, რომლის ხელშიც დარჩენილი მამულები სოფელ ჯილიზაში ჯერ სიმონ II-ისა და შემდეგ როსტომ ხანის წყალობით მანუჩარ და თაყა თუმანიშვილებს მიეცათ.

ნათელია, რომ თუმანიშვილები 1628 წელს ქვემო ქართლში ფლობდნენ სოფელ ჯილიზას, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობა თუ როდის მოხდა მისი ბოძება თუმანიშვილებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნასრი მდივან-მწიგნობრად მოღვაწეობდა ქართლის სამეფოს ოთხი მეფის კარზე (სვიმონ I, ლუარსაბ II, ბაგრატ VII, სვიმონ II) [**ბაქრაძე, 1983**: 85] და 1628 წლის 1 მარტს, სვიმონ II მანუჩარს აძლევს ნასრის წილ მამულს სოფ. ჯილიზაში/ჯალისაში და იქ მდგარ ნასრის სასახლეს, რომლის არსებობასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ გვაფიქრებინებს, რომ სოფელი ჯილიზა ქვემო ქართლში (სომხითში) თუმანიშვილთა მფლობელობაში 1628 წლამდეც იყო.

თუმანიშვილების ქონების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დაახლ. 1656 წლით დათარიღებული მანუჩარ, თაყა, ბირთველ და ჯიმშიტა თუმანიშვილების[5] გაყრის წიგნი. მათ ყმა-მამული გაინაწილეს: თბილისში, დარბაზში, ხელთუბანში, ახალდაბაში, გარეჯვარში, რეხაში, გორში. ჩვენამდე მოღწეული თუმანიშვილების გაყ-რის წიგნი და წილის ბარათები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათი ყმა-მა-მულის მფლობელობის არეალი და სიდიდე, რომელიც 1656 წლისთვის ასე გამოიყურება [**პირთა.., 1993**: 327, 351-352, 363; **საქართველოს.., 1910**: 549-550]:

თბილისი	
მანუჩარ და ჯიმშიტა	1. მხითარა მაშანასშვილი მამულით
გორი	
მანუჩარ და ჯიმშიტა	1. მურდასანგა
მანუჩარ	1. წისქვილი 2. არუთინა ძმითა და მამულით 3. პაპინა ასატურაშვილი ყმა-მამულით 4. მეწისქვილე ივანა თავისი მამულით 5. ბარილუსა თავისი მამულით
ჯიმშიტა	1. ნაზვრევის[6] მეოთხედი 2. ალიხანა მამულით

[5] გაყრის წიგნში არ იხსენიება მათი მეხუთე ძმა დავითი, როგორც ჩანს, იგი გარდაცვლილი იყო.

[6] 1683 წ. 17 თებერვლის საბუთში აღნიშნულია, რომ გაყრის შედეგად თაყასა და ბირთველსაც ერგოთ ნაზვრევი მიწის ნაწილი. ბირთველისთვის მანუჩარს ნებით, გორში თავისი წილი მიწაც დაუთმია [**პირთა.., 1993**: 333, 348, 353; **ხეც**, Sd-44].

	3. ჭარუა მამულით 4. როსტომა წატურაშვილი ყმა-მამულით 5. ახალციხიდან გორში დასახლებული ნურალა 6. წისქვილი
ხელთუბანი	
მანუჩარ და ჯიმშიტა	1. პატასშვილი ბაგითა და მიწით
მანუჩარ	1. ებია მამულით 2. ბერი და პაპუნა მამულებით 3. ბოგანო გლეხები – ძამელა და მგელია 4. კაცია მისი გერებით და მამულით 5. ფირუასშვილები თავიანთი მამულით
ჯიმშიტა	1. ამირასშვილები მამულით 2. ჩოგურასშვილი მამულით 3. გოგლია მამულით 4. ღალამასშვილები, თორტიზისაკენ დათუასათვის გამორთმეული მიწით 5. ხუციშვილი და მაქანდარა მამულებითურთ
გარეჯვარი	
თაყა, ბირთველ და ჯიმშიტა	1. მურადა და ძამას მიწები მათ სამად უნდა გაეყოთ
მანუჩარ	1. ეჯაბა/ეჯუბა მამულით 2. ნადირა და ქრისტესია ლელუასშვილები თავიანთი მამულით 3. მამასახლისი პატა მამულით 4. შოშიტა მამული
ჯიმშიტა	1. საქილა/საქულა მამულით 2. სულთანასშვილები მამულით 3. ბაინდურა დედაბრისშვილი მამულით
ახალდაბა	
მანუჩარ	1.ბერია ხოსროასშვილი კაკოზასშვილის ვენახითა და დემეტრაული მამულით 2.პატა ხოსროასშვილის შვილები მამულითა და კოკოზასშვილის მესამედი მიწით 3. ნაცვალი გოგია მამულით 4. ხუცესი დავითი შვილითა და მამულით 5. მურადასშვილები მამულით
ჯიმშიტა	1. ყუბათაშვილი მამულით 2. მამასახლისი ოთია მამულით 3. ბასილა და ელიასშვილი ფშანთა შუა შვიდი დღის მიწით 4. ავბეწუასშვილი მამულით 5. ასაფა მამულით
	რეხა
მანუჩარ და ჯიმშიტა	1. ანდრია და ებია 2. წყალობასშვილი გიორგი სახლ-კარითა და ბაგით უმიწოდ
დარბაზი	
მანუჩარ და ჯიმშიტა	1. ლომიტაშვილები
მანუჩარ	1. მამულა თავისი მამულით

ჯიმშიტა	2. აბრამასშვილები მამულით
ჯილიზა	
ჯიმშიტა	1. არაქელა პოღოსაშვილი მამულით 2. ამირასშვილები მამულით 3. ბერი მურადა ვენახით

უნდა აღინიშნოს, რომ 1657 წლის საბუთის თანახმად, მანუჩარ თუმანიშვილმა სოფელი ხელთუბანი, რომელიც *„ძველთაგანვე“* მათი საგვარეულო საკუთრება იყო ამილახორისაგან იყიდა. საინტერესოა, რა მოხდა როსტომ-ხანის მიერ 1656 წლის ახლო ხანებში თუმანიშვილების გაყრიდან 1657 წლამდე, ამ მცირე მონაკვეთში? ნაკლებად სავარაუდოა, რომ როსტომს, რომლის მიმართაც თუმანიშვილები ერთგულებას იჩენდ-ნენ ხელთუბანი ჩამოერთმია. ალბათ, ამილახორს აღნიშნულ სოფელში ჰქონდა მამუ-ლები, (რაც XVIII საუკუნის დოკუმენტებით ხშირად დასტურდება) რომელთა ნაწილი მიჰყიდა თუმანიშვილებს. გარდა ამისა, საბუთის მიხედვით, მანუჩარმა დაასახლა გოგოლაურის ნაფუზარში ნასყიდი გლეხები, დააყენა თავისი და ძმის – ჯიმშიტას მეაღაპეებად ყმები: იესონა, მახარობელი, შოშიტა, ლოლაძე, ბატუკა და კაცია. მათ ამაღლება დღეს ერთი თოხლის, ერთი კოკა ღვინისა და ერთი კოდი პურის გამოღება დააკისრა [**პირთა.., 1993**: 350-351].

თუმანიშვილების ქონება იზრდებოდა როსტომ მეფის დროს. 1657 წელს როსტომმა მანუჩარ თუმანიშვილს სოფ. ტინისხიდი (გორის მუნიც.) უწყალობა [**ქართულ-სპარ-სული.., 1984**: 27-28]. 1658 წელს მან თუმანიშვილებს ქვემო ქართლში სოფელი ბერდიკი[7] უბოძა: *„შეგიწყალეთ, დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ ბოლნისის ხევს სოფელი ბერდიკი ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა... უნაკლულოთ“* [**საქართვე-ლოს.., 1909**: 130; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 281].

თუმანიშვილებმა სამამულე მფლობელობა გაზარდეს ვახტანგ V შაჰნავაზის დრო-საც, როდესაც 1664 წელს, წყალობით მიიღეს სოფ. ტინისხიდში მამუკა თავაქალა-შვილის ობლები მამულითურთ [**პირთა.., 1993**: 350; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 305-308], თუმცა ეს ქონება, ზემოთ ნახსენებ 1657 წელს როსტომ მეფის მიერ ნაწყალობევ

[7] მ. ხელთუბნელი წერდა, რომ წყალობიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ბერდიკი სვიმონ ზურაბიშვილის საკუთრებად ითვლებოდა, თუმცა მისთვის უცნობი იყო როდის დაკარგეს თუმანიშვილებმა იქ მამულები [**ხელთუბნელი, 1938**: 171]. ისინი ბერდიკში მიწებს მაინც ფლობდნენ მაგ. მანუჩარ მდივანი 1785 წელს არზაში აღნიშნავდა, რომ სოფ. ბერდიკს ზამთარში საქონლის დასაყენებლად (საბალახედ) 3 თუმნად აქირავებდა [**ქართული.., 1981**: 643].

ტინისხიდის მამულთან ერთად 1675 წლის ახლო ხანებში ჩამოერთვათ [**პირთა.., 1993**: 345-346].

თუმანიშვილები ქონებას სოფელ ატენშიც ფლობდნენ. 1638-1660 წწ. საბუთის მიხედვით, თუმანიშვილის (მისი სახელი უცნობია) მიერ ატენში *„საცივს გაღმა“* აგებული საყდარი, ქრისტეფორე კათალიკოსმა ატენელ სომხებს დაუბრუნა [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 46, ს. 178; **პირთა.., 2007**: 391].ზემოთ ნახსენებ 1656 წ. თუმანიშვილების გაყრის წიგნში ატენური მამულები არ ფიგურირებს. როგორც ჩანს, აღნიშნული ქონება მათ გაყრამდე ჩამოერთვათ. საყურადღებოა, რომ ერეკლე I ნაზარალი-ხანმა 1689 წლის 30 მარტს, მდივან გივი თუმანიშვილს ატენში ნაქონი მამულის ნაცვლად ატენის ბოლოს *„თიკანაანთ უბანი“* უწყალობა და იქ მოსახლე გლეხები გაუთარხნა [**პირთა.., 1993**: 333].

1696 წ. კი ერეკლე I ნაზარალი-ხანმა გივის ბიძაშვილს – მდივან-მწიგნობარ შიოშ თუმანიშვილს ტანის პირს ამოვარდნილი ქაიხოსრო ლოლაძის მამული *„თიკანაანთ უბანი“* უწყალობა [**პირთა.., 1993**: 361], რომელიც თუმანიშვილებს ჩამოერთვათ, თუმცა ბაქარ მეფის წყალობით, ხელმეორედ დაიბრუნეს, რასაც 1724 წლით დათარიღებული წყალობის წიგნიც ადასტურებს: *„თქვენის სამკვიდროს ატენის ხევზედ ტანის პირის წყალობას გვეაჯენით... მოკითხული ვქენით და ძველთაგან ატენში მამული გქონებოდათ და ჟამთა ვითარებით გამოგრთმეოდათ და სახასოთ დაჭერილიყო და მისად სანაცვლოდ ამოვარდნილი კაცის ნაქონი ტანის პირი მეფეთაგან*[8] *გბოძებოდათ და ცოტას ხანს გამოგრთმეოდათ სხვისთვის მიეცა და რადგან ესრედ სამკვიდრო იყო აწ ჩვენც წყალობა გიყავით და გიბოძეთ ტანის პირის სოფელი ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით...“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 34; **საქართველოს.., 1910**: 415]. 1705 წელს ვახტანგ VI-მ გივი თუმანიშვილს ატენში სახასო 1 კომლი გლეხი გიორგაშვილი უწყალობა მამულით [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 3, ს. 49].

თუმანიშვილები ქონებას ფლობდნენ სოფ. რეხაში (გორის მუნიც.), რაც დასტურდება ზემოთ ნახსენებ 1656 წ. მათი გაყრის წიგნით (მასში არ არის დაკონკრეტებული ზემო რეხაა თუ ქვემო). 1724 წ. იესემ (ალიყული-ხანი) თუმანიშვილებს, როგორც *„ძველთაგან“* რეხის მფლობელებს განუახლა აღნიშნული სოფლის წყალობა: *„ვინათგან ძველადგან თქუენის სახლის* (თუმანიშვილების – **რ.მ.**) *კაცის ნაქონი ყოფილიყო და*

[8] იგულისხმება 1696 წ. ერეკლე I ნაზარალი-ხანის მიერ შიოშისათვის ტანის პირს ქაიხოსრო ლოლაძის მამულის – *„თიკანაანთ უბნის“* წყალობა [**პირთა.., 1993**: 361].

მერმე ჩვენდა სახასოდ დაჭერილიყო და სხვა მოდავე და მემამულე არავინ იყო ამისათვის შეგიწყალეთ და გიბოძეთ სოფელი ქვემო რეხა ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და მამულითა...“[**სეასცა**, ფ . 1450. დ. 3, ს. 116].

1723 წლის 1 მაისს თამაზ თუმანიშვილს ვახტანგ VI-მ ერთგულების ნიშნად სოფელი ხოჟორნი (მარნეულის მუნიც.) უწყალობა [**სეასცა,** ფ. 1450. დ. 10, ს. 167], რომელიც *„ოსმალობის“* დროს ჩამოერთვათ, რადგან *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“*, ხოჟორნი სახასო სოფლად არის აღნიშნული: *„სოფელი ხოშორნა სამეუფეო ხასია ექვემდებარება სომხითს“*[**1728 წლის.., 2010**: 308].

თუმანიშვილებს მეფის მიერ ნაწყალობევი ყმა-მამული ჰქონიათ კახეთში, რომელიც ჟამთა სიავის გამო, სავარაუდოდ, *„ყიზილბაშობის“* დროს უნდა დაეკარგათ, რადგან 1784 წლის ახლო ხანებში, მანუჩარ თუმანიშვილი თავის ბიძაშვილისადმი გაგზავნილ წერილში *„ყიზილბაშობის“* პერიოდში მამულის შენარჩუნების სიძნელეზე შემდეგს წერს: *„აკი შიოშ მდივანსა და იმის შვილებსაც ჰქონდათ ბატონის წყალობა კახეთში კარგი მამული და ყმები თუ ადვილი იყო შიოსა და სულხანს უკან რატომ ვერავინ გაიმაგრა რათ დაჰკარგეს მამული და ყმა“*[**გსიემ** 7782/6, ფ. 487].

თუმანიშვილებს მამულები ჰქონიათ სოფელ ვარიანში, 1788 წლის 18 ნოემბერს მანუჩარ თუმანიშვილი ერეკლე II-ს მიმართავდა ვარიანის მიწების დაბრუნების თხოვნით: *„მერე ამას წინათ ზემო ქართლიდამ არზის მორთმევით და მას უკან აქ ორჯელ პირათ მოხსენებით ჩვენი სამკვიდროს ვარიანის მამულისა ბოძება მოგახსენე და ბოძების წყალობა მებძანა... ჩვენის მამულისა ამა ჟამამდინ სხვათგან ჭერა და მოხმარება საკმარებელია, ვედრებით ვითხოვთ, რომ თქვენი ბძანება ასეთს მოწყალებათ მოჰფინოთ თქვენს მონათ, რომ არა თუ ჩვენი, სხვა მამული გებოძებინოსთ და თქვენს ყმა-მონათ ის მამული არ დაეკარგოსთ და სხვათ აღარ მიუბოძოთ“* [**საქართველოს.., 1910**: 526]. 1795 წლის 3 ივლისის დოკუმენტით დგინდება, რომ მანუჩარი სოფ. ურბნისში სამკვიდრო ყმებს ფლობდა [**დოკუმენტები.., 1953**: 176].

თუმანიშვილები ფლობდნენ სოფ. თეთრი სოფელსაც (ამჟამად, ნასოფლარი მარნეულის მუნიც.), რომელიც სახასო სადედოფლო მამული იყო და 1800 წლის 15 სექტემბერს, ერეკლე II-ის მეუღლემ, დარეჯან დედოფალმა მდივან სულხან თუმანიშვილს უწყალობა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 52, ს. 113]. 1801 წ. დოკუმენტში მდივანი ეგნატე თუმანიშვილი წერდა, რომ მისთვის გიორგი XII-ს უწყალობებია უმემკვიდრეოდ გარ-

დაცვლილი სომხითელი აზნაურის ყმა-მამული, მათ შორის თბილისში, ვანქის უბანში სამოსახლო ადგილი [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 30. ს. 156].

მეფეთა მიერ ბოძებული მამულების გარდა თუმანიშვილები მფლობელობას ზრდიდნენ სხვადასხვა პირებისაგან შესყიდული ყმა-მამულებით, რომლებსაც იძენდნენ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. 1623 წლის 17 მარტს, სამეფო კარის მდივანმა ნასრ (ნასრია) თუმანიშვილმა ვინმე მხითარ წატურაშვილისაგან იყიდა ვენახი[9] ბადურასა და მამასახლის ბერუას მიწებამდე [**პირთა.., 1993**: 353; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 33, ს. 68].

თუმანიშვილები XVII ს. 70-იანი წლებიდან იწყებენ ჯავახიშვილების ყმა-მამულის შეძენას. 1673 წელს მდივანმა ზურაბ ჯიმშიტას ძე თუმანიშვილმა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი ზაქარია ჯავახიშვილის ყმის, ბასილა სულხანიშვილისგან წოდორეთსა და ლისში *„მკვიდრი“* და *„ნასყიდი“* მამულები[10] იყიდა [**პირთა.., 1993**: 346; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 317-319]. 1696-1719 წლებში თუმანიშვილები ჯავახიშვილებისგან ყიდულობდნენ ყმა-მამულს წოდორეთში [**პირთა.., 1993**: 360; **ხეც**, Qd-9037თ; **სეასცა**. ფ. 1450, დ. 3, ს. 2, 4, 5, 6, 9; **დოკუმენტები..,1940**: 175-176, 181-182].

მდივანმა გივი თუმანიშვილმა 1697 წელს სომხითის მელიქ ავთანდილისგან იყიდა შამირზას ნასოფლარი კირაკოზას სოფლამდე, ლურჯვანქის, ბერდიკისა და ჩიტალას საზღვრებამდე: *„სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით, ჩვენ, მირიმანიძეთა სომხითის მელიქის ქამარბეგისშვილმა მელიქმან, ბატონმა ავთანდილ... თქვენ, თუმანიშვილს ზურაბ მდივნისშვილს, მდივანს გივსა... მაშინ, ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო, ალალი, გამოყოლილი, უცილებელი მამული შამირზას ნასოფლარი...“* [**საქართველოს.., 1909**: 116-117; **პირთა.., 1993**: 333]. სომხითში შეძენილი მამულის გარდა, გივი თუმანიშვილმა 1698 წ. 20 ნოემბერს ვინმე მნიშაკანთ გულინაშვილ მიქელისაგან იყიდა სახლ-კარი, რომელიც ესაზღვრებოდა ჯანჯუხაზანთა და იეზანთა ზურაბას სახლებს და ასალანბეგთა კარს [**პირთა.., 1993**: 333-334; **ხეც**, Sd-56], თუმცა უცნობია, სად მდებარეობდა აღნიშნული ნასყიდი ქონება.

თუმანიშვილებმა მამულები იყიდეს ქვემო ბოლნისშიც. 1706 წელს თაყა თუმანიშვილმა დავით ჭილაშვილისგან იქ ზვარი შეიძინა [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 3, ს. 193]. 1736-

---

[9] იგი შეიძლება ქვემო ქართლში მდებარედ მოვიაზროთ, რადგან აქ მოხსენიებული ბერუა შუა ბოლნისის მამასახლისად ჩანს ამ ხანებში შედგენილ ერთ-ერთი საბუთში [**პირთა.., 1991**: 528].

[10] ამ მამულის ნასყიდობამ 1699 წ. თუმანიშვილებსა და ჯავახიშვილებს შორის დავა გამოიწვია [**ქართული.., 1972**: 179-180; **პირთა.., 1993**: 346].

1742 წლებში შედგენილი არზა, ყარდაშა თუმანიშვილის მოსავლის წილის თაობაზე, ადასტურებს, რომ მას ნასყიდი მამული ჰქონდა ქვემო ბოლნისში [**ქართული.., 1981**: 18]. ასევე, 1776 წლის 9 ივნისის დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ იოსებ თუმანიშვილი ფლობდა ყმას, თათულა ოსეფაშვილს ქვემო ბოლნისში [**ქართული.., 1974**: 13-14].

მორდალმა ლიპარიტ (ლიპარ) ჯიმშიტას ძე თუმანიშვილმა 1693 წ. 19 დეკემბერს იყიდა გივი სააკაძისგან მისი მკვიდრი მამული – დარჩიაშვილისა და ზურაბ სააკაძის ვენახები [**პირთა.., 2007**: 92; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 56]. XVII ს. ბოლოს ატენში მამულებს ყიდულობდა ლიპარიტის ძმა ყალანდარ თუმანიშვილიც. XVII ს. დამლევს შედგენილი საბუთის მიხედვით, ყალანდარმა ვინმე ბერუკა იშხანაშვილისაგან იყიდა ატენში *„უმეკაური“* ვენახი, რომელიც ესაზღვრებოდა შავნადირაშვილის, მეზრიშვილისა და ხოსია ტლაშაძის მიწებს [**პირთა.., 1993**: 360; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 33].

საინტერესოა, რომ 1693 წლის საბუთის მიხედვით, ატენში მდივან ოთარ თუმანიშვილს დემეტრე სააკაძისაგან უყიდია *„საცივის“* ნახევარი – ქვევრი და მარანი, ხოლო *„საცივის“* მეორე ნახევარი მას ადრე დემეტრეს ბიძაშვილის, იორამისაგან ჰქონდა ნაყიდი [**პირთა.., 1993**: 355 **ხეც**, Hd-14397]. მიუხედავად ამისა, ატენში *„საცივის მარნის“* მცირე ნაწილი ერეკლე I ნაზარალი-ხანის მეუღლის, ანა დედოფლის საკუთრებაში ყოფილა, თუმანიშვილები მას შეხვეწნიან აღნიშნული მარნის მცირე ადგილს და მასაც უწყალობებია. 1703 წ. 10 მაისს შედგენილ სიგელში ანა დედოფალი წერს: *„დედოფალმან პატრონმა ანამ ესე... წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... თუმანიშვილს მდივანს ნაზირს ოთარს მდივანს გივს და მდივანს შიოშს... მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და ატენს ცოტას რასამე მარნის ალაგის წყალობას დაგვეაჯენით ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ატენს თქვენს ნასყიდს საცივთან ჩვენი სახასო ყმის მუკნიაშვილის ნაოხარი იყო იმას დაგვეაჯენით გიბოძეთ თქვენს მარნის კედლის იქით ორი ადლი განი და რაც სიგძე თქვენი მარნისა გაიტანს იმთენი ადგილი გქონდეს“* [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 46, ს. 146].

1723 წ. 4 აპრილს ყალანდარ თუმანიშვილს ზურაბ სააკაძემ მიჰყიდა *„სამკვიდრო მამული წილსა და ბარათში გამოყოლილი... ვენახი“*, რაც ატენში მდებარედ შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან საბუთში მოწმეები სხვადასხვა პირებთან ერთად *„საცივის უბნელებიც“* არიან [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 51]. ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ თუმანიშვილებმა მიწათმფლობელობა გაზარდეს სველნეთში (სოფ. სვენეთი გორის მუ-

ნიც.) და მის მიმდებარედ შეძენილი მამულებითაც. სვენეთი ქართლის ერისთავ სულა სურამელის თხოვნით, მეფე ლაშა-გიორგის მიერ ქვათახევის მონასტრისადმი შეწირული სოფელი იყო [**ქართული.., 1984**: 107-108]. 1567 წელს სიმონ I-მა ქვათახევის მონასტერს განუახლა აღნიშნული სოფლის შეწირულობა, საეკლესიო აზნაურ შატბერაშვილების კუთვნილი მამულებით [**ქართული.., 2016**: 267-270].

სველნელი აზნაური შატბერაშვილები ყიდდნენ მიწებს, რომლებსაც სხვებთან ერთად, პერიოდულად თავადი თუმანიშვილები ყიდულობდნენ. 1657 წ. 10 იანვარს, თაყა თუმანიშვილმა გიორგი შატბერაშვილისაგან ბაბაჯანას ნაქონი ოთხი დღის მამული იყიდა [**პირთა.., 1993**: 348; ხეც, Hd-13051]. 1700 წ. სველნეთში ქვათახევის მონასტრის ყმის, მაზანასგან თაყას შვილიშვილმა, ბახუტამ წისქვილის მიწა შეიძინა [**პირთა.., 1993**: 325; **სეასცა**, ფ. 1449, ს. 1869].

1671 წ. ახლო ხანებში ელიზბარ თუმანიშვილმა პაპუა შატბერაშვილისაგან იყიდა მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ხუცია შოშიაშვილის,[11] შაქარაშვილისა და ბეროას მამულებს [**პირთა.., 1993**: 341-342; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 171]. აღნიშნული მამულის მომიჯნავედ ნაკვეთები შეიძინა ელიზბარის შვილმა პაპუამაც. 1671 წ. ახლო ხანებში მან პაპუა შატბერაშვილისგან იყიდა მისი კუთვნილი მკვიდრი ნაკვეთი ხუცია შოშიაშვილისა და ალექსანა ნანუჩაშვილის მიწებამდე [**პირთა.., 1993**: 357; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 175] და 1678 წ. 20 მაისს ექვსი დღის მიწა ხუცია შოშიაშვილისა და ბეროას მამულების საზღვარზე, რუს პირამდე [**პირთა.., 2015**: 139, **ხეც**, Hd-10203].

1665 წ. 15 იანვარს პაპუა თუმანიშვილმა მაზანა იმარაშვილისაგან ვარდოვანაში[12] მიწა იყიდა [**პირთა.., 1993**: 357; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 166]. ვარდოვანაში მამულების შესყიდვა გააგრძელა პაპუას შვილმა, ელიზბარ თუმანიშვილმაც და 1670, 1679 წლებში ერთმანეთის მოსაზღვრედ მდებარე მიწები შეიძინა [**პირთა.., 1993**: 342; **სეასცა,** ფ. 1450, დ. 10, ს. 159; **პირთა.., 1993**: 342; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 161].

მამულების შეძენით გამოირჩეოდა მანუჩარ თუმანიშვილი, რომელმაც XVII ს. შუა ხანებში, თამთის წყაროს მიწები[13] *„გორის მიმავალ გზაზე“* სველნელი აზნაურების, პაპუნა და პაატა (პატა) შატბერაშვილებისგან იყიდა [**პირთა.., 1993**: 350-351; **ხეც**, Sd-837, Sd-54]. გარდა ამისა, მანუჩარმა პაატა შატბერაშვილის ვაჟის, პაპუასგანაც შეიძინა 1668 წ.

[11] შოშიაშვილები სველნეთში ცხოვრობდნენ [**პირთა.., 2015**: 180-181].

[12] ვარდოვანა მამულის სახელწოდება იყო.

[13] 1656 წელს თამთის წყაროსთან, ლაგამის ხევთან 45 დღის მიწა მანუჩარმა გივი ამილახორისგანაც იყიდა [**პირთა.., 1991**: 120; **ხეც**, Hd-2111].

25 ივლისს *„გრძელაურში“* მისი მკვიდრი ოთხი დღისა [**პირთა.., 2015**: 139; **ხეც**, Sd-24; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 81] და 1669 წ. 1 აპრილს ხუთი დღის ნაკვეთი [**პირთა.., 2015**: 139; **ხეც**, Sd-30].

მანუჩარი ადგილებს ყიდულობდა რეხის მახლობლად. 1668 წ. 26 ივლისს მას ზუბია ასატურაშვილმა მიჰყიდა რეხის სიახლოვეს, ჭურაში (ალბათ ჭურექში - **რ.მ.**) ოთხდღენახევრის მიწა, რომელიც ზუბიას აზნაურ პაპუა შატბერაშვილისგან ჰქონდა ნასყიდი [**პირთა.., 1991**: 182, **ხეც**, Sd-14]. 1669 წ. მანუჩარმა ბერიკა ბესიაშვილისგან იყიდა მამული გორის გზაზე, რომელიც ესაზღვრებოდა შატბერაშვილისაგან შეძენილ და თაყას ნასყიდ მიწებს ვარდუანასაკენ [**პირთა.., 1993**: 351, **ხეც**, Sd-11; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 85]. 1670 წლის 20 თებერვალს, მან რეხელი ნინიკა ყაიზიშვილისგან იყიდა ზემო რეხისაკენ, *„ბეთლემის ქვასთან“* მდებარე ადგილი, რომელიც ესაზღვრებოდა: ბატონის ხოდაბუნს, *„ჭურექიდან“* გადმოსულ რუს, ხელთუბნისაკენ – წერეთელაშვილისა და ამირას მიწებს [**პირთა.., 1993**: 351; **პირთა.., 2015**: 10; **ხეც**, Sd-48]. მანუჩარმა 1670 წლის 3 მაისს, რეხელი პაპიასაგან 3 დღის მამული შეიძინა, რომლის საზღვრები იყო: სველნელი ბაბანასეული მიწა, რეხისაკენ – შალუტაშვილისა და ხელთუბნისაკენ – მამუკასა და იმარაშვილის ნაკვეთები [**პირთა.., 1993**: 351; **ხეც**, Sd-35]. 1671 წლის 7 ივლისს მანუჩარმა გიორგი შოშიაშვილისგან იყიდა ნაკვეთი – *„გრძელაური“*[**პირთა.., 1993**: 351; **ხეც**, Sd-59].

სამფლობელო არეალს აფართოვებდა სველნური მიწების ხარჯზე და ერთმანეთის მომიჯნავე მამულებს იძენდა მდივანი ზურაბ ჯიმშიტას ძეც. 1678 წ. მან სველნელი აზნაურების, დათუნა და ბახუტა შატბერაშვილებისგან *„გორის გზაზე“* მიწები იყიდა [**პირთა.., 1993**: 347, **ხეც**, Sd-47; **პირთა.., 1993**: 347; **ხეც**, Sd-179; **პირთა.., 2015**: 137, **ხეც**, Sd-179]. ზურაბ თუმანიშვილი სვენეთში მამულებს ყიდულობდა აზნაური შატბერაშვილების ან ქვათახევის მონასტრის ყმებისაგან: 1675 წლის 1 ივლისს, მან ენდრონიკაანთ ელიზბარისაგან სუელნეთში ადგილი იყიდა [**პირთა.., 1993**: 346, **ხეც**, Sd-6]; 1676 წ. მან სველნელი მაზიტა იმარაშვილისაგან შეისყიდა *„მელის თხრილების“* მიწა, თაყას მამულამდე და გორის გზამდე [**პირთა.., 1993**: 427; **სეასცა,** ფ. 1450, დ. 4, ს. 37]; 1678 წლის 20 მაისს, ზურაბმა მამუკა ამირაღაშვილისაგან შეიძინა სუელნეთის თავში მდებარე ხახანასეული ნაკვეთი საწისქვილით [**პირთა.., 1993**: 346, **ხეც**, Sd-10].

ფეოდალთა მიერ მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ყიდვას თავიანთი მამულების გაფართოვების მიზნით ე. წ. *„მამულების დამრგვალება“* უწოდეს, რაც თუმანიშვილები-

სთვისაც დამახასიათებელი იყო [**გოგოლაძე, 1980**: 132]. სოფლები – რეხა, ხელთუბანი და სვენეთი ერთმანეთის მოსაზღვრედ მდებარეობს, როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, თუმანიშვილები რეხისა და ხელთუბნის მიდამოებში, სველნეთში (სვენეთში) და მის მიმდებარედ, ერთმანეთის მოსაზღვრე მიწებს იძენდნენ და ასე ზრდიდნენ ქონებას. როგორც ჩანს, ეს იყო ამ სამი სოფლის მამულების გაერთიანების ცდა.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სველნელების მიერ ქვათახევის მონასტრის *„სველნური მიწების“* თვითნებურმა გაყიდვამ წარმოშვა სამამულე დავა ამ უკანასკნელთა და ქვათახევის წინამძღვარს შორის. თუმანიშვილებს, სოფელ სველნეთში შესყიდული ქვათახევის მონასტრის მიწები, წინამძღვარსა და აზნაურ შატბერაშვილებს შორის სამამულე დავის დროს უკან დასაბრუნებელი გაუხდათ.

1700 წელს ქვათახევის *„სველნურ მამულებზე“* წარმოქმნილ დავაში ერეკლე I ნაზარალი-ხანი ჩაერია. მისი ბრძანებით: ყველა მყიდველს მიწები მონასტრისთვის უნდა დაებრუნებინა, ხოლო გამყიდველებს აღებული საფასური მყიდველებისთვის; თუ წინამძღვარი თანახმა იქნებოდა, მყიდველებს შეეძლოთ ღალა, ან სხვა სახის სამსახური ეკისრათ მონასტრის სასარგებლოდ; შატბერაშვილებმა გაყიდული მიწების სანაცვლოდ, ქვათახევის წინამძღვარს გადასცეს თავიანთი ხოდაბუნები; ეკლესიას მიეკუთვნა სხვა ხოდაბუნებიდანაც ორი მესამედი წილი, ხოლო შატბერაშვილებს სხვა მონასტერთან საერთო მიწებზე დაედოთ ღალა – ორი მესამედი წილი [**პირთა.., 1993**: 143, **სეასცა,** ფ. 1449, ს. 1869].

დავის ამგვარად გადაწყვეტის შემდეგ თუმანიშვილებმა ნასყიდი *„სველნური მამულები“* შეინარჩუნეს. 1700 წ. ქვათახევის წინამძღვარმა ექვთიმემ, თუმანიშვილებს დაუმტკიცა მისი დასტურის გარეშე შატბერაშვილებისაგან და მათი გლეხებისაგან, ან თვით მონასტრის ყმებისაგან ნასყიდი სველნური მამულები. სამაგიეროდ თუმანიშვილებს ქვათახევის ღმრთისმშობლისათვის წელიწადში ოთხი ლიტრა სანთელი უნდა მიერთმიათ [**პირთა.., 1993**: 355; **ხეც**, Ad-1008].

აღნიშნული პირობა განაახლა თუმანიშვილებთან ქვათახევის მონასტრის წინამძღვარმა ქრისტეფორემაც. ერთ უთარიღო საბუთში, რომელიც XVIII ს. I მეოთხედში უნდა იყოს შედგენილი იგი წერს: *„ესე წიგნი მოგეცით ჩვენ ქვათახევის წინამძღვარმან ბატონმა ქრისტეფორემ თქვენ მდივანს ოთარს და ძმასა თქვენსა ზაქარიას ასე რომე რაც თქვენ ვარდოვანაში სველნური მიწები ნასყიდი გაქუთ იმის ღალის მაგიერ როგორც*

გიორგი მეფისა და ერეკლე მეფის დროს და ან იმას აქეთ ბატონების დროს ბეგარა სანთელი გეძლიოსთ ისევ ის ბეგარა სანთელი თქვენ უნდა ქვათახევს აძლიოთ“ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 266].

თუმანიშვილები *„სველნურ მამულებს“* ყიდულობდნენ XVIII ს. დასაწყისშიც. 1713 წ. გივი თუმანიშვილმა ვინმე ნანუჭაშვილებისგან სვენეთში ნაკვეთი იყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 90], ხოლო 1715 წლის 15 მაისს, გივის ყმამ, გიორგი გოგლიაშვილმა ხელ-თუბნელი აკოფაშვილებისგან *„ლაგამის ხევის“* სველნური 3 დღის მიწა შეიძინა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 42].

ქვათახევის წინამძღვართან დადებულ შეთანხმებას თუმანიშვილები არ ასრულებ-დნენ და მონასტრისათვის გამოსაღების (წელიწადში 4 ლიტრა სანთელი) მიცემა იოანე წინამძღვრის დროს შეწყვიტეს. იგი 1764 წლის 12 მარტს თუმანიშვილებს სთხოვდა, ღალის გადახდას, ან 80 ლიტრა სანთელს ქვათახევის ეკლესიისათვის: *„სველნეთის მამულები ნასყიდი აქვსთ მაგათ* (თუმანიშვილებს – **რ.მ.**) *მდივნებს და მათ სახლის-კაცებს. სახლისკაცნი სულ ღალას აძლევენ საყდარსა, არ დაუჭერიათ. და ეგ მდივნები შეხვეწნიან წინამძღვარს: ღალას ნუ გვთხოვო და ოთხს ლიტრას სანთელს საყდარს მივართმევთო წელიწადშიო; რაც გაგიჭირდესთ ან თქვენ ან თქვენს ყმასო, მოხმარებასაც ვეცდებითო, რაც ჩვენის ჭელიდამ გამოვაო და წინამძღვარიც დაყოლია. ახლა ეს ოცი წელიწადი არის წინამძღვარი გახლავართ. ბევრჯელ ვთხოვე, მეტყოდნენ: ამის უარი ჩვენგან არ იქნება, უნდა მოგართვათო; ვისაც გვაძევს, ერთათ შევიყრებით, ვიანგა-რიშებთ და მოგცემთო... თავისი ნებით რაც დაუდვიათ ეკლესიისათვის, ოთხი ლიტრა სანთელი მოსცენ წელიწადში. ოცი წელიწადი წინამძღვარი გახლავართ, ოთხმოცს ლიტ-რას იქს. თუ ეძნელებოდესთ, მე ღალას ვჯერვარ“.* არზას ახლავს ერეკლე II-ის ბრძანება: *„თუმანიშვილებო! როგორც რომ პირველს ჟამში მეფეების დროს ყოფილა გარიგებული და რაც გდებიათ ქოთაჯევის წინამძღვრისა, უნდა წლითი-წლად მისცეთ. ან ასეთი ამის წინააღმდეგი წიგნი მოიტანეთ“* [**ქართული.., 1981**: 74-75]. აქედან ირკვევა ისიც, რომ 1764 წლისთვის *„სველნურ მამულებს“* კვლავ თუმანიშვილები ფლობდნენ.

ისინი მფლობელობის გაფართოვებას ცდილობდნენ გარეჯვარშიც, სადაც 1686 წ. ოთარ თუმანიშვილს იესე მაჩაბელმა თავისი ყმის ნაფუძარი მიჰყიდა [**პირთა.., 1993**: 355; **სეასცა**, ფ. 1450 დ. 46, ს. 194]. თავადი თუმანიშვილები მამულებს იძენდნენ რუისში,

„რუისის მთაზე“.[14] 1703-1732 წწ. მათ მიერ პერიოდულად შეძენილი მიწა 20 დღის სახნავს აღემატებოდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 67; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 115, 144, 145, 152, 157, 158, 167, 182, 196].

1738 წელს სულხან თუმანიშვილმა სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის შვილის, ლევანისაგან სოფელი კიკეთი იყიდა: *„...წიგნი და პირი ნასყიდობისა... მოგეცით ჩვენ, აბაშიშვილმან, სუფრაჩის ავთანდილის ძემან, ლევან... თქვენ, ჴელმწიფის მდივანს, თუ-მანიშვილს სულხანს და შვილსა თქვენსა – შიოშს და გიორგის... ასრე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკუიდრო და ბარათში გამოყოლილი მა-მული და სოფელი კიკეთი, რაც ოდენ ჩვენი წილი იყო ყოვლითურთ უნაკლულოდ მოგყიდეთ...“*[**გოგოლაძე, 2012**: 229].

სულხან თუმანიშვილი მამულებს იძენდა ქვემო ქართლის სოფ. წინვენახში, რომელიც *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“* თანახმად საბარათიანოს ნაჰიეში შედიოდა [**1728 წლის.., 2010**: 74]. მან იქ მიწა იყიდა ჯერ 1727 წ. [**სეასცა,** ფ. 1450, დ. 26, ს. 50], შემდეგ 1737 წელს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 26, ს. 54]. როგორც ირკვევა, მოგვიანებით 1755 წლის 7 ივნისს, სულხან მდივნის შვილმა, გიორგიმ წინვენახის მამულის ნაწილი გაყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 26, ს. 51]. 1764 წლის 13 იანვარს, გორჯასპი თუმანიშვილმა პაპუა გერმანოზიშვილისაგან იყიდა ალგეთის ხეობის სოფელი მარაბდა [**სეასცა,** ფ. 1450, დ. 14, ს. 28].

თუმანიშვილები მამულებს იძენდნენ თბილისის ერთ-ერთ დასახლებაში – გარეთ-უბანში. 1711 წელს ქაიხოსრო თუმანიშვილმა, სწორედ, აქ შეიძინა მამული: *„ნასყიდო-ბის... სიგელი მოგეცით ჩვენ ბატონის შვილმან ომან შენ თუმანი შვილს ქაიხოსროს... ასე რომე ქალაქს გარეთ უბანს ჩვენს ნაბაღვარში რაც... ალაგი დაგვრჩა რამთინიც ადლი აქვს ... ეს ალაგი უწინ მოგყიდეთ მაგრამ ცოტა ალაგზე შევსცილდით ახლა ჩვენი გული შეი-ჯერეთ და ისიც მოგეცით აღარა დარჩა ჩვენში სალაპარაკო“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 17, ს. 83].

1783 წ. მდივანმა იოსებ თუმანიშვილმა ზაზა გაბაშვილისგან იყიდა ნასახლარის მიწა, გარეთუბანში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 2, ს. 157], ხოლო 1787 წლის 16 ოქტომბერს, ვინმე არეშიშვილი მელქოასაგან შეიძინა სასახლის ადგილი: *„ნასყიდობის სიგელი... მოგეცით...*

[14] რუისის მთის ნაწილზე, ამჟამად, გაყვანილია თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალი და ე.წ. გორის გვირაბი. ვახუშტი ბატონიშვილი რუისის მთის შესახებ წერს: *„ხოლო კუალად გორის დასავლით არს მთა რუისისა, ტინის ჴიდით, თედო-წმიდით სასირეთამდე და მტკურამდე, მცირე ადგილი ტყიანი, საჴნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად, უწყლო, და ადგილ-ადგილს დის წყარონი მცირენი“*[**ბატონიშვილი, 1973**: 373].

არეშის შვილმა მელქოამ... თქვენ თუმანის შვილს მდივანს იოსებს... ასე რომე გარეთუბანს სასაფლაოის ზემოდამ გზას ზევით გაბანთან სასახლის ადგილი რომ გქონდა ნასყიდი იმას ზემოდამ ჩემი ნასყიდის ადგილი მქონდა სასახლისა დამეჭირა და მოგყიდე გარეთუბანში ჩემგან ნასყიდი ნასახლარი ადლი არის სიგრძე ჩვიდმეტი განი არის ადლი თოთხმეტი თავის შესავალ გასავლითა და სამართლიანის სამძღვრითა მოგყიდეთ...“ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 267]. 1787 წ. 4 ნოემბერს, იოსებ მდივანმა მელქოა არეშიშვილისგან კიდევ იყიდა *„გარეთუბანს... ნასახლარის ალაგი“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 2, ს. 156].

ზოგჯერ ნასყიდობის სიგელებიდან ვერ დგინდება თუმანიშვილების მიერ შეძენილი მამულების ადგილმდებარეობა. მაგ. მანუჩარ თუმანიშვილმა 1661 წელს მოქალაქე ზურაბა იაზაშვილისაგან იყიდა სასახლის ადგილი [**პირთა..,1993**: 351; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 125]. 1666 წ. ზურაბ მდივანმა თავისი სახლის მოსაზღვრედ, გოგინა ასლანბეგიშვილისაგან იყიდა წილში ნარგები სასახლე [**პირთა.., 1993**: 346; **ხეც**, Hd-13128].

თუმანიშვილებს ერთ დროს თავიანთი ყმების თუ სახლიკაცების მიერ გაყიდული მამულების გამოსყიდვაც უწევდათ. ოთარ თუმანიშვილმა თავისი ყმის მიერ გაყიდული მამული, რომელმაც რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა, 1709 წლის მაისის დამდეგს შეიძინა: *„ნასყიდობის წიგნი... მოგეცით... გემანა შვილმა მღრდელმა თამაზამა... თქვენ მდივანს ოთარს ძმასა თქვენსა ზაქარიასა შვილსა თქვენთა ოთარსა და ბირთველსა... დაგვეჭირა და ჩვენი ნასყიდი თქვენისავ ყმის კვირიასშვილის დიდოს გასყიდული მიწა ყანჩელისათვის რომ მიეყიდა და მასუკან ყანჩიელმა ჩვენ მოგვყიდა ის მიწა ორის დღისა თავი ოთარ მდივნის მიწის მიდგმამდის...“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 151].

მაგალითად, ედიშერ მდივანმა ერთ დროს თავისი ყმის მიერ გაყიდული მამული გარეჯვარში მოგვიანებით თვითონ შეიძინა. 1767 წ. 2 მაისს შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ: *„სიგელი დაგიწერე... ანახანუმამა თქავენ თუმანის შვილას ედიშერ მდივანსა... ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე თქავენი ყმისაგან მოყიდული ჩვენი ალალი ნასყიდი მიწა გარეჯვარას სამი დღისა“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 48, ს. 37].

ამილახვრის ყმებს, ანესაშვილებს 1768 წელს ღვთისავარ ქაიხოსროს ძე თუმანიშვილმა მიჰყიდა მამული ხელთუბანში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 53], 1770 წ. კი ღვთისავარას შვილმა გიორგიმ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 54]. ლეკების შემოსევის შედეგად დაზარალებულმა ამილახვრის ყმამ, ესტატემ აღნიშნული მამულები 1788 წლის 11 სექტემბერს მდივან სულხანს მიჰყიდა: *„სიგელი... მოგეცი მე ამილახუარის შვილის ნი-*

კოლაოსის შვილების ყმამ ავაზნელმა ანესას შვილმა ესტატემ... თქვენ თუმანის შვილს... მდივანს სულხანს ძმასა შენსა მდივლაშქარნივისს მანუჩარს... ასე რომე ხელთუბანს თუ-მანის შვილის ქაიხოსროს შვილსა ღვთისავარსაგან ქკს უნვ ამ წელის გიორგობის კე ამ რიცხუში ერთი მიწა ვიყიდე... იქივ ხელთუბანს... თუმანის შვილის ღუთისავარას შვი-ლის გიორგისაგან ქკს უნწ ამ წლის ღვინობისთვის დ ამ რიცხვში ერთის სიგელით იმი-სი სამკვიდრო მამული ახრისის გზაზე რვა დღის მიწა ვიყიდე... ეს ზემო ხსენებული ორ რიგად ნასყიდობა მამული... მეჭირა ქკს უოვ ამ წლის მარიამობისა ღამეს ხელთუბანს ლეკის ჯარი შემოესივა და ხელთუბანი წაახდინა იქ მეც წამახდინეს... რადგანაც წამხ-დარი ვიყავ... დამეჭირა და ეს ჩემი ნასყიდი მამული თქუწნ მოგყიდე... მე თუმანიანთ სახლის ეკლესიის დეკანოზი ტერ მოსესა... მოწამე ვარ" [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 55].

1791 წ. 20 აგვისტოს აზნაურმა *„ბოქოულთხუცესმა უთრუთ ყანჩიელმა"* მდივან იოსებს მიჰყიდა დიდ გარეჯვარში თუმანიშვილთა *„სახლის კაცის ფირანისა და ყარა ბეჟანის სეული სახლის ადგილი"* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 130]. თუმანიშვილები ყიდულობდნენ სახასო მამულებსაც. 1775 წლის ორი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ სულხან და იოსებ თუმანიშვილებს ვახტანგ VI-ის დროს რუისში სახასო მიწები უყი-დიათ, თუმცა ერეკლე II-ს უბრძანებია იქ *„ოსმალობა"-„ყიზილბაშობის"* დროს ნასყიდი სახასო ქონების ჩამორთმევა. თუმანიშვილები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ მათ აღნიშნული მიწები ჩამოერთვათ, ხოლო სხვებს შეუნარჩუნდათ. როგორც ირკვევა, ჩივილის შემდეგ ერეკლე II-მ თუმანიშვილებსაც დაუტოვა საკუთრებაში რუისში შეძენილი სახასო მიწები [**ქართული.., 1981**: 277-278, 291-292].

ამრიგად, თუმანიშვილები მიწებს იძენდნენ: თბილისში, ლისში, წოდორეთში, ატენში, გარეჯვარში, სველნეთში, ხელთუბანში, რეხაში, რუისში და სამამულე მფლო-ბელობას აფართოვებდნენ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნასყიდი მამულების სიმრავლე თუმანიშვილთა ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს.

სოფ. ხელთუბანში თუმანიშვილების ყმა-მამულის მფლობელობის გარკვევისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 1700-1719 წლების გივი თუმანიშვილის ყმა-მამულის ნუსხა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი 19 კომლი გლეხი მიწის დღიური მფლობელობის დაანგარიშებით. საბუთის მიხედვით, მის ყმებს საკმაო ოდე-ნობის მიწა გააჩნდათ [**აკოფაშვილი, 1963**: 138; **დოკუმენტები.., 1940**: 110-113].

ვახტანგ VI-ის ბრძანებით 1721 წელს, უშუალოდ მეფის ძის, მეწინავე სადროშოს სარდლის, ცნობილი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილისა და ქართლის მდივან გივი თუმანიშვილის მიერ, მეწინავე სადროშოს (ქვემო ქართლის) მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. აღწერის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ: *„აღვსწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ჴმარებანი, გინა სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღვწერეთ“* [**მასალანი.., 1907**: IX]. აღნიშნული სიტყვებიდან გამომდინარე, დოკუმენტში შეტანილია მხოლოდ ბრძოლისუნარიანი და გადამხდელუნარიანი მოსახლეობა.

1721 წლის მეწინავე სადროშოს (ქვემო ქართლის) აღწერის თანახმად, თუმანიშვილებიდან მებატონეები იყვნენ: გივი, ოთარ, მანუჩარ, ბირთველ, ქიშვარ, ფირან, იესე, ზაალ, მამუკა და სულხანი. ისინი ყმებს ფლობდნენ: ქვემო და შუა ბოლნისში, წოდორეთში, ბერდიკში, დარბაზში, ვანქში, ჯილიზაში, ვეძისში, ქვემო და ზემო ოძისში, ჩრდილის უბანსა და გვარეთში [**ლორთქიფანიძე, 1938**: 101-102, 157-158, 160, 166-167; **მასალანი.., 1907**: 43-45, 236-237, 243, 260-262]. აღწერის მონაცემები ასე გამოიყურება:

მებატონე	**სოფელი**	**გამომღები**		**ბოგანო**	
		კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე
თუმანიშვილი მდივანი გივი	ბერდიკი	3	3	1	1
	დარბაზი	1	1		
	ვეძისი			1	
	წოდორეთი	3	3	4	2
თუმანიშვილი მანუჩარ	ბერდიკი	3	3		
	წოდორეთი	2	3	2	
თუმანიშვილი ქიშვარ	ბერდიკი	3	3	2	2
	ჯილიზა	1	1	1	1
	წოდორეთი			1	
თუმანიშვილი მდივანი ბირთველ	ბერდიკი	1	1		
	წოდორეთი	1	1	3	2
	ქვემო ბოლნისი	1	1	1	1
თუმანიშვილი ბეჟანიშვილი ფირან	ბერდიკი	1	2		
თუმანიშვილი იესე	ბერდიკი	2	2	1	1
თუმანიშვილი მდივანი ოთარ	ბერდიკი	1	1	2	2
	ქვემო ბოლნისი	2	3	1	1
	წოდორეთი	2	2	2	
	ქვემო ოძისი	8	8	4	
	ზემო ოძისი	2	2		
	ჩრდილის უბანი	5	5	2	
	გვარეთი	3	3	2	

თუმანიშვილი ზაალ	ქვემო ბოლნისი	5	7		
თუმანიშვილი თაყაიშვილი (თაყას შვილი – **რ.მ.**) **ზაალ**	ბერდიკი	1	1		
	დარბაზი	1	1		
თუმანიშვილი მამუკა	ბერდიკი			1	1
	ჯილიზა	1	1		
	ვანქი	1	1		
თუმანიშვილი მდივანი სულხან	შუა ბოლნისი	1	1	1	

თუმანიშვილების ყმათა მფლობელობის შესახებ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს *„სათუმანიშვილოს ყმების დავთარი“,* რომელიც ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა სეასცა-ში. 1761 წელს მდივან ედიშერს დავთარი გადაუწერია: *„ქკს უმთ* (1312+449=1761 წ. – **რ.მ.**) *მკათათვის კა ამისი ასლიდამ გარდავსწერე მე მდივანმან ედიშერ ეს სათუმანიშვილო დავთარი“.* სამწუხაროდ საბუთი უთარიღოა და ჩვენი აზრით ნაკლული/არასრულია, ვინაიდან მასში მხოლოდ ხელთუბნის, რეხის, გარეჯვრისა და ბერბუკის მონაცემებია ასახული. დოკუმენტი თითქოს საკუთრივ შიდა ქართლის ყმების აღწერას ჰგავს, მაგრამ მასში არ არის მაგალითად ქ. გორის, სოფ. ახალდაბის შესახებ ცნობები, სადაც თუმანიშვილები ყმა-მამულს ფლობდნენ, რაც ნაკლულობის ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს. დავთარში მოხსენიებული თუმანიშვილების მოღვაწეობის წლებიდან გამომდინარე, იგი XVIII ს. I მეოთხედში უნდა იყოს შედგენილი. საბუთში განსაკუთრებით თვალშისაცემია ბოგანოთა რაოდენობა, რაც კომლ ყმათა რიცხვს დიდად არ ჩამორჩება - 72 კომლი ყმა / 58 ბოგანო. მასში თუმანიშვილთა გვარიდან 16 მებატონის მონაცემია ასახული 4 სოფელში შესაბამის ყმათა ოდენობის მითითებით:

1. **გივი მდივანი:** ხელთუბანი – 6 კომლი, 10 ბოგანო (მათ შორის 8 მოლაშქრე და 1 *„ცარიელი“*); გარეჯვარი – 2 კომლი, 3 ბოგანო (მათ შორის 2 *„ცარიელი“*); ზემო რეხა – 2 კომლი, 2 ბოგანო;
2. **მანუჩარ თუმანიშვილი:** ხელთუბანი – 2 კომლი, 2 მოლაშქრე ბოგანო; გარეჯვარი – 1 კომლი და 1 *„კომლი მოლაშქრე“*; ზემო რეხა – 2 კომლი, 1 ბოგანო;
3. **ქიშვარ ლიპარიტის ძე თუმანიშვილი:** ხელთუბანი –2 კომლი, 5 ბოგანო (მათ შორის 3 მოლაშქრე); გარეჯვარი – 4 კომლი; ზემო რეხა – 1 ბოგანო;
4. **იესე თუმანიშვილი:** ხელთუბანი – 2 კომლი, 1 მოლაშქრე ბოგანო; გარეჯვარი – 1 კომლი;
5. **მამუკა თუმანიშვილი:** ზემო რეხა – 1 კომლი;

6. **თაყას შვილი ზაალ:** ხელთუბანი – 3 კომლი, 1 მოლაშქრე ბოგანო; გარეჯვარი – 1 კომლი; რეხა – 1 კომლი;
7. **მამუკა ბახუტაშვილი** (თუმანიშვილი – **რ.მ.**): ხელთუბანი – 2 კომლი, 1 ბოგანო; გარეჯვარი – 1 კომლი;
8. **ოთარ მდივანი:** ხელთუბანი – 6 კომლი, 1 ბოგანო; გარეჯვარი – 1 ბოგანო; რეხა – 1 ბოგანო;[15] პატარა გარეჯვარი – 1 კომლი, 3 ბოგანო (მათ შორის ერთი *„აყრილი“*);
9. **ზაქარია თუმანიშვილი:** ხელთუბანი – 5 ბოგანო (მათ შორის 2 მოლაშქრე და 1 *„ცარიელი“*); გარეჯვარი – 1 კომლი; რეხა – 1 კომლი; პატარა გარეჯვა-რი – 3 ბოგანო;
10. **თავილდარი ფირან თუმანიშვილი:** ხელთუბანი – 1 მოლაშქრე ბოგანო;
11. **ბეჟანისშვილი მანუჩარ თუმანიშვილი:** ხელთუბანი – 1 კომლი; გარეჯვარი – 1 კომლი;
12. **ესტატეს შვილი ქაიხოსრო თუმანიშვილი:** ხელთუბანი – 3 კომლი;
13. **ქიშვარის შვილი ალხაზ:** ხელთუბანი – 4 კომლი, 4 ბოგანო (მათ შორის 1 მოლაშქრე);
14. **ფარსიას შვილი ბირთველ:** ხელთუბანი – 8 კომლი; 2 მოლაშქრე ბოგანო; ბერბუკი – 1 კომლი;
15. **მდივანი თამაზ და სალმახან:** ხელთუბანი – 9 კომლი, 10[16] ბოგანო (მათ შორის 5 მოლაშქრე);
16. **მდივანი თამაზ თუმანიშვილი:** ბერბუკი – 2 კომლი [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 32, ს. 57].

XVIII ს. დასაწყისში შედგენილ გორის მცხოვრებთა აღწერის დავთრის მიხედვით, თუმანიშვილებს გორში 11 კომლი და 4 ბოგანო ყმა ჰყავდათ: გივი მდივანი – 3 კომლი ყმა და 1 ბოგანო; ოთარ – 2 კომლი ყმა და 2 ბოგანო; ზაქარია – 1 ბოგანო; მანუჩარ – 2 კომლი; იესე – 2 კომლი; ქიშვარ – 2 კომლი [**ჯავახიშვილი, 1967**: 264-265]. აღნიშნულ მონაცემებს ე. მამისთვალიშვილი ეჭვქვეშ აყენებს: *„თუმანიშვილებს ბევრად მეტი ყმა*

[15] წერია მხოლოდ *„ღარიბაშვილი თამაზა“*, ჩვენ იგი ბოგანოდ ჩავთვალეთ.

[16] დავთრის გადამწერი ედიშერ თუმანიშვილი ბოგანოების აღწერისას აღნიშნავს: *„დავთრის ბოლო მოხეული იყო არ გამოჩნდა ერთი კაცისა“*. ჩვენ ეს გაურკვეველი ყმა ბოგანოდ ჩავთვალეთ.

ჰყავდათ ვიდრე აღწერის დავთარშია... თუმანიშვილების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავთრის მონაცემები არასრულია. თუმანიშვილების ქონება, ადგილ-მამულები და ყმები დროის განმავლობაში მატულობდა და არ კლებულობდა. დავთარში კი სრულიად საწინააღმდეგო ტენდენციასთან გვაქვს საქმე" [**მამისთვალიშვილი, 2018A** : 270-271]. მართლაც, 1656 წლის ახლო ხანებში თუმანიშვილებს გაყრისას გორში 9 ყმა ჰყავდათ და XVIII ს. დასაწყისისთვის მათი ყმების რაოდენობა უფრო მეტად გაიზრდებოდა.

„სათუმანიშვილოს ყმების დავთრის" და გორის მცხოვრებთა დავთრის შედგენის დრო დიდად არ უნდა იყოს დაშორებული 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერას. თუ ამ ცნობებში არსებულ რაოდენობას დავაჯამებთ (*„სათუმანიშვილოს ყმების ნუსხა"* 72 კომლი ყმა / 58 ბოგანო + გორის მცხოვრებთა დავთარი 11 კომლი და 4 ბოგანო + 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერა 55 კომლი ყმა/ 32 ბოგანო), დავინახავთ, რომ მათ შიდა და ქვემო ქართლში ჯამში 138 კომლი ყმა და 94 ბოგანო ჰყავდათ. ამრიგად, XVII ს შუა ხანებში თუმანიშვილების გაყრიდან XVIII ს. I მეოთხედამდე, მათი ყმათა რიცხვი მკვეთრად გაზრდილა.

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი"*, რომელიც 1721 წ. მეწინავე სადროშოს აღწერის თარიღთან დიდად არ არის დაშორებული. თუმცა, 1728 წლის დავთარში წარმოდგენილ ჯილიზასა და დარბაზის მონაცემებს სრულად თუმანიშვილებს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან 1721 წ. ქვემო ქართლის აღწერით, აღნიშნულ სოფლებში მხოლოდ ისინი არ იყვნენ მებატონეები [**მასალანი.., 1907**: 64, 69, 70, 190, 261-262, 279, 283]. 1721 წლის აღწერის მიხედვით, ერთადერთი, სრულად თუმანიშვილთა მფლობელობაში მყოფი სოფ. ბერდიკია [**მასალანი.., 1907**: 260-262], ამიტომ, 1728 წლის დავთრის მიხედვით, ბერდიკის მაცხოვრებლები და მამულები მთლიანად შეიძლება თუმანიშვილებს მივაკუთვნოთ, რომელიც ასე გამოიყურება: *„სოფელი ბერდიქი ექვემდებარება სომხითს... სახლი 19, კაცი 37. მიწის დღიური მფლობელობა 20"*[**1728 წლის.., 2010**: 300].

აგრეთვე, *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთარის"* მიხედვით, ხელთუბანში, რეხაში, ახალდაბასა და გარეჯვარში არსებულ ქონებას სრულად ვერ მივაკუთვნებთ თუმანიშვილებს, რადგან აღნიშნულ სოფლებში ყმებს მათთან ერთად სხვადასხვა მებატონეები ფლობდნენ. დავთრის თანახმად, ახალდაბაში 33 კომლი ცხოვრობდა და

სულ მიწის დღიური მფლობელობა იყო 50, აქედან 8 დღის მამულს ფლობდა ზაქარია, ოთარ, სულხან და ოთარი. დავთარში მათი გვარი მითითებული არ არის [**1728 წლის.., 2009:** 372], თუმცა ისინი თუმანიშვილები იყვნენ, რადგან დოკუმენტის შედგენის პერიოდისათვის სხვა წყაროებშიც მოიხსენიებიან. გარეჯვარში, დავთრის მიხედვით 30 კომლი ცხოვრობდა [**1728 წლის.., 2009:** 386, 388]. რეხაც მცირედ დასახლებული იყო. ზემო რეხაში 12, ხოლო ქვემო რეხაში 3 კომლი ფიქსირდებოდა [**1728 წლის.., 2009:** 391-392]. რაც შეეხება სოფელ ხელთუბანს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასახლება იყო და 137 კომლი ცხოვრობდა [**1728 წლის.., 2009:** 389-390].

საინტერესოა, რა რაოდენობის ყმებს ფლობდნენ თუმანიშვილები *„ოსმალობა“*-*„ყიზილბაშობის“* დროს. ამ საკითხის ნაწილობრივ გარკვევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გორჯასპი მდივნის შედგენილი ყმების ნუსხა, რომლის დასასრულს იგი აღნიშნავს: *„რაც ერთობაში ღალა აღებულა ან სათუმანიშვილოს რა შესწერია ნადირშაჰის დროს ნუსხა ამაში არის“* [**სეასცა**, ფ. 1461, რვ. 5, ს. 25]. საბუთი უთარიღოა, მაგრამ მოტანილი ციტატიდან ადვილი მისახვედრია, რომ იგი ნადირშაჰის ბატონობის დასასრულსაა შედგენილი, გორჯასპი მდივანმა ყმებზე შეწერილი *„ყიზილბაშური“* ხარკი დაიანგარიშა. დოკუმენტში მას სულ 69 ყმა ჰყავს აღწერილი [**სეასცა**, ფ. 1461, რვ. 5, ს. 25] და მათი ნაწილი ფიქსირდება თუმანიშვილების მიერ შედგენილ კიდევ ერთ უთარიღო ყმების ნუსხაში, რომელსაც ს. კაკაბაძე ვარაუდით 1780 წლის ახლო ხანებით ათარიღებდა [**გსიემ**, 7782/4, ფ. 375; **სეასცა**, ფ. 1448, ს. 1692]. ჩვენი აზრით, იგი *„ყიზილბაშობის“* დასასრულს უნდა ეკუთვნოდეს მით უფრო, რომ ნუსხაში სულ აღწერილია 63 ყმა და რაოდენობრივად ახლოს დგას ზემოთ ნახსენებ გორჯასპის მიერ შედგენილ ყმების აღწერასთან (69/63).

ნუსხაში თუმანიშვილების მიერ ყმები აღწერილი იყო ფიზიკური თუ ქონებრივი შესაძლებლობების განურჩევლად, რომლებსაც სამ ნაწილად ყოფდნენ: 1) 31 ყმა – საბატონო ან/და სახელმწიფო ვალდებულებების შემსრულებელი; 2) 22 ყმა – ქვრივ-ობოლი, ფიზიკურად უნარშეზღუდული; 3) 10 უმამულო ყმა ქვემო ქართლიდან, რომლებსაც თუმანიშვილები მიწით ვერ აკმაყოფილებდნენ. მეტი თვალსაჩინოებისათვის გთავაზობთ თუმანიშვილების მიერ შედგენილ ყმების ნუსხას სრული სახით:

„თუმანიანი ყმის ნუსხა არის თუ ხარჯისა და ლაშქრის მწეველისა თუ საბრალოსა და გლახისა თუ ობლისა და ქვრივისა თუ სომხითელისა, თუ თრიალელისა თუ ჯავახისა ამას ქვეშეთ სწერია

ა ქ ტერმაკოზას-შვილი ზაქარია და მელქუა კობლი

ა ქ ფარემუზა და ბერუა კობლი

ა ქ ბეჟანა და ავაქა კობლი

ა ქ ჩალაბას-შვილი კობლი

ა ქ გიგაური კობლი

ა ქ ბარხუდარა აყრილი ქალაქს არის

ა ქ მეგრელი პაპუნა და გიორგი კობლი

ა ქ ნინიკას-შვილი

ა ქ ტერმანველას-შვილი

ა ქ ელიზბარას-შვილი

ა ქ ბერძენა

ა ქ კოჩუას-შვილი

ა ქ დალაქის-შვილი

ა ქ პაპა და აღდგომელა

ა ქ ჩარუხას-შვილი მორბედა და იასე

ა ქ მარღის-შვილი დემეტრე და ბეჟანა

ა ქ დათუას-შვილი

ა ქ ელიკას-შვილი

ა ქ კაცის-შვილი მღდელი

ა ქ აბელას-შვილი

ა ქ დინარიძე კონა და ბერუა

ა ქ გოგებას-შვილი

ა ქ პაპუას-შვილი

ა ქ იასე მამასახლისი და გიორგი

ა ქ მღებრის-შვილი ქიტუა მჭედელი

ა ქ მურადას-შვილი ფარსადანა და გელია

ა ქ ირემას-შვილი

ა ქ მურადას-შვილი

ა ქ ეჯუბას-შვილი

ა ქ ღორიგლიჯა

ა ქ სოლთანას-შვილი უშვილო ორის თეძოებით კუტია

ამაზეითი კაცნი რომ სწერია ლაშქრათაც ესევარ იარეზიან ნოქარიც ესენი არიან ხარჯის მიმცემი და სურსათისა და სამასპინძლოს გამღებნი არიან ესენი ლა (31 - **რ.მ**)

ქ. ეშმაკურას-შვილები გლახები

ქ. ჯანიას-შვილი გლახა

ქ. გოდელა-ბრმა გლახა

ქ. აკოლაშვილი ბრმა და გლახა

ქ. ნინაშვილი უმამულო ბოგანო

ქ. კვირია მოსული უმამულო ბოგანო

ქ. ლეკვია უმამულო ბოგანო

ქ. მურადას-შვილი მამულა გლახა

ქ. ოქრუა გლახა არის არა აქვს რა

ქ. ჭიკარტას-შვილი გლახა არის არა აქვს რა

ქ. გალეგა მოსული უმამულო

ქ. ქოქლეს-შვილი

ქ. ბეტას-შვილი გლახა

ქ. აკოფას-შვილი გლახა

ქ. წერეთელას-შვილი ობოლი და ქვრივი

ქ. სვიანაძე უმამულო ბოგანო

ქ. თუში შემაზა ცალთვალი

ქ. ძამულას-შვილი გლახა მათხოვარი

ქ. სეხნიას-შვილები გლახები

ქ. გოდერძას-შვილი გლახა ერთი ბერიკაცი

ქ. არაქელას-შვილი გიორგი ზურაბა საბრალოები გლახა

ქ. ბერიკას-შვილის ობლები

ამაზეითი კაცნი რომ სწერიან გლახები არიან ზოგი ბრმა ზოგი კოჭლი ზოგი მათხოვარი რომ არაფერი ხელიდამ არა გამოუათ რა არც ლაშქარი არც სამასპინძლო არც სურსათი და არაფერი სამსახური. კბ (22 - **რ.მ.**)

ქ. სომხითელნი ჩვენი ყმა ხოსრუა უმამულო

ქ. ძულუჭ / სომხითელი უმამულო

ქ. ულიხანა სომხითელი უმამულო გრიქორა

ქ. ხეჩუა სომხითელი უმამულო

ქ. თრიალელი ჩრდილის უბნელი ბერუა უმამულო

ქ. ჩრდილის უბნელი კაცია უმამულო

ქ. ქიტუა და მაზიტა ჩრდილის უბნელნი უმამულო

ქ. ჯავახი მიქელა უმამულო

ქ. ჯავახი ვარძელა გლახა არის ობლების პატრონი

ქ. ჯავახი კაცია

ი (10 - **რ.მ.**)

ამაზეით კაცნი რომ სწერიან ჩვენი ყმანი არიან მაგრამ უმამულონი არიან. მართალია ჩვენთან თითო ქოხები აქვთ როგორც სხვა ხიზანსა აქვს, მინდორი არა გვაქვს... წყალი არა გვაქვს, სარწყავი ტყე არა გვაქვს... ახლა როგორც ეპრიანებოდეს ბატონს, ისე ბძანოს და ისე იმსახუროს ნება ბატონისა არის, სხვის მამულში ხვნენ და სხვას აძლევენ ღალასა და სხვას ემსახურებიან“ [**გსიემ**, 7782/4, ფ. 375-378; **სეასცა**, ფ. 1448, ს. 1692].

როგორც დავინახეთ, უდავოა, რომ *„ოსმალობა“*-*„ყიზილბაშობის“* დროს სათუმანიშვილოს ყმათა ფონდი დიდად შემცირდა, მაგრამ *„ყიზილბაშობის“* დამთავრების შემდეგ ისევ დაიწყო ზრდა. ამ მხრივ, თუმანიშვილების ყმათა მფლობელობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი წყაროა ლიახურის ხეობის მცხოვრებთა აღწერის დავთრის ნაწყვეტი, რომელიც სულ 4-5 სოფლის აღწერილობას შეიცავს. იგი ივ. ჯავახიშვილმა XVIII ს. შუა ხანებით დაათარიღა. დავთრის მიხედვით თუმანიშვილებს გარეჯვარში ახალდაბაში და ხელთუბანში 101 ყმა ჰყავდათ. ამ პერიოდისთვის რეხაში, ატენში და სხვ. მათი ყმების მონაცემები ჩვენთვის სამწუხაროდ, უცნობია. საყურადღებოა, რომ აღწერის თანახმად, თუმანიშვილთა უმამულო, ბოგანო ყმების რაოდენობა 40-ს აღემატებოდა. გარდა ამისა, საბუთიდან ირკვევა, რომ ისინი თავიანთ სომხითელ ყმებს შიდა ქართლის კუთვნილ მამულებზე ასახლებდნენ და იმავდროულად სასოფლო-სამეურ-

ნეო მიწითაც ვერ აკმაყოფილებდნენ. მაგალითად, ხელთუბანში სახლობდა – *„ყმა ნასყიდი ჯილზელი* (ჯილიზელი – **რ.მ.**) *ლელუაშვილი გალუსტა უმამულო“, „ბერდიკელი ელიზბარა უმამულო“*; გარეჯვარში ცხოვრობდა –*„ბერდიკელი დავითაშვილი თევდორე“, „ჩრდილის უბნელი სათას შვილი კაცია უმამულო“* და სხვ. [**ჯავახიშვილი, 1967**: 248-252]. ლიახურის ხეობის მცხოვრებთა აღწერის დავთრის მიხედვით, თუმანიშვილებს გარეჯვარში, ახალდაბასა და ხელთუბანში ყმები ჰყავდათ შემდეგი სახით:

გარეჯვარში: გორჯასპი მდივანი – 2 ყმა; ედიშერ მდივანი – 2 ყმა; ოთარ მდივანი – 1 ყმა, პატარკაცი – 3 ყმა; გიორგი – 3 ყმა; პაპუა იასეს ძე – 3 ყმა;

„იქით გარეჯვარში“: ედიშერ მდივანი 4 ყმა; ოთარ მდივანი – 2 ყმა;

„გორის ახალდაბაში“: ედიშერ მდივანი – 2 ყმა; ოთარ მდივანი – 3 ყმა; გორჯასპი მდივანი – 4 ყმა; პატარკაცი – 3 ყმა; პაპუა იესეს ძე – 3 ყმა; ბეჟან – 2 ყმა;

ხელთუბანში: გორჯასპი მდივანი – 10 ყმა; ედიშერ მდივანი – 8 ყმა; ოთარ მდივანი – 3 ყმა; პატარკაცი – 13 ყმა; გიორგი – 2 ყმა; პაპუა იესეს ძე – 12 ყმა; პაპუა ელიზბარის ძე – 13 ყმა; ღვთისავარ – 1 ყმა; ბეჟანი – 1 ყმა; თბილელი (ქრისტეფორე – **რ.მ.**) – 1 ყმა [**ჯავახიშვილი, 1967**: 248-252].

საინტერესოა, ერთი უთარიღო სტატისტიკური ამონაკრები, რომელიც შიდა ქართლის 37 სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. ივ. ჯავახიშვილმა ეს დოკუმენტიც XVIII საუკუნის შუა ხანებით დაათარიღა და აღნიშნა, რომ: *„სოფლებში თითქმის განსაკუთრებით ხიზანთა რიცხვია დასახელებული, მკვიდრი მცხოვრებნი კი სოფლობრივ კი არა, არამედ საბატონოებისდა მიხედვით არიან აღნიშნულნი“*[**ჯავახიშვილი, 1930**: 40-41].

საბუთში შეტანილი თუმანიშვილების ყმები შესაძლებელია გორელები იყვნენ, რადგან მათი სია რიგით ქ. გორის მოსახლეობის მონაცემებს მოსდევს. დოკუმენტის მიხედვით, თუმანიშვილებს[17] ყმები ჰყავდათ შემდეგი რაოდენობით: ოთარ მდივნის ყმა 7, ობოლი 1; სულხან მდივნის ყმა 39, ობოლი 2; ედიშერ მდივნის ყმა 9, ობოლი 2; ეგნატეს ყმა 2; პაპოას ყმა 12; ბეჟანის ყმა 2; ასანას-შვილი გოგია და ელიზბარის ყმა 10, ობოლი 1. ჩვენთვის ცნობილ თუმანიშვილთა სამკვიდრო სოფლებში: ახალდაბაში 18, ხელთუბანში 60 და დიდ გარეჯვარში 19 ხიზანია შეტანილი [**ჯავახიშვილი, 1974**: 182].

[17] სტატისტიკურ ამონაკრებში გვარის გარეშე დაფიქსირებული რამდენიმე მებატონე სახელებზე დაკვირვებით თუმანიშვილია.

თუმცა, დასახელებულ ხიზნებს სრულად თუმანიშვილებს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან ამ სოფლებში სხვა მებატონეებსაც ჰქონდათ ყმა-მამული.

საყურადღებოა, 1788 წლის 12 მაისს შედგენილი თუმანიშვილთა სამი სახლიკაცის ყმა-მამულის ნუსხა, რომელიც მოიცავს: ახალდაბის, გარეჯვრის, რეხის, ხელთუბნის, გორის, თბილისის, ჯილიზას, ვანქის, ბერდიკის, დარბაზის, შულავერისა და მწყნეთის მონაცემებს. ნუსხის მიხედვით, სახლიკაცებს ჰქონდათ ჯამურად 63 დღიური, ხოლო სახასო 19 დღიურ მიწაზე მეტი. დოკუმენტში მოცემულია 20-მდე *„საკომლო“* ანუ *„საგლეხო მამული“* მაგალითად, *„ხელთუბანს... აქავ აქელაშვილის მამული მთელი საკომლო უკაცო“, „ბერდიკს ამრუმელაშვილის მამული მთელი საკომლო უკაცოთ“.* დასახელებული აქელაშვილი, ამრუმელაშივილი და მათ გარდა ნუსხაში მოხსენიებული დაახლოებით 20-მდე ყმა ამოწყვეტილი ან/და აყრილი, ანუ ხიზანი გლეხები უნდა იყვნენ. დოკუმენტის მიხედვით, თუმანიშვილებს: ახალდაბაში, გარეჯვარში, ხელთუბანში, ბერდიკსა და ჯილიზაში 11 კომლი ყმა ჰყავდათ, რომლებიც საგლეხო მამულებით დაკმაყოფილებულები ჩანან [**გსიემ**, 7782/6, ფ.491-496].

ამრიგად, ნუსხის მიხედვით, თუმანიშვილების სახლის ეს სამი წარმომადგენელი მამულებს უფრო ფლობდა ვიდრე ყმებს. აღნიშნული საგვარეულოს ყველა წარმომადგენელს ბუნებრივია თანაბარი რაოდენობის ყმა-მამული არ ექნებოდა. მაგალითად, 1831 წ. 1 აგვისტოს ღალის ნუსხიდან ირკვევა, რომ მხოლოდ ორ სახლიკაცს გიორგი და დავით თუმანიშვილებს სოფელ ხელთუბანში, გარეჯვარსა და ახალდაბაში 25 ყმა-გლეხი ჰყავდათ [**მასალები.., 1955**: 511-513].

თბილისის მცხოვრებთა აღწერის მიხედვით, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით 1781-1782 წწ. უნდა იყოს შედგენილი, თუმანიშვილებს 20 ყმა ჰყავდათ:

„თ ქ. თუმანიშვილი სულხან მდივნისა

ა ქ. პაპუასი

ბ ქ. გიორგისა

ვ ქ. დიმიტრი მდივნისა

გ. ქ. ბირთველისა“[**ჯავახიშვილი, 1967**: 144].

თუმანიშვილების მიერ თბილისში ყმათა მფლობელობა ოდნავ გაზრდილა რუსული მმართველობის დამყარების პირველ ხანებში. რუსი მოხელეების მიერ 1803 წელს ჩატარებული თბილისის აღწერის მიხედვით, მათ ჰყავდათ 23 კომლი (სულ 91 სული)

ყმა. აქედან უმეტესობა ეროვნებით სომეხი, 5 ქართველი, ხოლო 1 კომლი კათოლიკე იყო [**კაკაბაძე, 1925**: 34, 44, 47, 48, 49, 51, 55, 62, 64, 69, 70, 72, 74, 76, 83, 98, 100]. საგულისხმოა, რომ 1803 წლის თბილისის აღწერა მოიცავს თავად-აზნაურთა ოჯახების მონაცემებსაც. მასში თუმანიშვილთა ოთხი ოჯახია, აღწერილი, მათ შორის მხოლოდ ეგნატის კომლია მითითებული როგორც ქართველი, დანარჩენი სომხებად: ეგნატი თუმანიშვილის ოჯახი – 6 მამრ. და 9 მდედრ; თავადის ასული მარიამ თუმანოვის ოჯახი – 2 მამრ. და 4 მდედრ; მანუჩარ თუმანოვის ოჯახი – 5 მამრ. და 7 მდედრ; სულხან თუმანოვის ოჯახი – 10 მამრ. და 13 მდედრ [**კაკაბაძე, 1925**: 59, 67, 69, 82]. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ აღწერილ თავადაზნაურთა, მსხვილ ვაჭართა ოჯახის წევრების რაოდენობაში მათი მოსამსახურეებიც ითვლებიან [**კაკაბაძე, 1925**: 28].

დოკუმენტებიდან დგინდება, რომ თუმანიშვილების მთავარი სამყოფელი ადგილი სოფ. ხელთუბანი იყო, სადაც მათ სასახლე,[18] საგვარეულო ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობა ჰქონდათ [**ქართული.., 1985**: 537; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 121, 201]. თუ-მანიშვილებს სასახლეები ჰქონდათ თბილისში, გორში და, როგორც ზემოთ აღინიშნა, XVII ს. 20 წლებში ქვემო ქართლის სოფ. ჯილიზაშიც.

XVIII ს. დასასრულს შედგენილი საბუთის მიხედვით, ქ. გორში ეგნატე და პაპუა თუმანიშვილების სასახლე *„ფრანგის ქუჩაზე“* იდგა. ე. მამისთვალიშვილის თქმით, ამ ქუჩაზე კათოლიკე მისიონერები ცხოვრობდნენ და იგი ემთხვეოდა დღევანდელი გო-გებაშვილისა და წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიდამოებს [**მამისთვალიშვილი, 2018A**: 188]. 1791 წ. 20 თებერვლის არზიდან ჩანს, რომ თუმანიშვილებს გორის ციხესთან ახლოს მდებარე სასახლის ადგილს ეცილებოდნენ: *„ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მდივანს იოსებს და ბირთველს. მერმე ჩვენი სასახლის ალაგი გორს ჩვენის ყურს მიუგდებლობით დაუჭერიათ უბრალო მოსულ კაცებს და დაუყვიათ რომ არც არა-ვისგან უყიდიათ და არც ნასყიდობის წიგნი აქვსთ რასაც გორის ციხის კარის გზა ჩამოი-ტანს ენდრონიკაანთ მიდგმამდის და იქით ჩვენისავე სასახლის მიდგმამდის ის სასახ-ლის ალაგი სულ ჩვენი არის. ამ წყალობას ვითხოვთ ერთი ოქმი გვიბოძეთ გორის მამა-სახლისზედ... და რომელიცა ჩვენი იყოს ჩვენ დაგვანებოს და კიდევ ორსაოდე ალაგსაც ჩვენის გლეხების სახლების ალაგი არის და ისიც გაგვირჩიოს“* [**სეასცა**, ფ. 1449, ს. 959].

[18] ხელთუბნის ცენტრში ყოვლად წმინდა სამების ეკლესიის სამხრეთით რამდენიმე მეტრში დგას თუმანიშვილების სასახლე იხ: დანართი №9.

თბილისში დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილს სახლი ჰქონდა მთისა და ფეთხაინის ქუჩების კვეთაზე. 1828 წლის თბილისის გეგმის ექსპლიკაციებში აღნიშნულია: *„განსვენებული თავად დავით თუმანოვის სახლთან მთის ქუჩას უერთდება ფეთხაინის ქუჩა“* [**ბერძნიშვილი, 1983**: 42].

როგორც აღინიშნა, თუმანიშვილების რეზიდენცია იყო ხელთუბანში, სადაც თავდაცვითი ნაგებობა ჰქონდათ. 1782 წ. მდივან იოსებ ედიშერის ძის წილის ბარათში ვკითხულობთ: *„ერთ წილათ ხელთუბანს ციხის უკან კოშკის გადასწორ...“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 206]. საყურადღებოა, რომ 1791 წლის 1 ივლისის საბუთის თანახმად, მელიქ ავეტიქას, რუსეთში წასული ოთარ მდივნის მამული ჰქონდა საკუთრებაში. იოსებ თუმანიშვილი კი მელიქს ციხის აშენების მიზნით შემდეგ წინადადებას სთავაზობდა: *„ესე წიგნი მოგართვი მე მდივანმა იოსებ თქვენ მელიქს ავეტიქას ასე რომ ხელთუბანს ოთარ მდივნის სასახლე ნახევარი თქვენი იყოს და ნახევარი ჩემი ახლა მე იმ ადგილში ციხეს ვაკეთებ იმ სახლის ადგილი გავზომოთ თქვენი წილი ნახევარი ადგილი რამდენიც ადლი იყოს სოფელს ახლოს საცა ინებეოთ მოგიზომო ჩემის მამულიდამ და მოგართვა“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 22, ს. 46].

ხელთუბნის ცენტრში მიხეილ თუმანიშვილის საცხოვრებელ სახლთანვე მდგარა სამსართულიანი კოშკი შიგნით ქვის მოხვეული კიბით, რომელიც მიხეილის პაპას გიორგი (გოგია) თუმანიშვილს აუშენებია [**ხელთუბნელი, 1938**: 11-12, 17]. ხელთუბნის საფორტიფიკაციო ნაგებობა იხსენიება 1816 წლის თუმანიშვილების წილის ბარათშიც: *„ქვითკირის საკოშკე... ციხის ბოლოს კოშკი რომ არის, დიდ ეკლესიასთან, რაც იქ ნასახლარებია“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 201]. თუმანიშვილებს მამულები და თავდაცვითი ნაგებობა ჰქონდათ სოფელ ხვითშიც. ესავ სულხანის ძე თუმანიშვილს კუთვნილ მიწაზე, ზემო და ქვემო ხვითის საზღვარზე კოშკი აუგია. იგი ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროს უნდა აშენებულიყო, თუმცა მშენებლობა შეფერხებულა და 1800 წელს ესავმა გიორგი XII-ს მიმართა დახმარებისთვის [**ქართული.., 1985**: 677-678]. კოშკი ცილინდრულია (დიამეტრი - 7,5 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრატული აგურით. იგი მდებარეობს ქვემო ხვითიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1 კმ-ზე, ამჟამად შემორჩენილია პირველი სართული დაზიანებული სახით [**საქართველოს.., 1990:** 115].

ამრიგად, თუმანიშვილების სათავადო მოიცავდა მამულებს შიდა ქართლში (გორი, ხელთუბანი, სვენეთი, ახალდაბა, რეხა, გარეჯვარი, ვარიანი, კარალეთი, სათემო, ურ-

ბნისი, რუისი, ხვითი, ტინისხიდი, ატენი, ტანის პირს *„თიკანაანთ უბანი“*, მისაქციელი), ქვემო ქართლში (თბილისი, ლისი, კიკეთი, წოდორეთი, მარაბდა, ვეძისი, თეთრი სოფელი, ხოჟორნი, ბერდიკი, ჯილიზა, დარბაზი, მწყნეთი, შუა და ქვემო ბოლნისი, ვანქი, ზემო და ქვემო ოძისი, გვარეთი, ჩრდილისუბანი, შულავერი, წინვენახი, ნასოფლარები – შამირზა და ხანძორისი) და კახეთში (ახმეტა). მათ სასახლეები ჰქონდათ თბილისში, გორში, ხელთუბანსა და ჯილიზაში, საფორტიპიკაციო ნაგებობები სოფ. ხელთუბანსა და ხვითში, საგვარეულო ეკლესიები გორსა და ხელთუბანში.

თავი III. თუმანიშვილების სათავადოს სოციალური მდგომარეობა

§ 1. თავადი

თუმანიშვილები XV საუკუნიდან იხსენიებიან წყაროებში, თუმცა, როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავს: *„ცნობების სიმცირის გამო ჩვენთვის ძნელი ხდება XV-XVI საუკუნეების თუმანიშვილთა გენეალოგიის დადგენა, გაცილებით მეტია დოკუმენტური მასალა მათ შესახებ XVII-XVIII სს. რაც გვაძლევს შესაძლებლობას მეტ-ნაკლებად დადგინდეს მათი ურთიერთდამოკიდებულება“* [**ბაქრაძე, 1983**: 85].

1626 წლის 1 ივლისს ქართლის მეფე სიმონ II-ის მიერ თუმანიშვილებისადმი სოფ. დარბაზის წყალობის წიგნში, მოხსენიებულები არიან ძმები – ბირთველ, თაყა, მანუჩარ, დავითი [**საქართველოს.., 1909**: 128-129]. დავითი 1635 წლამდე ჩანს საბუთებში [**ბაქრაძე, 1983**: 85] და არ იხსენიება 1656 წლის ახლო ხანებში, შედგენილ თუმანიშვილების გაყრის წიგნში, სამაგიეროდ მასში ფიქსირდება მათი მეხუთე ძმა ჯიმშიტა [**პირთა.., 1993**: 327, 351-352, 363; **საქართველოს.., 1910**: 549-550]. მანუჩარი[1] უშვილოდ გარდაცვლილა, რადგან მან 1657 წ. დატოვა ანდერძი, რომლის თანახმადაც, გარდაცვალების შემდეგ თავისი ქონება ძმის (ჯიმშიტას) შვილებს უნდა დარჩენოდათ [**პირთა.., 1993**: 350-351].

1656 წლის ახლო ხანებში თუმანიშვილების გაყრის შედეგად ჩამოყალიბდა ამ საგვარეულოს სამი ძირითადი შტო (თაყა, ბირთველ, ჯიმშიტა). თუმანიშვილთა შესახებ გვაქვს რამდენიმე გენეალოგიური ნუსხა, რომლებიც ამ სამ ძირითად შტოზეა აგებული და XV ს. დასასრულიდან და XVI საუკუნის დასაწყისიდან იწყება:

1. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დაცული ორი საბუთი – თუმანიშვილთა გენეალოგიური ნუსხა Q 158/ბ; მიხეილ თუმანიშვილის პირად არქივში დაცული #1072 თაყა თუმანიშვილის ჩამომავლობითი შტო.
2. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ძველ საბუთთა ფონდში (ფ. 1448) #8873 დაცული ჯიმშიტა თუმანიშვილის შტო [**ბაქრაძე, 1983**: 85].

თუმანიშვილთა გენეალოგია გამოქვეყნებული აქვს კ. თუმანოვსაც, რომელიც XI ს-დან იწყება და წყვეტილია.[2] აღნიშნული ნუსხების შესახებ თუმანიშვილთა გენეალო-

[1] მანუჩარი წყაროებში ჩანს 1626-1673 წწ. [**ბაქრაძე, 1983**: 101; **პირთა.., 1993**: 349].

[2] დაწვრ. იხ: [**Toumanoff, 1976**].

გიის მკვლევარი ა. ბაქრაძე წერს: *„გენეალოგიური სქემები მოკლებულია ქრონოლოგიას და აგრეთვე ყოველგვარ არგუმენტაციას, რის გამოც ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ის გავიზიაროთ, მით უმეტეს, რომ შესწავლილი დოკუმენტური მასალაც არ იძლევა ამის დამადასტურებელ არავითარ ცნობას“* [**ბაქრაძე, 1963**: 175].

არსებული მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ თუმანიშვილების სათავადოში განშტოებების აღმოცენება სათავადო სახლის ცალკეულ წევრებს – თაყას, ბირთველსა და ჯიმშიტას უკავშირდება. სენიორიის სიძლიერეს, უმთავრესად ყმა-მამულის სიდიდე განსაზღვრავდა. სათავადო სახლის უფროსს თავადი ეწოდებოდა, სახლის წევრებს კი თავადიშვილები.

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, ფეოდალურ საქართველოში არსებობდა სამი ხარისხის (დიდებული, საშუალო, მცირე) თავადი. მათ სხვადასხვა სისხლის ფასი ჰქონდათ: *„დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი – ათას ხუთას ოცდათექუსმეტი თუმანი... დიდებულს ქუემოთის, შუა თავადის სისხლი – შვიდას სამოცდარვა თუმანი... ამას ქუემოთს, მესამეს თავადის სისხლი – სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი... დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი... ქსნის ერისთავი... ამილახორი... ორბელიშვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილიც... ამათთან კი არა და, – სომხითის მელიქიც ითქმის“* [**ქართული.., 1963**: 489-490].

ვახტანგ VI-ის სამართალზე დაყრდნობით, თუმანიშვილები საშუალო, ანუ მეორე, ხოლო მათი სათავადო სახლის წევრები – თავადიშვილები მესამე ხარისხის თავადები იყვნენ. გ. ჯამბურიას დაკვირვებით: *„თავადთა დაყოფა სამ ხარისხად ვახტანგის სამართლამდე ასე მკაფიოდ არსად არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დაყოფა ვახტანგის შემოქმედების ნაყოფია – რეალური განსხვავება თავადთა წოდებაში იმდენად მომწიფებული იყო ვახტანგის დროს, რომ ამის გაფორმება იურიდიულად აუცილებელი გახდა საყოფაცხოვრებო საკითხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით“* [**ჯამბურია, 1955**: 111].

ცნობილია, რომ ყველა სათავადოში ფეოდალური საკუთრების სამი სახეობა იყო:

1. სახასო (საერთო მამული);
2. საუფლისწულო;
3. სათავისთავო (საკუთარი). *„საერთო მამული“* შედგებოდა თითოეული სახლიკაცის *„კერძო მამულისაგან“*, რომელიც სათავადო სახლის გაყრის შემ-

თხვევაში *„ბარათში ნარგებად“* და *„გამოყოლილად“* ითვლებოდა [**გაბა-შვილი, 1958**: 149].

სათავადო ქონების სამივე ტიპს დ. გვრიტიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს: *„სახასო ქონება სათავადოს ძირითად ქონებას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ყმების, მიწა-წყლის, ციხე-სიმაგრეების, ჯოგის, ბაღ-ვენახების, საბაჟო-სახელოსნოებისა და სხვათაგან. სახასოს სიდიდე საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავდა მოცემული სათავადოს სიძლიერეს. სახასო ქონებას თავადი განაგებდა. მთელი ეს შემოსავალი აღირიცხებოდა, სახელმწიფო გადასახადებს გაისტუმრებდნენ და რაც დარჩებოდა, გაინაწილებდნენ ძმებს შორის არათანაბარი პრინციპით – სახლის უფროსი აიღებდა საუფროსოს და შემდეგ ძმები „საშუალოს“, „საუმცროსოს“ და სხვა... „საუფლისწულო“ სათავადოს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მიცემული აქვს თავადიშვილს, როგორც სახარჯო ქონება. მთელი „საუფლისწულოს“ შემოსავალი ხმარდება თავადიშვილს. „საუფლისწულოში“ თავადიშვილი თავადისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. მას შეუძლია ყმა გაათარხნოს, გაყიდოს... „სათავისთაო“ სათავადოში პირად საკუთრებაზე დაფუძნებული ქონება იყო. იგი თავადიშვილის ოჯახის წევრების პირად საკუთრებას წარმოადგენდა: მზითევი, ნასყიდი, ნაწყალობევი და სხვ“*[**გვრიტიშვილი, 1955**: 271, 273].

სათავადო საკუთრების ასეთი სახეები ჩანს თუმანიშვილების სათავადოში, რადგან მათი გაყრის დამადასტურებელ ანდა სხვა საბუთებში ვხვდებით: *„სახასო“, „სათავისთავო“, „საუფროსო“, „საშუალო“, „საუმცროსო“* საკუთრების ფორმებს. მაგალითად, 1788 წლის თუმანიშვილების ყმა-მამულის ნუსხაში ერთი ნაწილი ეთმობა ხელთუბნის სახასო მიწების აღწერას [**გსიემ**, 7782/6, ფ.492].

თუმანიშვილთა სახლიკაცები მდივანი გივი, მისი ბიძაშვილი მანუჩარ და მისი ბიძაშვილის შიოშის შვილები – ნიკოლოზ და გიორგი, ქარიმშა ყალანდარის ძე, ქიშვარ ლიპარიტის ძე, ერთმანეთში ვეღარ მორიგებულან და 1717-1719 წლებში გაყრილან. განჩინების მიხედვით: *„საუფროსო“* ქონება მდივან გივი თუმანიშვილს ერგო; *„საშუალო“* მანუჩარს, ნიკოლოზსა და ქარიმშას, ხოლო *„საუმცროსო სასახლე“* წილად ხვდა ქიშვარს; სოფ. ხელთუბანში შიოშის მიერ აშენებული სასახლე – *„დააქციოს, შიოშის შვილმა წაიღოს... ქალაქს სასახლე ოთხად გაიყონ, თავისი ნაშენი მდივანმან* (გივი თუმანიშვილი – **რ.მ.**) *დააქციოს, წაიღოს“.* სახლიკაცებმა გორსა და ბერბუკში წისქვილები

ოთხად გაიყვეს. გაყრისას გაინაწილეს აგრეთვე *„სახასო მამულები“* ახალდაბასა და გარეჯვარში [**ქართული.., 1972**: 282-283; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 126].

ვახტანგ VI-ის სამართლით განსაზღვრული იყო გაყრის წესები, ვის რა ქონება უნდა შეხვედროდა წილში. სამართლის წიგნის მიხედვით, გაყრისას ერთი წილი იყო *„გასამყრელო“*, რომელიც მეფეს *ეკუთვნოდა: „გასამყრელო“ ჭელმწიფისა არის. რა რომ უფროსი საუფროსოს აიღებს... მერმე ოცისთავს, როგორიც ჭელმწიფეს ეპრიანების, იმისთანას გლეხს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა დაფანტვით, იქნების, დიდს თავადზე სოფელიც აიღოს. მაგრამე ეს გასამყრელო ასრე ჭელმწიფისა არის, რომე როგორც თავისი სახასო... ეპრიანების, თვითან დაიჭერს, იქნების სხვას უბოძოს, იქნების იმათშივე ერთსა და ერთს უბოძოს“* [**ქართული.., 1963**: 508]. აქედან გამომდინარე, *„გასამყრელო“* მეფეს შეიძლება იმავე საგვარეულოს წარმომადგენლისთვისაც ებოძებინა.

რასაკვირველია, ეს წესი თუმანიშვილებმაც იცოდნენ და ერეკლე II-ის მათდამი კეთილგანწყობილება გამოიყენეს, თავი შეაცოდეს, რათა გასამყრელო გლეხი არ ჩამორთმეოდათ. ამ მხრივ, საინტერესოა 1781 წ. 1 დეკემბრის არზა, რომლის თანახმად, იოსებ, კაცია და ოთარ თუმანიშვილები გაყრისას ყმა-მამულის სიმცირეს უჩიოდნენ და მეფე ერეკლეს გასამყრელო გლეხის საკუთრებაში დატოვებას სთხოვდნენ. მან თუმანიშვილების თხოვნა დააკმაყოფილა და აღნიშნული გასამყრელო, ერთი კომლი ქებაძე ისევ უკან დაუბრუნა: *„ჩვენს ჭელმწიფეს ამას მოვახსენებთ. ვიყრებით, მოგეხსენებათ ჩვენის მამულისა და ყმის სიცოტავე: ერთ სოფელში სამი კომლი კაცი გვყავს, ერთი გასამყრელოთ სახელმწიფოთ აიყვანეს. წყალობას ვითხოვთ – სამთავ გვიბოძოთ და იმ მამულიდამ ერთ-ერთი უნაწილოთ არ გამოვარდეთ... ჩვენი* (ერეკლე II – **რ.მ.**) *ბძანება არის: რომელიც ამ არზით მოგიხსენებიათ ჩვენი გასამყრელო – ერთი კომლი ქებაძე, ისევ თქვენთვის გვიბოძებია ბარათში ჩააგდევით“* [**ქართული.., 1981**: 526].

აღსანიშნავია, რომ თუმანიშვილთა სათავადოში გაყრის გარდა, გვაქვს შეყრილობის შემთხვევების დამადასტურებელი რამდენიმე საბუთი. დაშლილი ფეოდალური ოჯახის ან საგვარეულოს კვლავ გაერთიანება ვ. გაბაშვილის აზრით დამახასიათებელია, როგორც ადრინდელი (XV-XVI სს.), ისე გვიანდელი (XVIII ს. II ნახ.) ხანისთვის [**გაბაშვილი, 1958**: 146-147].

1696 წლის საბუთის თანახმად, მდივან გივი თუმანიშვილს შეეყარა ქაიხოსრო ესტატეშვილი (თუმანიშვილი) იმ პირობით, რომ სიკვდილის შემდეგ თავის წილ მამულს

გივის დაუტოვებდა. შემდეგ ქაიხოსრომ *„ავის დროის შექმნის“* მიზეზით, პირობა დაარღვია და გივი მდივანს ისევ გაეყარა [**პირთა.., 1993**: 337; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 110].

მოტანილი დოკუმენტიდან ნათელია, რომ გივი და ქაიხოსრო თუმანიშვილის ოჯახის გაერთიანება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და მალევე დაიშალა. თუმცა, ჩვენ ხელთ გვაქვს კიდევ ერთი საბუთი თუმანიშვილთა დაშლილი ოჯახის კვლავ გაერთიანებისა. ეს არის 1735 წლის 15 ივლისით დათარიღებული შეყრილობის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: *„ესე შესამყრელო წიგნი დავდევით ჩვენ, ფარსიასშვილმა ბირთველმა და ელიზბარისშვილმა პაპუამ. ასრე რომე ერთმანეთის ნებაყოფლობით ძმობა მოვინდომეთ და ძმათ შევიყარენით: ან მამული, ან ყმა და საქონელი, რისაც მქონებელი ვიყავით ნასყიდისა თუ უსყიდისა, შევაერთეთ. ჩვენი ძველი თუ ახალი ვალი რომლისაც გამოჩნდეს, საერთოთ უნდა მივსცეთ. ასაღები თუ გამოგვიჩნდეს რამე, ისიც საერთოთ უნდა ავიღოთ. მე პაპუამ ეს პირობა დაგიდე. ჩემი ბიძაშვილი მირველა, რომ მოვიდეს, თუ იმან ჩვენი ძმობა ყაბული ქნას, ისიც ჩვენი ძმა იყოს. თუ ჩვენთან ძმობა არ მოინდომოს, რაც ჩემგან წილი ერგებოდეს, თავისი წილი მამულიც მივცე და ვალიცა… ღმერთმა ნუ ქნას, თუ ჩვენმა შვილებმა გაყრა მოინდომონ, ორთავე სწორეთ უნდა გაიყონ და თუ მირველა ჩვენთან დადგეს, მაშინ სამათ უნდა გაიყონ. ჩვენში რაც ძველი ბარათები თუ წიგნები იყო სულ დავხიეთ. რომელმაც ამ ჩვენს ძმობაში ერთმანეთში ღალატი მოინდომოს, ჯერ იყოს ღვთის შემცოდე, მერმე ქართლის ხელმწიფის მამულიდამ, ყმიდამ, საქონლიდან ტიტველი გავიდეს“* [**ქართული.., 1985**: 890]. მოტანილი ცნობიდან ხაზგასასმელია, რომ ბირთველი და პაპუა გაერთიანებისას, ძველი გაყრის დამადასტურებელ საბუთებს ანადგურებენ, შეყრილობის სიმტკიცის მიზნით, რათა მათ შორის სამომავლოდ არ წარმოშობილიყო უთანხმოება.

როგორც ირკვევა, თუმანიშვილები მათთან შეკედლებული თავიანთი სახლის წარმომადგენლების ქონების პატრონებიც ხდებოდნენ და ამ გზით აფართოვებდნენ მფლობელობას. ამ მხრივ, საინტერესოა 1755 წ. 12 სექტემბრის საბუთი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ გორჯასპი თუმანიშვილმა ანდერძით მიიღო მასთან შეყრილი უშვილოდ ამოვარდნილი სახლიკაცის, ბეჟანის მამული და ასე გაზარდა მფლობელობა. ანდერძში ვკითხულობთ: *„თუმანიშვილი თავილდარი ბეჟან მოვახსენებ ანდერძსა ამას. რადგან სოფელი წარმავალი არის და მეც უცოლშვილო გახლდი, ჩემს უკან ჩემის პაპის და ბიძის და მამის დანარჩომი სასახლე, ბაღის ადგილი, ყმა-მამული, მიწა-წყალი, შესავალი, გასავალი,*

რაც რამ ფერი დამრჩა, სულ ხელელთპირ მდივნის გორჯასპისათვის ანდერძი მიქნია. მამის ჩემისაგანც მე ასე მქონდა ანდერძი და მეც ჩემის მამის ანდერძის გატეხა ვერ შევიძელ. რადგან უცოლშვილო ვიყავი, მამას ჩემსაც მაგისთვის ჴელი მოეკიდა. მეც მაგის კედლათ ვიყავი ჩემს სიცოცხლეში და ჩემს უკან ანდერძიც მაგას დაუწერე და მივეცი. თქვენს სამსახურს და რაც ამ ფერით შეძლება იქნებოდეს ჩემის მამულიდამ, მდივანს გორჯასპის იმსახურებდეთ. რაც მართებელი სამსახური იყოს, ყმასაც ისე იმსახურებდეს და კარგად მოუვლიდეს" [**ქართული.., 1985**: 899].

1779 წ. 10 ივნისის საბუთიდან კი ვიგებთ, რომ გორჯასპი თუმანიშვილს შეეყარა ფირანი თავისი ქონებითა და ყმა-მამულით: *„შეუცვალებელი... წიგნი და პირი დავდევით ჩვენ, თუმანიშვილმა ფირან და ჩემმა შვილმა ბეჟანმა. ასე რომე მოვედით და თქვენ ჩემს განაყოფს მანუჩარის შვილს გორჯასპის შემოგეყარეთ. ასე რომ მანამდი ცოცხალი ვიყოთ, შენ არ გაგეყაროთ, ჩვენის სასახლითა და ყმითა და მამულით... მანამდი ცოცხალი ვიყოთ, არ მოგშორდეთ და ჩვენს უკან... თუ რამ გვაქვს ისიც სულ შენი იყოს"* [**ქართული.., 1985**: 908]. 1790 წლის 22 დეკემბერს კი ბეჟანის შვილმა - გიორგიმ თავისი ქონება გორჯასპის შვილებს, სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს უანდერძა. დოკუმენტიდან ასევე ჩანს, რომ გიორგი მათი უშუალო განაყარი არ არის: *„მე ოთარ მდივნისა და ზაქარიას შვილების მონახევრე ვარ... დიდი ხანია გაყრილნი ვართ და მოშორვებული... ჩემი წილი გორჯასპის შვილების სულხანის და მანუჩარისათვის მიანდერძებია. მეც ამიტომ უანდერძე, ობოლი ვიყავ და ღარიბი, მამობაც და ძმობაც მათ მიყვეს და ამათ გამზარდეს და მიპატრონეს"* [**ქართული.., 1985**: 918; **მასალები.., 1955**: 234]. ფირანის, მისი შვილის ბეჟანისა და უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი გიორგი (გოგია) თუმანიშვილის ქონება ერეკლე-II-მ 1797 წლის 8 ოქტომბერს მდივან სულხანსა და მანუჩარს დაუმტკიცა [**სეასცა**, ფ. 1449, ს. 188].

ცხადია, რომ *„სათავისთაო"* ქონების გაზრდა ხდებოდა ამოწყვეტილი, უმემკვიდრეოდ დარჩენილი თავადიშვილის მამულის მიღების ხარჯზე, რომელიც მეფის მიერ გაცემული წყალობის სიგელით უნდა ქცეულიყო კანონიერ საკუთრებად. მაგალითად, ოთარ ფარემუზის ძე უშვილოდ ამოვარდნილა და თავისი წილი ყმა-მამული მდივან იოსებ თუმანიშვილისთვის უანდერძებია, რომელიც 1784 წლის 7 იანვარს სიგელით ერეკლე II-მ დაუმტკიცა იოსებს: *„ირაკლი მეორემან... შენ ჩვენის კარის მდივანს მწიგნობარს თუმანიშვილს იოსებს... გიბოძეთ შენის ბიძაშვილის ფარემუზის შვილის*

ოთარის წილი ყმა და მამული... სიკვდილის დღესაც იმ შენს ბიძაშვილს ოთარს თავისი ნებით თავისი წილი ყმა და მამული შენთვის ეანდერძებინა“. 1799 წ. იოსებ მდივანს გიორგი XII-მ აღნიშნული წყალობა განუახლა [**საქართველოს.., 1910**: 518-519; **სეასცა**, 1450, დ. 2, ს. 153].

ზოგჯერ თუმანიშვილებს უწევდათ ქვეყნის დატოვება და აქედან გამომდინარე, კუთვნილ ყმა-მამულზე უარის თქმაც. ასეთ შემთხვევაში, ისინი ზრუნავდნენ თავიანთი ქონება საიმედო სახლიკაცისათვის ჩაებარებინათ საკუთრების უფლებით. 1724 წ. თუმანიშვილთა ნაწილი ვახტანგ მეფეს რუსეთში გაჰყვა მათ შორის, იყვნენ: ძმები - ალხაზ, საამ და ბეჟანი, რომლებმაც ყოფითი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავიანთი მამული უპატრონობით, რომ არ დაკარგულიყო გორჯასპი თუმანიშვილს მისცეს. თუმცა, რუსეთში გადახვეწილი თუმანიშვილების განაყარი, ღთისავარა აღნიშნულ მამულებზე 1769 წლის 28 თებერვალს მდივან გორჯასპის ედავებოდა. გორჯასპი ერეკლე II-სთან ჩიოდა, საქმის გარკვევასა და ქონების შენარჩუნებას ითხოვდა [**ქარ-თული.., 1981**: 144-145]. როგორც ვხედავთ, ღვთისავარ თუმანიშვილი რუსეთში გა-დახვეწილი თავის განაყოფთა ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და მათი მამულის ხარჯზე *„სათავისითაო“* ქონების გაზრდა სურდა, რაც ბუნებრივია, *„სახლისკაცობის რიგის“* დარღვევა იყო.

ერთი თვის შემდეგ 1769 წლის 23 მარტს, ერეკლე II-მ ღვთისავარ და გორჯასპი თუმანიშვილებს შორის სადავო მამული ამ უკანასკნელს დაუმტკიცა, რადგან: *„შენის* (გორჯასპი – **რ.მ.**) *განაყოფის აბდულაშვილის ქიშვარისშვილს ალხაზას და მის ძმებს თუ რამ ყმა ჰყოლოდათ და მამული ჰქონებოდათ, ყველა შენთვის შემოევედრებინათ და მოეცათ და თითონ რუსეთს წასულიყვნენ. ქიშვარისშვილები სამნივ ძმანი: ალხაზა, საამა და ბეჟან უშვილოთ ამოწყვეტილიყვნენ, იმათი მამული ბეითალმნათ დარჩომი-ლიყო და შენ გეჭირა. იმის გაყრილი განაყოფი ღვთისავარა მოვიდა და იმ მამულს წამოგედავა. ჩვენ ამის მოკითხული ვქენით, სწორეთ შევიტყევით, რომ აბდულასშვილე-ბიდამ ღვთისავარას მამა-პაპა გაყრილი ყოფილიყვნენ და რადგან ამოწყვეტილის კაცის მამული იყო, ბეითალმანი იქნებოდა... გიბოძეთ და წყალობა გიყავით შენის განაყოფის აბდულანთ ქიშვარისშვილის ალხაზასი და მისის ძმების მამული, რისაც მქონებელი ყოფილან ხელთუბანს და ზემო რეხას, რაც ყმა და მამული ჰქონებიათ, სასახლის ალაგი*

თავსი ქვევრ-მარნითა, ნაზვრევი, ხოდაბუნი, წყალი, წისქვილი, სახნავ-უხნავი, სათიბი, უთიბი, ყოველი ამათი ნაქონი ყმა და მამული, რაც არის“ [**საქართველოს.., 1910**: 470-471].

რუსეთში ვახტანგ მეფეს გაჰყვა ოთარ თუმანიშვილიც, თუმცა, როგორც ჩანს, მას არ უფიქრია ყმა-მამული თავისი სახლის რომელიმე წარმომადგენლისთვის გადაეცა განსაკარგავად. როგორც ირკვევა, მის წილ ქონებას მელიქი აშხარბეგი და მისი შთამომავლები ფლობდნენ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 22, ს. 45, 53; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 118; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 195].

სათავადოს მართვა-გამგეობა, ქონების განკარგვა ხორციელდებოდა *„სახლის რიგის“* საფუძველზე. გ. ჯამბურიას დაკვირვებით: *„ყოველ სათავადოს თავისი „სახლის რიგი“ ანუ „სახლიკაცობის რიგი და წესი“ ჰქონდა, რომელსაც მეფე ამტკიცებდა. „სახლის რიგში“ ჩამოყალიბებული იყო სახლის უფროსისა (თავადის) და უფლისწულების (სახლისკაცების ანუ თავადიშვილების) უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი და სხვა“* [**ჯამბურია 1960**: 108]. სათავადოში გაყრის შედეგად მამულის განაწილება, ზოგჯერ განაყოფთა შორის სხვადასხვა საკითხზე დაპირისპირებას ქმნიდა, რაც *„სახლისკაცობის რიგის“* დარღვევა იყო. როგორც ისტორიული საბუთების შესწავლიდან ჩანს, ამ მხრივ, გამონაკლისი არ იყო თუმანიშვილების სათავადო. 1689 წლის მაისის დამდეგს შედგენილი დოკუმენტის თანახმად, ზაალ თუმანიშვილს ჰქონდა სამამულე დავა ფირან და მანუჩარ ბეჟანიშვილებთან (თუმანიშვილებთან), რომელიც ერეკლე I ნაზარალი-ხანის ბრძანებით, მათივე სახლიკაცებმა გაარჩიეს. განჩინებით, ზაალს დარჩა მეფისაშვილის ვენახის აღმოსავლეთ მხარეზე 25, შუაში – 23 და ბოლოში, საწნახელის გასწვრივ – 24 ადლი. ამ მამულის საქმეზე ადრე ფირანი და ზაალის ყმები – ხეჩივარაშვილები დავობდნენ, რომლებიც შეარიგეს [**პირთა.., 1993**: 344; **ქართული.., 1977**: 602].

თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა გაყრის შემდეგ განაყოფებს შორის დავა ხშირად ხდებოდა ყმა-მამულის თაობაზე. ამ დავაში სამეფო კარი ერეოდა და სამართალს წყვეტდა. ამ მხრივ, საინტერესოა, 1703-1711 წლებით დათარიღებული საბუთი თუმანიშვილთა ყმების საქმეზე, საიდანაც ჩანს, რომ მანუჩარ თუმანიშვილი ფირანს გაყრის შემდეგ ედავებოდა ახალდაბელ ყმას, მაგრამ ვახტანგ VI-მ დავა ფირანის სასარგებლოდ გადაწყვიტა: *„თუმანიშვილი ფირან და მანუჩარი რომ გაყრილიყვნენ, ახალდაბას გოგებაშვილი თამაზას შვილები ფირანს რგებოდა და ბარათიცა ქონდა. მანუჩარ იმ*

გლეხს მიედევებოდა და იმ გლეხზედ ერთის ბარათით ლაპარაკობდა. ჩვენ ამისი მოკითხული ვქენით. მანუჩარის ბარათი ტყუილი გამოდგა. ის გლეხი ისევ ფირანს დარჩა. როგორც ის გლეხი აქანობამდის ფირანს სჭეროდეს, ისევ ფირანს დარჩეს და არც მანუჩარს ჴელი აქვს... ნურც იმის ბიძაშვილს ოთიას ძალით გაყრიან“ [**ქართული.., 1972**: 243; **დოკუმენტები.., 1940**: 123]. ვახტანგ VI-ის მიერ გამოტანილ განაჩენს იმეორებს ერთი უთარიღო საბუთი, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი 1725-1729 წლებით ათარიღებს. ეს არის ოქმი ვეზირის ქეჰ უსუფ-ბეგისა გივი ამილახორისადმი. იგი წერს: *„მერმე ამ თუმანიშვილს ფირანს თავისი ძმა მანუჩარ ერთს კომლს კაცს ახალდაბას გოგებასშვილს ეცილებოდა. გავშინჯეთ, ფირანს იმ კაცის ბარათი ეჭირა. როგორც აქამდინ ფირანს ჭეროდა, ისევ ამისთვის წყალობა გვიქნია და თქვენ გაურიგეთ“* [**დოკუმენტები.., 1940**: 218-219]. როგორც ჩანს, მანუჩარმა ორჯერ სცადა ფირანისათვის ყმის წართმევა.

თუმანიშვილებს შორის სამამულე დავა დასტურდება 1755 წ. 3 დეკემბერს თეიმურაზ II-ის მიერ მიღებული დავის განჩინებით, რომლის მიხედვითაც ედიშერი თავის ბიძაშვილს მდივან ოთარს მამულიდან (ვარდოვანა – **რ.მ.**) წილს სთხოვდა. ამ დავას ჯერ კიდევ მათი მშობლების (ზაქარია და ოთარ) გაყრისას ჩაეყარა საფუძველი, როცა ოთარმა თავის ძმას უთხრა გასაყოფი *„ვარდოვანას ხოდაბუნის სიგელი დაიკარგაო“* და ამგვარად მამულის ნაწილი ძმებს შორის გაუყოფელი დარჩა. ზაქარიას ძმას, ოთარს აღნიშნული მამულის სიგელი ქრთამით ხელახლა აუღია და *„თავისთვის დაუჭერია“.* ამიტომ, სასამართლო განჩინებით მამაპაპეული მიწა მოდავე ბიძაშვილებმა გაინაწილეს [**ქართული.., 1972**: 444-445].

თუმანიშვილთა სახლიკაცებს შორის ყმა-მამულზე დავა დასტურდება 1800 წლის 12 მარტის საბუთითაც. კერძოდ, ბირთველ ფარსიას ძე და მისი *„სახლისკაცი ელისბარიშვილი ელისბარი და იოვანე“* ყმაზე დავობდნენ. განჩინების მიხედვით, სადავო ყმა ტერმაკოზაშვილი მელქუაშვილი დავითა, რომელიც ბირთველს *„ეჭირა“* სასამართლოზე წარმოდგენილი საბუთით, ელიზბარ და იოვანეს სამკვიდრო ყმა იყო. ბირთველსა და მის ძმებს, სადავო გლეხის ნაფუზარი, დარჩათ საკუთრებაში, რადგან: *„ბირთველის მამას გიორგის მრავალი ღვაწლის დადება ჰქონია ელისბარის საკერძო მამულზედ... არც თითვანთ* (ელიზბარ და იოვანე თუმანიშვილებმა – **რ.მ.**) *უარი ჰყვეს“.* განჩინებაში მოხსენიებული სადავო მამული – *„ზეთანის“* მიწები მოდავე სახლიკაცებმა თანაბრად

გაინაწილეს. აგრეთვე აზომეს და გაიყვეს სასახლის მიმდებარედ არსებული ყველა კალო-საბძლის ადგილი და გლეხთა ნასახლარები [**ქართული.., 1977**:165-169].

უკვე აღინიშნა, რომ სათავადოში იყო ფეოდალური საკუთრების ერთ-ერთი სახეობა *„სათავისთავო“.* თუმანიშვილების სენიორიაში გვხვდება შემთხვევები, როცა *„სათავისთავო“* ქონების გაზრდა ხდებოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი სახლისკაცის მამულის მითვისებითაც. ასეთ შემთხვევაში ქონებაწართმეული მხარე დახმარებისთვის სამეფო ხელისუფლებას მიმართავდა.

ზოგჯერ, თავადის გარდაცვალების შემდეგ, მის ქვრივ-ობლებს თავიანთი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები და მათი ყმებიც ავიწროვებდნენ, რაც *„სახლის რიგის“* დარღვევა იყო. მაგ. 1772 წ. 30 ნოემბერს გიორგი თუმანიშვილის ქვრივ-ობოლი მამულის თაობაზე ერეკლე II-სთან ჩიოდა: *„ჩვენი ორი დღის მიწა ედიშერ მდივნის ყმამ ირემაშვილმა გიორგიმ წამართო. მოიკითხეთ თუ თავის ბატონის წყალობა სჭირს, წყალობის წიგნი გამოიღოს, თუ ნასყიდი აქვს, სიგელი გამოიღოს. თუ არადა, თავის ძალით სამართალს ვითხოვ. რვა წელიწადია სჭამს და ქვრივ-ობოლს ღალას არ გვანებებს. ამასაც არ დაგვაჯერა. ახლა სხვა მამულიც მოგვიჭრა და თავის მიწებს შეუმატა. ქვრივისა და ობლის მოწყალე ბრძანდებით, სამართალი გვაღირსეთ“* [**ქართული.., 1981**: 227]. არზას ახლავს განჩინება, საიდანაც ირკვევა, რომ ყმამ – გიორგი ირემაშვილმა მოწმეები ვერ წარმოადგინა და აღნიშნული სადავო ორი დღის მიწა გარეჯვარში *„თუმანიანთ გიორგის შვილს – ზურაბს და ქვრივს დედას დარჩა“* [**ქართული.., 1981**: 227-228].

თუმანიშვილის ქვრივი – *„ნაზირის იოვანეს და მაია“*, 1790 წლის არზით დარეჯან დედოფალს მიმართავდა, რომ ქმრის წილი ყმა-მამული მაზლებმა მიითვისეს და უკან დაბრუნებას ითხოვდა. აღნიშნულ საქმეში დარეჯან დედოფალი ჩაერია: *„თუმანიშვილო ნიკოლოზ! შენს რძალს ეს არზა ასე რომ მოუცია, ჩვენ ამას გწერთ რომ, რადგან ამგვარად ჩივის, სულხან მდივნის* (სულხანი იმ დროს დიპლომატიური მისიით რუსეთში იყო – **რ.მ.**) *მოსვლამდინ შენ უნდა კარგად თვალყური მიაპყრო, გააძლებინო და თავისი წილი ყმა და მამული უნდა მოხმარდეს და იმან არჩინოს“* [**ქართული.., 1985**: 53-54].

იგივე შინაარსისაა 1799 წ. 11 აპრილის არზა, რომლის მიხედვით, ზურაბ თუმანიშვილის ქვრივი ყმა-მამულის ღალის წილს თავისი მაზლების – ნიკოლოზისა და მანუჩარისაგან ითხოვდა და აღნიშნავდა, რომ პატარკაც თუმანიშვილის უმემკვიდრეოდ ამოწყვეტის შემდეგ, მეფემ მისი ყმა-მამული *„საერთოდ უბოძა“* – ნახევარი მაზლებისა

იყო, ხოლო ნახევარი თავისი ობლების. ქვრივი ჩიოდა, რომ ქონების სანახევრო მფლობელობიდან გამომდინარე *„მიმძლავრებაში“* იყო და ღალას ვერ იღებდა [**ქართული.., 1985**: 530].

„სახლისკაცობის რიგის“ დაცვა მეფის პრეროგატივა იყო და დაზარალებული თავადიშვილები მეფესთან ჩიოდნენ. თუმანიშვილთა სათავადოში იყო შემთხვევები, როცა თავადის გარდაცვალების შემდეგ, ობლად დარჩენილმა მცირეწლოვანმა მემკვიდრემ არ იცოდა დანატოვარი ქონების შესახებ, რადგან მისი ობლობით, მცირეწლოვნებით სარგებლობდნენ ამ სათავადო სახლის განაყოფები ან სხვა გვარის წარმომადგენლები და მამულს ართმევდნენ. მაგ. 1789 წ. 20 აგვისტოს ობლად გაზრდილი გოგია თუმანიშვილი ერეკლე II-ისადმი მირთმეული არზით ცდილობდა, სამკვიდრო მამულების მოძიებასა და დაბრუნებას: *„მე არც მამაჩემი მახსომს და არც არავინ ასეთი მყვანდა, რომ სადაც თითო-ორორი დღის მიწა და მამული მაქვს თქვენი წყალობა, ისინი ეჩვენებინა და მაჩვენონ. ახლა აქა-იქ კითხვით და წერილებით ზოგიერთს ალაგს ჩემი სამკვიდრო მამულები გლეხის კაცების ცოდნით... ვიპოვნე... მაგრამ ზოგიერთს ვისაც მძლავრობით და მოპარვით რომ უჭირავსთ, იმათის მორიდებით მცოდნე გლეხნი ვერ გამოჩენილან. რადგანც მე ობოლი თქვენის მოწყალებით გამოვიზარდე, ობლის მოწყალე და პატრონი თქვენ ბძანდებით... ვითხოვ... რომელიც მამის ჩემის გაშვებულს წიგნებში და ნუსხაში მამულები... მეწეროს... მე დამანებოს“*[**ქართული.., 1981**: 825-826].

დოკუმენტებიდან გამომდინარე, გიორგი (გოგია), თუმანიშვილთა სახლში ერთ-ერთ ჩაგრულ სახლიკაცად გვევლინება, რომელსაც მისი განაყოფი კაცია (კაცუა) ავიწროვებდა და მფლობელობის გაზრდას ახალდაბის (სოფ. გორის მუნიც.) მამულების ხარჯზე ცდილობდა. გოგია დახმარებას სამეფო კარს სთხოვდა, რომელიც ვალდებული იყო *„სახლის რიგი“* დაეცვა. კერძოდ, 1783 წლის არზაში გიორგი აღნიშნავდა: *„ახალდაბას ერთი კომლი გლეხი კაცი ჩემი ყმა ამოვარდა და აღარავინ არ დარჩა და იმის მკვიდრი ფირბებაული ნაქონი მიწა, ხუთი დღისა მიწა, ჩემმა განაყოფმა კაცუამ წამართავა და სჭამს... ჩემი განაყოფი ამას მეუბნება, რომ ჩემი გლეხის კაცისა არისო. ღმერთი გადღეგრძელებთ, ახალდაბელს უფროს კაცებს აფიცეთ და ვისიც ყოფილა და ან სჭერია, ისინი მოგახსენებენ“*[**ქართული.., 1981**: 586].

1788 წლის 10 ნოემბერს, სოფელ ახალდაბის მამულების მითვისების გამო, გოგია თავის განაყოფ კაციას ისევ უჩიოდა: *„კაციამ ახალდაბას მიწები წამართვა და... იასაული*

გვიბოძეთ, რომ რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწები წაერთმიოს, ხელი აუმართოს და ჩემი მიწები და ან რაც ღალა ელოს ჩემს მამულშია, ისიც გამამირთვას და მე მამეგაროს" [**ქართული.., 1981**: 781].

ზოგჯერ, თუმანიშვილთა შორის ყმა-მამულზე, ღალაზე წარმოქმნილი დავის ჩაცხრომას თავიანთი სახლის წარმომადგენლები ცდილობდნენ, რათა საქმე სასამართლომდე არ მისულიყო. მაგ. 1758 წ. 18 ივლისს მდივანი ედიშერ თუმანიშვილი თავის ძმისშვილს წერდა: *„ძმის წულო კაცუავ! მერმე-მერმე ბეჟანს, ვარდუანს რაც თავისი წილი იყოს, ღალა მიეც, რას ალაპარაკებ?"* [**საქართველოს.., 1910**: 427-428].

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქონების მიტაცებით გამოირჩეოდა ნიკოლოზ თუმანიშვილი, რომელსაც ბიძაშვილ მანუჩართან ხშირად ჰქონდა დავა სხვადასხვა საკითხების გამო. იგი სახლიკაცების დაუკითხავად ყიდდა, მათ შორის, საერთო ქონებას, ამის აღსაკვეთად 1789 წლის 29 აგვისტოს მანუჩარ თუმანიშვილი ერეკლე II-ს მიმართავდა თხოვნით: *„მერე თქვენი წყალობა ოქმი გვაქვს ბოძებული... რომ საერთოს მამულიდამ ჩვენი ბიძაშვილები მამულს ვერ გაგვიყიდიან და ვერც არავინ იყიდის და ვისაც ნასყიდობა ექნებათ უცოდინარობით, ისიც ძირს უნდა დასდვან. ჩემი ბიძაშვილის ნიკოლოზისაგან რაც უსამართლობა მჭირს, ის სხვა არზით მოგხსენდებათ. ახლა რომ ჩემი უფროსი ძმა* (სულხან მდივანი, რომელიც იმ დროს რუსეთში დიპლომატიური მისიით იყო გაგზავნილი – **რ.მ.**) *გაიგულა და მე დამიმარტოხელა, ახლა მამულს სყიდვა დაუწყო, ზოგიერთი ისეთი მამულები გვაქვს, რომ იმაში სამართლით, არც სულ ხელი არა აქვს და რაც მამულები გვაქვს თქვენი წყალობა, იმისი ზოგიერთისა მეოთხედი და ზოგიერთისა მერვედი ერგება და ის საუკეთესო მამულებს გვიყიდის. ახლა ერთი ვენახი გაუყიდნია რუისს და გორელს ტერტერაშვლს ზურაბას უყიდნია, რომ ამან ჩემგან იცოდა, რომ ჩვენს მამულს ახლო არ უნდა მისდგომოდა. წყალობას ვითხოვ... ის ნასყიდობა დადგეს"* [**საქართველოს.., 1910**: 527-528]. ამ დავაში ერეკლე II-მ მანუჩარის მხარე დაიჭირა და ნიკოლოზი დამნაშავედ სცნო.

ნიკოლოზმა მეფესთან თავის მართლება სცადა 1789 წ. 17 სექტემბერს მირთმეული არზით, რომელშიც მანუჩარს რუისის მამულზე ედავებოდა: *„ოქმი აუღია მანუჩარ მდივანს... რუისს ვენაჯზედ ჯელი აუმართეო და სიგელებიც წაართვიო. სამოცდათხუთმეტი წლის ნასყიდობის სიგელი ერთი მაქვს, ორმოცდათხუთმეტი წლის სიგელიც ერთი არის... ამაზედ უსამართლოს ნუ მიზამ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. იასაულზედ ოქმი*

მიბოძეთ, როდესაც სამართალში მიბძანოთ, თუ არ გიახლო, ჭელიც ამიმართეთ და იმას უბოძეთ, ტყუილად რათ მტანჯავს?“ [**ქართული.., 1985**: 20].

მანუჩარ და ნიკოლოზ თუმანიშვილები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ სამამულე გამოსაღების მითვისებაშიც. 1789 წლის 29 აგვისტოს შედგენილი არზის მიხედვით, იგი ნიკოლოზს ერეკლე II-სთან უჩიოდა თავისი გლეხებისთვის 5 ურემი პური წართმევისა და გაყიდვის გამო და ითხოვდა ნაქურდალის უკან დაბრუნებას [**საქართველოს.., 1910**: 526-527]. ამ დავას ეხება იმავე წლის 16 სექტემბრის არზა, რომლითაც პირიქით ნიკოლოზი ედავებოდა მანუჩარს და ამბობდა: *„მანუჩარ მდივანს ოქმი აუღია პეტრე ავალიშვილზედ: ხუთი ურემი პური წაართვი და მანუჩარს მოაბარეო... თუ მემართა, თამასუქი ექნება და მიჩვენოს, თუ მოვპარე, მთხრობელი ეყოლება, თუ ყმებს წავართვი ცოცხლები გახლავან, დაიბარეთ და მოგახსენონ. თუ საბუთი მიყონ, წამართვი და უბოძეთ. თუ არადა, ამდენი ტყუილად ჩემი ტანჯვა თქვენთან დაკვლა მოიკითხეთ, ერთს სნეულს კაცს რათ მტანჯავს და თქვენთვის თავს მაწყენინებს“.* ერეკლე II-ის ბრძანებით, მათ სასამართლოში პირისპირ უნდა ელაპარაკათ [**ქართული.., 1985**: 19-20]. 1801 წ. 28 აპრილის საბუთით დასტურდება დავა მანუჩარ და ნიკოლოზ თუმანიშვილებს შორის დუქნების ქირაზე და მიწის ღალაზე [**ქართული.., 1985**: 634-635].

ნიკოლოზს ნატურალური გამოსაღების ძალით მითვისებაში ადანაშაულებდნენ, პაპუა და ეგნატე თუმანიშვილები და 1792 წ. 9 აგვისტოს სოფ. რეხისა და ახალდაბის მამულებიდან მიტაცებული ღალის უკან დაბრუნებას ითხოვდნენ: *„მერე რეხას ჩვენი* (პაპუა და ეგნატე – **რ.მ.**) *ყმის მიწიდამ თუმანიშვილს ნიკოლაოზს ღალა მოუტაცნია და წაუღია. მამები გადიცვალნენ და არავის უდავნია. ჩვენ თითქმის დავბერდით და არავინ წამოგვდავებია. ამ წყალობას ვითხოვთ... საიდამაც ჩვენის მიწებიდან ან რეხიდამ და ან ახალდაბიდამ ღალა წაეღოს და მოეტაცნოს, ის უკლებრათ გამოგვირთვას და მოგვცეს... მოტაცებითა და მძლავრობით რათ უნდა მოქმედებდეს“* [**ქართული.., 1985**: 168].

ხანგრძლივი დავა იყო ქონების გაყოფაზე ეგნატე თუმანიშვილსა და მის ბიძას – პაპუას შორის. აღსანიშნავია, რომ ეგნატეს, რომელიც მამით ობოლი იყო ბიძამისი ჩაგრავდა. 1787 წ. 16 აპრილის არზით, ეგნატე პაპუას ყმა-მამულის წილს ედავებოდა: *„ყმა და მამული ცხებულისა და ნეტარად ხსენებულის ბატონისაგან ნაბოძები გვაქვს და თქვენგანცა, რომ იმ წყალობის წიგნში ორნივ ვსწერივართ და მე უწილოთ გამომიყვანა... თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ქვეყანამაც იცის, რისაც შემძლებელი იყო და ან ახლა*

არის (პაპუა თუმანიშვილი – **რ. მ.**), *რომ იქიდამ ერთი ფული არ მოუცია“* [**ქართული.., 1981**: 718-719]. 1787 წლის 15 ნოემბერს ეგნატე ბიძამისს ისევ ედავებოდა თავის წილ ყმა-მამულს, სთხოვდა ვალის დაბრუნებას, ქონების სამართლიანად განკარგვას, ასევე მამულის გამოსაღებიდან წილს, რომელსაც პაპუა 15 წელია არ აძლევდა [**ქართული.., 1981**: 743-744].

ამ არზის შექმნიდან სამი დღის შემდეგ 1787 წ. 18 ნოემბერს, ეგნატე და ბიძამისი პაპუა გაიყარნენ და ქონება შუაზე გაიყვეს: *„მათს უმაღლესობას... ეგნატე მდივნისა და ამისი ბიძის პაპუასი თეთრისა და ქონებისა სამართალი ებძანებინა... რისაც მქონებელნი არიან ამ თარიღში, რომ იყრებიან, შუა უნდა გაიყონ. რაც ამისი წინათ პაპუას ან ეგნატეს თავიანთ საერთო თეთრიდამ დაუხარჯავთ, ის აღარ იხსენება. რადგან დღეს იყრებიან, რაცა აქვსთ პაპუას თუ ეგნატეს – ნაღდეული თუ ჯინსეული, ვალი თუ ასაღები – ორისავე საერთო არის, შუა უნდა გაიყონ. შინ თუ გასათხოვარი ქალი ჰყავსთ, ზითევი ერგება. და თუ მოსწრებული ვაჟიშვილი ჰყავსთ, საქორწილო ერგება... და უფროსს ძმას მამულიდამ საუფროსო ერგება. ამ ქალაქში მყოფ სომეხთ სამართალი ეს არის“* [**ქართული.., 1974**: 386-387]. ამ დოკუმენტის საფუძველზე შედგენილია, 1787 წლის 27 ნოემბრის *„განჩინება პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების გაყრის საქმეზე“*. მასში აღწერილი და დაანგარიშებულია პაპუასა და ეგნატის ქონება *„თეთრეული“*, ანუ ფული და ვალები, რომელიც გაიყვეს [**ქართული.., 1974**: 387-393; **მასალები.., 1955**: 215-219].

როგორც ირკვევა, ქონებაზე დავა რამდენიმე დღის შემდეგ გააგრძელა ეგნატე თუმანიშვილმა და 1787 წლის 2 დეკემბერს არზით მიმართა ერეკლე II-ს, რომ მასა და ბიძამისს შორის *„თეთრით ნასყიდი“,* ანუ ფულით შენაძენი ქონება და ავეჯი გაყოფილიყო [**ქართული.., 1981**: 746]. აღსანიშნავია, რომ გაყრის მიუხედავად ეგნატეს ბიძამისი მამულის გამოსაღებს არ აძლევდა. 1788 წ. 1 ივლისის დოკუმენტში ეგნატე თუმანიშვილი ჩიოდა, რომ მისი წილი ყმა-მამული პაპუას 16 წელია მითვისებული ჰქონდა, იგი ისევ ითხოვდა წართმეული ღალის დაბრუნებას. საინტერესოა, რომ საბუთში რამდენიმე ადამიანი აღნიშნავს სადავო მამულიდან მიღებულ მოსავალსა და გაცემული ღალის რაოდენობას [**ქართული.., 1981**: 767-769].

ქონებრივი დავის გაგრძელებას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული კიდევ ერთი საბუთი – 1794 წ. 1 ივნისს შედგენილი განჩინება, რომელშიც წერია: *„პაპუა და თავისი ძმისწული ეგნატე გაყრილიყვნენ* (იგულისხმება ზემოთ ნახსენები 1787 წ. 27 ნოემბრის

განჩინება – **რ.მ.**) *და მას უკან რაც სალაპარაკო დარჩომოდათ... ახლა გაგვირიგებია... ხარების საყდრის უბანში რომ სახლი აქვსთ, ის სახლი უწინვე ეგნატემ თავისი ნებით ოთხმოც თუმნად საშუალოდამ აიღო. ამისი ორმოცი თუმანი ხომ ეგნატესია და პაპუას თავისი წილი ორმოცი თუმანი ეგნატესაგან... უნდა მიეცეს... და პაპუას რაც სახლის გაკეთებაზე დაუხარჯავს... ისიც ეგნატემ დღესვე უნდა მისცეს და პაპუამ სახლები ეგნატეს დაანებოს... სუფრაჯიანთ უბანში რომ ქოხების ადგილი აქვსთ... ერთი წილი ეგნატეს უნდა მიეცეს და ორი წილი პაპუას... ქალი ეგნატეს რომ მოახლეთ შეუყვანია... თუ ეგნატეს უნდოდეს... პაპუას მისცეს და იმის სამაგიეროთ ოთხი თუმანი თავის წილათ პაპუას გამოართოს. და თუ არა, რადგანაც მოახლე ეგნატესა ჰყავს, ისევ იმასვე ჰყვანდეს და იმის სამაგიეროთ ეგნატემ პაპუას თავის წილისათვის სამი თუმანი მისცეს... პირუტყვისა ასე უნდა იქმნას... რაც პირუტყვი უწინ გაუყვიათ, იმაში ერთმანერთთან... საქმე არა აქვსთ... სახლის ავეჯულობისა, რაც გაეყოთ ხომ გაეყოთ და რაც დარჩომილიყო, ორივე მხარეს ცალ-ცალკე სია დაგვიწერია... რომელიც მამულები და გლეხი გაუყვიათ... იმისი ბარათი და წიგნი თავ-თავისთვის უნდა ჰქონდესთ. და რომელიც... საერთო და საოჯახო არის, ან მამულისა, ან სახელოსი და ან საერთო მამულისა, იმისი გაყოფა ხომ არ იქნება. ის წიგნები პაპუას უნდა ჰქონდეს და იმ წიგნების პირი ნუსხათ უნდა გადმოიღოს და ზედ პაპუამ ხელი მოაწეროს, რომ ეს წიგნები მე მაქვს და როცა საჭირო და სახმარი იყოს, გამოვიტანო. და ის ხელმოწერილი ნუსხა ეგნატეს უნდა მისცეს...*[3] *ესენი ერთმანერთთან ასე გავაშველეთ"* [**ქართული.., 1974**: 639-642; **მასალები.., 1955**: 251-253].

ყმა-მამულსა და ღალაზე დავის გარდა, თუმანიშვილთა შორის ხშირად იყო უთანხმოება სარწყავ რუზე, წისქვილსა თუ სხვა ქონებრივ საკითხებზე. მაგ. 1813 წ. 30 ოქტომბერს შედგენილი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ *„კოლეჟსკის სოვეტნიკ"* ეგნატესა და *„კოლესკი ასესორ"* შიოშ თუმანიშვილებს ერთმანეთში დავა ჰქონდათ სოფ. ხელთუბანში *„ავასკუტის წყაროზე"* (სარწყავ რუზე), *„არჯევანიძის ვენახის საურმე გზაზე"*, ამავე *„ვენახის ადგილიდამ რამდენსამე ადლს მიწაზე"* და *„წისქვილის გზაზე"*. სასამართლომ მოდავე მხარეები გაარიგა [**დოკუმენტები.., 1953**: 237-239], მაგრამ 1 წლის შემდეგ,

[3] 1798 წ. 1 აგვისტოს, ეგნატე თუმანიშვილი თავის ბიძაშვილს ედავებოდა კუთვნილ საოჯახო წიგნებს - ყმა-მამულისა თუ მეფეთა წყალობის სიგელებს და ჩიოდა, რომ მას ერთი წიგნიც არ მისცეს, დაუმალეს. ეგნატე ამბობდა, რომ ბიძამისის სახლში ერთ დროს წიგნებით სავსე ზანდუკი იყო. ერთხელ, როცა ის გახსნა ნახევრად ცარიელი დახვდა და მასში 280 საბუთი დათვალა [**ქართული.., 1985**: 482].

ეგნატესა და შიოშს შორის აღნიშნულ საკითხებზე დავა განახლდა. 1814 წლის 8 დეკემ-ბერს შედგენილი განჩინებიდან ვიგებთ, რომ სასამართლომ ზემოთ ნახსენებ 1813 წლის 30 ოქტომბრის საბუთში აღნიშნულის მსგავსი განაჩენი გამოიტანა [**დოკუმენტები.., 1953**: 239-246].

ეგნატეს წისქვილის თაობაზე დავა ჰქონდა დავით თუმანიშვილთანაც, თუმცა მხარეები 1817 წ. 27 მარტს სასამართლოს გარეშე შეთანხმდნენ: *„ესე მორიგების წიგნი მოგეც... დავით თუმანოვმა... კოლესკი სოვეტნიკს თავადს იგნატი თუმანოვს... ასე რომე მე ისევ ჩემი წისქვილი ავაბრუნო იმ რუდამ წაყვანილი წყლით, რომელიც დღეს მაქვს გაკეთებული და თუ იმ რუდამ წაყვანილმა წყალმა შენს წისქვილს დაუშალოს რამე, უნდა მე ჩემი რუ ისე გავაკეთო, რომ შენს წისქვილს არ დაუშალოს და აგრევე შენ რომ საერთო რუ გააკეთე შენის ხარჯით, რადგანაც იმის ნახევარ ხარჯში უნდა მოგდგომოდი, იმის სამაგიეროდ ახლა საკუთრად ჩემის ხარჯით უნდა გავაკეთო ის რუ, რაც საკეთებელი იყოს ამ ერთის გზობით და მასუკან, როცა კეთება მოუნდეს, ორთავ ერთად უნდა ვაკეთოთ“*[**დოკუმენტები.., 1953**: 248-249].

იყო შემთხვევები, როცა თუმანიშვილთა სახლიკაცებს შორის გარკვეული უთანხმოება ფიზიკური დაპირისპირებითაც მიმდინარეობდა, რაც *„სახლის რიგის“* დარღვევის ერთ-ერთი მწვავე ფორმა იყო. მაგალითად, 1703-1724 წლების საბუთის მიხედვით: *„თუმანიშვილებს მანუჩარს და ბირთველს ჩხუბი გამორეოდათ დახიზვნის საქმეზედ. ბირთველს ბატონის ოქმი ქონოდა, მოყადაღე ყოფილიყო, ჴელთუბნიდამ ნურავის აყრიო. მანუჩარს სახიზრად რაგინდარა მიყოლებოდა, ბირთველს ის არ დაენებებინა, ერთმანეთისათვის ბევრი ეცათ. ამ ცემაშიდ მანუჩარს ბირთველისთვის ორთითი დაეკრა და თავი დიაღ ძალიან გაეტეხნა. მანუჩარსაც ჴელი ნატკენი ქონდა. რადგან ბირთველ ჩვენი მოყადაღე იყო, მანუჩარ არ უნდა შესარჩლებოდა“*[**ქართული.., 1972**: 301-302].

სათავადო სახლის წევრები ერთმანეთის წინააღმდეგ შესაძლებელი იყო აემხედრებინა ყმასაც. აღნიშნულთან დაკავშირებით 1717 წელს ქაიხოსრო თუმანიშვილმა და მისმა ბიძაშვილმა ალხაზმა პირობა დადეს: *„თუ ყმამ ჩვენში სალაპარაკო ჩამოაგდოს, იმ ყმას ავად მოვეპყრათ და კიდეც გარდავახდევინოთ“*[**ქართული.., 1985**: 874].

თუმანიშვილთა სახლიკაცები ერთმანეთში, გარკვეული შუღლის ნიადაგზეც ცდილობდნენ წაერთმიათ ყმები. მაგ. ყმის თაობაზე ბირთველ თუმანიშვილი 1792 წ. 18 ივნისის არზით თავის სახლიკაცს გიორგი ბატონიშვილთან უჩიოდა: *„მერმე ამას წინა*

წელიწადებში ერთი გარდმოვარდნილი იმერელი მეყმო და წიგნიც მომცა ყმობისა. ჩემი სახლის კაცი გიორგი ასანას-შვილი შეადგა ჩემის მტრობით და ეს იმერელი გამიხუიანა და თავისთვის მოინდომა“ [**დოკუმენტები.., 1953**: 166].

გახშირებული ძალადობის გამო, მდივან იოსებ ედიშერის ძე თუმანიშვილის შვილებმა 1816 წ. 20 ოქტომბერს გაყრის შემდეგ პირობა დადეს, რომ თუ ვინმე მათ მამულს შეედავებოდა პასუხს ერთად გასცემდნენ. ეს პირობა ორმაგი მნიშვნელობით არის დადებული, ისინი თავს იზღვევდნენ, როგორც თავიანთი სახლიკაცების, ისე გარეშე მემამულეებისაგან შექმნილი საფრთხისაგან: *„ეს პირობა დავდევით ჩვენ ქვემო ხელის მომწერებმა ასე რომე ხელთუბანში დიდს გარეჯვარში რეხაში და ახალდაბაში ამ ოთხს სოფელში რაც ვენახები ან სასახლები ან მამულები გავიყავით თუ ამ ზემო ხსენებულს მამულებზე წამოგვედავოს ვინმე და გამოგვერთვოს სულ ყველა ძმებმა პასუხი გავსცეთ რომელ ძმასაც ჩამოერთოს ყველამ ერთმანეთს გაუსწორდეთ... თავადი დიმიტრი თუმანოვი თავადი ზაქარია თუმანოვი, კაპიტანი თავადი თუმანოვი პორუჩიკი გიორგი თუმანოვი პორუჩიკი თავადი დავით თუმანოვი თავადი იოვანე თუმანოვი“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 198, 199].

თუმანიშვილთა შორის ჩაგვრის, სამამულე დავების, გამოსაღების წართმევის უმეტეს შემთხვევას XVIII საუკუნეში ვხვდებით. რით აიხსნება ეს? ვფიქრობთ, რომ რაც დრო გადიოდა და თუმანიშვილების სათავადო სახლი იზრდებოდა, შესაბამისად, მეტი მოთხოვნილება ჩნდებოდა სახლისკაცებისაგან ყმა-მამულის დაუფლებაზე. გამოსავალი, როგორც ჩანს, *„სახლიკაცობის რიგის“* დარღვევით მამულის გაფართოვება იყო. სათავადო სახლის წევრთა მიერ ამა თუ იმ სახლიკაცის უფლებების შელახვა და ქონების ხელყოფა, თუმანიშვილთა ფეოდალურ სახლში იწვევდა ქონებრივ უთანასწორობას. დაჩაგრული, ობოლი სახლიკაცების ოჯახები, ღარიბდებოდნენ.

XVII ს. 60-იანი წლებიდან ჩანს, რომ ზოჯერ თუმანიშვილები ერთმანეთისაგან ყმა-მამულს ყიდულობდნენ [**პირთა.., 1993**: 324, 326, 346-347, 351; **საქართველოს.., 1910**: 554]. XVIII ს-ის 10-იან წლებში ბირთველ ფარსიას ძე თუმანიშვილმა მიჰყიდა მკვიდრი მამული ზაქარია თუმანიშვილს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 161]. 1748 წლის 15 აპრილს პატარკაც თუმანიშვილისაგან თავისმა ბიძაშვილმა, გორჯასპი მდივანმა იყიდა სოფ. ხელთუბანში *„ნავროზანთ ვენახის ბოლოს მიწა“* [**საქართველოს.., 1910**: 422-423; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 196].

1749 წლის 16 სექტემბერს პაპუა ელიზბარის ძე თუმანიშვილმა თავის ბიძაშვილს, მდივან ედიშერს ხელთუბანში მიწა მიჰყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 183]. 1749 წ. პაპუა ელიზბარის ძე თუმანიშვილისაგან ნაყიდი ორი დღის მამული ღვთისავარა ქაიხოსროს ძე თუმანიშვილმა, 1768 წლის 1 დეკემბერს მდივან ედიშერს მიჰყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 124, 139].

1772 წლის 9 აპრილის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, ედიშერ მდივანმა გოგია თუმანიშვილისგან შეიძინა მამული: *„სიგელი... მოგეცი მე თუმანისშვილმა ღთისავარა შვილმა გოგიამ... შენ თუმანის შვილს მდივანს ედიშერს... ასე რომე დაგვეჭირა და მოგ-ყიდეთ გორას მიწა... ბოლოს სობისის* (სოფ. გორის მუნიც. - **რ.მ.**) *გზამდინ ექვსი დღისა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 156]. 1778 წლის 26 მაისს გოგიამ ედიშერს ისევ მიჰყიდა მიწა ხელთუბანში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 117].

თუმანიშვილთა სახლის წარმომადგენლები ერთმანეთში მამულებსაც ცვლიდნენ. მაგ. 1715 წელს ალხაზ და გივი თუმანიშვილებმა მიწები გაცვალეს: *„ესე... წიგნი... მოგე-ცით... შენმა განაყოფმა თუმანი შვილი ქიშვარის შვილებმა ალხაზმა და ბეჟან და საამ... ბატონს მდივანს გივს... რომე... ბაბაჯანას ნაქონი ვენახისა და სახლკარის ალაგისა ბო-ლოში რაც იმ მამულის მიწა არის ისები გავიცვალეთ ქაიხოსროსაგან რომ ბიჭიკაშვილის ვენახი სახლკარი გეყიდნათ იმაზედ და მიწის მაგიერ საყდართან რომ კიდევ ბიჭიკაშვი-ლის ნაქონი მიწა არის იმაზედ ბიჭიკაშვილის სასახლის ალაგი... თქვენ უნდა გეჭიროს და სხვა რაც ბიჭიკაშვილის ნაქონი იყოს ჩვენ გაგვიცვალეთ... რაც ნამეტნავი სახლისა და ვენახისა მოვიდა ავიღე იმაში ფასი სრული“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 105].

1717 წელს კი ალხაზმა და მისმა ბიძაშვილმა, ქაიხოსრო თუმანიშვილმა გაცვალეს მამულები: *„შენი* (ალხაზის – **რ.მ.**) *ვარდოვანას მიწა მე* (ქაიხოსრომ – **რ.მ.**) *გამოვცვალე და მე მოგეც პირდაპირ ზომით ჩემი წილი გრძელა. რაც იმაში დამაკლდა სობისის გზაზე შემითავებია და ორი მხარი ნამეტნავიც მამიცია, ამიტომ, რომ მე გივს მდივანს რომ შევეყარე, საყდართან ორის დღის მიწა მამაშენსაც მივეც... ეს კიდევ კაის ძმობისათ-ვის მიქნია, რომ ვერმიშაშვილის ელიზბარიანთაგან გამოცულილი სენაკის ალაგი რომ მაქუს, წინ გზისაკენ ერთის დუქნის ალაგი ჩემთვის დამიჭერია და სხვა შენთვის გამინა-ხევრებია“*[**ქართული.., 1985**: 874].

თუმანიშვილთა შორის მამულის გაცვლა ფიქსირდება ერთ გვიანდელი პერიოდის საბუთშიც. ეს არის 1816 წ. 8 იანვრის დოკუმენტი, მიცემული იოსებ თუმანიშვილის

მიერ ეგნატისადმი: *„იოსებ პავლეს ძემ თუმანოვმა თქვენ, ჩემს ბიძაშვილს კოლესკი სოვეტნიკს ეგნატი თუმანოვს... ჩემის კეთილის ნებით მოგიცვალე ჩემი წილი და ბარათით ნარგები ბეთლემურას მიწა სოფელსა ჭელთუბანს... რუს პირზედ... გამოგართვი ამის სამაგიეროდ შენი წილი ბახუტას სასახლის ადგილი და პრასიანის მიწა“* [**დოკუმენტები.., 1953**: 246-247].

თუმანიშვილები, როგორც მდივნის სახელოს მფლობელნი სამდივნო საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთთან წერილობით შეთანხმების პირობას დებდნენ. მაგალითად, 1686 წლის 24 მარტს გივი თუმანიშვილმა თავის ბიძაშვილს, მდივან ოთარს მისცა პირობა სამდივნო საქმეზე ამხანაგობის შესახებ. მათ შუაზე უნდა გაეყოთ: *„სამდივნო საწიგნო რუსუმიდამ“*, თემის ან სხვა საქონლის აღწერის დროს, ქართლში სარგოდ და მის გარეშე აღებული, თათარზე *„გასევისას“* და ელის აყრისას მიღებული შემოსავალი; ეს პირობა არ ეხებოდა ბატონის მიერ ნაწყალობევ, სხვა ქვეყანაში სამსახურისათვის, ყმისა და სახელო სოფლიდან მიღებულ შემოსავალს [**საქართველოს.., 1910**: 567-568; **პირთა.., 1993**: 334].

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა ურთიერთობა დამყარებული იყო *„სახლიკაცობის რიგზე“*, რომელიც არ იყო მკაცრად ორგანიზებული და ხშირად ირღვევოდა, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, რაც თუმანიშვილების მცირე სენიორიის განვითარება-გაძლიერებას ხელს უშლიდა. დაჩაგრული, შევიწროვებული სახლიკაცების ხარჯზე ღრმავდებოდა ქონებრივი უთანასწორობა სათავადოში.

§ 2. გლეხი

ფეოდალურ საქართველოში გლეხობა ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი კლასი იყო. მას დაკარგული ჰქონდა ეკონომიკური და პირადი დამოუკიდებლობა და მუდმივად მიმაგრებული იყო მებატონის მიწაზე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობით.

„მკვიდრი“ გლეხები ფეოდალის ყმათა საერთო რაოდენობის ძირითად ფონდს ქმნიდნენ. მათი რაოდენობა თავადის ეკონომიკურ სიძლიერეს განსაზღვრავდა. სათავადოში *„მკვიდრი“* ყმები დადგენილი ბეგარა-გადასახადების მთავარი გადამხდელები იყვნენ და ინტენსიურ მეურნეობას აწარმოებდნენ.

თუმანიშვილები *„მკვიდრი“* ყმა-გლეხების რიცხვს ავსებდნენ სხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებისაგან შესყიდული ყმებით. 1717 წლის 12 დეკემბრის ნასყიდობის წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ გივი თუმანიშვილს როინ ჯავახიშვილმა მიჰყიდა მამულით თავისი მკვიდრი ყმა მარკოზაშვილი ბესია და ესტატე სოფ. წოდორეთში [**დოკუმენტები.., 1940**: 175-176]. 1816 წ. 1 ოქტომბერს შედგენილი ნასყიდობის სიგელიდან ჩანს, რომ თბილისელი ოქრომჭედლის შვილებმა თავიანთი მკვიდრი ყმა სახლ-კარით გარეთუბანში გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს მიჰყიდეს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 56, ს. 122].

ფეოდალთა მიერ ყმების გაყიდვის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური გაჭირვება იყო და ზოგჯერ, ისინი მკვიდრ გლეხებს უმამულოდაც ყიდდნენ. თუმანიშვილები, როგორც ჩანს, ეკონომიკურად დაწინაურებულები იყვნენ, რადგან ინტენსიურად ყიდულობდნენ სხვადასხავა მებატონის მიერ უმამულოდ გაყიდულ მკვიდრ ყმა-გლეხებს, რომლებიც *„ნასყიდად“* იწოდებოდნენ. გ. აკოფაშვილის განმარტებით: *„მკვიდრი ყმა-გლეხის უმამულოდ გაყიდვა მოცემულ ხანაში, მართალია ხდება, მაგრამ არსებული იურიდიული ნორმის დარღვევას წარმოადგენს. გლეხს ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს იჩივლოს, სამართალი ეძიოს“* [**აკოფაშვილი, 1962**: 69].

უმამულოდ გაყიდული გლეხები შეიძინეს თუმანიშვილებმა ფალავანდიშვილებისა და მათი აზნაურისაგან. 1669 წლის 1 აპრილის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, მანუჩარ თუმანიშვილს მიჰყიდა ყმა ნავროზა ცოლით და ქალ-ვაჟით ოთია ლაშხიშვილმა, რომელიც თავადი ფალავანდიშვილის აზნაური უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს საბუთში მის მიერ აღნიშნული სიტყვები: *„თუ ესა კაცი წაგივიდეს სადმე, ჯერ ვიყო ქართლის ჴელმწიფის შემცოდე და მერმე ჩემის ბატონის ფალავანდიშვილის ფეშანგისა, ზაზასი და დავითის მკულელი ვიყო“* [**დოკუმენტები.., 1940**: 46; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3 ს. 128]. ამ ვარაუდს მხარს უჭერს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს თანდართული თავადაზნაუთა ნუსხა, სადაც ფალავანდიშვილთა აზნაურებად დასახელებულია გვარი – ლაშხი [**1783 წლის.., 983**: 63]. 1719 წელს კი ზაზა ფალავანდიშვილმა ყმა მიჰყიდა მდივან გივი თუმანიშვილს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 179].

1687 წლის საბუთის თანახმად, თუმანიშვილებმა შალვა ფავლენიშვილისგან იყიდეს ყმა: *„ნასყიდობის წიგნი... მოგეცით... თქვენ თუმანიშვილს ყალანდარს, ძმისწულსა შენსა მდივანს გივსა, ძმასა შენსა ლიპარიტს, შიოს, დავითს და მანუჩარს... ოდესაც დაგვე-*

ჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა მეტრეველი ოთია მისის ცოლით და შვილებითა... რითაც მოსახმარებლადა გინდოდეს მცილე არავინ გყვანდეს“ [**დოკუმენტები.., 1940**: 77-78; **პირთა.., 1993**: 360; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 13, ს. 50]. 1706 წ. 27 მარტს მდივანმა გივიმ დავით ფავლენიშვილისაგან იყიდა მკვიდრი ყმის შვილები [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 184]. 1704 წ. 18 აპრილის ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მანუჩარ ციციშვილის მიერ არის მიცემული გივი თუმანიშვილისადმი აღნიშნულია: *„წიგნი მოგეცით... ციციშვილმან მანუჩარ... გივს მდივანსა: – ასე და ამა პირსა ზედა: ჩვენზედ მრავალს გაისარჯენით და მრავალი სიკეთეც ჰქენით. ახლა ამისდა ნუქფათ მოგეცით ჩვენი ყმა დაღელი ხურო ოსია წატურასშვილი თავისის ცოლ-შვილითა. ცოტა რამ კიდეც ფასი გამოგართვით“* [**დოკუმენტები.., 1940**: 126]. საბუთში თუმანიშვილთა მიმართ, ნახსენები სიტყვები – *„გაისარჯენით და მრავალი სიკეთეც ჰქენით“* მიუთითებს ციციშვილების წინაშე არსებულ დამსახურებას, რამაც გივი მდივნის მიერ ყმის იაფად შესყიდვა განაპირობა. 1710 წ. 1 იანვარს გივი თუმანიშვილმა აზნაური ლოლაძისაგან იყიდა ყმა [**დოკუმენტები.., 1940**: 142].

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1717 წელს გივი თუმანიშვილმა როინ ჯავახიშვილისაგან მკვიდრი ყმა შეიძინა, 1719 წელს კი სოფ. წოდორეთში მან როინისგან მკვიდრი ყმები, ამჯერად, უმამულოდ იყიდა: *„ჯავახიშვილმა როინ... თუმანიშვილს მდივან გივს, შვილსა თქვენსა დავითს და ზურაბს, ასე რომე ჩემის ნება-წადილითა მოგყიდე ჩემი მემკვიდრე ყმის წოდორელი ბერიას ცოლშვილი. ავიღე ფასი სრული“* [**დოკუმენტები.., 1940**: 181].

ყმების შეძენა გააგრძელეს გივი თუმანიშვილის შვილებმაც. 1723-1724 წლების ნასყიდობის წიგნიდან ვიგებთ, რომ გივი მდივნის ვაჟებმა, ზურაბმა და დავითმა ყმები იყიდეს თავადი იესე ხერხეულიძისა და მისი სახლის წევრებისგან: *„დაგვეჭირა და ჩვენის ნება-წადილითა მოგყიდეთ ჩვენი აყრილი გლეხი მეგრელიშვილი გივი, შვილი მისი ნიკოლოზ და სეხნია, გივის ძმა ხუცესი თამაზა, მისი შვილი ქრისტესია... თუ ან ჩემი ძმები და ან სხვა ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე იასე ვიყო“* [**დოკუმენტები.., 1940**: 201; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 13, ს. 49].

როგორც ირკვევა, თუმანიშვილებმა ყმები შეისყიდეს ჩხეიძეებისა და აბაშიძეებისგანაც. 1776 წ. 28 ნოემბერს ჩხეიძეებმა მდივან ედიშერს მიჰყიდეს: *„ყმა ჩუმათელი ჩუმათელიძე კვირია შვილი შიო“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 123]. 1784 წ. 11 მაისის ნასყი-

დობის წიგნში კი ვკითხულობთ: *„სიგელი... მოგეცით ჩვენ აბაშიძემ მდივანბეგმა ნიკოლოზ... შენ თუმანიშვილს მდივნის ედიშერის შვილს მდივანს იოსებს... ასე რომე ჩვენი წილი ბარათში ნარგები ქვიშხეთელი ჭაბუკაძე გოდერძა შვილი ბეროა, ამის ძმა გიორგი მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 122].

1785 წ. 25 აპრილს ზაალ თაყინაშვილმა ორი კომლი ყმა – ლელუკაშვილები მიჰყიდა მდივან იოსებ ედიშერის ძე თუმანიშვილს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 48, ს. 34]. მოგვიანებით, 1787 წ. თებერვალში იოსებმა გორელი ვინმე *„კაჭკაჭანთ ავთანდილას“* შვილებისგან უმამულოდ იყიდა *„ალალი ნასყიდი ყმები პანპალაშვილები“* [**სეასცა,** ფ. 1448, ს. 811; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 48, ს. 38].

ზოგჯერ, მებატონე გაქცეულ ყმას პოვნის შემთხვევაში ყიდდა იმ თავადზე, ვისთანაც იგი თავს აფარებდა. მაგალითად, 1787 წ. 23 ივნისს ბიძინა მუსხელაშვილმა თავისი ყმა, რომელიც შეხიზნული იყო ხელთუბანში, მიჰყიდა მდივან იოსებ ედიშერის ძე თუმანიშვილს: *„ასე რომე ავს დროს მიზეზით ჩემი ყმა საბატელი ტერტერანთ ოჰანეზას შვილი ნერსესა და ამის ძმა ღუგაზა ჯელთუბანს იდგნენ, ამათ გასყიდვა მოვინდომე ჩემის ნებითა და ნება მყოფლობითა მოგყიდე“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 137]. ორი თვის შემდეგ, 1787 წ. 22 აგვისტოს მებატონე მუსხელაშვილმა ხელთუბანში შეხიზნული ყმები კიდევ მიჰყიდა იოსებს: *„ასე რომე ავს დროს მიზეზით ჩემი ყმა... ტერტერანთ მელქუასშვილები სამნი ძმანი დავით ნინია და სოსია ხელთუბანს იდგნენ დიდხანს მე ჩემის ნებით... ამათი გასყიდვა მოვინდომე მოგეც და მოგყიდე თქვენ თუმანისშვილის მდივნის ედიშერის ძეს თვით მდივანს იოსებს“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 114].

თუმანიშვილები იძენდნენ ტყვეებსაც. 1752 წლის 3 ივნისს შედგენილი ნასყიდობის წიგნის მიხედვით, პაპუა იესეს ძე თუმანიშვილმა ტყვე შეისყიდა: *„დაღისტანში ერთი თათრის ბიჭი, ბაიდრელი, აღა სახელათ, მეყიდნა, ათი თუმანი და შვიდი მინალთუნათა. მოვედი და შენ, პაპოას, გამოგართვი თამამი ფასი, ბიჭი შენი თამამი საქონელი და ნასყიდი გახდა... თუ გინდა გახყიდე, თუ გინდა პატრონს დაახსნევინე, შენი ნება არის... დაიწერა ესე სიგელი ქალაქს“* [**დოკუმენტები.., 1962**: 248].

თავადი თუმანიშვილები ყმებს სხვადასხვა სოფლის, ქალაქისა თუ მხარის მამასახლისებისგანაც ყიდულობდნენ. ზოგჯერ მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მებატონე იძულებული იყო ყმა გაეყიდა, მაგ. 1756 წ. 3 დეკემბერს გიორგი თუმანიშვილს ქვემო ბოლნისის მამასახლისმა ფირადამ ყმა მიჰყიდა, რადგან შიმშილობა

იყო და მისი რჩენა ვერ შეძლო [**დოკუმენტები.., 1953**: 52-53]. 1757 წ. ნასყიდობის წიგნით, ვინმე *„ყალოანთ პაპას შვილებმა“* მდივან გორჯასპი თუმანიშვილს მიჰყიდეს – *„ალალი თურქისტანისშვილისაგან მოსყიდული ყმა მექვევრისშვილის ბერუას შვილები ორნი ძმანი დავით და გიორგი თავიანთ ცოლ შვილ შვილითა“*, რადგან *„დაეჭირათ და არსით ილაჯი და ღონე არა ჰქონდათ“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 123].

თუმანიშვილები ყმა-გლეხებს ყიდულობდნენ, არა მარტო მეზობელი ან სხვა რომელიმე სათავადო სახლის წარმომადგენლებისაგან, არამედ თავიანთი საგვარეულოს წევრებისგან. როგორც გ. ჯამბურია წერს: *„ნასყიდი გლეხის კატეგორიის გაჩენა „ბატონყმური რიგის“ დარღვევის, მოშლის შედეგია. ფეოდალები, თავიანთი საჭიროების გამო, „კანონს“ არღვევდნენ და უმამულოდ ყიდდნენ გლეხებს“* [**ჯამბურია, 1973**: 196]. 1673 წ. 2 დეკემბერს ესტატე თუმანიშვილმა თავის განაყოფებს მიჰყიდა ყმა ოჯახით: *„თქვენმა განაყოფმა... ესტატემ... თუმანიშვილს მდივანს მანუჩარს, მდივანს ზურაბს, სულხანს, ყალანდარს, შვილთა თქვენთა გივსა და დავითსა... მოგყიდე უმამულოთ, უწყლოთ, უმიწოთ, უვენახოთ და უარარაოთ ბუჩუკური გოგინა, მისი ცოლი, მისი შვილი ონანა, თამაზა და ავთანდილა და ორის ქალითა და ავიღეთ ფასი სრული და უკლები“* [**დოკუმენტები.., 1940**: 49].

5 წლის შემდეგ, 1678 წელს ესტატემ თავის განაყოფს სოფ. ხელთუბანში მკვიდრი ყმები მამულით მიჰყიდა: *„წიგნი... მოგეც... ჩემს განაყოფს ჯიმშიტაშვილს მდივანს ზურაბს... დაგვეჭირა და ჩვენი მკვიდრ პაპათაგან ნასყიდი ალალი ყმა ელიზბარაშვილი ზურაბა, ასლამაზა, მერაბა და პაპუა მათის ცოლშვილით მათის სამართლიანის მამულით, ზემო ვენახი ტერდავითას კერძითა, ქვემო ვენახი... შუა დიდის ქვევრითა და ნაოხრითა, სტეფანას ნაქონის სახლკარითა, კალო-საბძლითა და დღეს რისაც მქონებელი არის... მოგყიდეთ“* [**დოკუმენტები.., 1940**: 57].

1749 წ. 30 აგვისტოს ნასყიდობის წიგნიდან ირკვევა, რომ პატარკაც თუმანიშვილმა თავისი წილი ყმა-მამული სოფ. წოდორეთში მთლიანად მიჰყიდა თავის განაყოფს, გორჯასპის: *„ოდეს დამეჭირა... წოდორეთს ჩემი მამა-პაპათ მემკვირდე ყმა ჩემი წილი ხუცესი შიო თავისის მამულითა, პეტრიაშვილი ივანე მისის მამულითა, მარკოზაშვილი მახარა თავისის მამულითა, თბილელაშვილის საკომლო, მეჯორის მამული, ნადირას მამული და სხვა, რაც წოდორეთს ჩემი წილი მამული იყო, სრულ უკლებათ... შენ მოგყიდე და ავიღე ჯელი...“* [**დოკუმენტები.., 1940**: 344; **სეასცა**, ფ.1450, დ. 3, ს. 10].

აღსანიშნავია, რომ თუმანიშვილები თავიანთი ყმა-გლეხების რიცხვს ზრდიდნენ ნასყიდი ყმებით, რომელთაც გ. აკოფაშვილი *„თავგაყიდულს“* უწოდებს. მისი განმარტებით *„თავგაყიდული“*: *„ისეთი გლეხია, რომელიც პირადად არის გაყიდული, თავისი მამულის გარეშე. ყმა-გლეხი, ხშირად, რაიმე მძიმე გასაჭირის გამო იძულებული იყო თავი მიეყიდა ბატონისათვის, „თავგაყიდული“ გამხდარიყო. გამოუვალი მძიმე ვალები, შიმშილობა, ტყვედ ჩავარდნის გამო სახსრის შოვნის საჭიროება, ჩადენილი ბოროტმოქმედების შედეგად დადებული მძიმე სასჯელი... აიძულებდა ხოლმე ყმას თავისი პირადი თავისუფლების დაკარგვისა თუ ყმური დამოკიდებულების მძაფრი გაუარესების, დამძიმების საფასურად ფული აეღო ბატონისაგან და ამ გზით თავი დაეხსნა გასაჭირისაგან“*[**აკოფაშვილი, 1962**: 80].

1696-1713 წლების ნასყიდობის წიგნიდან ვიგებთ, რომ გივი თუმანიშვილს ვალისაგან გათავისუფლების მიზნით ბერ ჭიჭაშვილმა ცოლ-შვილით თავი მიჰყიდა, გივიმ ნასყიდ ყმას სახლ-კარი უბოძა და ავლაბარში დაასახლა [**დოკუმენტები.., 1940**: 100, 156]. 1712 წ. საბუთიდან კი ირკვევა, რომ პაპუნაშვილებმა გივი მდივანს თავი მიჰყიდეს, რათა უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობიდან თავი დაეღწიათ, კერძოდ: *„ვალი გვემართა და მიცემის ღონე და ილაჯი არა გვქონდა. მოვედით და შემოგეხვეწენით და ვალი გარდაგვიწყვიტეთ და მოვალისაგან გამოგუიხსენით... ეს ჩუენის თავის ნასყიდობის წიგნი მოგართვით და ჩუენი თავი ნასყიდათ მოგეცით... ერთგულად და კარგ გვარათ გემსახურნეთ. თუ ვინმე ჩუენს თავს წამოგედაოს, პასუხიც ჩუენ მივცეთ“* [**ქართული.., 1985**: 871-872].

ვალის გადახდის უუნარობის მიზეზით, 1728 წ. 20 დეკემბერს ატენელმა დათუნა მეზვრიშვილმა საკუთარი თავი მიჰყიდა სულხან თუმანიშვილს: *„ესე... სიგელი დაგიწერეთ... მეზვრიშვილმა დათუნამა... მდივანს ბატონს სულხანს... ასე რომე ვალის პატრონი შევიქენ და მოვალეებმა დიაღ შემაწუხეს, ვერას საქმით ვერას გაუღონიერდი. ავდექ ჩემის ნება-წადილითა თქუენ შემოგეხვეწე და ჩემი თავი ნასყიდობით მოგეც და ჩემი ვალი თქუენ გარდამიწყვიტეთ“*[**დოკუმენტები.., 1940**: 226].

ზემოთ განხილული მრავალი ნასყიდობის საბუთებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ თუმანიშვილები საბატონო მეურნეობას განუხრელად ზრდიდნენ, რაც მათ ეკონომიკურ დაწინაურებაზე მიუთითებს. თუმანიშვილებს აზნაურები არ ჰყავდათ. რა იყო ამის მიზეზი? გ. აკოფაშვილის აზრით: *„თავადი ამ ეპოქაში ნაკლებად არის დაინ-*

ტერესებული თავისი საბატონო მეურნეობის ზრდა-განვითარებით. მართლაც, ტიპიური და დამახასიათებელი, როგორც თავადებისა და მათი ყმა-აზნაურების ურთიერთობის ამსახველი მასალები გვიჩვენებენ, სწორედ ესაა ამ ეპოქაში, მაგრამ ამავე დროს და განსაკუთრებით ეს ითქმის XVIII ს. მეორე ნახევარზე, ჩვენ ამ ტენდენციის საწინააღმდეგო მოვლენებიც გვაქვს. XVIII ს. მეორე ნახევარში ჩვენ გვყავს ეკონომიურად დაწინაურებული სათავადო სახლი თუმანიშვილებისა, რომელნიც ძლიერად არიან დაინტერესებულები საბატონო მეურნეობის გაზრდით. დამახასიათებელია, რომ ამ სახლს არცერთი აზნაური არა ჰყავს და არც ცდილობს იყოლიოს. ეს მისი ინტერესების სფეროში არ შედის" [**აკოფაშვილი, 1965**: 175-176].

თუმანიშვილები, საჭიროების შემთხვევაში ყმა-მამულს ყიდდნენ, უმთავრესად, თავიანთი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებზე. მათ მიერ გარეშე პირებზე ყმების გასხვისების შესახებ რამდენიმე დოკუმენტი არსებობს. 1744 წლის იანვრის *,,დამდეგს"* შედგენილი ნასყიდობის წიგნის თანახმად, პაპუა ელიზბარის ძე თუმანიშვილმა ვინმე ჩარჩიან ბეჟანისშვილ ქრისტესიას მიჰყიდა *„ნასყიდი ყმის ცოლი და შვილი ბერბუკელი მარქარას ცოლი ხოშია და ამისი შვილი ესტატე"* [**დოკუმენტები.., 1940**: 318-319]. ერთი თვის შემდეგ, 1744 წ. 9 თებერვალს პაპუამ კიდევ ერთი ყმა ამჯერად, დოესის მამასახლისს მიჰყიდა და სათანადო წიგნიც უბოძა: *„ესე... წიგნი... დაგიწერე და მოგეც მე, თუმანიანთ ელიზბარის შვილმა პაპუამა... დუეზის* (სოფ. დოესი – კასპის მუნიც. – **რ.მ.**) *მამასახლის ტატისშვილს რევაზს... დამეჭირა და მოგყიდე ჩვენი ალალი, მამაპაპათაგან ნასყიდი ონანაანთ ბერუას-შვილი გიორგი და ავიღევ თქვენგან ფასი სრული და უკლებარი"* [**დოკუმენტები.., 1940**: 319-320; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 41].

თუმანიშვილები ყმა-გლეხების რიცხვს ნაწილობრივ ავსებდნენ სამეფო კარის მხრიდან *„ნაწყალობევი"* ყმებით, რაც ერთგულებისა და დამსახურების სანაცვლოდ ხდებოდა. დ. გვრიტიშვილის განმარტებით: *„ნაწყალობევი" ყმა სათანადო „წყალობის წიგნით" ფორმდებოდა. აქვე იყო დადგენილი ამ შეწყალობებულის იურიდიული მხარე, ე. ი. ჩამოთვლილი იყო თუ რა პირობებში ეძლეოდა მწყალობელის მიერ შეწყალებულს ნაწყალობევი"* [**გვრიტიშვილი, 1965**: 65]. მაგ. 1664 წელს ქართლის მეფე შაჰნავაზ V-მ (1658-1675) ერთგულების ნიშნად მანუჩარ თუმანიშვილს და მის ძმისწულებს, სულხან და ზურაბ ჯიმშიტასშვილებს უწყალობა სოფ. ტინისხიდში (გორის მუნიც.) მამუკა თავაქალაშვილის ობლები მამულით [**პირთა.., 1993**: 350].

1666 წ. 22 მარტს გიორგი ბატონიშვილმა მორდარ მანუჩარ თუმანიშვილს უწყალობა სურამიდან გადმოსული და მანუჩართან შეკედლებული, ობოლი ყმები. ამილახორს დავალებული ჰქონდა სხვადასხვა ადგილებში შეხიზნული ყმების აყრა და უკან დაბრუნება, მაგრამ გიორგი ბატონიშვილმა აღნიშნული ყმა-გლეხები მანუჩარს უბოძა: *„მოკითხული ვქენი და ამას წინად სურამელის მემკვიდრეს კაცის შვილი ხეჩატურა და მასურასშვილი ნურალა და დათუა სურამელა ობლები დაგეზარდათ* (თუმანიშვილებს – **რ.მ.**) *და იქიდამ დიდის ხნის წამოსულნი იყუნეს... ვითაც ჩუენი მემკვიდრე იყო, მათის ცოლ-შვილით თქვენთვის გვიბოძებია*“ [**დოკუმენტები..,1940**: 44].

დ. გვრიტიშვილის თქმით, მეფის მიერ ფეოდალისადმი ყმა-მამულის წყალობის სიგელი ძალაში რჩებოდა მხოლოდ მისი მმართველობის პერიოდში. მონარქის შეცვლისთანავე სიგელიც უნდა განახლებულიყო. წყალობის სიმტკიცე დამოკიდებული იყო მეფისა და ფეოდალის ურთიერთობის სიმტკიცეზე [**გვრიტიშვილი, 1965**: 65].

თუმანიშვილებთან გვაქვს უწინდელი მეფის წყალობის განახლების შემთხვევა. 1648 წლის 12 მაისს როსტომ მეფემ თაყა თუმანიშვილს განუახლა წყალობა – სვიმონ ხანის მიერ ნაბოძები თბილისელი ვაჭარი ყმა ხუდადა აშანმაშანაშვილი და მისი ძმისწულები პაპუა და ყაზარა მამულით, სახლ-კარით და ქულბაქებით [**პირთა.., 1991**: 346, 369; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 205-206].

სამეფო კარი თუმანიშვილებს სახასო ყმა-მამულითაც ასაჩუქრებდა. 1705 წელს ვახტანგ VI-მ მდივან გივი თუმანიშვილს უწყალობა ატენში ერთი კომლი სახასო ყმა გიორგაშვილი ბატატა მამულით [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 49]. ამას ადასტურებს 1703-1709 წლების დოკუმენტიც, რომელშიც ვახტანგ VI აღნიშნავს: *„ატენს ჩვენი სახასო გლეხი გიორგაშვილი თავისი მამულით მდივნის გივისათვინ გვიბოძებია“* [**დოკუმენტები.., 1940**: 122].

1717 წელს ვახტანგ VI-მ მდივან თამაზ თუმანიშვილს ყმები – ტერმაკოზაშვილები უწყალობა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 174]. 1719 წ. 9 მაისს ბაქარ მეფე თუმანიშვილებისადმი ყმების წყალობის წიგნში აღნიშნავს, რომ მათ გაყრისას, გასამყრელოდ მეფის სასარგებლოდ, 5 კომლი გლეხი გაუღიათ. ბაქარმა ამ ხუთი გლეხიდან თუმანიშვილებს უწყალობა 3 კომლი ყმა-გლეხი მამულით სოფელ ხელთუბანში, გარეჯვარში და ახალდაბაში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 31].

საინტერესოა, რომ 1781 წ. 9 ივნისს ერეკლე II-მ მდივან სულხანს მისცა საბუთი სხვა სახელმწიფოდან წამოყვანილი პირების მისივე საკუთრებაში დატოვების შესახებ: *„თუმანი შვილო მდივანო სულხან მერმე ჩვენს საბძანებელს გარდა სხვის ქვეყნიდამ ვისაც კაცს მოიყვან ვისიც ყმა უნდა იყოს ქრისტიანი თუ თათარი და ამ საქმეზე ბეჯითი იქნები შენ ამაზე ხათრიჯამი იყავ რომ იმ კაცს შენ ველარავინ გამოგართმევს და აღარც უკან მივცემთ და შენი სამკვიდრო ყმა შეიქნება... შენ ხომ შენის ძალით ვერავის მოიყვან და ვინც თავისის ნებით შენთან მოვლენ ყველასი ასე გვიბძანებია“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 183].

ნიშანდობლივია, რომ ეგნატე თუმანიშვილმა ყმების სიმცირის გამო 1800 წლის 16 ივლისის არზით თვითონ სთხოვა გიორგი XII-ს უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი სახასო მეფის აზნაურის, ორი კომლი გლეხის (მათ შორის ერთი ეგნატესთან იყო შეკედლებული სოფ. ხელთუბანში და მეორე თბილისში იმყოფებოდა) წყალობა. აღნიშნულ არზას ახლავს გიორგი XII-ის ოქმი, რომელშიც ვკითხულობთ მის გადაწყვეტილებას: *„მდივანო ეგნატე!... მოგიხსენებია და ეს კაცნი გითხოვნია და თუ ასე არის და მოდავე არავინა ჰყავს, ეს კაცნი შენთვის გვიბოძებია“* [**ქართული.., 1985**: 664].

ფეოდალურ ეპოქაში, სამეფო კარისაგან ხდებოდა ყმის სამახარობლოდ ჩუქებაც. როგორც ირკვევა, დარეჯან დედოფლისთვის პირველად შიოშ თუმანიშვილს უთქვამს მირიან ბატონიშვილისადმი გენერალ-ლეიტენანტობის ჩინის ბოძების ამბავი. გახარებულმა დედოფალმა შიოშს სოფელ სათემოში 1 კომლი გლეხი მამულით უწყალობა: *„ჩვენ საქართველოს დედოფალს დადიანის ასულს დარეჯანს შენ მდივანმა თავადმა შიოშ თუმანოვმა გვახარე მათის იმპერატორების დიდებულების ხელმწიფეთაგან მოწყალებით მოხედვა ძისა ჩემის მეფის ძის მირიანისადმი და ბოძება მისდა ღენერალ ლეიტენანტობის ხარისხისა... ნიშნად ამისა გიბოძეთ შენ პირველ მახარობლობისათვის სამახარობლოდ სათემოს მოსახლე ჩვენი ყმის ბეითალმანი ყმა ბერიანიძე ელიბა თავისის შვილებითა და მამულითა რომელიცა... დაინიშნებიან სამკვიდრო ყმად შენდა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 19].

თავადის ყმა-მამულის ფონდს გარკვეულწილად ზრდიდა სხვა წარჩინებული საგვარეულოებისაგან ნაჩუქარი ყმებიც. 1713 წ. 17 ნოემბერს ეშიკაღასბაშმა ზურაბ ერისთავისშვილმა გივი თუმანიშვილს ერთგულების ნიშნად ყმა უბოძა: *„ვითარცა ერთმანერთისათვის კაის მდომი ვიყავით, ჩვენზე ბევრი გარჯა და სიკეთე მიგიძღოდა და*

რადგან ჩვენის სიკეთისა და შემატების მდომი ხართ, ბევრს გაისარჯე და კაი ფეშქაშები მოგვართი, ჩვენც ერთი ჩვენი მემკვიდრე ყმიშვილი მახარებლისშვილი დათუნა მოგეცით" [**დოკუმენტები.., 1940**: 157]. 1809 წელს მამია გურიელს მასთან სტუმრად მყოფი რევაზ გიორგის ძე თუმანიშვილისთვის მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად ყმა უჩუქებია [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 42, ს. 164]. რამდენიმე თვის შემდეგ, რევაზმა ნაჩუქარი ყმა გაყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 42, ს. 162].

თუმანიშვილთა სათავადოში გვხვდება ყმის მზითვად მიცემის შემთხვევები. კერძოდ, XVIII ს. დოკუმენტით ალხაზ თუმანიშვილმა თავის დას – დუნიახათუნს მზითვში გაატანა ყმა გიორგი ხარაზიშვილი [**ქართული.., 1985**: 894-895; **დოკუმენტები.., 1940**: 236 ; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 46].

ფეოდალურ ხანაში ხდებოდა ბატონის მიერ გლეხების ამა თუ იმ ეკლესიისათვის შეწირვა. ასეთი ყმები თუმანიშვილებსაც ჰყავდათ. 1708 წელს ქაიხოსრო თუმანიშვილს ორი კომლი ყმა შეუწირავს სულის მოსახსენიებლად სიონის ტაძრისთვის [**Грузинские.., 1881**: 59]. თუმანიშვილთა სათავადოში გლეხთა სხვადასხვა კატეგორიას შორის გვხვდება *„თარხანი"* ანუ *„აზატი"* გლეხები, რომლებიც საბატონო გამოსაღებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულები იყვნენ. ასეთ ყმას სითარხნის (აზატობის) წერილობითი საბუთი ჰქონდა, მასში დაწვრილებით იყო მოთხრობილი თუ რისგან ათავისუფლებდა გლეხს ბატონი [**გვრიტიშვილი, 1965**: 68].

როგორც აღვნიშნეთ, ბატონი ყმას ნაწილობრივაც ათავისუფლებდა გამოსაღებისაგან. 1703 წ. საბუთიდან ვიგებთ, რომ გივი თუმანიშვილმა თავის ყმას რამინას, სითარხნის წიგნი უბოძა, საბატონო გადასახადისაგან გაათავისუფლა, მაგრამ შრომითი ბეგარა დააკისრა და მიწაც მისცა საკუთრებაში: *„ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, მდივანმა ბატონმა გივმან... თქვენ, ბერდიკელს ყმასა ჩვენსა რამინასა, შვილსა შენსა ღვინიასა... ასე გითარხნეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა გეთხოებოდეს რა. ერთ დღეს მამაცობით ვენახში უნდა გვიმუშაოთ. ერთი მიწა სარწყავისა სამწევრისის პირდაპირ ისიც თქვენთვის საკუთრად გვიბოძებია. ამ მიწასთან შენს ძმებს ხელი არა ქონდეს"* [**დოკუმენტები.., 1940**: 120]. იმავე წელს, გივი, შიოშ, ლიპარიტ, მანუჩარ და ქარიმშა თუმანიშვილებმა ზემოთ ნახსენებ თარხან ყმა რამინასა და მის ძმებს უწყალობეს *„ობო-*

ლას ნაქონს ვენახი, მიწა-წყალი, სახლ-კარი“, რომელიც მათ თანაბრად უნდა გაეყოთ [**დოკუმენტები.., 1940**: 121].

თუმანიშვილები ფლობდნენ *„ბოგანო“* ყმა-გლეხებსაც. ვახტანგ VI-ის სამართლით: *„ბოგანო იმას ქვიან, რომე, ვენაჯი არა ჰქონდეს, თვითო სახლის დარჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების და ან არა... ვენაჯის მქონეს გლეხს ბოგანო არა ჰქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“* [**სამართალი.., 1981**: 212]. აქედან გამომდინარე, ბოგანოს ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრა ძნელია. ბოგანო გლეხს, რომელსაც ვენახი არ ჰქონდა და მცირე მამული გააჩნდა არ შეეძლო ინტენსიური მეურნეობის წარმოება.

1700-1719 წლების გივი თუმანიშვილის ყმების ნუსხაში სულ 19 კომლი გლეხია ასახული მამულის მოცულობის მითითებით, მათგან მხოლოდ ორია ბოგანო:

,, კურტანიძე ბოგანო, ერთი კვალი ჩვენი ნასყიდი ვენახი უჭირავს.

გ. ქ. მეგრელი ბოგანო, სამის დღის მიწა აქვს“ [**აკოფაშვილი, 1963**: 138; **დოკუმენტები.., 1940**: 113]. მოტანილი ციტატიდან, ჩანს რომ ბატონი თავად წყვეტდა ყმა-ბოგანოს საკითხს, აძლევდა ვენახს, მიწას სხვადასხვა ოდენობით, რაც ვახტანგის სამართლით დაწესებული არ იყო. ოთარ თუმანიშვილს ბოგანო გლეხებისთვის მამული ცალკე ჰქონდა გამოყოფილი, ვინაიდან *„სათუმანიშვილოს ყმების დავთარში“* წერია: *„ოთარ მდივნის საბოგანო“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 32, ს. 57].

როგორც ირკვევა, თუმანიშვილთა სათავადოში ბოგანოთა რაოდენობა არცთუ ცოტა იყო და მათი რიცხვი თანდათან მატულობდა. მაგალითად, 1656 წელს თუმანიშვილების გაყრისას მანუჩარს წილად ხვდა სოფ. ხელთუბანში 2 ბოგანო გლეხი – ძამელა და მგელია [**პირთა.., 1993**: 352]. XVIII ს. დასაწყისში შედგენილ გორის მცხოვრებთა აღწერის დავთრის მიხედვით, თუმანიშვილებს 7 ბოგანო ჰყავდათ [**ჯავახიშვილი, 1967**: 264-265]. დაახლოებით XVIII ს. I მეოთხედში შედგენილ თუმანიშვილთა ყმების დავთარში, რომელშიც 4 სოფლის მონაცემია ასახული, 58 ბოგანო ფიქსირდება [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 32, ს. 57]. ზოგადად, ამ პერიოდში თუმანიშვილების ყმათა რაოდენობის დინამიკა მზარდი იყო და როგორც ჩანს, ბოგანოთა რაოდენობაც იზრდებოდა.

თუმანიშვილთა სათავადოში გვხვდება *„ნებიერი“*, ანუ წყალობის ყმა. გ. ჯამბურიას განმარტებით: *„წყალობის ყმა ისეთი გლეხია, რომელიც თავისი ნებით არის მისული ბატონთან და წასვლის უფლება შენარჩუნებული აქვს... წყალობის ყმის ვალდებულებანი ბატონთან ყმის შეთანხმების შედეგად წესდებოდა... წყალობის ყმა ზეპირ, ან წე-*

რილობით ხელშეკრულებას დებდა ბატონთან, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას წასვლის უფლება ჰქონდა, თუ ეს საჭირო გახდებოდა. ამ უფლებას კანონიც იცავდა“ [**ჯამბურია, 1973**:196]. 1782 წ. საბუთიდან, როგორც ჩანს, ნებიერმა ჯავახმა ყმამ იოსებ თუმანიშვილთან ოცწლიანი ბატონყმური ურთიერთობის პირობა განაახლა ან მანამდე ზეპირად იყვნენ შეთანხმებულები ბატონყმობის რიგზე და მოგვიანებით იგი წერილობით გააფორმეს: *„ესე წიგნი მოგეც მე ჯავახმა ბერიამა... შენ თუმანიშვილს მდივანს იოსებს ასე რომე რა ჩემის ალაგიდამე გადმოველ ოცი წელი წადი შენს მამულში ვიდეგ და ახლა... ისევ შენი ბატონობა მოვიდომე და ჩემი თავი და ჩემი შვილებიც შენი ყმანი გავხდით და გეყმენით და ჩვენი თავი ღ˜თმან როგორც ბატონ ყმობის რიგი იყოს ისე... მოგახმაროს... შენს მეტი ბატონი ნურც მე მომცეს და არც მინდა თქვენც ჩემზედ მწყალობელი ბძანდებოდეთ“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 181].

ნებიერ, წყალობის გლეხად ითვლებოდა, ასევე ბატონყმური ურთიერთობისაგან *„თავდახსნილი“* (აზატი) ყმა, რომელიც ახალ ბატონთან მიდიოდა და მასთან ურთიერთობის პირობებს ათანხმებდა. მაგალითად, ერთი დოკუმენტიდან, რომელიც XVIII ს. II ნახევარში უნდა იყოს შედგენილი, ნათელია, რომ აზატი ყმა თავისი ნებით თუმანიშვილებთან მიდის და მათი ნებიერი ყმა ხდება [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 187]. გვხვდება შემთხვევა, როცა ერთ დროს თუმანიშვილების მიერ გაყიდული მკვიდრი ყმა-გლეხი ისევ თუმანიშვილებთან ბრუნდება, როგორც ნებიერი, წყალობის ყმა. კერძოდ, 1782 წელს შედგენილი ბატონყმობის წიგნიდან ვიგებთ, რომ პაპუა თუმანიშვილმა თავისი ხელთუბნელი ყმა გიორგი მიღრიჯანაშვილი, ამილახვარს მიჰყიდა, თუმცა მან თავი დაიხსნა და წყალობის ყმობის წიგნი მისცა სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს [**გსიემ**, 7782/5, ფ. 406-407; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 40].

საინტერესოა, 1758 წლის საბუთი, რომლის თანახმად, მდივან ედიშერ თუმანიშვილის მკვიდრი ყმა ხელთუბნელი გიორგი კაციაშვილი *„ჟამთა ვითარებისაგან“* აყრილა და კახეთში წასულა. ედიშერს იგი უპოვნია, თუმცა ყმას მისგან თავი დაუხსნია. 1758 წელს კი აღნიშნული ყმა ქართლში დაბრუნდა ედიშერ თუმანიშვილთან და მას *„წყალობის ყმობის წიგნი“* მისცა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 192].

1791 წ. 28 სექტემბრის დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ მტრისაგან ხელთუბნის აკლების გამო თუმანიშვილებთან ხიზნად მდგარი გლეხი ტყვედ ჩავარდა და სტამბოლში თავის დახსნა მოახერხა. ის დაბრუნდა ხელთუბანში და თუმანიშვილების ნე-

ბიერი ყმა გახდა: *„...ქრისტეანმან კაცმან... დამიხსნა ურჯულოს ხელიდამ აზატი მიყო და გამამისტუმრა მოვედი ხელთუბანს რადგანც... მეფის ერაკლისაგან განწესებული იყო და არის ვინცავინ ტყუეობიდამ მოვიდეს იგი თავის უფალი იყოს და თავისის ნებით ვისაც უნდოდეს იმას ეყმოს მეც იმავ ბრძანების ძალით ჩემი თავი ყმათ მოგართვი ჩემის ნებითა...“.* საბუთიდან ასევე ვიგებთ, რომ 1793 წელს მეფე ერეკლემ აღნიშნული ბატონყმობის წიგნი დაამტკიცა [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 1, ს. 25].

წყაროებიდან ნათელი ხდება, რომ თუმანიშვილებთან უცხო ქვეყნიდან თავდახსნილი ყმებიც აფორმებდნენ ბატონყმობის წიგნებს. ამგვარად, 1794 წელს უცხო ქვეყნიდან მოსული ორი გლეხი, მდივან სულხან თუმანიშვილის წყალობის ყმა გახდა [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 4, ს. 34, 35].

როგორც ირკვევა, თუმანიშვილებისადმი ბატონყმობის წიგნის მიცემის მიზეზი მძიმე სოციალური მდგომარეობა იყო. ამ მხრივ, საინტერესოა, 1784 წლის 20 თებერვლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც სულხან თუმანიშვილს გუმიშხნელმა იორდანეს შვილმა, სვიმონმა დაუწერა: *„მოველ ჩემს ნებაყოფლობითა ჩემი თავი თქვენ ყმათ მოგეცით... ცოტა რამ ვალიც მაქვს, ისიც თქვენ მიეცით და თუ შინ არ მიმსახურებ და სოფელში დამაყენებ მამულზედ იქიდამ უნდა გემსახურო, როგორც ბატონყმობის რიგია... ამას წინათ რაც ვალი მქონდა ის სულ თქვენ მიეცით“* [**უჩანეიშვილი, 1967**: 83].

ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი გლეხები ვალის გადახდის სამაგიეროდ, დროებით თუმანიშვილების გავლენის ქვეშ ექცეოდნენ და სამსახურს კისრულობდნენ. 1670 წ. 24 სექტემბერს ზურაბ თუმანიშვილს ვინმე პაპუამ ვალიდან თავის დაღწევის სანაცვლოდ სამსახურის ვალდებულების პირობა მისცა: *„ესე წიგნი მოგეცი მე პაპუნამ... მდივანს ზურაბს, ძმას თქუენს მდივანს სულხანს... ახალ-გორელთ, ხელთუბნელთ, ხარისელთ ვალი მემართა ორმოცი მარჩილი, შიმშილობაში დამიხსენ და მოვალებას მამარჩინე. მანამდინ თქუენს ორმოცს მარჩილს მოგართმევდე, იმის სარგებელში მე გ(მ)ს(ა)ხურებდე, არც შენის თეთრის სარგებელი იყოს, არც ჩემი ჯამაგირი, მანამდინ თეთრი არა მოგართო, არც მე გაგეყარო“* [**საქართველოს.., 1910**: 563].

დ. გვრიტიშვილის მოსაზრებით, ძველი ბატონისაგან თავდახსნილ გლეხს მძიმე ეკონომიური პირობები აიძულებდა, რომელიმე ბატონისათვის შეეფარებინა თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ფიზიკურად დაუცველი იყო. თავის მხრივ *„ნებით მოსულ“* გლეხს ახალი ბატონი სიამოვნებით იფარებდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ

ამ *„ნებიერთა“* რიცხვი გაემრავლებინა, რადგან ბატონის სიძლიერე ყმათა სიმრავლეზე იყო დამოკიდებული [**გვრიტიშვილი, 1965** : 66]. 1787 წლის 11 ოქტომბერს გიორგი თუმანიშვილი ერეკლე მეფისადმი მირთმეულ არზაში დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ იზრუნა ნებით მოსული ყმის დაბინავებაზე: *„ჩემო ჴელმწიფევ, თვრამეტი წელიწადი არის ერთი კაცი მყავს მოსული... თავის ბატონისაგანაც დაგირავებული ყოფილა და თავი დაუხსნია... თავის ნებაყოფლობით წყალობის ყმათ მოვიდა და მეც რაც გლეხს კაცს ეფერებოდა – მამული, ხარი, კამბეჩი, ვენახი და ნაფუზარი მივეც; ცოლი შეირთო და დავასახლე. როგორც ერთი სხვა გლეხი კაცი გახლავს ჩემი სარჩოთი თუ მამულით, ის კაციც იმგვარად გახლავს. ამას გარდა სულადიც მიმიცია იმისთვის სამოცი კოდი და სხვაც ბევრი წვრილად მაქვს იმაზედ დანახარჯი. წყალობას ვითხოვ, თქვენის ხელმწიფობის გასაძლიერებლად ჩემი ამდენი დანახარჯი და ამაგი არ გამიფუჭდეს და თვრამეტი წლის მოსული კაცი არ გამამერთვას“*. ერეკლე II-მ თუმანიშვილის არზაზე ოქმი გამოიტანა: *,,თუ ეს მართლა ასე არის ამდენის ხნის მოსული და მამულზე დასახლებული კაცი, ამას არ აეყრება და ნურც აუყრით“* [**ქართული.., 1981**: 741].

ახლად მისული *„ნებიერი“* ყმისადმი ზრუნვა ჩანს 1793 წ. 19 თებერვლის საბუთში, რომელშიც ზურაბ თუმანიშვილი ძველ ამბავს ჰყვება: *„ტყვეობიდამ ათოა სახელობით კაცი გიახლათ და თავის ნებით ჩემი ყმობა მაინდომა და რაც შემძლებოდა მეც ხელი გაუმართე და სარჩოს გზაზე დავაყენე. ყმობის წიგნი დამიწერა და ბედნიერმა ჴელმწიფემ ალაპარაკა ის კაცი და წიგნიც დამიმტკიცა“* [**ქართული.., 1985**: 197].

თუმანიშვილთა სათავადოში ახლად მოსული ნებიერი გლეხის მიმართ მფარველობის გამოხატულებად უნდა ჩავთვალოთ მისი გათარხნება, რასაც 1792 წ. 20 იანვარს შედგენილი სითარხნის წყალობის წიგნი მოწმობს. საბუთის თანახმად, ზურაბ თუმანიშვილმა ნებიერი გლეხი ნაწილობრივ გაათავისუფლა საბატონო ვალდებულებებისგანაც: *„მოუშლელი წიგნი გიწყალობე შენ ჩემს ყმას საინანთ არუთინას-შვილსა არუთინას – ასე რომ ტყუეობიდამ მოხუედი და შენის ნებით ჩემი ყმობა მოინდომე და წერილიც მამეცი, მეც მამულზე დაგაყენე. დღეის იქით ჩემგან... შენ და შენ ჩამომავლობას ეს წყალობაც გქონდესთ: არც საქურივო გეთხოებოდესთ, არც მოახლე, არც ძიძა, არც მსახური... არც საქორწილო, არც სააღაპო. თუ ღმერთმან შეგაძლებინოს, მამული იყიდოთ, თქვენი ნასყიდი მამულის გაყიდვის, გაზითვის და გაცემის უფლებაც გქონდესთ ჩვენგ შეუკითხავად... ამას გარდა რაც სხუა ბატონყმობის სამსახური არის, ისე მემსახურებო-*

დე, როგორც ერთი ჩვენი მემკუიდრე ყმა“ [**დოკუმენტები.., 1953**: 165-166]. აღნიშნული დოკუმენტი თუმანიშვილთა მფლობელობაში არსებული ყმა-გლეხთა საბატონო გადასახადების მაგ. შრომითი, ანუ სამსახურის ბეგარის საილუსტრაციოდაც შეიძლება გამოვიყენოთ.

ნებიერ ყმა-გლეხს სრულიად განსხვავებული უფლება-მოვალეობები ჰქონდა და შეეძლო საბუთით დადასტურებული უფლებით თავადისაგან თავისუფლად წასულიყო. დ. გვრიტიშვილის განმარტებით, თუ *„ნებიერი“* გლეხი თავის ახალ ბატონს მიატოვებდა მისთვის შეძენილი ქონების ნახევარი უნდა დაეტოვებინა. უკანონოდ კი თავადს შეეძლო ნებით მოსული ყმისთვის წასვლის შემთხვევაში მთელი ქონება წაერთმია ან სრულად გაეტანებინა. თავის მხრივ, 30 წლის განმავლობაში ძველი ბატონიც ინარჩუნებდა უფლებას მოეძებნა თავისი ყმა და უკან დაებრუნებინა [**გვრიტიშვილი, 1965** : 66,68]. 1762 წლის 19 მაისს შედგენილი საბუთიდან ვიგებთ, რომ სოფელ ჯილაზიდან (ჯილიზა) აყრილი ყმა 28 წლის წინ ნებით მისულა გორჯასპი თუმანიშვილთან, რომელსაც იგი ორჯერ დაუხსნია გათათრებისაგან. 1762 წელს კი აღნიშნული ყმის ობლებს გორჯასპის, ძველი მებატონე ედავებოდა. როგორც გაირკვა, ყმა ჯილიზადან 50 წლის წინ გაქცეული იყო და ძველმა მებატონემ დავა შეწყვიტა [**გსიემ**, 7782/2, ფ 94-95].

თუმანიშვილები ცდილობდნენ ნებიერი ყმის გასხვისებას, რაც კანონით აკრძალული იყო. თბილისელი ფეიქარი ოჰანეზა ბაღდასაროვი მდივან სულხან თუმანიშვილის მამის, გორჯასპის *„ნებიერი“* ყმა იყო. 1808 წ. არზიდან ირკვევა, რომ ბატონის გარდაცვალების შემდეგ სულხანმა ოჰანეზა თავის სახლიკაცს, ზურაბისშვილს მისცა საკუთრებაში. ეს ყმამ გააპროტესტა გორჯასპისთან დადებული ბატონყმობის წიგნით და სულხანი იძულებული იყო უკან დაეხია [**აკოფაშვილი, 1962**: 74-75].

გ. ჯამბურია აღნიშნავს, რომ წყალობის ყმები, ყოფილი თავდახსნილი ან ერთი სამეფოდან მეორეში გაქცეული გლეხები არიან. თავდახსნის შემთხვევები XVI-XVII საუკუნეებში ხშირი არ იყო. ბატონყმური ურთიერთობისაგან განთავისუფლებული გლეხები წყაროებში ხშირად *„თავდახსნილებად“* იწოდებიან, ხოლო საბუთს, რომლითაც ეს აქტი ფორმდება, *„თავდახსნის წიგნი“* ანუ *„თავდახსნისა და აზატულობის წიგნი“* ეწოდება [**ჯამბურია, 1973**:197].

ყმა-გლეხთა თავდახსნილობა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო და თუმანიშვილების სათავადოშიც გვხვდება. თუმანიშვილები გაქცეული ყმის ძალით

დაბრუნების ნაცვლად, არჩევდნენ მიეყიდათ იმ მებატონეზე ვისთანაც თავშეფარებული იყო, რადგან არსებობდა ასეთი ყმა-გლეხის უგზო-უკვლოდ დაკარგვის საფრთხე, ამასთანავე ასეთი დაუმორჩილებელი ყმა არ იყო ინტენსიური მეურნეობის წარმომქმნელი. სათავადოში გვხვდება ყმის გაქცევის შედეგად, მისი გააზატების ფაქტი. მაგ. 1664 წლის დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ თუმანიშვილების ყმა პაატა რაზმაძე კახეთში წავიდა, თუმანიშვილებმა მოძებნეს და თავის დახსნაზე უარი უთხრეს, მოგვიანებით კი იგი დავით კოზმანიშვილმა დაიხსნა: *„თუმანიშვილის გიორგისა და მისის ბიძების ყმად ვიყავ. კახეთს მოველ. მოვიდნენ და ისრევე მივყვანდი. და მე თავის დახსნას შევეხვეწე, იმათ, დიაღ, ბევრი მთხოვეს, ვეცადე და ვერას თავს აუველ და ვერცავინ დამიხსნა. მასუკან თქვენ შემოგეხვეწეთ და თქვენ ჩემში სრული ფასი მიეცით, რითაც იმათი გული შესჯერდებოდა და მიყიდეთ“*[**ქართული.., 1985**: 844; **პირთა.., 1993**: 338].

როგორც ჩანს, კახეთში გადახვეწილი თუმანიშვილების ყმა-გლეხი წინასწარ შეუთანხმდა ფეოდალს, რომელთანაც თავდახსნის შემდეგ ყმად მივიდა. 1664 წლის ახლოს შედგენილ გიორგი თუმანიშვილის მიერ ყმა პაატა რაზმაძისადმი მიცემულ აზატობის წიგნში კი ვკითხულობთ: *„ასე რომ ჩვენ წამოგვიხველ და კახეთს ჩამოხველ. მასუკან შემოგვეხვეწე და ჩვენ ჩვენად სადღეგრძელოდ და მამის ჩვენის შესანდობრათ, რაც ჩვენი გემართა, ისიც გაპატივეთ და აზატიც ასრე გიყავით: ვისთანაც გინდა მიდი, ღმერთია თავდები, ჩვენ არას მოგედავებით და აზატიც გვიქნია“* [**ქართული.., 1985**: 844-845; **პირთა.., 1993**: 338].

თავის მხრივ, თუმანიშვილებიც ეხმარებოდნენ თავდახსნაში მათთან შეკედლებულ ყმებს, რათა შემდეგ კანონიერად დაპატრონებოდნენ. ამგვარი ქმედების ერთგვარ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს – 1710 წ. ნასყიდობის წიგნი მიცემული სვიმონ მაღალაშვილის მიერ მამუკა თუმანიშვილისადმი, რომელშიც წერია: *„ჩემი* (სვიმონ – **რ.მ.**) *ნასყიდი ყმის შვილი ქიტესა შენს* (მამუკა – **რ.მ.**) *ყმას გერათ მოყოლოდა და შენის ყმისას გაზდილიყო. მოვედი და ჩემის ყმის შვილს თხოვნა დაგიწყე. მაგრამა, რადგან შენის ყმისას გაზდილიყო, აღარც იმან მოინდომა ჩემი თავი და თქვენც მოინდომეთ და ცოტარამა გამოგართვით, რითაც ჩვენი გული შეზჯერდებოდა“*[**დოკუმენტები.., 1940**: 145].

საინტერესოა, რომ ზოგჯერ თუმანიშვილები დახსნილ ყმებს მკაცრად ექცეოდნენ და სხვადასხვა პირთა ჩარევით იძულებულები იყვნენ მათთვის აზატულობის ანუ დახსნილობის წიგნი მიეცათ. მაგ. 1756 წ. 16 დეკემბრის არზით მარტყოფელი ყმა – მგელია

სომხიშვილი ერეკლე II-სთან ჩიოდა, რომ როცა დაკარგული იყო ხელთუბნელმა პაპუა თუმანიშვილმა დაიხსნა, 12 წელი მას ემსახურა, შემდეგ უბრალო საქმეზე გაუწყრა, სცემა, ფიზიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი კი ბატონის მოძღვარმა ნახა და პაპუას მისი გააზატება მოსთხოვა. თავდახსნიდან 5 წლის შემდეგ კი პაპუა თუმანიშვილმა აღნიშნული ყმა დაარბია და *„ულელი კამეჩი“* წაართვა [**ქართული.., 1981**: 34-35].

თუმანიშვილების სათავადოში გვხვდება გლეხთა ისეთი კატეგორია, როგორიცაა *„ხიზანი“.* დ. გვრიტიშვილის მოსაზრებით: *„ხიზანი“ გლეხთა ისეთი კატეგორიაა, რომელსაც მოუხერხებია ძველი მებატონისაგან გაქცევა, ახალ ბატონთან თავი შეუფარებია და თუმცა იურიდიულად ის ძველი ბატონის ყმად ითვლება, მაინც ახალ ბატონთან აწყობს პირად მეურნეობას... ხიზნის მიერ დაკავებული მიწა ხიზნის სამუდამო მფლობელობაში არ გადადიოდა. ხიზანს ბატონი ადვილად მოიშორებდა თუკი ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ამავე დროს ხიზანსაც უფლება ჰქონდა მიეტოვებინა მებატონე და ახალ ადგილზე ეძებნა თავშესაფარი“* [**გვრიტიშვილი, 1965** : 74].

ყმა-გლეხთა აყრა-გაქცევა ხშირი იყო ქვეყნის მძიმე საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო. *„ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“, „ლეკიანობის“* დროს, როდესაც გლეხთა ცხოვრება აუტანელი იყო. მოუსავლიანი წლები, გაღატაკება, მებატონეების მიერ ყმათა სასტიკი ექსპლოატაცია, თუ სხვა მოვლენები აგრეთვე იწვევდნენ ხიზანთა რაოდენობის ზრდას. სათუმანიშვილოდან ყმათა აყრა-გაქცევის შემთხვევები XVII ს. II ნახევრიდან ჩანს.

ამ მხრივ, საინტერესოა, 1679 წ. 1 ივლისს ალიხანაშვილების მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემული საბუთი: *„ესე საპატრონყმო წიგნი მოგართვით ჩვენ, ალიხანაშვილმა არაქელამ და ასატურამ და აბინდურამ... ბატონს მდივანს ზურაბს და სულხანს, ყალანდარს, გივს, დავითს, შიოს... ასრე რომ, თუ ჩუენ ყმობით სადმე წაგივიდეთ, თუ ყიზილბაშის ქვეყანას წაგივიდეთ. ყეენის მესისხლე ვიყოთ, თუ ურუმის ქვეყანას წაგივიდე, ხონთქრისა და ფაშის მესისხლე ვიყო, თუ ქართლის ქვეყანას წაგივიდე, გიორგი მეფისა და ამილახორის მესისხლე ვიყო“* [**ქართული.., 1985**: 854]. დოკუმენტიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალიხანაშვილები ერთ დროს აიყარნენ, თუმანიშვილებმა ისინი მოძებნეს და თავიანთ მამულზე დააბრუნეს, შემდეგ კი მათ აუყრელობის პირობა დაადებინეს.

გლეხის აყრა-ხიზნობასთან, ერთად ბატონყმობის წესის დარღვევა იყო თავადის ნებართვის გარეშე ქონების გაყიდვა.[4] 1697 წ. 20 მარტის განჩინებაში წერია, რომ გივი თუმანიშვილს გორელი ყმა წატურაშვილი ინდოეთში გაეპარა, განჯაში მიმავალს ავთანდილ კაჭკაჭიშვილი შეხვდა, რომელსაც გორში დატოვებული თავისი ორი წისქვილი მიჰყიდა. გაქცეული ყმა უმემკვიდრო იყო, სასამართლომ მის მიერ ქონების გაყიდვის შემთხვევა აღკვეთა და წისქვილები ბატონ გივი თუმანიშვილს მიაკუთვნა [**ქართული.., 1972**: 173-175].

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, თუმანიშვილთა ყმების აყრა-გაქცევა განსაკუთრებით გაძლიერდა *„ოსმალობა"-„ყიზილბაშობის"* დროიდან. თავადი თუმანიშვილები სამეფო კარის დახმარებით ცდილობდნენ გაქცეული ყმების პოვნასა და სამკვიდრო მამულებზე დაბრუნებას. 1732-1735 წლებში ისაყ-ფაშამ გივი ამილახვარს უბრძანა, აყრილი ყმების მოძებნაში დახმარებოდა ბეჟან თუმანიშვილს: *„მერმე ამ ბეჟან თუმანიშვილის გლეხი სადაც იყოს აყრილი კაცი, თქვენი კაცი გაგზავნეთ, მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულზედ მოაყვაინეთ. ნურა კაცი თავის მემკვიდრეს გლეხს ნუ დაუჭერენ, თვარემ პასუხს ვერ მოგვცემენ, ისევ თავის სამკვიდროს მამულში ჴნას და თესონ, სხვაგან რატომ ან ჴვნენ და ან დგანან?"* [**საქართველოს.., 1910**: 419]. ისაყ ფაშას აღნიშნულ ბრძანებას იხსენიებს გივი ამილახვარი 1732-1735 წწ. დოკუმენტში [**დოკუმენტები.., 1940**: 235]. ერთ-ერთი პიროვნება, რომელსაც ბეჟანის აყრილი ყმა ჰყავდა ბერი როსტიაშვილი იყო, ამას ვიგებთ 1732-1735 წწ. საბუთიდან: *„როსტიასშვილო ბერო, მერმე შენთან რომ ბეჟან თუმანიშვილის კაცია, შენთან არის. ან ეს ამოვა ან ამისი კაცი და თავისი ყმა მოეცით. რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს"*[**დოკუმენტები.., 1940**: 235].

საინტერესოა, რომ 1742 წ. 12 ივნისს ბეჟან თუმანიშვილი არზით ატყობინებდა თეიმურაზ II-ს, რომ ყმა-გლეხები აეყარნენ და სხვადასხვა მხარეს დაეფანტნენ. იგი მეფეს გლეხების დაბრუნებაში დახმარებას სთხოვდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მეფემ ბრძანა, რომ ვისაც კახეთში ბეჟან თუმანიშვილის ყმა ჰყავდა მისთვის უკან უნდა დაებრუნებინა [**ქართული.., 1981**: 18-19]. როგორც ჩანს, ბეჟანმა დაკარგული ყმები ვერ მოძებნა, ამაზე მეტყველებს 1750 წლის 12 ივნისის დოკუმენტი, რომელშიც იგი ამჯერად

[4] 1790 წლის 3 დეკემბრის არზის მიხედვით, მანუჩარ თუმანიშვილის ყმას, ალიხანას დაუკითხავად გაუყიდია ნავენახარი მიწა რუისში. მანუჩარი ერეკლე II-სთან ჩიოდა უკანონოდ გასხვისებული მამული არავის ეყიდა [**დოკუმენტები 1953**: 156-157; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 4. ს. 1].

ერეკლე II-ს მიმართავდა დახმარების თხოვნით და წუხდა, გლეხების აყრის, კახეთსა და სხვადასხვა მხარეში დაკარგვის გამო. ბეჟანი ისევ ცდილობდა მათ პოვნას [**ქართული.., 1981**: 27].

ხიზნობასთან დაკავშირებით 1763 წელს ერეკლე II-მ თუმანიშვილები მკაცრად გააფრთხილა: *„თუ რომ თქვენი მამულიდამ მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ დიდად ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ“* [**ხეც**, Qd – 77; **გსიემ**, 7782/2, ფ 87].

1781 წლის შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრიდან ვიგებთ, რომ თუ-მანიშვილების ყმა სოფ. ძევერაში იყო ხიზნად: *„ქ. აქავ ხიზანი თუმანიშვილი პაპუას ყმა ფეიქარი არუთინა კომლი ა, თავი ა“* [**ქალაქ.., 2013**: 88]. XVIII ს. II ნახევრის მეფის სადროშოს აღწერის დავთრის მიხედვით კი თუმანიშვილის ყმა ყარაღაჯში (სოფ. სიღ-ნაღის მუნიც.) იყო შეხიზნული: *„გიგია თუმანისშვილის ყმა ხიზანი გიგაური კომლი ა, თავიც ა, ივანე“*[**თაბუაშვილი, 2012**: 187].

უკვე აღინიშნა, რომ მტრის შემოსევა იყო გლეხთა აყრა-ხიზნობის მიზეზი. საინ-ტერესოა, რომ 1802 წ. 2 აპრილს მდივანბეგ სულხან თუმანიშვილს თავისი სოფ. თეთრი სოფლელი ყმები, რომლებიც *„მტრის შიშით“* აყრილები, კახეთში სოფელ ხორხელში ხიზნად იდგნენ, შემოდგომამდე ბატონს აუყრელობას სთხოვდნენ, *„რადგანაც ხორხელ-ში ცოტა რამ მოსავალი ჰქონდათ“*[**სეასცა**, ფ. 1450. დ. 25, ს. 21].

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა კუთხიდან აყრილ-გამოქცეული ყმები თუმანიშვილების სამფლობელოებსაც ეხიზნებოდნენ. მაგალითად, შიდა ქართლის მო-სახლეობის შესახებ, ერთი უთარიღო სტატისტიკური ამონაკრების მიხედვით, რომე-ლიც ივ. ჯავახიშვილმა XVIII საუკუნის შუა ხანებით დაათარიღა [**ჯავახიშვილი, 1930**: 40-41], მათ სამკვიდრო სოფლებში: ახალდაბაში 18, ხელთუბანში 60 და დიდ გარე-ჯვარში 19 ხიზანია აღნიშნული [**ჯავახიშვილი, 1974**: 182]. დაახლოებით, იმავე სურათს იძლევა ერთი უთარიღო ხიზნების ნუსხა, რომელსაც ს. კაკაბაძე XVIII საუკუნის შუა ხანით ათარიღებს. დოკუმენტის მიხედვით, ხელთუბანში, ახალდაბაში და გარეჯვარში ხიზნების რაოდენობა ჯამურად 90-ს აღემატებოდა (ყველაზე მეტი სოფ. ხელთუბანში იყო), რომლებიც ყაფლანიშვილების, ავალიშვილების, სააკაძეების, გარსევანიშვილებისა და სხვ. მებატონეთა ყმები იყვნენ [**გსიემ**, 7782/2, ფ. 53-56; **ხეც**, Qd-200]. ნათელია, რომ თუმანიშვილების მამულში ხიზანი გლეხების რაოდენობა დიდი იყო. ერეკლე II-მ 1767

წლის 13 დეკემბერს ლაშქარში გამოუცხადებლობისთვის თუმანიშვილთა *,,მამულში მდგომი“* 50 ხიზანი დააჯარიმა [**ჯავახიშვილი, 1974**: 104]. XVIII ს. II ნახევრის მოწმობის წიგნში სოფ. ხელთუბნელი თუმანიშვილები, გლეხები და სხვა პირები ემოწმებიან გიორგი თუმანიშვილს, რომ იმერელი ხიზანი ვინმე დათიკა, მასთან მოჯამაგირედ იყო [**დოკუმენტები.., 1953**: 41].

ვიქტორ გუჩუა ხიზანი გლეხების ერთ-ერთ კატეგორიას გამოჰყოფს, რომლებიც *„მიბარებულებად“* იწოდებოდნენ და თავისი ბატონის მიერ მიბარებულნი იყვნენ სხვა მემამულეზე [**გუჩუა, 1962**: 51]. თუმანიშვილთა სათავადო სახლის წევრები, როგორც ერთმანეთის, ასევე სხვა მებატონეთა ასეთ ხიზან ყმებს შეთანხმებისამებრ დროებით მეთვალყურეობდნენ. 1768 წლის 6 ივნისის ყმის მიბარების წიგნში დავით სახლთ-უხუცესის მიერ გიორგი თუმანიშვილისადმი ვკითხულობთ: *„ჩვენი ყმა სკრელი თამაზა მანდ ხელთუბანს ხიზნათ დგას. სანამ ჩვენ ავყრიდეთ და წავიყვანდეთ შენთვის მოგ-ვიბარებია. უბრალოთ ნურავის ამსახურებ და ნურავის გააგლეჯინებ. ამასთან ან თქვენ რა საქმე გაქვთ, ან სხვასა რომ გასარჯოს ვინმე. შენი მობარებულია და როგორც აქამდინ შენს ბიძაშვილს გიორგის ებარა, ახლა შენ თვალყური დაიჭირე ამაზე“* [**ქართული.., 1985**: 904]. 1783 წლის 5 დეკემბერს დავით თუმანიშვილი თავის ძმას ყმების მიბარების შესახებ წერილს წერდა: *„ჩვენი ყმები ოჰანა და ათუა რომ მანდა სახლობენ, ესენი უნდა თქვენ გებარებოდესთ, მინემ მე მოვიკითხევდე და ამათზედ ასე თვალყური უნდა მიუგდოთ, რომ არავინ არა გაგლიჯონ რა... როდესაც ჩემი ყმები მოვიკითხო, ესენი ისევ თქვენვე მამაგაროთ“*[**ქართული.., 1985**: 912].

თუმანიშვილები ურჩი ყმების მიმართ, გარკვეულ ზომებს იღებდნენ. როგორც ირ-კვევა, ზურაბ თუმანიშვილს უთანხმოება ჰქონდა თავის ყმებთან – იასე, ნინია და ბერუა მარღიშვილებთან, რომლებსაც დაუმორჩილებლობის გამო უჩივლა. საქმის განხილვის შემდეგ ყმები თავადთან შეარიგეს და 1782 წლის 2 ნოემბერს პირობის წიგნიც დააწე-რინეს: *„დღეის იქით ეს პირობა მოგართვით* (მარღიშვილებმა – **რ.მ.**) *რომ თქჳნზე* (ზურაბ თუმანიშვილი – **რ.მ.**) *არა დავაშაოთრა და რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს იმ გვარად გემსახუროთ“*[**სეასცა**, ფ.1450, დ. 37, ს. 80].

საყურადღებოა, რომ თუმანიშვილები ყმა-გლეხებს, რომლებიც აყრას აპირებდნენ, მეფესთან უჩიოდნენ. 1786 წ. 19 სექტემბრის არზაში, აღნიშნულია, რომ ყმა მარღიშვილი თუმანიშვილისაგან 20-წლიანი ყმობის შემდეგ გაქცევას ცდილობდა, ბატონი კი ამის

აღსაკვეთად მეფეს მიმართავდა: *„ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თუ-მანიშვილის გიორგის ობოლს ზურაბს... მარღიშვილები გახლავან ჩვენი ყმანი და ამათ-განე ერთი ძმა ტყვეთ დაკარგულიყო და ტყვეობიდამ გიახლათ, ისევ თავი დამიკვრა და ჩვენი ყმობა აღიარა, რომ ამისი უარის თქმა არ შეუძლია... ეს ოცი წელიწადი არის რაც ტყვეობიდამ გხლებია, ჩემს მამულზე დგომილა და ყმათ ყოფილა. ახლა... ცდილობს რომ ჩემის ყმობიდამ თავი მოისხლიტოს... გევედრები, ჩემს სამკვიდრო, მამა-პაპის ნამსახურ ყმას ნუ მამიშლით... მე ღმერთსა და თქვენს სამართალს მიმიმართავს თავი და ის* (ყმა მარღიშვილი – **რ. მ.**) *თეთრის მძლავრობით ჩემს ყმობას უარყოფს, თქვენს თავს მაწყენს და მე უბრალოთ მაღონებს ის რომ თავისის ძმების შურით მაწუხებდეს, მე ამაში უბრალო არა ვარ?“* [**ქართული.., 1981**: 695-696]. საინტერესოა რა შეწუხებას გულისხ-მობდა ზურაბი, როცა არზაში აღნიშნავდა – *„თავის ძმების შურით მაწუხებდეს“.* 1786 წ. 6 აგვისტოს დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ძმებ მარღიშვილებს გაყრისას წილებზე ჰქონ-დათ უთანხმოება და საქმის მოგვარებას ზურაბ თუმანიშვილს სთხოვდნენ [**ქართული.., 1981**: 690-691]. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ მარღიშვილთაგან ერთ-ერთი ძმა ბატონისაგან გაქცევას თავის ძმებთან უთანხმოების გამო ცდილობდა. ერეკლე II-მ თუმანიშვილის არზაზე ბრძანება გასცა: *„ტყვე რომ მოვა, ერთი თვე და ანუ ორი თვე ვისთანაც მივა და ეყმობა, იმას ყმობიდამ ვერ წაუვა. ეს ამდენი წელიწადი ამ თავის მებატონესთან ყოფილა და ჰყმობია... თუ იმ კაცს* (ყმა მარღიშვილი – **რ. მ.**) *სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს“* [**ქართული.., 1981**: 696].

1799 წ. 28 ნოემბრის არზით კი ნიკოლოზ თუმანიშვილი თავის ყმას, რომელსაც აყრა სურდა ფარნაოზ ბატონიშვილთან უჩიოდა: *„რამდენიმე წელიწადია ჩემს მამულში რეჯს იდგა კოშაძე. მერმე ჯელთუბანს მოვიყვანე, დავასახლე. ორმოც კოდამდინ სულა-დი მივე. მერმე ისევ რეჯს მოინდომა დგომა. ისევ ჩემს მამულში დავაყენე. ახლა აყრას აპირებს ერთის ოქმის წყალობა მიყავით... ან ჩემი მამცეს და რაც დაუხარჯავს, ან ფასი მომცეს. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში წამომყვეს... ნუ დამიგვიანებთ. ამ კაცმა არ გამასწროს კოშაძემ“* [**ქართული.., 1985**: 587].

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონის მხრიდან ყმისადმი უყურადღებობაც იწვევდა ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებასა და სურვილს თავი დაეღწიათ თავადისაგან. მაგ. 1795 წ. 3 ივლისს მანუჩარ თუმანიშვილს სოფ. ურბნისში მკვიდრი ყმის ქვრივ-ობლები ყუ-რადღების მიქცევას სთხოვდნენ: *„მანუჩარ მდივნის ჭირი თქვენის ყმის თევდორეს*

ქვრივსა და ობლებს მოგვცეს... ურბნის გახლავარ, სამი ვაჟი მყავს და ორი ქალი და ხარჯში მრევენ. თუ არას მიპატრონებთ, შვილებსაც დაგიკარგავ და ჩემს თავსაცა... შეჭირვებიდამ დაგვიხსენ... აქამდინ ჩემი ძმა მაძლებინებდა... თუ არას მიპატრონებ, წყალში მაინც შვილიან-თავიანად თავებს დავირჩობთ... ნუ უგულისხმა გვყოფთ... შენი სამკვიდრო ყმანი გახლავართ"[**დოკუმენტები.., 1953**: 176].

თუმანიშვილები მძიმე ექსპლოატაციას უწევდნენ თავიანთ ყმა-გლეხებს, ეს გამოიხატებოდა, როგორც ყმის პირადი ქონების ხელყოფით, ასევე მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლით. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყმა, ხშირად გაურბოდა პატრონს და სხვა მებატონეს აფარებდა თავს. 1789 წ. 29 აგვისტოს ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი თავისი ბიძაშვილის, ნიკოლოზის ყმებისადმი ცუდი მოპყრობის შესახებ ერეკლე II-ს მოახსენებდა: *„რაც თქვენი წყალობა ორიოთ კომლი კაცი გახლავთ და ან მამული გვაქვს, ის ხომ თქვენს სიმაღლეს მოეხსენება, რომ ამას წინათ ხელთუბანი და ახალდაბა როგორ წახდა და დატყვევდა მტრისაგან და რანიც გადარჩნენ, იმათ ხომ ნიკოლოზისაგან მოსვენება არა აქვსთ, რომ მტერზე უარესათ ეპყრობა და სულ აქა-იქ დაგვიფანტა, რომ ზოგისა არც კი ვიცი სად წავიდნენ. საქონელი და იარაღი არავის შეარჩინა"*[**საქართველოს.., 1910**: 526-527].

ზაქარია ჭიჭინაძეს ჩაუწერია თბილისელი მოქალაქის ნაამბობი, რომლის თანახმად, თავად თუმანიშვილებს თბილისში ძალიან ბევრი ყმები ჰყოლიათ. მათ შორის იყო ერთი ქვრივი დედაკაცი მთაწმინდის უბანში, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა. თუმანიშვილმა მას ჯერ ერთი შვილი წაართვა, ხოლო შემდეგ მეორეს წართმევაც დააპირა, თუმცა ქვრივმა შვილები გადამალა და თავადს უთხრა შვილები დავნიშნეო. ამ პასუხის გამგონე თუმანიშვილს დედაკაცისთვის: *„შეუყვირნია და... სამიოდე სახრეც მიურტყავს. დედაკაცს ტირილი დაუწყია, ტირილზე ბატონი უფრო გაჯავრებულა და ამიტომ ჩაუკეტია კარები და ისე უცემნია, რომ სულ ცხვირპირი ჩაუმტვრევია".* მეორე დღეს თავადს გადამალული ობოლი ქალიშვილები უპოვნია და სახლში დაუბრუნებია, მაგრამ ყმის ნათესავებს მოსყიდული მიკიტნის დახმარებით გოგონები დაუხსნიათ. სამწუხაროდ, - *„არც ერთმა მათგანმა დიდხანს ვერ იცოცხლა... რადგანაც... ბატონის დევნისა და შიშისაგან სულ კანკალებდნენო... ამ ბატონზე იმასაც ბძანებენ... ხშირად ლექსებსაც წერდაო"* [**ჭიჭინაძე, 1925:** 379-380].

ვ. გუჩუას აზრით, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონყმური ურთიერთობის ნორმები საქართველოში უცვლელი დარჩა და ხიზნობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის ფორმა კიდევ უფრო გაძლიერდა. რუსული ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად უფრო ძნელი იყო გლეხებისათვის აყრა-გაქცევა, რადგან სახელმწიფო მოხელეები ადვილად აგნებდნენ გაქცეულ ყმებს და ისევ ძველ მებატონეებს უბრუნებდნენ [**გუჩუა, 1963**: 147].

ხელისუფლებისა და თუმანიშვილების მხრიდან ასეთი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მათი ყმები მაინც ბედავდნენ და ახერხებდნენ აყრა-გაქცევას. 1825 წ. თავადმა დავით თუმანიშვილმა გადაწყვიტა, მოახლე გოგო აეყვანა სოფ. ხელთუბანში მცხოვრები ყმების: თათულა, მარტირუზა და არაქელა გიგიას-შვილებისაგან. ყმები ბატონის განზრახვას წინ აღუდგნენ და მთავარმართებელსაც მიმართეს. იმავე 1825 წელს ერთ-ერთი ძმა, თათულა, თუმანიშვილს თბილისში გაექცა. 1826 წელის კი ასევე მოიქცა მისი ორივე ძმა. ამიტომ, 1827 წ. დავითის ძმამ, იესე თუმანიშვილმა თხოვნით მიმართა გენერალ-გუბერნატორს, თბილისში გაქცეული აღნიშნული ყმები გადმოესახლებინათ პირვანდელ საცხოვრებელზე, სოფ. ხელთუბანში და ურჩობისათვის დაესაჯათ [**გოგოლაძე, 1971**: 409-410].

1832 წ. 29 აპრილს აღნიშნული თავადი იესე ეგნატის ძე თუმანიშვილი, რომელიც *„გორის უეზდის სუდის ზასედატელის პრაპორჩიკი“* იყო, განცხადებით მიმართავდა *„გორის უეზდის ისპრავნიკ“* პოპოვს ყმის გაქცევის შესახებ და ყმის მოძებნაში დახმარებას სთხოვდა: *„ჰევთუბნელი ჩემი მკვიდრი ყმის ივანეს შვილი სესია, რომელსაცა ვიმსახურებდი შინამსახურად... ერთს ღამეს ჩემდა უცნობელად... გამექცა, მის... არის ნიშნები სხეულისა ტანათ საშუალო... ღიპიანი, სახით პირდაკენკილი, ცხვირი მოკლე, ულვაშები ქერა, თვალებჭყეტია, თავმოპარსული. ტანისამოსი აცვია, ჩოხა მოწითლო ოსური, სარტყელი თეთრი ტილოსი, შარვალი თეთრი შალისა... ვთხოვთ თქვენს მაღალკეთილშობილებას... ჰქმნათ კეთილგანკარგულება და მოახდინოთ პუბლიკაცია, სადაცა ჯერ არს, რათა იგი მსახური ჩემი სესია არა იქმნას დაკარგული... მოყვანილ იქმნას ყარაულით ჩასაბარებლად ჩემდა“* [**დოკუმენტები.., 1953**: 261].

თუ ზემოთ მოტანილ დოკუმენტებს დავაკვირდებით, რაც დრო გადიოდა თუმანიშვილების სათავადოში კლასობრივი ბრძოლა უფრო მწვავდებოდა და მათ ყმები ხშირად გაურბოდნენ. მ. ახობაძე აღნიშნავდა, რომ 1857-1864 წლებში, საქართველოში

კლასობრივი ბრძოლა ახალ საფეხურზე ავიდა. აუტანელი საბატონო გადასახადებისა და ბატონყმური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით გლეხობა ეწეოდა მასობრივ ანტიფეოდალურ ბრძოლას. ყმების ურჩობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ხმები ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ვინაიდან მებატონეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ყმათა ექსპლოატაცია. 1857-1861 წლებში გლეხთა მღელვარება განსაკუთრებით ძლიერი იყო გორის მაზრაში, სადაც მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა იყო [**ახობაძე, 1953**: 69, 73, 77-78 80]. XIX ს. 50-60-იან წლებში თუმანიშვილების სათავადოშიც ამგვარი მწვავე ვითარება უნდა ყოფილიყო, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელ მასალებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. თუმანიშვილებს ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებისას, თავისთავად, ჩამოერთმეოდათ ყმები ან შესაძლოა რეფორმამდელ პერიოდშიც, როცა არსებობდა სახელმწიფო ხაზინაზე ყმების დარიცხვის პრაქტიკა. მაგ. 1852 წელს მაჩაბლების ყმები (2000 კომლი) გადაეცა სახაზინო უწყებას, სანაცვლოდ ვორონცოვის ინიციატივით მაჩაბლებს დაენიშნათ ყოველწლიური პენსია [**სოსიაშვილი,** 2005: 79].

თავადი ვალდებული იყო ყმისთვის ყურადღება მიექცია და საჭიროების შემთხვევაში ისინი გაეყარა კიდეც. 1731 წლის 10 იანვრის განჩინებით, მდივან სულხანს თავისი ყმები, მამულაშვილები გაუყრია და ქონება გაუნაწილებია [**ქართული.., 1972**: 324-325]. 1793 წ. 20 იანვარს შედგენილი ბირთველ თუმანიშვილის არზიდან ირკვევა, რომ მის ყმას, ბარხუდარაშვილს ძმასთან გაყრის თხოვნით გიორგი ბატონიშვილისთვის მიუმართავს და მასაც გაყრის ოქმი უბოძებია, მაგრამ ამას აპროტესტებდა ბირთველი და უფლისწულს შეახსენებდა, რომ საკუთარი ყმები თვითონ უნდა გაეყარა: *„მეც თქვენი მონა გახლავარ და ჩემი კაციცა. მაგრამ თუ გაყრა არის, მე უნდა გავყარო ესენი... ჩემს კაცთან ვის რა საქმე აქვს. წყალობას ვითხოვ, ის ოქმი დააყენოთ. თუ მე მოვარიგე და ან სამართლიანად გავყარე... რაღა სიტყუა ექნებათ და თუ მე ვერ მოვარიგებ ან და ვერ გავყრი, მამაჩემს გიორგის დავიბარებ და ის დიაღ... სამართლიანად ან მოარიგებს და ან გაყრის. ჩემს ყმებს აქვს რამე, ისიც ვიცი და არა აქუსთ რა, ისიც კარგად ვიცი“* [**ქართული.., 1985**: 189-190].

აღსანიშნავია, რომ იმავე წლის 13 მაისს თუმანიშვილების ყმამ, ხელთუბნელმა არუთინა ბარხუდარაშვილმა, რომელსაც მამასთან დავა ჰქონდა და გაყრა სურდა, ერეკლე II-ს მიმართა: *„ერთი ოქმი გვეგზავნოს ჩვენს ბატონს თუმანისშვილ გოგიაზედ,*

როგორც სამართალი იყოს, ისე ჩვენმა ბატონმა გაგავასამართლოს, სხვას ვისამე მოსამართლეს საქმე არა ჰქონდეს რა, რადგანაც რიგი არის, ყმა თავისმა ბატონმა უნდა გაასამართლოს" [**ქართული.., 1985**: 209; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 17, ს. 178].

ბატონი ვალდებული იყო ყმებს შორის არსებული ქონებრივი დავა გაერჩია. 1791 წლის 18 იანვარს ზურაბ თუმანიშვილის ყმის – მარღიშვილის ობლები დედოფალ დარეჯანს არზით სთხოვდნენ, ზურაბს, მათი გაყრის შემდეგ წარმოქმნილი ქონებრივი დავა სამართლიანად გადაეწყვიტა [**ქართული.., 1985**: 90]. XVIII ს. ერთი უთარიღო საბუთიდან ჩანს, რომ ქრისტეფორე და გორჯასპი თუმანიშვილებმა თავიანთ ახალდაბელ ყმებს შორის დავა გაარიგეს: *„საზულასშვილს მივეცით წისქვილი იქით მხრის წყლისკენ ერთი აბრუნებული და ერთი ასაბრუნებელი... როგორიც სახლი უნდოდეს, ერთი იმისთანა სახლი ააშენოს... საზულას შორის წისქვილის მეტი არ ააშენოს, რომ წყალი უკვდავათ ქონდეს"* [**დოკუმენტები.., 1940**: 263; **ქართული.., 1972**: 389]. 1796 წ. 13 ოქტომბრის საბუთის მიხედვით, კი მდივან სულხან თუმანიშვილის ახალდაბელი ყმები, როსტომაშვილები და მისი ბიძაშვილის ყმა, სიმონა პაპუაშვილი წისქვილის წყალზე ედავებოდნენ ერთმანეთს. სულხანი მღვდელ ოქროპირიძეს წერდა, ყმებს შორის სადაო წისქვილის საქმეზე მოწმეები დაეკითხა [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 4033].

თუმანიშვილების მფლობელობაში მყოფი ყმა-გლეხების ვალდებულება, ისევე როგორც სხვა სათავადოებში, განისაზღვრებოდა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და საბატონო გადასახადებით. გლეხთა საბატონო გადასახადები რამდენიმე ტიპად იყოფა: ნატურალური, შრომითი და ფულადი. თუმანიშვილების სათავადოში ნატურალური და შრომითი საბატონო გადასახადის საილუსტრაციოდ, საინტერესოა 1703 წლის სითარხნის წიგნი, საიდანაც ვიგებთ, რომ გივი თუმანიშვილმა ყმა ნატურალური გამოსაღების – ღალა და კულუხისაგან გაათავისუფლა, თუმცა დააკისრა შრომითი გადასახადი, რთველის დროს ვენახში მუშაობა: *„სითარხნის წიგნი გიბოძეთ... თქვენ, ბერდიკელს ყმასა ჩვენსა რამინასა... ასე გითარხნეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა გეთხოებოდეს რა. ერთ დღეს მამაცობით ვენახში უნდა გვიმუშაოთ* [**დოკუმენტები.., 1940**: 120].საინტერესოა 1831 წ. 1 აგვისტოს ღალის ნუსხა, რომლის თანახმადაც გიორგი და დავით თუმანიშვილების მიერ სოფელ ხელთუბნის, გარეჯვრისა და ახალდაბის ყმა-გლეხებზე შეწერილმა ნატურალურმა გადასახადმა 162 ½ ურემი ყანა და 34 ურემი ქერი შეადგინა [**მასალები.., 1955**:

511-513; **ხეც,** Hd 3571]. როგორც გ. აკოფაშვილმა გაარკვია, მანუჩარ თუმანიშვილმა XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში შრომითი მაგალითად, ქალაქში პურის ურმით ჩატანის ვალდებულება ფულადი გადასახადით ჩაანაცვლა. მან ნატურალური საბატონო გამოსაღები (ღალა და კულუხი) ზოგიერთ შემთხვევაში ფულადი სახით შეცვალა. ფულადი გადასახადების გაღება გლეხებს ხშირად ეძნელებოდათ [**აკოფაშვილი, 1963**: 102].

ყმის ერთ-ერთ საბატონო ვალდებულებას წარმოადგენდა საქვრივო. XIX საუკუნის დასაწყისში თუმანიშვილების სათავადოში აღნიშნულ გამოსაღებს ფულადი სახე ჰქონდა. მანუჩარ თუმანიშვილი 1806 წლის შემოსავლის ნუსხაში წერს: *„ჭ. ქ. მცხეთი კაცის საქვრივო (5 მინალთუნი), ც. ქ. დიღმელის საქვრივო (2 მინალთუნი)“.* იმავე წლის 14 დეკემბერს მანუჩარის მიერ მამასახლისისადმი მიწერილ წერილში საქვრივო 4 თუმანია. იგი თანდათან ზრდიდა საქვრივო გადასახადს, მან 1807 წლის 22 მაისს გორში თავის ყმის ქვრივს 6 თუმანი სთხოვა. თუმცა, 1817 წლის საბუთით, ახალდაბელი ყმის ქვრივს შედარებით ნაკლები 1 თუმანი შეაწერა [**აკოფაშვილი, 1967**: 144-145; **ხეც:** Sd- 4189, 3679, 3715, Qd-7676].

გლეხები, ნატურალური სახით იხდიდნენ *„ძღვენის“* (სააღდგომო, საშობაო, ნათლისღების, საყველიერო, სამარხო, საახალწლო) გამოსაღებს [**აკოფაშვილი, 1973**: 562]. საინტერესოა, რომ 1809 წ. 20 ოქტომბერს თავადი ეგნატე თუმანიშვილის მონათხრობის თანახმად, მას გიორგი XII-ის მიერ ნაწყალობევი ყმები კვლავ მსახურობდნენ ბატონყმობის წესისამებრ, თუმცა ყმებმა *„ძღვენის“* ნაცვლად ყოველწლიურად ფულადი გადასახადის *„მახტას“* გაღება იკისრეს: *„სხუათა სამსახურთ გარდა განიკუზთეს ნებითა თვისითა ყოველ წლივ ძღუზნთათჳს სამაგიეროდ მახთად წელიწადსა შინა პაპამ თუმან ნახევარი, სარქისამ ორი თუმანი და მიკირტუმამ ერთი თუმანი“* [**დოკუმენტები.., 1953**: 228].

საგლეხო გადასახადი იყო *„სამასპინძლო“*, რომელიც ნატურალური პროდუქტებით, ღვინით, პურით, საკლავით და სხვ. სახით გადაიხდებოდა, ზოგჯერ ფულითაც [**აკოფაშვილი, 1967**: 137]. სავარაუდოდ, *„ყიზილბაშობის“* დასასრულს შედგენილ თუმანიშვილთა ყმების ნუსხაში, სურსათისა და სამასპინძლოს გამომღები 31 ყმაა აღწერილი [**გსიემ**, 7782/4, ფ. 375-378; **სეასცა**, ფ. 1448, ს. 1692]. აღსანიშნავია, რომ სამასპინძლო ფეოდალური ბატონყმური ურთიერთობის სახეობაა და მისი გადახდა ყმა-გლეხებს ევალებოდათ, როგორც თავიანთი ბატონის სასარგებლოდ, ისე სახელმწიფოს წინაშეც [**აკოფაშვილი, 1967**: 136-137].

თუმანიშვილთა სათავადოში ვხვდებით ბატონყმობის წესის დარღვევას, კერძოდ გლეხთა მიერ საბატონო გამოსაღებისაგან თავის არიდებას. 1773 წ. 7 დეკემბრის არზაში ბეჟან თუმანიშვილის ობოლი გოგია წერდა, რომ ყმები საბატონო გადასახადებს არ უხდიდნენ: *„ერთი წლისა გახლდი, რომ მამა მომიკუდა. ახლა ათი წლისა ვარ. აქამდისინ ჩემი ყმები მინახევდნენ, ჩემის მამულის ღალა და კულუხი მოჰქონდათ, იმითი ვრჩებოდი. ახლა ეს მესამე მოსავალია, რომ ჩემი ყმები ყურს არ მიგდებენ და ჩემთვის აღარა მაქვს რა, სხვის სამადლო ლუკმაზე ვდგავარ. ამ მოწყალებას გევედრებით... როგორც აქამდისინ უმსახურნიათ ჩემს ყმებს, კიდევ ისე მემსახურნენ“*[**ქართული.., 1981**: 243].

იგივე შინაარსისაა 1800 წ. 21 ივნისის *„არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა ყმების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით“,* რომელშიც იგი წერდა: *„ხუთი კომლი კაცი მყავს აქა. ექვსი წელიწადია არა უმსახურნიათ რა. წყალობას ვითხოვ, ოქმი და იასაული მებოძოს, ბატონყმობის რიგზედ მემსახურნენ. თუ სიტყვა ქონდეს რამე, სამართალში მოგახსენონ“* [**ქართული.., 1985**: 656]. რა იყო ნიკოლოზისადმი ყმების დაუმორჩილებლობის მიზეზი? 1800 წლის 27 ივნისს ნიკოლოზი თავის ბიძაშვილებს აბრალებდა ყმების ურჩობას: *„ორი კომლი გელეგაშვილები დაურიგებიათ, ნუ ემსახურებითო, ჩემს ბიძაშვილებს წილი არ უძევს თქვენშიაო“*[**ქართული.., 1985**: 658-659].

თუმანიშვილების საკუთრებაში არსებული ყმა-გლეხების ვალდებულება, ისევე როგორც სხვა სათავადოებში, განისაზღვრებოდა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო გადასახადებითაც. გვიანფეოდალურ საქართველოში გლეხთა გადასახადს წარმოადგენდა *„სათათრო“* გამოსაღებელი, რომელიც სხვადასხვა სახის იყო: *„სათათრო საური“, „სათათრო მალი“, „სათათრო ულუფა“, „დამღა“, „ყალანი“, „საყაენო“* და სხვ. აღნიშნული გადასახადები დამპყრობელისაგან იყო დაწესებული ყმა-გლეხებზე [**გაბაშვილი, 1953**: 133] და მათი ჯარის სურსათ-სანოვაგით მომარაგებასთან იყო დაკავშირებული.

ყველა სათავადოს მსგავსად, სათუმანიშვილოსაც ევალებოდა *„სათათროს“* გამოღება. ამ მხრივ დოკუმენტები მრავლად გვაქვს. დამპყრობლებისათვის გადასახადების აკრეფის პროცესს, ზოგჯერ მებატონეთა მხრიდან უკმაყოფილება თან სდევდა. საინტერესოა, *„ოსმალობის“* ხანის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ქაიხოსრო თუმანიშვილმა ოსმალო მოხელეს უჩივლა. ეს არის 1732 წლის თურქული საბუთი, გორის ყადის განაჩენი ხელთუბნის მცხოვრებ ქაიხოსრო ესტატეს ძის (თუმანიშვილის – **რ.მ.**) საჩივრის გამო, იმის შესახებ, რომ მან ჰასან ჩავუშ აბდულ-ლაჰის-ძეს გადასცა სოფ.

ხელთუბანში ჯიზიას გადასახადის აკრეფის უფლება, თუმცა იგი შეწერილ ბეგარას დანიშნულებისამებრ არ განკარგავდა [**შენგელია, 1974**: 225]. ცხადია, ქაიხოსრო ესტატეს ძემ თავის სამფლობელოში აკრეფილი გადასახადის არამიზნობრივად ხარჯვის გამო უჩივლა ოსმალო მოხელეს.

ოსმალური გადასახადი იყო *„მირი“,* რომელიც მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული. *„მირი“* ოსმალეთში სახელმწიფო მიწების კატეგორიას ეწოდებოდა [**გაბაშვილი, 1953**: 148]. თუმანიშვილები იხდიდნენ *„მირისა“* და *„ონდალუხის“* გადასახადს. 1724-1735 წწ. შედგენილ საბუთში თუმანიშვილებზე შეწერილი *„მირის“* გამოსაღების ნუსხა ასეთია: მდივანმა გორჯასპიმ – 5 თუმანი და 6 მინალთუნი, ყარდაშამ – 1 თუმანი, 7 მინალთუნი და 2 აბაზი, მელიქმა – 2 თუმანი, 6 მინალთუნი და 4 აბაზი, პაპუამ და ბირთველმა – 5 თუმანი, 6 მინალთუნი და 1 აბაზი, ბეჟანამ – 5 მინალთუნი, 4 აბაზი, ზაზამ – 3 მინალთუნი და 1 აბაზი, თაყას მამულმა და მამუკამ – 3 თუმანი და 2 მინალთუნი, ალხაზას მამულმა – 8 მინალთუნი და 3 აბაზი, ქაიხოსროს მამულმა – 8 მინალთუნი და 3 აბაზი, ბაინდურმა – 6 მინალთუნი და 2 აბაზი [**მასალები.., 1955**: 40; **ხეც**, Hd 3131].

1734 წლის თუმანიშვილების *„მირის“* გადასახადის მიბარების ბარათში წერია: *„ჩვენო დიდო იმედო თუმანისშვილებო წრევანდელის თქვენის მირის ანგარიშიდამ, შვიდი თუმანი ამ აღასი უზბაშის თაბუნს მიეცათ. ანგარიშში გავატარებთ“* [**ოთხმეზური, 1973**: 22]. თუმანიშვილებისათვის შეწერილი *„მირის“* წლიური ბეგარა 1737 წელს 13 თუმანს შეადგენდა [**საქართველოს.., 1910**: 446], ხოლო 1738 წელს 22 თუმანი იყო [**მასალები.., 1955**: 40-42; **ხეც**, Hd-3712, Hd-13665]. მოტანილ საბუთებს თუ დავაკვირდებით, 1734-1738 წწ. *„მირის“* გამოსაღები თანდათან მატულობდა, ასევე *„მირი“, „ყიზილბაშურ“* პერიოდშიც იკრიფებოდა მიუხედავად იმისა, რომ იგი ოსმალურ გადასახადს წარმოადგენდა, თუმცა მეორე მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ *„ყიზილბაშობის“* დროს ტერმინი *„მირი“ „მალუჯათის“* შესატყვისად იხმარებოდა.

1735-1738 წწ. საბუთში თუმანიშვილებისათვის შეწერილი გადასახადები ამგვარადაა წარმოდგენილი: *„ბატონის ალავერდი-მირზისა და ვექილის ალიყული-ბეგის დიდათ იმედათ მისაჩენელო მდივანო გორჯასპი და ერთობით თუმანიანო! თქვენი მამულის მირი ოცი თუმანია, ონდალუხი ორი თუმანი, ეს თეთრი გარიგეთ. თუ გინდათ სურსათი ჩამოიტანეთ გორს“* [**ოთხმეზური, 1973**: 27; **საქართველოს.., 1910**: 448]. თ.

ოთხმეზურის მოსაზრებით ონდალუხის გადახდა შეიძლებოდა, როგორც ფულადი სახით, ასევე ნატურით [**ოთხმეზური, 1973**: 27]. თუმანიშვილები *„მირის“* გადასახადს შეთანხმებისამებრ ინაწილებდნენ, რადგან 1739 წლის *„მირის“* ანგარიშში ისინი აღნიშნავდნენ: *„ამ წელიწადს რომ თუმანისშვილებმა ჩვენის მამულის მირი გავიყავით ერთმანეთის რაზით“*[**სეასცა**, ფ. 1448, ს. 1818].

1735 წ. ქართლში *„ოსმალობა“ „ყიზილბაშობამ“* შეცვალა. ქართლის მოსახლეობას მძიმედ დააწვა *„ყიზილბაშური“* გადასახადები. სათავადოებს, მათ შორის, სათუმანიშვილოს აწერდნენ ლაშქრობისათვის საჭირო სურსათსაც. ამაზე მეტყველებს 1735 წლის ვექილი ალი-ყული-ბეგის (გამაჰმადიანებული ამირეჯიბი) ბრძანება ვინმე ასპანასადმი, რომელშიც აღნიშნულია: *„მერმე ქაზუმხანისა და ავშრის ჯარის სურსათი, რაც თუმანიანთ ეწერა, აქ გორჯასპი მდივანს და ამის ბიძაშვილებს გამოართვეს. პაპუა თუმანიშვილი ხელში ვერ ჩაეგდოთ, რაც ამ პაპუას წილათ სურსათი შეაგდონ და შეხვდებოდეს, გამოურთვი და მოაბარე გორჯასპი მდივანს“*[**საქართველოს.., 1910**: 443].

1736 წლის 11 იანვარს შედგენილ სურსათის მიღების ბარათში ნათქვამია: *„მოიტანა თუმანისშვილმა ბეჟანამ ზემო ქართლის სურსათისა, კოდზე ორი შაურისა, ათი თუმანი“* [**საქართველოს.., 1910**: 443] თუმანიშვილებზე შეწერილ გამოსაღებს ეხება 1737 წლის 7 ივნისის წერილიც: *„მამეგარა მე სეითა უსინას თუმანისშვილი ყარდაშას და გიორგასგანა ფეშაქშას მანძილის ციხის მუშის თეთრი მინალთუნი თხუთმეტი“* [**საქართველოს.., 1910**: 445].

„ყიზილბაშობის“ ხანაში თუმანიშვილების მიერ კოდისპურის გადასახადის გაღების დასტურია 1737 წ. 6 თებერვლის ბარათი, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი დაგვიანებით გადაუხდიათ: *„მოგვეგარა ჩვენ ბატონისშვილს შანავაზს მირზას თუმანიშვილების ძველი სურსათის დანარჩომის ყაბზი ოცდასამის კოდისა და ექვსის ლიტრისა* [**საქართველოს.., 1910**: 444].

სხვათა შორის, 1737 წელს სეფი-ხანი სველნელებს (სვენეთელებს) ბრძანებით აწვდიდა ინფორმაციას, რომ ვისაც თუმანიშვილებისათვის მამული ჰქონდა მიყიდული მისი *„მირის“* ბეგარა თუმანიშვილებს უნდა გადაეხადათ და არა სველნელებს [**საქართველოს.., 1910**: 446-447]. ოსმალური წლიური გადასახადი იყო *„სალიანი“,* თუმცა ის *„ყიზილბაშობის“* დროს შედგენილ საგადასახადო დოკუმენტშიც იხსენიება. კერძოდ, 1738 წლის სურსათის მიღების წიგნში წერია: *„მოვიდა თუმანიანთ სურსათის სალიანი*

რუისიდამ, ახალდაბიდამ და გარეჯვრიდამ, პური, ლიტრა ორასი, იქს ნახევარი 100. ქ. განჯის სურსათი ავთანდილას ყაბზია" [**ოთხმეზური, 1973**: 27-29; **საქართველოს.., 1910**: 448].

„ყიზილბაშობის" პერიოდში ნ. ბერძენიშვილის თქმით: *„მოსახლეობა მოვალე იყო საკუთარი ხარჯით გამოეყვანა და შეენახა ჯარის გარკვეული რაოდენობა „ნოქარი" ხოლო ქართლში მყოფი ყიზილბაშთა ჯარისათვის „სურსათი" ეძლია"* [**ბერძენიშვილი, 1944**: 200]. თუმანიშვილების დაანგარიშებით 1738 წელს *„ნოქრის"* ხარჯმა *„სათუმანისშვილოდამ"* – 13 თუმანი, 5 მინალთუნი, 3 აბაზი და 1 ბისტი შეადგინა [**მასალები.., 1955**: 42-44; **ხეც**, Hd-7971]. თითქმის იგივე ოდენობის თანხა აქვთ შეწერილი მათ, ამავე ხანებში შედგენილ კიდევ ერთი *„ნოქრის"* ხარჯის ნუსხის მიხედვით, რომელშიც ყმათა რაოდენობა 50-ს აღემატება [**დოკუმენტები.., 1940**: 284–286]. სავარაუდოდ, *„ყიზილბაშობის"* დროს შედგენილ თუმანიშვილების ყმათა ნუსხის თანახმად, *„ნოქრის"* ხარჯი 31 ყმას აკისრია [**გსიემ**, 7782/4, ფ. 375-378; **სეასცა**, ფ. 1448, ს. 1692].

თუმანიშვილთა ყმები იბეგრებოდნენ *„მალანითაც"*. 1746 წელს თუმანიშვილებმა 11 გლეხს 2 თუმანი, 3 მინალთუნი და ოთხი აბაზი გამოართვეს: *„რაც გლეხს კაცს ნაღდი მალანი დავაწერეთ ეს არის"* [**მასალები.., 1955**: 55; **ხეც**, Hd-3599].

ერთ-ერთ უმძიმეს გადასახადს წარმოადგენდა *„მალუჯათი"*. ვ. გაბაშვილის განმარტებით, *„მალუჯათი"* შედგება ორი სიტყვისაგან *„მალისა"* და *„ჯიჰათისაგან"* (*„მალ ვა ჯიჰათ", „მალ უ ჯიჰათ"*). *„მალი"* ნიშნავს ქონებას, საკუთრებას, საქონელს, ხოლო *„ჯიჰათ"* საგადასახადო ობიექტებს. *„მალუჯათი"* ითვალისწინებდა მოსავლის გარკვეულ წილს, რენტა-ხარკის ძირითად ნაწილს და მიწისმოქმედებაზე დაწესებული გადასახადი იყო. *„მალუჯათის"* ვარიანტს წარმოადგენდა *„მალი",* ხოლო მის სინონიმებს *„ბაჰრა"* და *„ხარაჯა"* [**გაბაშვილი, 1953**: 143, 148].

„მალუჯათის" გადახდა ჭირდა. თუმანიშვილთა შორის გამოირჩეოდა გორჯასპი მდივანი, რომელმაც დიდი გაჭირების ფასად გაუძლო *„ოსმალურ"*-*„ყიზილბაშურ"* გადასახადებს, რათა მამულები არ დაეკარგა. 1769 წ. 28 თებერვალს შედგენილ არზაში მდივანი გორჯასპი იხსენებდა, რომ მას ჯერ კიდევ *„ოსმალობის"* პერიოდში ღვთისავარა თუმანიშვილის განაყარმა მამული მისცა, რადგან *„მალუჯათის"*[5] გადახდა უჭირდა. თუმცა, გორჯასპისაც გაძნელებია მისი მიცემა: *„ღმერთმან ინდენი შენი წყალობა*

[5] როგორც ჩანს, გორჯასპი *„მალუჯათს"* ოსმალური *„მირის"* შესატყვისად იყენებს.

მამცეს, რამდენჯერ სიკვდილს და ამ ქვეყნიდამ დაკარგვას ვინატრებდი ხოლმე, რომ ორი შაურის გულისათვის ფეხი არ გვაცვლევინებდენ და ჯოხის მაგიერად ნაჯახს იცემებოდნენ, მაგრამ რა ღონე მქონდა, თავს დამედო უნდა გარდამეხადა" – წერდა გორჯასპი [**ქართული.., 1981**: 144]. ნათელია, რომ მას დიდი სიძნელეების ფასად შეუნარჩუნებია ყმა-მამული, ამას 1784-1787 წწ. წერილში მისი შვილი მდივანი მანუჩარიც აღნიშნავდა: *„მამა ჩვენს... დაფანტული თითო თითო გლეხი თითოს ლომის და ვეშაპის პირიდამ გამოუყვანია და ერთად შეუკრებია და ყიზილბაშობას რა ყოფაები ყოფილა რამდენს გაუშვია ყმა და მამული უპატრონოთ რამდენს სხვისათვის მიუცია ხარჯიც შენ აძლიე და ყმა და მამულიც შენი იყოსო... მამა ჩემა ღ-ის მოწყალებით არც იმ დროებში მამული გაყიდა არც ყმები გაჰყიდა და დაფანტა ყაირათი გასწივა ჯოხის მაგიერ ნაჯახით იცემებოდა რაც თავის მონაგარი იყო გაიღო მირსა და მალუჯაათში რომ ერთი დიდი პარკი ბარათები მირისა და მალუჯაათისა შინ მიძევს"* [**გსიემ**, 7782/6, ფ. 486].

1741 წლის თუმანიშვილების ხარჯის ანგარიშიდან ვიგებთ, რომ მათ *„მალუჯათი"* 22 თუმანი შეაწერეს, რაც თუმანზე 5 ხარვარი ქერის და პურის გადახდას გულისხმობდა, მაგრამ თუმანიშვილებმა შეწერილი გამოსაღების ნატურით გადახდა სრულად ვერ შეძლეს და რაც *„ვერ იშოვნეს"* ხარვარზე შვიდი მინალთუნი თეთრი გადაიხადეს [**მასალები.., 1955**: 46, 51]. ასევე თუმანიშვილებმა თავიანთ განაყოფებსაც დაუფარეს შეწერილი გადასახადი: *„რაც თავის თავის კერძი მალუჯათი ეწერა, იმას გარდა სხვა თუმანისშვილების მალუჯათი რაც აკლდა, ჩვენ დაგვიჭირეს და გამოგვართვეს ჩვენს წილზე მეტი სხვა ჩვენის განაყოფების გულისათვის"* [**მასალები.., 1955**: 52; **ხეც**, Hd-1802].

ფეოდალურ საქართველოში არსებობდა, რამდენიმე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – სადროშო. XVII ს. პირველი მესამედის საბუთის თანახმად, თუმანიშვილების სათავადო ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა [**გვასალია, 1983**: 27; **მამისთვალიშვილი, 2018A**: 376], თუმცა, როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს სადროშოს საზღვრები მყარი არ იყო [**მამისთვალიშვილი, 2018A**: 376]. სახელმწიფოს წინაშე თუმანიშვილთა ყმა-გლეხების ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენდა ლაშქრობა. 1769 წ. 10 ოქტომბერს ერეკლე II-ის ბრძანებით, ზემო ქართლზე შეწერილი მოლაშქრეთა სიით თუმანიშვილებს 25 მებრძოლის გამოყვანა დაევალათ: *„კგ ... ქ. სათუმანისშვილომ ედიშერ მდივნის ყმის გარდა კაცი ბ ... ქ. ედიშერ მდივნის წილმა ბეჟანის ყმით კაცი"* [**სეასცა**, ფ. 1461, რვ. 12, ს. 27].

სალაშქრო ვალდებულებას ეხება 1787 წ. 5 ნოემბრის ბრძანება საამილახვროდან მებატონეების მიერ ჯარის გამოყვანის შესახებ, რომლის მიხედვითაც 4 მოლაშქრე შეაწერეს სულხან, პაპუა, ეგნატი, იოსებ, ელიზბარ და გოგია თუმანიშვილებს [**ჯავახიშვილი, 1974**: 149], ხოლო 1787 წ. 26 დეკემბრის ბრძანებით სხვა მებატონეების მსგავსად თუმანიშვილებს აკისრიათ სამხედრო ვალდებულება ყმებითურთ [**ჯავახიშვილი, 1974**: 150]. თუმანიშვილების გლეხებითურთ სამხედრო ვალდებულების კიდევ ერთი მაგალითია 1787 წ. ახლო ხანებში შედგენილი ჯარში გამსვლელთა ნუსხის ფრაგმენტი, რომელშიც სათუმანიშვილოდან აღნიშნულია 15 მოლაშქრე:

„გ ქ. თუმანის-შვილის სულხანის კაცი

გ ქ. იოსებ მდივნის შვილი დიმიტრი ორი კაცით

ა ქ. ბირთველის კაცი ერთი

გ ქ. პაპუას-შვილი იოსებ ორი კაცით

ბ ქ. ეგნატე მდივანი ერთის კაცით

გ ქ. გოგია ასანის-შვილის კაცი“ [**ჯავახიშვილი, 1974**: 153].

საგულისხმოა, რომ 1789 წ. 19 თებერვლის საბუთის მიხედვით, ერეკლე II-მ სამხედრო ვალდებულების სანაცვლოდ (მეფემ 252 მოლაშქრე გააგზავნა ყარაბაღში) ფეოდალები ორი წლით *„საქვეყნო ხარჯისაგან“* გაათავისუფლა. ამ შემთხვევაში მეფემ თუმანიშვილებს 7 მოლაშქრის გამოყვანა დაავალა [**ჯავახიშვილი, 1974**: 155-157].

თუმანიშვილთა გლეხები სამხედრო ვალდებულებას ზოგჯერ თავს არიდებდნენ. ერეკლე II-მ 1767 წ. 13 დეკემბრის ბრძანებით ლაშქარში გამოუცხადებლობისთვის თუმანიშვილების 80 ყმა-გლეხს და მათ მამულზე მდგომ 50 ხიზანს ფულადი ჯარიმა 26 თუმანი დააკისრა: *„ამ სიით ვისაც ეს კაცი ჰკლებოდეს, როგორც ამაში გვებძანებინოს ასე უნდა დაირბეს და ყველას უკლებლივ გამოერთვას ეს თეთრი... ახლა ზემო ქართლს ჯარი ვთხოეთ, იმ ანგარიშის კაცი ვისაც აკლია ნახევარი ეპატივათ, ნახევარი უნდა დაირბას კაცზედ უნდა გამოერთავს წ...*

ქ. თუმანიანთ აკლიათ კაცი პ, ამისი ნახევარი იქმება მ. იქნება თეთრი თექვსმეტი თუმანი

ქ. ამათ მამულში მდგომი ხიზანი კაცი აკლია ნ, ამის ნახევარი იქნება კე. იქნება თეთრი ათი თუმანი“ [**ჯავახიშვილი, 1974**: 104].

სალაშქრო ვალდებულების გარდა, თუმანიშვილების ყმები იხდიდნენ უშუალოდ მეფის მიერ დაწესებულ სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადებს. ცნობილია, რომ 1772 წელს მეფე ერეკლემ, ანტონ I კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი პეტერბურგში დიპლომატიური მისიით გააგზავნა. მანამდე კი 1771 წ. 7 დეკემბერს ამ მისიის უზრუნველსაყოფად თანხის შეგროვება ფეოდალებს უბრძანა კომლზე ოთხი აბაზისა და აყრილ გლეხზე ათი შაურის გათვალისწინებით. თუმანიშვილებზე შეწერილი თანხა 4 თუმანი, 8 მინალთუნი და 3 აბაზი იყო [**ჯავახიშვილი, 1974**: 109].

1783 წ. 14 ივლისს ერეკლე II-ის მიერ გაცემული ზემო-ქართლის საქვეყნო ხარჯის ნუსხით, ერთდროულად ფულადი და ნატურალური გადასახადი დაკისრებული აქვთ, სულხან გორჯასპის ძე თუმანიშვილის ყმებს: *„ქ. სულხან მდივნის ყმამ თეთრი ერთი თუმანი და ათი შაური. ქ. ამათივე ჰური კოდი ათნახევარი“* [**მასალები.., 1955**: 73]. 1789 წ. 10 აგვისტოს ჯარისათვის სურსათის გამომღებთა სიის მიხედვით, სულხან მდივნის ყმას 6 კოდი ჰქონდა შეწერილი [**ჯავახიშვილი, 1974**: 157].

ფეოდალური ეპოქის საქართველოში წარმოებდა მოსახლეობის პერიოდული აღწერა, რომლის საფუძველზეც იბეგრებოდნენ გლეხები. თუმანიშვილები პასუხისმგებლები იყვნენ თავიანთ ყმა-გლეხებზე დაკისრებული გამოსაღების გადახდაზე. 1797 წ. 20 მაისს თუმანიშვილებმა, ერეკლე მეორეს მიმართეს არზით და შეახსენეს მიმდინარე აღწერის დავთრის მიხედვით დაბეგრილიყვნენ, რათა გადახდისას გარკვეული უზუსტობისა და გაუგებრობისგან თავი აერიდებინათ: *„ჴელმწიფის ჭირი მათს მიწა-მტვერს თუმანიშვილებს ნიკოლოზს, გიორგის, ეგნატის, ელიზბარს და ზურაბის ობლებს მოგვცეს... რადგან თქვენი ბძანება ასე არის რომ, მანამდინ ქვეყანა აიწერებოდეს, ვისაც რამდენი კაციც უწერიათ დავთარშიდ, იმაზედ მოკლება არავისი იქმნებაო... ახლა ამ წყალობას ვითხოვთ. ერთი ოქმი გვებოძოს, რაც ჴელთუბანში სათხოვარი მოვიდეს, ისევ ის გავიღოთ, მძლავრობა არავინ იხმაროს“* [**ქართული.., 1985**: 420].

ზოგჯერ, მეფეები თუმანიშვილთა ყმებს გარკვეული სახელმწიფო გადასახადებისაგან ათარხნებდნენ. მაგალითად, 1649 წ. 21 მარტს როსტომ ხანმა თუმანიშვილების ყმა, თბილისელი ვაჭარი გაათარხნა ქალაქ გორში და სხვაგან სავაჭრო ბაჟიდან 60 თუმნის საქონელზე: *„მეფეთ მეფემან... როსტომ... ასრე გათარხნეთ, რომე სამოცის თუმნისა რაგინდარა სავაჭრო მოქალაქემ თქუენმან* (თუმანიშვილთა – **რ.მ.**) *ყმებმან* (აშანმაშანაშვილი ხუდადა და თავისი ძმისწულები, ყაზარა და პაპია – **რ.მ.**) *ამგზავროს ჩვენს*

საბატონოში, არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოებოდეს“ [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 211-212; **პირთა.., 1991**: 201]. 1800 წ. 17 აპრილს კი ოთარ ამილახვარს მდივანი ბირთველ თუმანიშვილი წერილში წერდა, რომ მეფის მიერ გათარხნებული ყმა ჰყავდა და მისთვის გამოსაღები აღარ მოეთხოვათ: *„ერთის კომლის კაცის მეტი არა მყავს დიდ გარეჯვარს და ამას მათმა უმაღლესობამ სითარხნე უბოძა ყოვლის ფრით, რომ არაფერი სათხოვარი არა ეთხოვება რა... რომელიც ან თქვენი კაცი ან სხვისა მივიდეს აღარავინ შეაწუხოს“*[**გსიემ**, 7486/2, ფ 392-393].

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ თუმანიშვილები გადასახადისაგან გათავისუფლების თხოვნით მიმართავდნენ ხელისუფლებას. 1790 წ. 17 იანვარს ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი არზით ერეკლე II-ს ატყობინებდა, რომ თბილისში მხოლოდ 1 კომლი ჰყავდა და 7 კომლის შესაბამისი სურსათი შეაწერეს. იგი მეფეს არწმუნებდა, რომ იქ მისი ყმები დროებით იყვნენ შეხიზნულები სოფ. ხელთუბნის მტრისგან აოხრების გამო. მანუჩარი ცოტა ხნით პატრონობდა თავისი ძმის, სულხანის ყმა-მამულსაც და *„რიგი განსაცდელისა და შეწუხების“* გამო ერეკლე II-ს სთხოვდა შეწერილი ბეგარა ეპატიებინა და სულხანიც გაეთავისუფლებინა მცირე ხნით სურსათის გამოსაღებისაგან. მეფემ თავადის თხოვნა დააკმაყოფილა [**საქართველოს.., 1910**: 529-530].

რამდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ, 1790 წ. 23 აგვისტოს ერეკლე II-ისადმი მირთმეულ არზაში მანუჩარი სურსათის ბეგარის გადახდის უუნარობაზე საუბრობდა, რასაც ყმა-მამულის სიმცირით ხსნიდა. იგი ასევე აღნიშნავდა, რომ სულხან მდივნის *„ქვეყნის სამსახურზე გასტუმრების“* გამო მისი ყმების შენახვა აღარ შეეძლო და სურსათის გადასახადისაგან გათარხნებას ითხოვდა, რათა დანაზოგით თავი გაეტანათ. არზაში მანუჩარი საკმაოდ შთამბეჭდავად აღწერს ეკონომიკურად სუსტ მდგომარეობას: *„მერე რა მდივანი* (სულხანი – **რ.მ.**) *თქვენს სამსახურზე გაგისტუმრებიათ, ბევრი რიგი მწუხარება მამდგომია და დღესაც დიდს მწუხარებაში გახლავარ, მაგრამ თქვენთვის თავი არ მიწყენია. ოცდა ცამეტი სული შესანახავი გვყავ, ამათ სასმელ-საჭმელი და ტანთსაცმელი მცირე არ ეყოფათ. ასრეთვე თორმეტს პირუტყვს ცხენსა და ჯორს ვინახავთ, ამათს ხარჯს... ორნი ძმანი რის ღონისძიებით ავდიოდით, ახლა მარტოკა მე რის შემძლებელი ვარ, რომ ამათ ხარჯი მე შემეძლოს? დღეში რვა ლიტრა ფქვილი და რვა ლიტრა ქერი გვინდება და ჩვენს სახელზე ერთის დღის მიწა არ მოიხვნება და ამთენის პურისას და ქერისას სულ სყიდვით გახლავართ. რაც თქვენი* (ერეკლე II – **რ. მ.**) *ბედნიერი თვალი*

მე და ჩემს ძმისწულს არა გვხედავთ ტანთ ჩაცმულს, სხვანი ვინცა ვინ გვყვანან, თითქ-მის სულ შიშველნი გახლავან... თქვენ მუდამ... ჩვეულება გაქვსთ, რომ, რომელიც კაცი თქვენსა და ქვეყნის სამსახურზე გაგისტუმრებიათ, იმისი გლეხი თქვენის და ქვეყნის სათხოვრიდამ გითარხნებიათ და თავისი ბატონი გაუძლებინებიათ... წყალობას ვით-ხოვ, რომ მდივნის ხლებამდინ, ის მოწყალებაც ინებოთ და წრევანდელი ჩვენის გლეხე-ბის სურსათი ამთენის სულის გამოსაზრდელად გვიბოძოთ, რომ სხვა ილაჯი არსით გვაქვს“. არზას ახლავს ერეკლე II-ის ბრძანება საიდანაც ვიგებთ, რომ მან მანუჩარის თხოვნა დააკმაყოფილა: *„ვინცა ვინ წრევანდელის სურსათის მოასილნი იყვნეთ... რაც სულხან მდივნის ყმას ჩვენის მოხელეებისაგან სურსათი შესწერებოდეს, სულ სულხან მდივნის და მანუჩარ მდივნისათვის გვიბოძებია*“ [**საქართველოს.., 1910**: 530-531].

თითქოს სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს მანუჩარის მონათხრობი, კერძოდ მტრისაგან ყმა-მამულის აკლება, რასაც არგუმენტად იყენებს ბეგარის შემსუბუქების მიზნით. ჩვენი აზრით, მანუჩარი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას აზვიადებდა, რათა გადასახადებისაგან თავი დაეღწია, იგი საკმაოდ გავლენიანი ფეოდალი იყო თუმანი-შვილთა სახლში. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ გვაქვს პირდაპირი წყარო იმის დასტურად, რომ თუმანიშვილები სურსათის ბეგარისაგან თავის დაღწევის მიზნით მეფის მოტ-ყუებას ცდილობდნენ. ეს კარგად ჩანს 1795 წელს შიოშ თუმანიშვილის მიერ თავისი ბიძის მანუჩარისადმი გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც წერია: *„რუსების ამბავს თქვენც შეიტყობდით. ხვალ-ზეგ ბატონი* (ერეკლე II – **რ. მ.**) *თელავიდამ აიყრება, ან რუსების მისაგებებლად წავალთ, ან ქისიყს და ან ქალაქისაკენ. ჯერ ესეც სწორე არ ვიცით. ჭელთუბნის სურსათს ნუ მისცემთ. მიზეზი ეს უთხარით - ელმა აიკლო-თქო და ბატონს მოვახსენებთ-თქო“* [**ბერძნიშვილი, 1965**: 127]. როგორც ვხედავთ, ამჯერად თუმანიშვილებს რუსული ჯარისათვის საჭირო სურსათის გამოსაღებისაგან თავის არიდება სურდათ.

საქართველოში მყოფი რუსთა ჯარის შენახვის მიზნით იკრიფებოდა სურსათის გადასახადი, რომელსაც *„სარუსო“, „სარუსო ხარჯის“, „სარუსო სურსათის“* სახელით მოიხსენიებდნენ. 1784 წ. 10 ივლისს ერეკლე II ზემო ქართლის სარდალ იასე ამი-ლახვარს ავალებდა აეკრიფა რუსის ჯარებისათვის სურსათის გამოსაღები ერთ კოდში 6 ლიტრა ფქვილის, 3 ლიტრა ქერის და 1 ლიტრა ფეტვის ოდენობით. აღნიშნულ ბრძა-

ნებას თანდართული გამომღებთა სიის მიხედვით, თუმანიშვილების ყმებზე შეწერილმა გადასახადმა 47 კოდი შეადგინა:

„ქ. აქავ თუმანიშვილის მდივნის სულხანის ყმამ კოდი **ვ** *ექვსი*

ქ. თუმანიშვილის მდივანის სულხანის ყმამ საცა ყავს ხარვალი რვა, კოდი **დ** *ოთხი*

ქ. იოსებ მდივნის ყმამ ხარვალი ორი, კოდი **ზ** *შვიდი*

ქ. კაცია თუმანიშვილის ყმამ კოდი **თ** *ცხრა*

ქ. პაპუა თუმანიშვილის ყმამ ხარვალი ორი, კოდი **ზ** *შვიდი*

ქ. ფარსიაშვილების (თუმანიშვილები – **რ.მ.**) *ყმამ ხარვალი სამი, კოდი* **გ** *სამი*

ქ. ოთარ მდივნის ყმამ ხარვალი ერთი, კოდი რვა

ქ. გოგიას ობლის ყმამ კოდი **გ** *სამი“* [**ჯავახიშვილი, 1974**: 144-145].

რუსული ჯარის შენახვა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. 1797 წ. 4 იანვრის დოკუმენტით ერეკლე მეფე ნინია ფავლენიშვილს უბრძანებდა: *„მერმე შენ უნდა გაუძღვე ცხენიანსა და ქვევითს რუსის ჯარს და... ასე უნდა დააყენო: თივასა და გზეს თეთრით იყიდიან, სურსათი თავიანთი ექნებათ, შეშა და სანათი სახლის პატრონებისა უნდა იყოს და სხვა რაც ხორაგი მოუნდეს, ისიც თავისი ფასით მიჰყიდონ“.* აღნიშნული პირობით სათუმანიშვილოზე 50 რუსი ჯარისკაცი განაწილდა [**ჯავახიშვილი, 1974**: 162]. მ. ხელთუბნელის თქმით, რუსეთის მეფის მოხელენი ხშირად აწუხებდნენ გოგია თუმანიშვილს ყოველგვარი ბეგარით და მოითხოვდნენ, სურსათი მიეწოდებინა მეფის ჯარისათვის გორსა და სურამში [**ხელთუბნელი, 1938:** 12].

კოდისპურის ამკრეფს მეკოდისპურე ეწოდებოდა, ჯერ კიდევ 1700 წელს შედგენილ მეკოდისპურე ყმათა ნუსხის მიხედვით, გარეჯვარში მდივან გივი თუმანიშვილს ექვსი და მდივან ოთარს ერთი კომლი ყმა ჰყავდათ [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 3602]. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კოდის პურის გადასახადი უცვლელად იქნა დატოვებული. მისი სახე ნატურალური დარჩა (პურეულით იკრიფებოდა) და მოცულობაც – კომლზე 4 კოდი იყო [**გვახარია, 1955**: 80]. თუმცა, 1802 წლის ქართლ-კახეთის მოსახლეობის სურსათის გამომღებთა ნუსხის მიხედვით, კომლზე 3 კოდია დადგენილი. თუმანიშვილების ყმებზე შეწერილი სახელმწიფო კოდისპურის გადასახადი ასე გამოიყურება:

„ჯელთუბანს თუმანიშვილის მდივნის სულხანისა, ნიკოლაოზისა და ზურაბის ობლების ყმებმა – კოდი ექვსი

აქავ თუმანიშვილის მდივნის დიმიტრის ყმამ – კოდი ოცდაშვილი

აქავ თუმანიშვილის ფარსიაშვილის მდივნის ბირთველის ყმამ – კოდი ცხრა

აქავ თუმანიშვილის ელისბარის ყმამ – კოდი თორმეტი

აქავ თუმანიშვილის იოსებისა და სილიბისტროს ყმამ – კოდი თხუთმეტი

აქავ თუმანიშვილის ზურაბის ობლების ყმამ – კოდი ექვსი

აქავ თუმანიშვილის მდივნის ბირთველის ყმამ – კოდი სამი" [**ხანთაძე, 1955**: 155-156].

სულხანის ყმების სურსათის გამოსაღების ნუსხაში წერია: *„ამ ორის წლის* (1802-1803 წწ. – **რ.მ.**) *სურსათი თავადის სულხან თუმანოვის ყმისა, მსახურებს გარდა, ვის რაერთიც აწერია ამას ქვევით სწერია".* საბუთის მიხედვით, გადასახადი შეწერილი აქვს 23 ყმას ჯამში 132[6] კოდი [**მასალები.., 1955**: 373; **ხეც**, Hd-3718].

ბეგარა-გადასახადების სიმძიმე აისახებოდა ყმა-მამულის რიცხვზე. თუმანიშვილთა ნაწილი რუსული მმართველობის დამყარების პერიოდში ყმა-მამულის სიმცირეს უჩიოდა, რასაც მათ გლეხებზე დაკისრებული მაღალი გადასახადით ხსნიდა. 1813 წ. 14 ოქტომბერს თუმანიშვილებმა *„კოლლეჟსკის ასესორს უიეზდის ისპრავნიკს"* ივან ანდრეიჩ კრუპიანცკის, მიმართეს განცხადებით, რომ სოფ. ხელთუბანში მათ გლეხებს შეწერილი გადასახადები *„არა თუ შეძლებით"* ერთმეოდათ არამედ *„მდიდართა და გლახაკთა კაცთ ერთად სთვლიდნენ".* აღნიშნულის გამო, თუმანიშვილებს ყმები გაურბოდნენ. ისინი ითხოვდნენ, რომ გლეხებს: *„როგორადაც მეფეთ დროსა სურსათს გარდა გლეხთ კაცთ თავისი შეძლებით ეწერათ და ი ს*გამოერთმეოდათ ყოველი სათხოვარი და გამოსაღები, ახლაც... იმ შეწერილის სიით ყოველი სათხოვარი თავთავის შეძლებისამებრ წლამდინ... გამოურთვასთ" [დოკუმენტები.., 1953: 236-237].

[6] ჯამური 132 კოდი წერია, მაგრამ 130 კოდი გამოდის.

თავი V. თუმანიშვილების სათავადოს ეკონომიკური განვითარება

§ 1. სოფლის მეურნეობა

თავადს ეკუთვნოდა წარმოების მთავარი საშუალება – მიწა, რომლის გარკვეულ ნაწილსაც იგი თავის გლეხს აძლევდა სარგებლობისათვის, გლეხი კი კისრულობდა ვალდებულებას ბეგარის სახით. ყმა-გლეხი ამუშავებდა თავადის მამულების იმ ნაწილსაც, რომელიც მასზე არ იყო გაცემული. ივ. ჯავახიშვილი განიხილავდა რა სასოფლო-სამეურნეო არეებს აღნიშნავდა, რომ შიდა ქართლის მდ. მტკვრის გასწვრივ, ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ნაწილი ვენახ-ხილიან არეს ეკუთვნოდა [**ჯავა-ხიშვილი, 1930**: 312-313]. აქედან გამომდინარე, თუმანიშვილთა მამულების ნაწილი ვაზთან ერთად სხვადასხვა ხეხილითაც უნდა ყოფილიყო გაშენებული. ქართველი მე-ურნე, კარგად არჩევდა მიწას შესაბამისი კულტურის მოსაყვანად.

მევენახეობას, თუმანიშვილების სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ჰქონდა, რაც განპირობებული იყო მათი ღვინით ვაჭრობიდან გამომდინარე. ისინი XVII საუკუნიდან ინტენსიურად ცდილობდნენ სავენახე მიწების ან გაშენებული ვენახების შეძენას, ყველგან სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, რასაც რასაკვირველია, სათავადოში წარმოების გაზრდისა და მეურნეობის განვითარებისთვის უნდა შეეწყო ხელი.

ნასრ თუმანიშვილმა 1623 წ. 17 მარტს ვინმე მხითარ წატურაშვილისგან ვენახი იყი-და [**პირთა.., 1993**: 353]. 1629 წ. შედგენილი დოკუმენტის თანახმად, ნასრის ნაქონი ვენახი ბოლნისში ჯაჰანბანუ დედოფალს თავისი დეიდაშვილისათვის – ხვარიშანისათ-ვის უწყალობებია [**პირთა.., 1993**: 354]. აღსანიშნავია, რომ ნასრი 1621 და 1628 წლის საბუთებში მოიხსენიება, როგორც ხოჯა [**პირთა.., 1993**: 353; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 74-75]. ხოჯა სხვადასხვა მნიშვნელობის შემცველია (მასწავლებელი, საჭურისი, მოლა, ვაჭარი) [**ნეიმანი, 1978**: 550], რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ნასრი მსხვილი მევენახე იყო, ღვინოს აწარმოებდა და ყიდდა.

თუმანიშვილებმა XVII ს. ბოლოს შეიძინეს ვენახები ატენში. მორდალმა ლიპარიტ (ლიპარ) ჯიმშიტას ძე თუმანიშვილმა 1693 წ. 19 დეკემბერს სააკაძეებისაგან ვენახები იყიდა [**პირთა.., 2007**: 92; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 56; **პირთა.., 1993**: 348-349; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3. ს. 56]. XVII ს-ის დამლევს კი ყალანდარ თუმანიშვილმა ვინმე ბერუკა იშხანაშვილისაგან ატენში *„უმეკაური“* ვენახი შეისყიდა [**პირთა.., 1993**: 360; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 33]. საყურადღებოა, რომ თუმანიშვილები XVII ს. II ნახევარში ნაწილ-

ნაწილ ყიდულობდნენ ატენში სააკაძეებისაგან *„საცივის მარანს“*[1] [**პირთა.., 1993**: 355 **ხეც**, Hd-14397], ხოლო 1703 წლისთვის თუმანიშვილები მისი სრულად მფლობელები გახდნენ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 146]. *„საცივის მარნის“,* ატენური ვენახების შემენა, მიუთითებს, რომ თუმანიშვილები მევენახეობა-მეღვინეობას ინტენსიურად მისდევდნენ.

თუმანიშვილებს ვენახები ჰქონდათ: რეხაში, ახალდაბაში, წოდორეთში და სხვ. 1656 წ. გაყრისას მანუჩარს ახალდაბაში ერგო ყმა ვენახით, ხოლო ჯიმშიტას ჯილიზაში [**პირთა.., 1993**: 351-352, 363]. 1664 წლის საბუთის თანახმად, ჯიმშიტა თუმანიშვილს თავისმა განაყოფმა აბდულამ, რეხაში ვენახი მიჰყიდა [**პირთა.., 1993**: 324]. 1703 წ. 22 მაისს კი მდივანმა გივიმ იყიდა ვენახი წოდორეთში [**სეასცა**, ფ. 1450. დ. 3, ს. 4]. 1788 წლის თუმანიშვილების ყმა-მამულის აღწერაში გვხვდება ვენახით გაშენებული და ნავენახარი მამულები [**გსიემ**, 7782/6, ფ.491-496]. 1801 წ. 25 აგვისტოს შიოშ თუმანიშვილმა კახეთის სახლთუხუცეს, გიორგი ჩოლოყაშვილისგან შეიძინა ახმეტაში *„სავენახედ სამის დღის მიწა“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 269].

განხილული დოკუმენტების გარდა, მრავალი საბუთი (ძირითადად XVIII საუკუნის), ადასტურებს XVII ს. II ნახევრიდან 1816 წლამდე სათუმანიშვილოში ვენახების სიმრავლეს [**ქართული.., 1981**: 741; **დოკუმენტები.., 1940**: 57, 110-113, 120-121; **ქართული.., 1972**: 184-185; **პირთა.., 1993**: 337, 351; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 4, 51, 105, 110; **სეასცა**, ფ. 1450. დ. 46, ს. 198, 199, 201, 206; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 47, ს. 83]. XVIII ს. 80-90-იანი წლების საბუთების თანახმად, თუმანიშვილებსა და მათ ყმებს ნავენახარი მამულები ჰქონდათ გარეჯვარსა და რუისში [**სეასცა,** ფ. 1450, დ. 46, ს. 208; **დოკუმენტები.., 1953**: 156-157; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 1].

ზვარი პატარა ვენახისაგან განსხვავებით, უფრო დიდი ერთეული იყო, რომელსაც თავისი დამხმარე მეურნეობა გააჩნდა, ჰქონდა საწნახელი, მარანი, ჰყავდა მომვლელი

---

[1] *„საცივის მარანი“* მდებარეობს *„დიდ ატენში“,* რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი *„მცირე ქალაქს“* უწოდებს: *„სადაც არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამხჟრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღჟინო წარჩინებული“* [**ბატონიშვილი, 1973**: 343; **ფრუიძე, 1976**: 30]. *„საცივის მარანი“* არ არის ნაგებობა. ის ატენის ციხის ძირას მდებარე მცირე ტერიტორიაა, სადაც კლდოვანი, ნაშალი ნიადაგიდან მთელი ზაფხულის განმავლობაში, ძლიერ სიცხეში, გავარვარებული ქვების წიაღიდან ცივი ჰაერი ამოდის, რომელიც სიღრმეში ისე ძლიერია წყალს ყინავს. უხსოვარი დროიდან ატენელებს ეს ადგილი მარნად გამოუყენებიათ და ქვევრები ჩაუფლავთ, სადაც თავისებური ტექნოლოგიით აყენებდნენ ჩინებულ ატენურ ღვინოს, რომლის ბადალი არა თუ საქართველოში, არამედ მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. ეს ღვინო ადგილობრივი ჩინური ვაზის ყურძნისაგან იწურებოდა [**ფრუიძე, 1976**: 30-31].

და მცველი – მეზვრე. სათუმანიშვილოს ყმების დავთარში მოიხსენიება *„მეზვრე იარალა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 32, ს. 57]. უთარიღო წილის ბარათების მიხედვით, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარში უნდა იყოს შედგენილი, ზაქარია თუმანიშვილს ერგო *„ხელთუბანს მეზვრის შვილი“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 238], ზვრის ნაწილი და საწნახელი [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 233].

როგორც ირკვევა, თუმანიშვილებს ზვრები მრავლად ჰქონდათ. 1673 წ. ესტატე თუმანიშვილმა ზვარი, თავის განაყოფს მანუჩარს, ხოლო 1675 და 1678 წლებში ვენახები ზურაბ თუმანიშვილს მიჰყიდა [**პირთა.., 1993**: 342]. 1706 წელს თაყა თუმანიშვილმა იყიდა *„ვენახი ზვარი“* ქვემო ბოლნისში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 193]. 1709 წლის 1 მაისის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ, რომ ხეჩიკაშვილებმა მდივან ოთარსა და ზაქარიას მიჰყიდეს თუმანიშვილების *„ზვრის გვერდზე... ნაფუზარის ნაჭერი მიწა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 133]. 1788 წლის დოკუმენტის თანახმად, თუმანიშვილებს ზვარ-ვენახები შულავერში ჰქონდათ [**გსიემ**, 7782/6, ფ.496]. 1809 წლის 24 ნოემბერს შედგენილი საბუთიდან ირკვევა, რომ შულავერში კოლეჟსკი სოვეტნიკ ეგნატეს ზვარი გაუშენებია [**მასალები.., 1955**: 412].

წყაროებში გვხვდება თუმანიშვილების ნაზვრევებიც. 1656 წ. მათ გაყრისას გორში ნაზვრევი გაინაწილეს [**პირთა.., 1993**: 351-352, 363; **საქართველოს.., 1910**: 549-550]. 1683 და 1684 წლების საბუთებში თუმანიშვილთა შორის ნასყიდობის ობიექტია ნაზვრევი და ბაღი [**პირთა.., 1993**: 326]. ოთარ მდივანს, რომელიც ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, თავისი წილი ნაზვრევი ჰქონდა ხელთუბანში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 195]. 1771 წ. 9 აპრილს პაპოა ელიზბარის ძე თუმანიშვილი, თავისი ბიძაშვილის მდივან ედიშერისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში წერს: *„დაგვეჭირა და... მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ნაზვრევი ბერბუკელების ჩვენი ყმის გიგაურის და მარქარას წილი ნავენახობი“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 268]. 1782 წ. საბუთიდან კი ვიგებთ, რომ კაციას, ოთარს და იოსებს გაყრისას ნაზვრევი ჰქონდათ ხელთუბანში, ხოლო კაციას საკუთრივ პატარა ვენახი [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 118]. ნაზვრევი მამულები იხსენიება 1788 წლის თუმანიშვილების ყმა-მამულის ნუსხაშიც [**გსიემ**, 7782/6, ფ.491-496].

თუმანიშვილების მამულების ნაწილი ეკავა ხოდაბუნებს. 1755 წ. 3 დეკემბრის საბუთში იხსენიება მდივან ოთარისა და მისი ბიძაშვილების *„ვარდოვანას ხოდაბუნი“* [**ქართული.., 1972**: 444-445]. 1764 წლის 13 იანვრის დოკუმენტით, გორჯასპი მდივანს

ხოდაბუნი ჰქონდა სოფ. მარაბდაში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 14, ს. 28] და 1767 წლის 2 მაისის საბუთის თანახმად, მდივან ედიშერ თუმანიშვილს სოფ. გარეჯვარში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 48, ს. 37] ხოდაბუნები გვხვდება 1788 წლის თუმანიშვილთა ყმა-მამულის აღწერაშიც [**გსიემ**, 7782/6, ფ.491-496].

ქვემო ქართლში თუმანიშვილების სოფ. ბერდიკში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე მეტყველებს *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“,* რომლის თანახმად, თუმანიშვილების ყმებზე შეწერილი გადასახადები ასე გამოიყურება:

„ჯამი მარცვლეულისა სოფელ ბერდენექიდან (ბერდიკი – **რ.მ.**)

ისფენჯი კაცი 37 ახჩა ხორბალი ქილა 50 ახჩა 1600

თითოეულს 120, ახჩა 4440 ქერი ქილა 40 ახჩა 600

ჭვავი ქილა 20 ახჩა 300 გადასახადი სკაზე 25

ფეტვი ქილა 30 ახჩა 430 დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასხადი 25

უშრის გადასახადი ვენახზე, გადასახადი ღორზე 20

დონუმი 40 თითოეულს 40-40 წისქვილის თვალი ორი სრული

ახჩა 1600 წლით გადასახადი 240

უშრის გადასახადი ხილზე 80 ნახევარი ბადიჰავა 30

გადასახადი ერბოზე 90

არუსანეს გადასახადი120

ჯამი 90000“ [**1728 წლის.., 2010**: 300-301].

მოტანილი ციტატიდან ნათელია, რომ ბერდიკში თუმანიშვილების ყმებს მოჰყავდათ: ხორბალი, ჭვავი, ფეტვი, ქერი. მისდევდნენ: მეფუტკრეობას, მეცხოველეობას მევენახეობას, მეხილეობას.

1728 წლის დავთრის თანახმად, სოფ. ხელთუბანში დაწესებული გადასახადები მეტყველებს, მეფუტკრეობის, მეხილეობის, მეცხვარეობის, მევენახეობის და სხვადასხვა მარცვლეული კულტურების მეურნეობის განვითარებაზე [**1728 წლის.., 2009:** 390-391]. 1717-1724 წწ. შედგენილი საბუთიც ადასტურებს, რომ თუმანიშვილთა მეურნეობაში გარკვეული ადგილი მეცხვარეობას ეკავა [**საქართველოს.., 1910**: 416].

თუმანიშვილების უთარიღო წილის ბარათებში მოიხსენიება *„საბოსტნე“* მიწები [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 238, 244]. 1720 წ. დოკუმენტის თანახმად, ქარმიშა თუმა-

ნიშვილმა გორელ ზაალ ავთანდილაშვილს მიჰყიდა *„ბოსტნის ალაგი“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 47, ს. 90]. 1788 წლის თუმანიშვილთა მამულების ნუსხაში კი აღნიშნულია: *„ხელთუბანს... ნაბაღვარი და ნაბოსტნარები“* [**გსიემ**, 7782/6, ფ.495], რაც მიანიშნებს მათ სასოფლო-სამეურნეო მამულებში ბაღ-ბოსტნების არსებობაზე.

თუმანიშვილთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ სახლიკაცს, გივი მდივანს, XVII ს. 80-იანი წლებიდან 1723 წლამდე ქართლის სამეფო კარზე მდივან-მწიგნობრის სახელო ეკავა [**ბაქრაძე, 1983**: 90] და, როგორც ჩანს, მეურნეობასაც უძღვებოდა. საყურადღებოა, გივი თუმანიშვილის ყმა-გლეხების ნუსხა, რომელსაც ახლავს სათაური სხვა ხელით: *„ხევთუბნის მამულების სია არის საერთო“.* ეს დოკუმენტი ნ. ბერძენიშვილმა 1700-1719 წლებით დაათარიღა. მასში სულ 19 გლეხია აღწერილი, მამულის მოცულობის მითითებით, მათ შორის ორი ბოგანოა, რომელთაგან ერთს მხოლოდ 2 კვალი ვენახი აქვს, მეორეს კი 3 დღიური მამული. დანარჩენ 17 კომლს სათითაოდ აქვს ვენახი და სახნავი მიწები, ზოგს სათივე. სახნავი ნაკვეთი მხოლოდ ერთ გლეხს აქვს 7 და ორს 9 დღიური, დანარჩენებს ყველას 10 დღის ან ამაზე მეტი მიწა. ორ კომლს 20 დღიურზე მეტი აქვს – ერთს 21, მეორეს 32 დღიური მამული [**აკოფაშვილი, 1963**: 138; **დოკუმენტები.., 1940**: 110-113]. ნუსხაში ვხვდებით მიწის დანიშნულებისამებრ დასახელებებს: ვენახი, ფშატის, სახნავის, ხოდაბუნის, სათივის, ჩალის, ნაიონჯარის. ნუსხაში დეტალურადაა აღწერილი თუ რომელ ყმას სად აქვს მამული: *„გრძელა“, „თორტიზის გვერდზედ“, „რუს ზეით“, „ჭურექში ბეთლემურის ქვასთან“, „პარკიამკიდე“, „საყდართან“, „გოხაზედ“, „გორასთან“, „გომარულის“, „ზეიანში“, „თანთის-წყაროს“, „ეშმაკის წყაროზედ“, „თორტიზის გზაზედ“, „სალუქაურში დუბის მიწა“, „ბიბლიანთ(თ) უბანში“, „ჭალის გზასთან“* [**დოკუმენტები.., 1940**: 110-113], რაც ასევე საინტერესოა ონომასტიკური კუთხითაც.[2] როგორც ვხედავთ, გივი თუმანიშვილის ყმები სახნავი მიწებით საკმაოდ უზრუნველყოფილი იყვნენ. მის მიერ ყმა-მამულის ასე დეტალურად აღწერა მათზე გადასახადის ღალა-კულუხის შეწერის მიზნით მიანიშნებს, რომ იგი უძღვებოდა დიდ მეურნეობას.

სამეურნეო საქმიანობით გამოირჩეოდა გორჯაპი თუმანიშვილი,[3] რომელმაც *„ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“* რთულ პერიოდში მოახერხა მძიმე გადასახადების გადახდის

---

[2] ნაზი და ზაალ თუმანიშვილების თქმით, აღნიშნულ სახელწოდებათა ნაწილს (*„ჭურექი“, „ბეთლემურა“, „გრძელა“, „ზეიანი“, „ეშმაკის წყარო“, „გოხა“, „ნაიონჯარი“, „გორაკი“, „თანდისწყარო“, „თუმანიანთ რუ“*) დღემდე მოიხსენიებს სოფელ ხელთუბნის მოსახლეობა.

[3] გორჯასპი მანუჩარის ძე (1712-1782 წწ.), მდივნად ჩანს 1733 წლიდან [**ბაქრაძე, 1983**: 101].

ფასად მამულების შენარჩუნება და გაფართოვებაც ნასყიდი ქონების ხარჯზე. იგი „ყიზილბაშობის“ დამთავრების შემდეგ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის კარზე მდივან-მწიგნობრობდა, პარალელურად, ვაჭრობდა, მევახშეობდა და მეურნეობასაც უძღვებოდა [**აკოფაშვილი, 1966**: 406].

გორჯასპი მდივანს სეიდაბადში[4] ბაღი გაუშენებია. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებულ საბუთებში მისი გვარი არ არის ნახსენები, მაგრამ გორჯასპი თუმანიშვილი უნდა იყოს, ვინაიდან ის, სწორედ ამ დოკუმენტების შედგენის დროს მოღვაწეობდა. იგი გამოირჩეოდა ხარჯთაღრიცხვის ზუსტი დაანგარიშებით.

ქალაქ თბილისის განაპირა ბაღები ძვირად ფასობდა. თბილისი სწორედ ამ ბაღებში მოწეული ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით მარაგდებოდა. მსგავსი ბაღები თბილისის მიმდებარედ გაშენებული იყო ორთაჭალაში, დირსიჭალაში, სეიდაბადში, სოლოლაკსა და სხვა ადგილებში. აღნიშნულ უბნებში მიწა საკმაოდ ძვირი იყო, ხოლო ბაღების მეპატრონეები დიდ მოგებას ნახულობდნენ [**თაბუაშვილი, 2019**: 274].

1757 წლის საბუთის თანახმად, სეიდაბადში ბაღის გაშენებისათვის საჭირო სამუშაოები გორჯასპი მდივანს 1753 წელს დაუწყია, რომლის საერთო ხარჯი 34 თუმანს აჭარბებდა [**მასალები.., 1938**: 29-44]. ბაღის გაშენება გორჯასპისთვის საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა, ვინაიდან იგი 1756 წელს შედგენილ საბუთში წერდა: *„ეს ადგილი და ნაბაღვარი თავით ბოლომდისინ ვერანათ შექნილი იყო და ხარაბა... არც შიგ ხე და ხილი რამ იდგა და ნახირის სადგომლათ და ხალხის ფეხის გზათ იყო გამხდარი, ამის აშენებას რომ ხელი მივყავ, გალავანი, ასარი ავაშენე, შიგ ხეხილი და ვაზი ჩავყარე, ამისი სარწყავი წყალი განჯის კარს ზეიდამ... წამოვიყვანე მილით და კლდე გავაკაფინე... რომ ამასწინათ ამ წყლის წამოღება ვერავის მოგონებოდა და ვერცავის შეეძლო... ამ წყლის ძალით... ბაღში შენობა ჩავაგდევი. ვისაც... ჩემი ჯაფის გაწევა და ამ ბაღის ასე აშენება გენახოსთ და იცოდეთ, ამ წიგნზე მოწმობა მოაწერეთ“* [**მასალები.., 1938**: 26]. როგორც ვხედავთ, გორჯასპის ბაღში მიუყვანია წყალი, შემოუღობავს, შიგ ნაგებობაც გაუმართავს და ხეხილი და ვაზი გაუშენებია. მას აღნიშნულ ბაღში აგრეთვე მოჰყავდა: ნიორი, ხახვი, პრასი, ქონდარი, ჭარხალი, ქინძი, კიტრი, ნიახური, რეჰანი, წიწმატი, ბადრიჯანი,

[4] *სეიდაბადი* – ახლანდელი თბილისის აბანოებისა და ბალნეოკურორტების რაიონი. მოედანი გრძელდებოდა თითქმის 5 კმ-ის მანძილზე ქვემოთ მტკვრის გაყოლებით, აქვე იყო გაშენებული სეიდაბადის ცნობილი ბაღებიც [**ზარდალაშვილი, 1978**: 64].

კომბოსტო, სტაფილო, წითელა, სიმინდი, ლობიო, *„კახური ლობიო“,* ნესვი და საზამთრო [**თაბუაშვილი, 2019**: 274].

გორჯასპი მდივანი XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისიდან საბუთებში აღარ იხსენიება და დანატოვარი სოფლის მეურნეობის გაძღოლა იტვირთეს მისმა შვილებმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მანუჩარი გამოირჩეოდა. მან გააფართოვა მეურნეობა, რაც მის შემოსავალზეც აისახა, გააძლიერა გლეხთა ექსპლოატაციაც. მანუჩარი ზუსტად აღნუსხავდა შემოსავალსა და გასავალს, ყოველწლიურად აწარმოებდა ყმა-მამულის დეტალურ აღწერას, შემოსავლის დაკარგვისაგან თავის დაზღვევის მიზნით. ეს ჩვევა მას მამისგან გამოჰყვა. მანუჩარის გლეხები ღალა-გამოსაღებს იხდიდნენ: პურით, ქერით, ფეტვით, სიმინდით, ასლით და სხვ. XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში მანუჩარმა ნატურალური გადასახადები – ღალა და კულუხი, ზოგიერთ შემთხვევაში ფულადი სახით შეცვალა. მანუჩარს მოწეული მოსავალი, რომელიც მის ყოველდღიურ მოთხოვნილებას აღემატებოდა, ბაზარზე გაჰქონდა გასაყიდად. მისთვის მთავარი საბაზრო პროდუქტი ღვინო იყო, რომელსაც XVIII ს. 90-იანი წლებიდან ინტენსიურად ყიდდა. ღვინის გარდა, იგი სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს – პურს, ფეტვს, სიმინდს, სელს, ბოსტნეულს ყიდდა. მანუჩარი და მისი ძმა, სულხანი მიწის იჯარითა და საღალედ გაცემით განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულები, რათა სრული შესაძლებლობებით გამოეყენებინათ მამულები შემოსავლის მისაღებად. გაზრდილი საბატონო მიწების დამუშავების ძირითად ხერხად მანუჩარი მიწების საღალედ გაცემას იყენებდა. მას საღალედ გაცემული ჰქონდა მრავალი ნაზვრევი, ნავენახევი და ხოდაბუნი.[5]

მანუჩარ თუმანიშვილი 1785 წელს არზაში წერდა, რომ სოფ. ბერდიკის მამულებს ზამთარში საქონლის დასაყენებლად, წელიწადში 3 თუმნად აქირავებდა [**ქართული.., 1981**: 643]. როგორც ვხედავთ, თუმანიშვილების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემა ხშირად ხდებოდა. 1881 წელს 23 ივნისს ხელთუბანში მცხოვრებმა ზაქარია ლუარსაბის ძე თუმანიშვილმა და კნეინა ეფემიამ ამავე სოფელში მაცხოვრებელ პირზე მამა-პაპეული 19[6] დღიური მიწა ხელთუბანში სხვადასხვა ადგილზე (ლაგამის ხევზე, 7, ზეთანში 3, ადია საყდართან 3, დამპალაში 3, ბეთლემურაზე 1 და პრასიანში 2

[5] დაწვრ. იხ: [**აკოფაშვილი, 1963**: 138-141; **აკოფაშვილი, 1963**: 93-103 ; **აკოფაშვილი, 1966**: 405-411].

[6] საიჯარო პირობის ტექსტში 19 დღის გამოდის, ხოლო ბოლოში 20 დღიურია დაჯამებული.

დღისა), 6 წლიანი იჯარით წელიწადში 12 კოდი პურის პირობით გასცეს [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 7967].

სოფლის მეურნეობასთან თავის მხრივ დაკავშირებული იყო წისქვილები. მას დიდი სამეურნეო და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. პირველი ცნობა თუმანიშვილების წისქვილების შესახებ დასტურდება XVII ს. შუა ხანებში შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვითაც, მანუჩარსა და ჯიმშიტას წილში ერგოთ გორში ორი თვალი წისქვილი და მეწისქვილე ივანე [**პირთა.., 1993**: 352]. დაახლოებით XVII ს. ბოლო მეოთხედში შედგენილი საბუთით, გივი თუმანიშვილს ზემო რეხაში წისქვილი ჰქონია, რომელიც ქვემო რეხელებმა დაუზიანეს [**პირთა.., 1993**: 338]. 1697 წ. 20 მარტის განჩინებიდან ვიგებთ, რომ გივი მდივნის ყმას, წატურაშვილს გორში ორი წისქვილი ჰქონდა [**ქართული.., 1972**: 173-175].

წისქვილის მოწყობას სათანადო ადგილი სჭირდებოდა, თუმანიშვილები და მათი ყმები საწისქვილე მიწებსაც ყიდულობდნენ. 1669 წლის 2 თებერვლის დოკუმენტის თანახმად, გორში ბაინდურ თუმანიშვილის ყმებს – როსტომა და ავთანდილ წატურაშვილებს უყიდიათ საწისქვილე, გამოუყვანიათ რუ და ოთხთვალა წისქვილი გაუკეთებიათ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 60].

1678 წლის 20 მაისს ზურაბ თუმანიშვილმა მამუკა ამირაღაშვილისაგან იყიდა სუელნეთის (სოფ. სვენეთი) თავში მამული საწისქვილით [**პირთა.., 1993**: 346; **ხეც**, Sd-10]. 1700 წ. სველნეთში წისქვილის მიწა შეიძინა თაყა თუმანიშვილის შვილიშვილმა ბახუტამაც [**პირთა.., 1993**: 325; **ხეც**. ფ.1449, ს. 1869]. 1788 წლის საბუთის თანახმად, თუმანიშვილების რამდენიმე ყმას საწისქვილე ადგილები ჰქონდა [**გსიემ**, 7782/6, ფ.491-496].

1717-1719 წ.წ. საბუთით, თუმანიშვილებს წისქვილები ჰქონდათ გორსა და ბერბუკში [**ქართული.., 1972**: 282-283; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 126]. *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“* თუმანიშვილების სოფ. ბერდიკში 2 გამართული წისქვილი იხსენიება: *„წისქვილის თვალი ორი სრული“* [**1728 წლის.., 2010**: 301], ასევე 2 სოფელ ხელთუბანში [**1728 წლის.., 2009:** 391]. 1788 წლის დოკუმენტით თუმანიშვილებს წისქვილი ისევ ჰქონდათ ხელთუბანში [**გსიემ**, 7782/6, ფ.492].

1799 წელს სულხან თუმანიშვილს დარეჯან დედოფალმა გორში სადედოფლო წისქვილი *„სამკვიდრო წყალობად“* უბოძა [**დოკუმენტები.., 1953**: 198], ხოლო 1801 წელს სულხანს მარიამ დედოფალმაც უწყალობა თავისი წისქვილი გორში [**დოკუმენტები..,**

1953: 120]. წისქვილის გამართვა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. 1797 წლის 1 თებერვალს სულხან თუმანიშვილი თავის ძმას მანუჩარს გორში წერდა წისქვილი მოეწყოთ: *„წისქვილის ქვის ზომა გამომიგზავნე, ეგების თეთრი ჩავიგდოთ ხელში, წისქვილის ქვა ვიყიდოთ, რომ ეგ წისქვილი აუბრუნებელი არ დაგვრჩეს. სირცხვილად ესეც კმარა, რომ ქვრივმა და ობოლმა შეძლო და ჩვენ ვერა. ამდენ ხანს შევსცქერით რომ იმისი ბრუნავს და ჩვენი კი არა“* [**ბერძნიშვილი, 1965**: 139]. 1797 წლის 28 ივნისს, ისევ სწერდა სულხანი თავის ძმას წისქვილის კეთება დაუყოვნებლივ დაეწყო [**ბერძნიშვილი, 1965**: 163].

საინტერესოა, რომ 1810 წლის მაისში ეგნატე თუმანიშვილი თბილისიდან სოფ. ხელთუბანში ჩასულა და რამდენიმე თვიანი სამუშაოების ჩატარების შედეგად წისქვილი გაუმართავს: *„ქკ~ს უჟც... მე ეგნატი თუმანოვი ტფილისიდამ წამოველ ჩვენს სოფელს ხევთუბანსა და მოველ ამავ მაისის იბ... ჩვენის წისქვილის სამუშაოთა. დავიწყე მუშაობა, თავთის წყაროს წყალის რუს გამოღება... რაც რომ ჩემის ხელით დაიხარჯა. ამას ქვევით გარჩევითა სწერია და რაც ჩემის შვილს იასეს დაუხარჯამს იმისი ანგარიშის დავთარი თვით იასეს ხელით ნაწერი ამ დავთარს აკრამს და ან რაც თეთრი მე მამგარებია, ისიც ამას ქვევით გარჩევითა სწერია“.* წისქვილის სამშენებლო სამუშაოების ანგარიშის ბოლოს ეგნატე წერს: *„ჩყი ამ წლის ნოემბრის ა წისქვილი დავაბრუნე და რაც... მინდი მოსულიყო გავიყავით ჩვენ და მეწისქვილემ... მეწისქვილეს სველნელს გოდელაშვილს გიორგის ერგო პური კოდი ოთხი“* [**მასალები.., 1938**: 298-323]. წისქვილს სჭირდებოდა, მეთვალყურე. 1796 წლის 16 ივლისის საბუთში მოიხსენიება თუმანიშვილების მარაბდელი მეწისქვილე [**ბერძნიშვილი, 1965**: 129].

§ 2. მევახშეობა

ფეოდალური ხანის საქართველოში ფულად-საკრედიტო ორგანიზაციები არ არსებობდა, თუმცა იყვნენ ფულადი სესხის გამცემი კერძო პირები – მევახშეები. ფულის გასესხების მიზანი პროცენტის (სარგებლის) მიღებაა, პროცენტით მევახშის ხელში მოქცეული ფული კი დაბანდებული კაპიტალი. მევახშეობამ კაპიტალის დაბანდებასა და მის ბრუნვას შეუწყო ხელი, რაც ფეოდალური ურთიერთობის რღვევის ნიშანი იყო. ამ პროცესში გარკვეული წვლილი შეიტანეს თავადმა თუმანიშვილებმა. ქართლში ჩამოყალიბებულ საფეოდალოთა შორის თუმანიშვილების სათავადო ეკონომიკური თვალსაზ-

რისით, ერთ-ერთი ძლიერი იყო, რასაც მეტწილად, მათი სავაჭრო-სამევახშეო საქმიანობა განსაზღვრავდა. ისინი XVII საუკუნიდან ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები და დაინტერესებულები სავაჭრო-სამევახშეო ოპერაციებით. XVIII ს. II ნახევარში, როცა ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობებმა ფორმა შეიცვალა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებში მეწარმეობითი ინტერესები გააქტიურდა, ეკონომიკურ სფეროში გამოცდილი თუმანიშვილთა სახლის წარმომადგენლები მსხვილი ფინანსური არისტოკრატიის რიგებში მოექცნენ და ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ.

კაპიტალის დაგროვების პროცესი ფეოდალურ საქართველოში, განსაკუთრებით შესამჩნევია XVIII ს. შუა ხანებიდან. გ. აკოფაშვილის დაკვირვებით: *„მევახშეობა... XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოში მანამდე არ ყოფილ უაღრესად ფართო მასშტაბს ღებულობს… საბუთების რაობის თვალსაზრისით ჩვენს მიერ საგანგებოდ შესწავლილ XVII და XVIII სს. 5000 საბუთიდან თამასუქების, ვალის, გირავნობის წიგნთა საერთო რიცხვია 180. აქედან XVII საუკუნეს ეკუთვნის მხოლოდ 1 თამასუქი, XVIII ს. პირველ ნახევარს 55, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა გამოდგა 124 თამასუქი... ამათგან, 1751-75 წლებისაა 31 თამასუქი, ხოლო დანარჩენი 93, ე.ი. 3-ჯერ მეტი, XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა. როგორც ვხედავთ, ციფრები თვალსაჩინოა“* [**აკოფაშვილი, 1980**: 121].

პირველად, თუმანიშვილთა გვარში მევახშეებად XVII ს-ის 60-90-იან წლებში ჩანან: ჯიმშიტა, ზურაბ, გივი და ოთარი [**საქართველოს.., 1910**: 568; **პირთა.., 1993**: 324,326, 337, 355]. 1703-1714 წწ. ვალის თაობაზე შედგენილი განჩინების თანახმად, მევახშეობდა ლიპარიტ თუმანიშვილი [**ქართული.., 1972**: 268]. მევახშეობას ეწეოდა ზაქარიაც, 1719 წლის 7 სექტემბერს გაცემულ თამასუქში ვკითხულობთ: *„ავიღე მე ხეჩიკას შვილმან ბეჟუამან... თუმანის შვილის ზაქარიასაგან ოთხი მარჩილი თეთრი, რაც ხანს ჩვენს ხელთ დაჰყოს წელიწადში მარჩილის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 147].

ზემოთ დასახელებული პირების გარდა, მევახშეობდა თუმანიშვილების ფეოდალური სახლის არაერთი წარმომადგენელი: მდივანი იოსებ [**უჩანეიშვილი, 1967**: 68; 101-102; **მასალები.., 1953**: 48-49; 51; 91; 96], მისი ძე მდივანი დიმიტრი [**უჩანეიშვილი, 1967**:

103-104], დავით ეგნატის ძე [**მასალები 1953**: 211], *„კოლესკი სოვეტნიკი“* გიორგი ეგ-ნატის ძე [**სეასცა,** ფ. 1448, ს. 6645], გიორგი ბეჟანის ძე [**მასალები 1953**: 60], ყარდაშა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 190], გორჯასპი მდივანი (ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვი-ლის მამა) [**მასალები 1953**: 40], შიოშ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 5; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 52, ს. 110], პაპუა [**მასალები 1953**: 57], ნიკოლოზ [**მასალები 1953**: 101], ქარმიშ (ქრისტეფორე თბილელი) [**მასალები.., 1953**: 45-46; **სეასცა,** ფ. 1448, ს. 1389] და სხვ.

თუმანიშვილთა შორის ეკონომიკური სიძლიერით გამორჩეული მევახშეები იყვნენ ძმები – ლაშქარნივისი მანუჩარი [**უჩანეიშვილი, 1967:** 91-92; 95-96; 109; **მასალები 1953**: 55; 58-60; 62; 65; 70-71; 79-81; 87-88; 97-98; 114-115; 141; 157; 163; 166; 174] და სულხან მდივანი [**მასალები 1953**: 54-55; 72; 113;]. ვალად გაცემული თანხების ოდენობის მი-ხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თუმანიშვილებს შორის, მსხვილ მევახშედ მანუჩარს ასახელებს გ. აკოფაშვილი. საინტერესოა, მისი სტატისტიკა მანუჩარის თამა-სუქების ორი ნუსხის საფუძველზე. 1776-1798 წწ. მანუჩარს ჯამში 17 ათას მანეთზე მეტი ჰქონია გაცემული სესხად, კერძოდ, 1776-83 წწ. 1702, 1784-91 წწ. 5874, ხოლო 1792-98 წწ. 9624 მანეთი [**აკოფაშვილი, 1980**: 121].

საინტერესოა, სულხან და მანუჩარ თუმანიშვილების სამევახშეო საქმიანობის შე-ფასება შოთა მესხიას მიერ: *„მსხვილ სავაჭრო-საკრედიტო ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თავადებიც. ამ მხრივ გვიანფეოდალურ საქართველოში თუმანი-შვილების გვარი (სახლი) გამოირჩეოდა... თუმანიშვილები მსხვილ საკრედიტო ოპე-რაციებსაც აწარმოებდნენ: მაგ., მანუჩარ თუმანიშვილს, როგორც დოკუმენტებიდან ირკ-ვევა, 1760 წლიდან 1802 წლამდე, სხვადასხვა პირზე გასესხებული ჰქონია 3154 თუმანზე (31540 მან.) მეტი თანხა. ასევე საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა მისი ძმა სულხანი, რომელსაც სესხად 680 თუმანი (6.800 მან.) ჰქონდა გაცემული“* [**მესხია, 1983**: 264-265].

მანუჩარ თუმანიშვილს სამევახშეო საქმიანობაში ჩართული ჰყავდა თავისი და მაია. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თავნი ანუ სავაჭრო ოპერაციის ჩატარებისთვის საჭირო ძირითადი საბრუნავი თანხა მანუჩარს ეკუთვნოდა, ხოლო თამასუქი მაიას სახელზე ფორმდებოდა. XVIII ს. მიწურულს შედგენილ ერთ-ერთ ვალების ნუსხაში მანუჩარი წერს: *„...თამასუქი ჩემის დის მაიას სახელზედ არის დაწერილი, მაგრამ თეთრი ჩემია“,* ამგვარი შინაარსის მინაწერი ახლავს თვითონ თამასუქსაც [**მასალები 1953**: 104-105, 131].

თუმცა, მაია დამოუკიდებლადაც მევახშეობდა, ის 1794 წლის 1 მაისს ისე გასცემს სესხს, რომ თამასუქში მისი ძმა მანუჩარი არ იხსენიება [**მასალები 1953**: 107].

რამდენიმე საბუთით დასტურდება მანუჩარ თუმანიშვილის პირველი მეუღლე – ხანუმის, სამევახშეო საქმიანობა, ხოლო მისი გარდაცვალების[7] შემდეგ მანუჩარი *„ხანუმის თეთრს“* სავახშო სფეროში საბრუნავ თანხად მოიხმარდა [**მასალები 1953**: 85, 86–87, 129]. მევახშეობდა მანუჩარის მეორე მეუღლე ელისაბედ აბიმელიქოვიც: *„ავიღე მე გულასპანთ მირზას შვილმა შაქარამ თქჳნ თავადის მანუჩარ დივან თუმანოვის კნეინა ელისაბედ აბიმელიქოვისაგან თვრამეტი თუმანი“* – აღნიშნულია 1813 წ. 10 სექტემბერს გაცემულ თამასუქში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 56, ს. 105]. კნეინა ელისაბედმა თამასუქით თანხა გასცა 1815 წლის 1 მაისსაც [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 56, ს. 104].

1813 წლის თამასუქით დგინდება, რომ მევახშეობას ეწეოდა სულხან თუმანიშვილის მეუღლე მარიამიც: *„...ავიღე მე... ტიფლისის მოქალაქე დანელ მატინოვმა თქვენ კოლესკის სოვეტნიკის თავადის სულხან თუმანოვის კნეინა მარიამისაგან სამოცდა ოთხი თუმანი ხუთი მინალთუნი...“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 41, ს. 160]. ზოგჯერ ძმები თუმანიშვილები, ერთობლივად ერთი თამასუქის საფუძველზე გასცემდნენ სესხს ამა თუ იმ პირზე. მაგალითად, 1786 წ. 1 ოქტომბერს უზბაშმა გოგია გურამიშვილმა თამასუქი მისცა სულხანსა და მანუჩარს და 5 თუმანი ისესხა [**მასალები.., 1953**: 69-70]. 1794 წლის 12 ივნისს კი მათ ერთობლივად სესხი გასცეს ოჰანეზაშვილებზე [**მასალები.., 1953**: 110].

თუმანიშვილები მევახშეობდნენ ეკლესიის ქონებით,[8] რაც მათთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იყო. 1787 წ. 1 მაისს მდივანმა სულხან თუმანიშვილმა სახლთუხუცეს ზაქარია ციციშვილს *„ქრისტეფორე თბილელის საყდრის თეთრი ასი თუმანი“* ასესხა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 112]. 1794 წლის 12 ივნისს სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს მევალემ თამასუქით ასეთი პირობა მისცა: *„...ავიღე... ქრისტეფორე თბილელის თეთრი... თუ მე რვა თვე ვადამდინ თქვენი ეკლესიის თეთრი ულაპარაკოთ არ მოგართოთ... თუმანზე ორი შაური სარგებელი ეკლესიას მივართვათ...“* [**მასალები.., 1953**: 110]. საინტერესოა, რომ 1812 წ. 13 ივნისის საბუთის თანახმად, სოფ. ხელთუბნის

---

[7] მანუჩარის მეუღლე, ხანუმი გარდაიცვალა 1788 წლის 17 აპრილს [**მასალები.., 1938:** 89].

[8] ქრისტეფორე თბილელის გარდაცვალების შემდეგ, მისი დანატოვარი ხელთუბნის წმინდა მოციქულთა ეკლესიის საამშენებლო თანხა ერეკლე II-მ თუმანიშვილებს მისცა, რომელსაც სავაჭრო-სამევახშეოდ იყენებდნენ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 113].

ეკლესიას 1784-1795 წწ. სხვადასხვა პირზე სესხად 349 თუმანი და 6 მინალთუნი გაუცია [**მასალები.., 1953**: 200-201].

მევახშე კაპიტალის დაბანდების მიზნით, თავის სასარგებლოდ იყენებდა ყოველ-გვარ უბედურებას (შიმშილობა, ჟამიანობა, მოუსავლიანი წლები და სხვ.), რაც საზო-გადოებას გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა. აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად, ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებაშიც კი თუმანიშვილები სავაჭრო-სამევახშეო ინტე-რესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. 1795 წ. 8 ოქტომბერს შიოშ თუმანიშვილი თიანეთიდან სულხანისა და მანუჩარისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: *„თუ იშოვ-ნოთ, ცოტა თეთრი წამოიღე ქალაქისა. კარგი დრო არის, ეგების ცოტათი ბევრი ვი-შოვოთ“* [**ბერძნიშვილი, 1965**: 124]. შიოშ თუმანიშვილი მსხვილი კრედიტორი იყო და სოლიდურ თანხებს გასცემდა სესხად. მაგალითად, 1808 წ. 1 თებერვალს შედგენილ თამასუქში ვკითხულობთ: *„ავიღე... მიკირტუმ მუნოთოვმა თქჳნ თავადს შიოშა თუმა-ნოვსაგან რვას ორმოცდა ათი დანა თეთრი რუსის მანეთი“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 52, ს. 110].

ბუნებრივია, თუმანიშვილებმა იცოდნენ თუ ვის ჰქონდა მათი ვალი, თუმცა თა-მასუქებზე დაყრდნობით ანგარიშის ნუსხებისა და ვალების წიგნების შედგენით მა-ნუჩარი გამოირჩეოდა. მის შესახებ მ. ბერძნიშვილი წერდა: *„მანუჩარი XVIII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. ესაა მეტისმეტად აკურატული სი-ზუსტისა და ანგარიშის მოყვარული ადამიანი. სწორედ მისმა ამ თვისებებმა განსაზღვ-რეს ის, რომ XVIII ს-დან ჩვენ შემოგვრჩა, უამრავი დოკუმენტური მასალა, – მანუჩარის ხელით შესრულებული თუ მანუჩარისაგან მოგროვილი, – ხარჯის ნუსხები, ხელწე-რილები, ქონების სიები, წერილები თუ სხვა“* [**ბერძნიშვილი, 1965**: 123]. ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ თამასუქებიდან გამომდინარე დაანგარიშებული ვალების ნუს-ხებიდან ვარკვევთ თუ ვის ჰქონდა მანუჩარ თუმანიშვილთან ფინანსური ურთიერთობა, რადგან მათი რაოდენობა მრავალრიცხოვანია, ყველა მათგანის განხილვა შორს წაგ-ვიყვანდა. მაგალითად, 1808 წელს მანუჩარს შეუდგენია ვინმე არაქელა ტერტერაშვილის მიერ 1784-1808 წწ. აღებული ვალისა და სარგებლის ანგარიში [**უჩანეიშვილი, 1967**: 162; **მასალები 1953**: 184].

თუმანიშვილები იმდენად ძლიერი და ცნობილი მევახშეები იყვნენ, რომ მათთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ: თბილისის, გორის, ცხინვალის, ახალციხის, ერედვის, მეჯვრისხევის, ხელთუბნის, ავჭალის და სხვ.

მაცხოვრებლებს [**მასალები 1953**: 48-51; 55-56; 58-59; 77-78; 80-84; 86-87; 125; 130, 133; 142; 166; 170-172; 212-213; 232-233; **უჩანეიშვილი, 1967**: 109]. როგორც რ. კაშია აღნიშნავს: *„ჭრელი იყო თუმანიშვილების მევალეთა სოციალური შემადგენლობაც. მათი მევალეები იყვნენ გლეხები, მოქალაქეები, ძირითადად ხელოსნები და ვაჭრები, ვაჭართა ამხანაგობები, თავადაზნაურული არისტოკრატია, ბატონიშვილები და თვით მეფეც კი“* [**კაშია, 2012**: 80].

მანუჩარ თუმანიშვილს 1798 წლის ახლო ხანებში შეუდგენია თამასუქით ასაღები თანხის ნუსხა, რომლის მიხედვით, სხვადასხვა პირებთან ერთად მისი ვალი ემართა თავად ქსნის ერისთავისშვილს, ყაფლანიშვილს, გერმანოზიშვილს, მელიქიშვილს, ფავლენიშვილს, ჩოლოყაშვილს [**მასალები.., 1953**: 122-124]. ამ ნუსხაში აღნიშნული პირები სხვა მსესხებლებთან ერთად, მანუჩარს შეტანილი აქვს იმავე ხანებში დაწერილ კიდევ ერთ სესხის სიაში,[9] რომელიც უფრო ვრცელია. მასში მანუჩარი დეტალურად აღწერს თუ ვის, როდის და რა ოდენობის თანხა ასესხა, რა სარგებელს მოელის სანაცვლოდ, რა ქონება აქვთ დაგირავებული მსესხებლებს ვალის დაფარვამდე, ვინ დაუბრუნა სრულად ან ნაწილობრივ ვალი. სიის მიხედვით, თუმანიშვილების ვალი ჰქონდათ: ალმასხან და ლეონ ბატონიშვილებს,[10] თავად ზაქარია ციციშვილს და სხვ [**მასალები.., 1953**: 124-133]. მანუჩარის ვალი ემართა ასევე, თავად როსტომ ხიდირბეგიშვილს, სულხან გერმანოზიშვილის, მუხრანბატონისა და იულონ ბატონიშვილის ყმებს, ერეკლე II-ს, ლაშქარნივის ომან ხერხეულიძეს [**მასალები.., 1953**: 134-138], თავად მელიქიშვილს [**მასალები.., 1953**: 108], ფავლენიშვილებს [**მასალები.., 1953**: 170] და სხვ.

მანუჩარ თუმანიშვილთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონდათ ანტონ კათალიკოსსა და ფარნაოზ ბატონიშვილს. მანუჩარი მათ სესხის კარგ გადამხდელებად ახასიათებდა: *„...საქართველოჲსა კათალიკოზს უფალს ანტონის, ვმსახურე, რომ არც ხელწერილი მქონდა. ჩემგან წანაღები რა ერთიც ჰქონდა, ვთხოვე და მიბოძა... აგრეთვე მეფის ძეს ფარნაოზს უბრძანებია სამსახური, აღმისრულებია და კიდეც უბოძებია...“* [**მასალები.., 1953**: 199]. მანუჩარის მევალე იყო იოვანე ბატონიშვილი, რომელსაც 1807 წელს პეტერბურგში 196 თუმანი სესხად გაუგზავნა [**მასალები.., 1953**: 184-185].

---

[9] ნუსხა მანუჩარსა და მის ძმას სულხანს ეკუთვნის.

[10] აღსანიშნავია, რომ ლეონ ბატონიშვილს გარდაცვალების (1781 წ.) გამო, მანუჩარისაგან 1762, 1778, 1779, 1780 წლებში აღებული ვალების ნაწილი გადასახდელი დარჩა [**მასალები.., 1953:** 56]. მისი ვალი 231 თუმანს უდრიდა [**უჩანეიშვილი, 1967**: 168-169].

მდივანი იოსებ თუმანიშვილისა და მისი შვილი დიმიტრისაგან ფულს სესხულობდა თავადი ვახტანგ ყაფლანიშვილი, რასაც მოწმობს 1791-92 წწ. თამასუქები [**მასალები 1953**: 91, 96; **უჩანეიშვილი, 1967**: 101-104]. თუმანიშვილების მევალეები იყვნენ თავადი ორბელიანებიც [**მასალები.., 1953**: 232-233]. მდივან სულხანთან საკრედიტო ურთიერთობა ჰქონდათ ციციშვილებს. 1790 წ. 20 აგვისტოს საბუთის თანახმად, ზაქარია ციციშვილს მასთან ძვირფასი ნივთები (ალმასის, იაგუნდის, ლალის, ზურმუხტის და სხვ. ბეჭდები) დაუგირავებია. საბუთს ახლავს ერეკლე II-ის ოქმი, ციციშვილისათვის ნივთების სამაგიეროდ ყმა-მამულის მიცემის შესახებ [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 3009].

1794 წ. 20 ივლისის გირაოს მიბარების წიგნიდან ვიგებთ, რომ იოანე ციციშვილს მამამისის დაგირავებული ნივთები სულხან თუმანიშვილისაგან დაუხსნია: *„მამეგარა მე, ციცის-შვილს ივანეს, თქვენ, ბატონის სულხან მდივნისაგან, მამის ჩემის დაგირავებული ოთხმოცდათოთხმეტი მისხალი ოქროს ყაწიმი, რომ მამის ჩემის თამასუქშიაც ასრე გიწერია. ეს უკლებლათ მე მომბარდა“* [**მასალები.., 1953**: 113]. რ. კაშიას მტკიცებით: *„საბუთებში თუმანიშვილების მევალეებად ყველაზე ხშირად გვევლინებიან ვაჭრები და სავაჭრო ამხანაგობები... სავახშო კაპიტალი მჭიდროდ უკავშირდებოდა სავაჭრო კაპიტალს. ვაჭარი ხშირად იყო დამოკიდებული მდიდარ მევახშეზე. სავაჭრო საქმის დასაწყებად ის იძულებული იყო აეღო კრედიტი, სავაჭრო ოპერაციების წარმატებით დასრულება კი მას აძლევდა ვალის გადახდის შესაძლებლობას“* [**კაშია, 2012**: 80].

აღსანიშნავია, რომ მევახშე თუმანიშვილებისგან ფულს სესხულობდნენ საკუთარი ყმებიც. მაგალითად, 1802 წ. 24 ნოემბერს მანუჩარ თუმანიშვილის მიერ შედგენილ მოვალეების სიაში ვკითხულობთ: *„მეჯვრისხევს ჩემი ყმა მურადაშვილი დავითა დგას, იქ მიდი იმასთან, ის ჩემსას ერთს თუმანს არის მოსაცემს, გამოართვი“* [**მასალები.., 1953**: 170]. თუმანიშვილებთან საკრედიტო ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ნათესავებსაც. მაგალითად, მანუჩარისაგან თამასუქით სესხი აუღია თავის მოყვარეს – ტერ-შმოვანანთ სოლომონს. ამას ვიგებთ XVIII ს. მიწურულს შედგენილი ვალების ნუსხიდან [**მასალები.., 1953**: 133] და 1802 წ. 1 იანვრის დოკუმენტიდან, რომელშიც წერია: *„ავიღე მე, ტერ-შმოვანანთ სტეფანას შვილმან სოლომანამ, თქვენ, კნიაზ მდივანი მანუჩარ თუმანოვისაგან, ოთხას ოცდა ცამეტი დანა ბაჯაღლუს ოქრო... რაც ხანს ჩემს ჯელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე“* [**მასალები.., 1953**: 168]. მანუჩარისგან ფულს სესხულობდა ასევე თავისი ნათლიდედა [**მასალები.., 1953**: 136].

1776 წ. 21 სექტემბერს გიორგი (გოგია) თუმანიშვილმა ბიძაშვილს იოსებ მდივანს თამასუქი მისცა და სესხის გირაოდ სოფ. ახალდაბაში თავისი ყმის მამული გააფორმა: *„ავიღე მე, ყარან-ბეჟანის-შვილმა გიორგიმ შენ, ბატონს ჩემ ბიძაშვილს იოსებ მდივ-ნისაგან, ოთხი თუმანი ქალაქის ახალი ზარაფხანის თეთრი... მოგართვი ზემო ნაწერის თეთრის გირაოთ აჯალდაბას ჩემი ყმის დათას ვენახი და სამი დღის ნაფუზარი ამავ ვენახის ბოლოს“* [**მასალები.., 1953**: 48]. 1779 წ. 10 ივნისს გიორგიმ (გოგიამ) კვლავ აიღო სესხი თავისი ბიძაშვილი იოსებისგან და გირაოდ სოფ. ხელთუბნის მამულები სრულად მისცა [**მასალები.., 1953**: 51]. 1779 წ. 1 აგვისტოს გოგია თუმანიშვილმა, ამჯერად თავისი ბიძის იოსეფ მდივნისაგან აიღო სესხი. თამასუქში ვკითხულობთ: *„ავიღე მე თუმანიანთ ბეჟანის შვილმა გოგიამ, შენ ბიძაჩემი იოსეფ მდივნისაგან, ოცი თუმანი ახალი ზარაფ-ხანის თეთრი... რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თუმნის თავს სამი შაური სარგებელი მოგცე თვეში. არის ამის გირაოთ ჩემი წილი ყმა და მამული“* [**მასალები.., 1953**: 52]. 1782 წლის 8 ივნისის თამასუქის მიხედვით კი, ნიკოლოზ თუმანიშვილს სესხი აუღია პაპუნა თუმანიშვილისგან [**მასალები.., 1953**: 57].

დოკუმენტებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ კრედიტორ თუმანიშვილებს თავიანთი ფეოდალური სახლის წევრები ყოველთვის არ მიმართავდნენ სესხის აღების მიზნით და სხვა მევახშეებთანაც აფორმებდნენ თამასუქებს. მაგალითად, 1772 წ. 1 თებერვალს ცნობილ გორელ მევახშეს, დავით თუთუნაშვილს თამასუქი მისცეს ძმებმა გოგია და ნიკოლოზ თუმანიშვილებმა [**მასალები.., 1953**: 47-48]. მევახშე ლაშქარნივის მანუჩარის ბიძაშვილმა, ნიკოლოზმა 1790 წ. 1 ნოემბერს თამასუქით ისესხა ფული ზურაბ ტერმოსესაშვილისგან [**მასალები.., 1953**: 88-89].

1784-1799 წლებში სესხი აქვს აღებული სხვადასხვა მევახშისგან ნიკოლოზ თუმანიშვილს [**მასალები.., 1953**: 61, 74, 140]. იგი აღნიშნულ ვალებს იხსენიებს 1800 წლის ახლო პერიოდში დაწერილ თავის ანდერძში, რომლის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ის არა ანდერძი, არამედ უფრო დანატოვარი ვალების ნუსხაა. სხვათა შორის, როგორც ნიკოლოზი წერს, მას თავისი მეუღლის ვალიც ჰქონია: *„..ჩემის მეუღლისა მმართებს ერთი თუმანი, კიდევ მმართებს ცხრა მინალთუნი, კიდევ მმართებს ხუთი ოქრო, თერთმეტ აბაზათ და უზალთუნათ იყო. ესენი სულ ჩემს ავანტყოფობაზე გამომირთმევია და დამიხარჯავს. ეს ყმიდამ და მამულიდამ უნდა ჩემმა ძმებმა მისცენ. თუ ჩემო ძმებო, არ მიეცით, ღმერთთან პასუხი გამეცით სამარ-*

თალში...“ [**უჩანეიშვილი, 1967**: 137-140]. ისმის კითხვა: საკრედიტო ოპერაციები თუმანიშვილების ოჯახის წევრთა შორისაც წარმოებდა? მართალია, მოყვანილ ციტატაში თამასუქი არ იხსენიება, მაგრამ შესაძლოა მევახშეობაზე მიუთითებდეს.

გარდა ამისა, ჩვენ ხელთ გვაქვს 1787 წ. 22 ნოემბრის ვალების ნუსხა, რომელშიც ეგნატე თუმანიშვილს დაანგარიშებული აქვს სხვადასხვა პირებისაგან აღებული ვალები: *„რაც ამ თარიღში მე, ეგნატი მდივანს, ვალი მემართა, ამას ქვეით სწერია. თუ რამ ჩემი მეუღლის დამიხარჯავს, რომ ჩემი ვალი არის, ყველა ამას ქვეით სწერია“.* თამასუქით აღებული სესხის ანგარიშს გულისხმობს ეგნატე, როცა იქვე წერს: *„ჩემი მეუღლისა თეთრი მქონდა სარგებლით აღებული კე (ოცდა ხუთი თუმანი). წელიწადს გაევლო ია. ამის სარგებელი საქართველოს განწესებით იანგარიშეს ერთი-ორად, იქნა ნ (ორმოცდა ათი თუმანი). ამისი კ (ოცი თუმანი) სახლში მიცემული მაქვს, გირაოთ მიჭირამს....“.* ეგნატეს ასევე ჩამოთვლილი აქვს, გაყიდული ნივთები, რომლებიც თავის მეუღლეს ეკუთვნოდა და მათი ღირებულება 24 თუმანს აღემატებოდა [**მასალები.., 1953**: 74-76].

მიუხედავად იმისა, რომ თუმანიშვილები ცნობილი მევახშეები იყვნენ, ფულს თვითონაც სესხულობდნენ. XVIII ს. II მეოთხედში ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილის მამამ – მევახშე გორჯასპი მდივანმა თამასუქი მისცა ფარსადან მღებრიშვილს და *„ერთი თუმანი ახალი თეთრი“* ისესხა [**უჩანეიშვილი, 1967**: 53]. გორჯასპის მიერ სესხის აღება დასტურდება 1767 წ. 1 აპრილის თამასუქითაც [**მასალები.., 1953**: 44-45].

1792 წ. 19 ივნისს მანუჩარ ლაშქარნივისმა სარქისაღაშვილი კარაპიტასაგან 30 თუმანი ისესხა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 13, ს. 59; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 22, ს. 42]. სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს 1799 წლის 12 აგვისტოს თამასუქით 1 თვით აუღიათ სესხი და თავდებად დავით კვეზერელი დაუყენებიათ: *„ავიღე მე... სულხან და ჩემა ძმამ მანუჩარმა, შენ გასტამანთ სტეფანასაგან და მუნთუანთ გასპარასაგან, ოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხდანგიანი სირმა აბაზი... ერთი თვე ვადა, ერთს თვეს უკან გაურჯელად მოგაბარო... კვეზერელი დავითა, ამ ზემო ნაწერის ოცი თუმნის თავდები მე ვარ. თუ ვადაზე ეს ოცი თუმანი მდივნებმა არ მოგცენ მე დავითამ მოგცე ვადაზე“* [**მასალები.., 1953**: 141]. სხვადასხვა პირებისაგან მანუჩარისა და სულხანის მიერ ვალის აღება დასტურდება 1799-1800 წწ. სხვა საბუთებითაც [**მასალები.., 1953**: 146, 152-153].

1810 წ. 1 მაისს დიმიტრი თუმანიშვილმა ოქრომჭედელი დავით პაპუნაშვილისგან 11 თუმანი ისესხა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 55, ს. 120].

მევახშე თუმანიშვილები ფულს სესხულობდნენ ნათესავებისგანაც. ეს ნათლად ჩანს, 1799 წელს შედგენილ მანუჩარ თუმანიშვილისა და მისი მოყვრის, სოლომონას ანგარიშის წიგნიდან, რომელშიც ვკითხულობთ: *„რაც ბატონს სოლომონას უნდა მივცე თეთრი ფული: ჲე (65 თუმანი) ქკს უპზ, ამ წლის მკათათვეს ა ერთის თამასუქით ჩემმა ძმამ სულხან და მე უნდა მივცეთ თავის სარგებლით, თავნია. რაც ბატონი სოლომონასათვის მიმიცია თეთრი ფული: ლ (30 თუმანი) ქკს უპზ, ამ წელს ენკენისთვეს ა, მივე. თავის დას შუშანას* (მანუჩარ თუმანიშვილის მეუღლის – ხანუმის და – **რ.მ.**) *მივე თავნი ვ (6 თუმანი) ამდენი, თავისის სარგებლით...“* [**მასალები.., 1953**: 142]. ტერშმოვანანთ სოლომონასაგან, მანუჩარისა და სულხანის მიერ ვალის აღება დასტურდება 1799-1800 წწ. რამდენიმე საბუთითაც [**მასალები.., 1953**: 146, 152-153]. განხილული დოკუმენტები გვიჩვენებს, რომ კრედიტორი თუმანიშვილები, არაერთხელ დამდგარან სესხის აღების საჭიროების წინაშე.

ზოგჯერ, თუმანიშვილები არღვევდნენ თამასუქის პირობას და ვალს არ იხდიდნენ. მაგალითად, 1765 წ. 5 მაისს ვინმე გოგია მურადაშვილმა თუმანიშვილებს ვალის გადაუხდელობისთვის, ერეკლე II-სთან უჩივლა: *„ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეჯთა მტვერს გოგიას მურადაშვილს. მერმე თუმანისშვილს გოგიას ოთხი მინალთუნი და თოთხმეტი შაური მართებს. თამასუქი მაქვს; კიდევ თუმანიშვილს ფარემუზს – თორმეტი აბაზი... თამასუქი მაქვს... ღმერთი გაგიმარჯვებს, არ მაძლევს... წყალობა მიყავით, რომ ჩემი მამცეს“* [**ქართული.., 1981**: 93].

თამასუქის საფუძველზე სესხის გაცემისას არსებობდა ე.წ. *„ვერცხლის დათქმის“* პრაქტიკა. ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ: *„XVIII საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა მეფის მიერ მონეტის გაფუჭებას* (ფალსიფიკაცია, ხარისხის გაუარესება – **რ.მ.**)... *მონეტის გაფუჭებას მოყვებოდა ფასების ზრდა და ფულის მყიდველობითი უნარის დაცემა. რამდენადაც ვალი ნომინალური იყო, ცხადია, რომ გამსესხებელი მონეტის გაფუჭების შედეგად მიიღებდა ნომინალურად იგივე, მაგრამ რეალურად უფრო მცირე თანხას... ყველა გაურბოდა სესხის გაცემას, რამდენადაც იცოდა, რომ მონეტის გაფუჭება შეამცირებდა გასესხებულ თანხას. დანაკარგის ასაცილებლად თამასუქში აღინიშნებოდა როგორი მონეტები... იყო სესხად აღებული. მსესხებელს იმგვარივე მონეტები ან მისი*

ექვივალენტი მონეტები უნდა გაეღო სესხის დაფარვის დროს. ამით აიხსნება ის, რომ მრავალ თამასუქში წერია: ავიღე სესხად „ახალი თეთრი“... ,,ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი, რომ იქს არის ნახევარი გ (სამ თუმანს) ამდენი და მოგეც ამის გირაო“... ხშირად არის გარჩეული ,,ძველი“ და ,,ახალი“ მონეტა...“ [**ქოიავა, 1963**: 93-94].

თუმანიშვილებთან დაკავშირებულ თამასუქებზე დაკვირვების შედეგად დგინდება, რომ ისინი გასცემდნენ სესხს ე.წ. *„ვერცხლის დათქმით“.* ეს მიანიშნებს, რომ თუმანიშვილები, საკმაოდ წინდახედული კრედიტორები იყვნენ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, 1792 წელს იოსებ თუმანიშვილმა მსესხებელს ფული შემდეგი პირობით მისცა: *„ორი თუმანი ახალი ზარაფხანის თეთრი ოთხი დანგიანი. იქნება ამის ნახევარი ა თუმანი“* [**მასალები.., 1953**: 96]. თუმცა, თუმანიშვილები ფულს სესხად თამასუქის გარეშეც გასცემდნენ [**მასალები.., 1953**: 126, 129, 133, 138].

ნ. ქოიავას მოსაზრებით, ხშირად სესხი გაიცემოდა გირაოს ქვეშ, რომელსაც საგირაო ერქვა და მისი დაბრუნება უზრუნველყოფილი იყო არა მოგებით, არამედ ქონებით [**ქოიავა, 1963**: 87]. საგირაო სესხს გასცემდნენ თუმანიშვილებიც, მაგალითად, 1739 წლის 5 ოქტომბრის გირავნობის წიგნში ვკითხულობთ: *„ესე წიგნი მოგეც... თარხნისშვილმა დავით, თქვენ, მდივანს გორჯასპის, რომე ყევარი ხარი დაგიგირავე ექვსის კვირის ვადითა რვა მინალთუნათ... რომ შენი რვა მინალთუნი მოგივიდეს, ჩემი ხარები მომცე... თუ ვადას გადაგიცილდეს ხარებზე ხელი ამიღია“* [**მასალები.., 1953**: 28]. ნ. ქოიავას განმარტებით: *„ქონება დაგირავებულად ითვლებოდა ვალის გასტუმრებამდე. თუ ქონებით სარგებლობა მსესხებლის ხელში რჩებოდა, მაშინ იგი გამსესხებელს პროცენტს უხდიდა, თუ ქონების შემოსავლით გამსესხებელი სარგებლოდა, მაშინ მსესხებელი მას პროცენტს არ უხდიდა. პროცენტად ითვლებოდა შემოსავალი“* [**ქოიავა, 1963**: 88]. მაგალითად, 1839 წელს სესხად აღებული 2 200 მანეთი ვერცხლის ფულის სანაცვლოდ, ალმასხან გელოვანმა, თავად იოსებ თუმანოვის ასულ მარიამთან, ათი მოსახლე ყმა დააგირავა. ამ შემთხვევაში მევახშე თუმანოვი, სესხის პროცენტის სანაცვლოდ დაკმაყოფილდა დაგირავებული გლეხების სამსახურითა და მათგან მიღებული გადასახადებით. თუ მსესხებელი 2 200 მანეთს ვერ გადაიხდიდა დაგირავებული 10 მოსახლე ყმა, თუმანოვის ასულ მარიამის საკუთრებაში გადავიდოდა [**უჩანეიშვილი, 1967**: 198-200].

თუმცა, მევახშე თუმანიშვილებთან გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა მსესხებელი ვალის დაფარვამდე არ სარგებლობს დაგირავებული ქონებით და პროცენტსაც იხდის.

კერძოდ, 1786 წ. 1 ოქტომბრის თამასუქში წერია: *„ავიღე მე გურამისშვილმა უზბაშმა გოგიამა თქვენ, სულხან და მანუჩარ მდივნისაგან ხუთი თუმანი... რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში ერთი აბაზი სარგებელი მოგცე და ამ ხუთის თუმნის გირაოდ მოგეცი სტეფანე კალატოზი და მეზანდუკე არუთინა, რაც განწესება აძევსთ ამ ჩემს კაცთა წელიწადში, სარგებელიც ამათ გაძლიონ ჩემის განწესებიდამ...“* [**მასალები.., 1953**: 69-70]. სამართლის წიგნით, სასესხო პროცენტი შეადგენდა 12, 18, 20, 30, 48, 60, 72, 96 და 120-საც კი. თუმცა, იგი გმობდა ასეთი მაღალი სარგებლის აღებას და აწესებდა უკიდურეს ნორმას 12, 18, 24, 30 %-ს. ამასთანავე მიუთითებდა, რომ უმჯობესი იყო მევახშეს პროცენტი არ აეღო. [**ქოიავა, 1963**: 83–84]. როგორც ვხედავთ, სამართლის წიგნი სრულად ვერ არეგულირებდა პროცენტს.

ჩვენ დავინტერესდით რამდენი იყო საპროცენტო განაკვეთი მევახშე თუმანიშვილებთან. პირობითად შერჩეული 1769-1802 წლებში შედგენილი 19 თამასუქიდან, რომელთა საფუძველზეც თუმანიშვილებს გასესხებული ჰქონდათ თანხა, 12 თამასუქში *„თუმნის თავზე“* სარგებელი 2 შაური, 2 თამასუქში *„თუმნის თავს“* სარგებელი 2,5 შაური, 2 თამასუქში სარგებელი *„თუმნის თავს“* 3 შაური, ხოლო 3 თამასუქში *„თუმნის თავს“*სარგებელი 1 აბაზი იყო [**მასალები 1953**: 45-46; 48-49; 52; 55; 57; 69-71; 79-80; 85; 87-88; 96-98; 107; 141; 166; 168-169; **უჩანეიშვილი, 1967**: 101-104; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 32. ს. 20]. შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმანიშვილებთან საპროცენტო განაკვეთი დაბალი იყო და ერთ თუმანზე 2 შაურიდან 1 აბაზამდე ანუ 1%-2% მერყეობდა. სწორედ, დაბალი საპროცენტო განაკვეთი უნდა ჩაითვალოს თუმანიშვილებისადმი მსესხებლების ხშირი მიმართვიანობის მთავარ ფაქტორად.

აღსანიშნავია, რომ მევახშე თუმანიშვილებს, ზოგჯერ მეფეც კარნახობდა თუ რა საპროცენტო განაკვეთით უნდა გაეცათ სესხი ამა თუ იმ პირზე. 1794 წ. 16 მაისს ერეკლე II-მ სულხან თუმანიშვილს უბრძანა 200 თუმანი გაეცა სესხად შემდეგი პირობით: *„მდივანო სულხან კურთხეულის ქრისტეფორეს თბილელისა ეკლესიის თეთრი რომ გაბარია იქიდამ სარგებელს გარდა ორასი თუმანი შაქარასა და იოსებს ასესხე ესენი თამასუქს მოგცემენ და ორ შაურობაზე თუმანს სარგებლით დაიწერენ“*[**სეასცა**, ფ. 1448, ს. 2519].

რაც შეეხება უპროცენტო სესხს, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ნ. ქოიავას მოსაზრებას, რომ XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდა უპროცენტო (მეგობრული) სესხი, რომელიც მხოლოდ სამი თვის ვადით გაიცემოდა [**ქოიავა, 1963**: 87]. როგორც ირკვევა,

უპროცენტო მეგობრული სესხის ვადა განისაზღვრებოდა ინდივიდუალურად, კრედიტორისა და მსესხებლის ურთიერთშეთანხმებით. იგი შეიძლება ყოფილიყო 2-3 თვიანი, 1-2 წლიანი და ა. შ. ამის დასტურად მოვიყვანთ ორ თამასუქს: 1787 წ. 1 აპრილს ქიტესა ამბარდარის მიერ სულხან თუმანიშვილისადმი მიცემულ თამასუქში წერია: *„ავიღე... ოთხმოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ-დანგიანი სირმა აბაზი... ქვემოთის თარიღიდამ* (1787 წლის 1 აპრილი – **რ.მ.**) *ქკს უოვ* (1788 წ. – **რ.მ.**) *ამ წლის იანვრის გასვლამდის ვადა. ვადაზედ თქვენი ოთხმოცი თუმანი ულაპარაკოდ მოგაბარო. თუ ვადას გადასცილდეს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო“* [**მასალები.., 1953**: 72]. 1794 წ. 15 მარტის თამასუქით კი ვინმე ცხინვალელ იარალაანთ ქაიხოსროს შვილმა ტერ-მელიქსეთამ მანუჩარ თუმანიშვილისგან 50 თუმანი ისესხა, რომელიც სამ ნაწილად უნდა გადაეხადა: 20 თუმანი 1794 წ. 15 მარტიდან მაისის ბოლომდე, ხოლო 30 თუმანი 2 წლის განმავლობაში (წელიწადში 15 თუმანი). ვადის გადაცილების შემთხვევაში კი თუმანზე პროცენტით 2 შაური უნდა გადაეხადა [**უჩანეიშვილი, 1967**: 109].

ზოგიერთ შემთხვევაში მევალეები სესხს ნატურით ან გარკვეული სამუშაოს შესრულებით ფარავდნენ. მაგ. 1792 წლის 1 იანვარს ვინმე მინას თარხანოვის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის ვალში მისაცემი საქონლის სიაში ვკითხულობთ: *„ქვემო ნაწერი რაც საქონელი მივაბარო ბატონს მანუჩარ მდივანს, რომ ჩვენი კუნთისა(?) მეფის პ (ოთხმოცი თუმანი) ამდენი ვალის თანხაში მისცეს, როგორც ბევრი ფასი და ზომა არის...“* ამის შემდეგ დეტალურად ჩამოთვლილია ვალის შესაბამისი ღირებულების საქონელი [**მასალები.., 1953**: 94].

მევახშე თუმანიშვილებს ხანდახან ვალს არ უბრუნებდნენ, რაც დავის საგანი ხდებოდა. კრედიტორები ცდილობდნენ საქმე დავამდე არ მისულიყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მკვლევარ რ. კაშიას დაკვირვება, რომელიც წერს: *„ვალის ამოღების შემთხვევაში ისინი* (თუმანიშვილები – **რ.მ.**) *გარკვეულ თანმიმდევრულობას იცავდნენ. როგორც კი თამასუქის ვადა გავიდოდა, ისინი მევალეს ამის შესახებ წერილობით ატყობინებდნენ, თუ სათანადო პასუხს არ მიიღებდნენ ამ შეტყობინებას რამდენჯერმე იმეორებდნენ და თუ საქმეს მშვიდობიანად ვერ გაარიგებდნენ, მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ ხელისუფლებას“* [**კაშია, 2012**: 82]. მაგალითად, 1793 წ. 20 ივლისის არზით ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი, ვინმე შაქარა ჩარჩისშვილს თამასუქით განსაზღ-

ვრული ფულის გადაუხდელობისთვის ერეკლე II-სთან უჩიოდა [**ქართული.., 1985**: 227; **საქართველოს.., 1910**: 532-533].

მანუჩარ თუმანიშვილი ათწლეულების განმავლობაში ცდილობდა ლეონ ბატონიშვილის დანატოვარი ვალების ამოღებას, მაგრამ ამაოდ. ამ საკითხის მოსაგვარებლად 1810 წელს მანუჩარმა რუსეთის იმპერატორსაც მიმართა თხოვნით, რომ ერეკლე II-ის მიცემული პირობით ლეონ ბატონიშვილის ვალები საუფლისწულო ყმა-მამულიდან (ყოფილი არაგვის საერისთავო) ანაზღაურებოდა, რომელსაც ლეონის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი ფლობდა. იგი იმპერატორს წერდა, რომ რუსეთში გადასახლებული ალმასხანისაგან ვალის დაბრუნებაში დახმარებოდა: *„განსვენებულსა მეფის ძეს ლეონ ირაკლევიჩსა ემართა ჩემი ვალად სხვადასხვა ნუსხებითა და ბარათებით სლა* (231 თუმანი – **რ.მ.**), *რომელიცა შემდგომ სიკუდილისა მისისა ბრძანებითა მეფის ირაკლისა იანგარიშეს ძეთა მისთა გიორგი - უკანასკნელმან მეფემან, იულონ, ალმასხან... და მამცეს ბარათი მოცემისათვის ერევნის მახტაზედ, რომელიც იკრიფებოდა მაშინ ხაზინისათვის, გარნა ვერ მიმღებელი მუნითგან ვერაფრისა დავშთი თვინიერ კმაყოფობასა უკან მობრუნებითა ამისთანის ბარათისა, შემდგომად რომლისა განსვენებულმან მეფემან ირაკლიმ მიბძანა მე მიღება* (ლეონ ბატონიშვილის ვალები – **რ.მ.**)... *მისგან დარჩომილთა ყმათა მამულთაგან, სახელდობრ არაგვის სამფლობელოთგან, რომელიცა მაშინ იმყოფებოდა სრულსა განგებასა ქვეშე მეფის ძის ვახტანგისა, რომელიცა აწ იმყოფება წმინდას პეტერბუღს და გარემოებათაგან საქმითა ვერა მივიღე რა ვერცა არა მისგან... უმაღლესად უბრძანეთ განხილვა ქონებულთა ჩემთა ამა თეთრის რიცხვისათვის საბუთის წერილთა და კმაყოფის მოცემა ჩემი დარჩომილთა ყმათა მამულთაგან ხსენებულის მეფის ძის ლეონისა, რომელიცა მდგომარეობს საქართველოში არაგვის სამფლობელო, ვინაიდგან იმის მიერ თვით მე შთავარდი არა მცირედსა ვალქვეშა...“*[**უჩანეიშვილი, 1967:** 168].

მანუჩარ თუმანიშვილი ყველა ხერხს მიმართავდა, რომ ბატონიშვილისგან ვალი ამოეღო და 1811 წ. 20 მარტს ბირთველ თუმანიშვილს სთხოვდა ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის ვალის წერილობით დამოწმებას, რომელსაც, როგორც ჩანს, შემდეგ საჩივლელად გამოიყენებდა. საბუთს ახლავს ბირთველის მინაწერი: *„დედოფლის დარეჯანის სანახავად რომ ჩამობძანდა ტფილისში... საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, იმ ჟამად თან ვახლდი. თქვენ იახელით ავლაბარში და ნახეთ. მეორე დღეს მე მიბრძანა ბი-*

ძაშენს მდივანს მანუჩართან მიდი და ჩემს მაგიერ უთხარ, რომ ნუ სწუხარ რომ შენდა მოსაცემი თეთრი ასე დაგიგვანე. ღვთის მოწყალებით თუ მშვიდობა მექნება, ვეცდები რომ მალე მოგცე რასაც მოსაცემს ვარო...“ [**მასალები.., 1953**: 195]. 1812 წ. 20 მარტს მანუჩარი ვრცელი წერილით ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს ვალების დაბრუნებას სთხოვდა, თუმცა ვახტანგი ამას უარყოფდა. აღსანიშნავია, რომ მანუჩარი წერილში ლეონ ბატონიშვილს აღარ ახსენებს [**მასალები.., 1953**: 196-200].

არსებობს ფაქტები, როცა მსესხებელი ვალს ვერ იხდიდა და დამატებით ახალ სესხს იღებდა. ეს, ფაქტობრივად, მევახშის ფინანსურ კაბალაში აქცევდა მევალეს. მაგალითად, ვახტანგ ყაფლანიშვილი 2 წლის განმავლობაში იღებდა სესხს თუმანიშვილებისგან. მას 1791 წ. 2 აგვისტოს თამასუქით 30 თუმანი ძველი ვალი ჰქონდა და დამატებით აიღო 3 თუმანი [**მასალები.., 1953**: 91], 1792 წ. 15 იანვარს მისი ძველი ვალი 40 თუმანი იყო და დამატებით 2 თუმანი ისესხა [**მასალები.., 1953**: 96], 1792 წ. 26 მარტს ვალი 42 თუმანი ჰქონდა და დამატებით 8 თუმანი აიღო [**უჩანეიშვილი, 1967**: 101-102], 1792 წ. 2 ოქტომბერს ძველ ვალს – 50 თუმანს მიამატა ახალი ვალი 3 თუმანი [**უჩანეიშვილი, 1967**: 103-104]. თუმცა ყველა აღნიშნულ თამასუქს აქვს სესხის დაფარვის დამადასტურებელი გვიანდელი ხანის მინაწერები [**მასალები.., 1953**: 91, 96; **უჩანეიშვილი, 1967**: 101-104].

1795 წ. 15 ივლისის თამასუქით გარკვეულ კაბალურ მდგომარეობაში მოექცა ერთ-ერთი ხელოსანი, რადგან მანუჩარ თუმანიშვილისაგან ნაქირავები სახლის ქირას მისგან აღებული სესხით ფარავს [**მასალები.., 1953**: 116-117]. ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ: *„ვალის დროზე არდაფარვა იწვევდა ვალის აღებას იძულებითი წესით, თუ მსესხებელი არ აბრუნებდა ან ვერ უბრუნებდა გამსესხებელს ფულს, მაშინ სესხის დაფარვის უშუალო წყარო იყო მსესხებლის მოძრავი ან უძრავი ქონება და თვითონ მსესხებელიც კი“* [**ქოიავა, 1963**: 95]. ამ გზით მევახშე თუმანიშვილების ხელში დიდი ქონება იყრიდა თავს. 1711 წლის 10 აგვისტოს საბუთის თანახმად, *„მექვაბე პეტროზას შვილი ესტატეს შვილმა ზურაბამ“* ქარმიშა თუმანიშვილს ნასყიდობის წიგნი მისცა, რადგან: *„მამაჩემს ესტატეს შენი თეთრი ემართა სხვა ფერად ღონე ვერსადა ვაქენი მამაჩემსაც თქვენთვინ მოეცა დუქანი და სახლიც მეც მოგყიდე როსტევანანთეული დუქანი გამოგართვი ფასი უკალებლივ“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 64].

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასულს, სოფიოს ჰქონდა შ. თუმანიშვილის ვალი – 3600 ვერცხლის მანეთი, რომლის დასაფარავად გორის მაზრაში იყიდებოდა სოფიოს კუთვნილი 54 ყმა-გლეხი მათი ქონებით – 7 ვენახი, 33 დესეტინა სახნავი მიწა, 2 წისქვილი და 15 წყვილი მსხვილფეხა პირუტყვი. ყველაფერი ეს შეფასებული იყო 2100 ვერცხლის მანეთად [**მამისთვალიშვილი B, 2018**: 316].

როგორც ვხედავთ, თუმანიშვილებისაგან აღებული სესხის დაფარვის მიზნით მევალეები იძულებულები იყვნენ, ყმა-მამული გაეყიდათ. 1819 წ. მარტში, აპრილსა და ივნისში *„საქართველოს გაზეთი“* წერდა, რომ თბილისში *„კოლლეჟსკის რეღისტრატორის მიზანდაროვის“* მამული მარიამ თუმანოვის ვალში უნდა გაყიდულიყო [**საქართველოს.., 8. 03. 1819,** # 1: 3; **საქართველოს.., 25. 04. 1819**, # 8: 31; **საქართველოს.., 13. 06. 1819,** # 15: 59-60], ხოლო გორში ვინმე ფერშანგოვის სახლის ადგილი *„სოვეტნიკ“* შიოშ თუმანოვის ვალში უნდა გაყიდულიყო 28 მარტს, 14, 17 აპრილს [**საქართველოს.., 14. 03. 1819,** # 2: 7], 20, 28 და 30 ივნისს [**საქართველოს.., 6. 06. 1819,** # 14: 54].

1819 წ. 27 ივნისს *„საქართველოს გაზეთი“* წერდა: *„ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მოწოდებულნი არიან ქვემო ჰხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან იგინი საკუთარის ვალების მიუცემლობისთჳს დადებულნი არიან საქვეყნოდ გასასყიდად... გარდაცვალებულის თავადის გოგია მაჩაბლის ყმები ხიზანიშვილები გორის უეზდის სოფელს ვარიანს მცხოვრებნი, რომელნიც არიან ოთხი მამაკაცი და ორი დედაკაცი, სრულიად თავიანთ მამულით გორის უეზდის სუდის გარდაწყვეტილებით იმ ვალში, რომელიც ჰმართებია მას ნადვორნის სოვეტნიკის თავადის შიოშ თუმანოვისა, მათი გასყიდვის ვადა დანიშნული არის ი, იზ და ით ივლისს“* [**საქართველოს.., 27. 06. 1819**, # 17: 65].

აღსანიშნავია, რომ მევახშეთა შორის არსებობდა საქმიანი მიმოწერა. როგორც ჩანს, სამევახშეო საკითხებში თანამშრომლობდნენ მანუჩარ თუმანიშვილი და ცნობილი გორელი მევახშე დავით თუთუნაშვილი. 1787 წ. 22 აპრილს მან დავითს გაუგზავნა თამასუქების ნუსხა წერილით, რომელშიც მევალეებთან ფინანსურ საკითხებში დახმარება სთხოვა და მათთან ურთიერთობისას გარკვეული რჩევები მისცა. კერძოდ, მანუჩარი წერილში წერდა: *„ბატონო დავით თუთუნაშვილო, შენის მოწერილის წიგნების პასუხი სულ მამიწერია და იქიდამა სცნობ ლელუასშვილის ვალებსა... ამ ჩემს მოწერილობაზე მეტს ნურას იმოქმედებ, რომ ჩემის მსახურის ალექსისათვისაც დამიბარებია,*

ისიც გნახავს ჩემს დაბარებულობას გიანბობს... ამ სიაში მოხსენებული მოვალეებისა როგორც ამამიწერია და ამაში გიცხადებს, თუ ასე დასჯერდნენ, მიეც და თამასუქები დაიხსენ. რაც ამაში არ მამიწერია, მეტის მიცემისა მე ყაბული არა მაქვს. ამას გარდა მოვალეებისათვის მე მიმიცია და თუ არის ვინმე დარჩომილი, იმათიც მე ვიცი, შენ საქმე არა გაქვს... თეთრებისა გეკითხა, რომლის თეთრისა მივცეო. საიდამაც მისცემ, ჩემი თეთრი იქნება, რა თაფაუთი ექნება? ჯერ რაც შენთან თეთრია, ეგ მიეც ამ მოვალეებს. თუ დაგაკლდეს, მას უკან ბურნუთოს იჯარადრის თამასუქი რომ გაქვს, იქიდამ მიეც. თუ გინდა სურსათის ჰურის თეთრიდამ მიეც. კიდევაც მამიწერია და ახლაცა გწერ, რომ გაბრიელ ლელუასშვილის ხელში თეთრი არ ჩააგდო, რომ ყაბული არა მაქვს. თუ აქ ხსენებული თამასუქები ვერ დაიხსნა, შენთან ორ-სამ რიგობა თეთრი არის, თუ აქედამ გამოგზავნილი და თუნდ მანდ აღებული. თამასუქების თეთრიც სარგებლით აიღე და გამომიგზავნე. ამაზე გაირჯები, მაგრამ მეც შენს საქმეზე გარჯით გარდავიხდი და ან სამსახურით მოგიმადლებ" [**მასალები.., 1953**: 73].

§ 3. ვაჭრობა-ხელოსნობა

თუმანიშვილები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაინტერესებულები იყვნენ სავაჭრო საქმიანობით, რამაც *„კაპიტალის დაგროვება"* გამოიწვია. XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ: მდივანი გორჯასპი თუმანიშვილი და განსაკუთრებით, მისი შვილები ცნობილი ლაშქარნივისი მანუჩარი და სულხან მდივანი. ისინი მსხვილი მევახშეები იყვნენ და ვაჭრებთან საკრედიტო საქმიანობით იყვნენ დაკავშირებულები.

მანუჩარ და სულხან თუმანიშვილები ქმნიდნენ და მართავდნენ *„სავაჭრო ამხანაგობებს"*, რომელთა ძირითადი საბრუნავი თანხა ანუ *„თავნი"*, სწორედ მათ ეკუთვნოდათ. თუმანიშვილების მიერ წარგზავნილი პირები ვაჭრობდნენ თავრიზში, გილანში, ერევანში, განჯაში, ხოიში, ბაქოში, ასტრახანში, მოზდოკში და სხვ. ისინი თბილისის გავლით, რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის შუამავლის როლს ასრულებდნენ და საქონელს ირანშიც გზავნიდნენ. თბილისელ ვაჭრებს თურქეთში, ძირითადად ირანიდან და მის ქვეშევრდომობაში მყოფი ამიერკავკასიის ქალაქებიდან შემოტანილი საქონელი გაჰქონდათ. თუმანიშვილები ვაჭრობდნენ: საფეიქრო ნაწარმით, აბრეშუმით, *„ხოის ჩითით"*, ბეწვეულით, ჩაით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, მარცვლეული კულ-

ტურებით, პურით, ღვინით, ნიგვზით, XIX ს. დასაწყისიდან სპილენძითაც. თუმანიშვილები დიდ როლს ასრულებდნენ გორის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათ დუქნებში 1796 წლის მონაცემებით 459 სახის საქონელს მოითვლიდნენ.[11]

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები კათოლიკე თუმანიშვილები, რომლებიც XVIII საუკუნეში ოზურგეთში გადასახლდნენ და დიდი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის განვითარების საქმეში. მათი ვინაობისა და სავაჭრო საქმიანობის შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერს: *„XVIII საუკუნის შემდეგ, ოზურგეთის ქართველ კათოლიკეთა თუმანიშვილებთ შორის სახელოვნებდა სტეფანე პავლეს ძე... იგი გარდაიცვ. 1890 წ. თითქმის 90 წლისა... გურიიდამ პირველად ამას გაუტანია ევროპაში აბრეშუმის ჭიის პარკი გასასყიდად... თუმანიშვილების... აღებ-მიცემის შესახებ... ვიტყვით... შემდეგს მოთხრობილს ამბავს... გურიაში ძველადგან უმეტესად სიმინდის არყის ხდას მისდევდენ... ოზურგეთს და დუაბზუს პირველად კარგი არყის დიდი ქარხანა გაუხსნია ალექსანდრე თუმანიშვილს და ამ ქარხნის საშუალებით უფრო საფუძვლიანად მოფენილა გურიაში არყის ხდის ხელოსნობა... ოზურგეთში... დიდათ სახელოვნებდა თომა თუმანიშვილი. ეს იყო გურიელების მახლობელი პირი, მეგობარი, ვაჭარი, სასახლის... და სხვა ამბების წამლებ მომტანიც. თომა ოზურგეთში სცხოვრობდა ცოლ-შვილით, მისი შვილები იყვნენ და არიან: იოსები, მიხეილი და ალექსანდრე... პირველად ამათ როსტოვიდამ მოიყვანეს პურის მცხობლები და ოზურგეთში პურის ცხობა დაიწყეს. პურის ცხობას და ჭამას გურულები 1840 წლების შემდეგიდამ შეეჩვივნენ... თვითოეულ მათგანს* (თუმანიშვილები – **რ.მ.**) *აქვს კარგი მნიშვნელობა გურულების წაქეზებაში ვაჭრობის ასპარეზედ ასეთ ამაგის გამო გურულებმა ერთხელ ამათი გაძევებაც განიზრახეს, მაგრამ ამაოდ. ამათვე გახსნეს არყის ქარხანა საჯავახოს“*[**ჭიჭინაძე, 1905**: 90-93].

თუმანიშვილების დიდი სავაჭრო საქმიანობიდან გამომდინარე მათი დუქნების სიმრავლე გასაკვირი არ არის. ისინი იძენდნენ დუქნებს თბილისში. მაგალითად, 1781 წლის 23 დეკემბერს მდივანმა იოსებ თუმანიშვილმა გიორგი როხროხაშვილისგან სირაჯხანაში[12] დუქან-ნახევარი იყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 119], ხოლო 1785 წლის 15

[11] თუმანიშვილების სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით დაწვრ. იხ: [**გვრიტიშვილი, 1954**; **კაშია, 1990**; **კაშია, 2007**; **კაშია, 2012**; **კაშია, 2011**; **სანაძე, 1992**; **მამისთვალიშვილი, 2018A** : 322-324; **კაშია, 2008**].

[12] სირაჯხანა (ღვინის აღმართი) – ღვინის გამყიდველთა უბანი, რომელიც როსტაბაზრის (ბატონის მოედანსა და თათრის ბაზარს შორის მდებარე სავაჭრო ადგილი) ფარგლებში შედიოდა. იყო დიდი და პატარა სირაჯხანა [**ზარდალაშვილი, 1978**: 58, 64].

მაისს თოფხანის[13] მოპირდაპირედ, თავისი დუქნების გვერდით შეისყიდა ერთი პატარა დუქანი [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 180].

1816 წლის 1 ივნისს გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილმა ორი დუქანი, ოთახები და სახლი იყიდა თბილისში: *„თქვენ... გიორგი თუმანოვს... მოგყიდე ჩემი მამა პაპეული ქალაქის მესამე ჩასტში ახალ ბაზარ ხანაში მყოფი ერთი დიდი და მეორე პატარა დუქნები ორივ ერთად მდებარე და აგრეთვე ამავ ორის დუქნების ზურგით ერთი ოთახი და ოთახის ქვეშეთ ძირის სახლით“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 55, ს. 147]. 1816 წლის 17 ივნისს გიორგიმ სარაჯების ბაზარში შეიძინა დუქანი [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 42, ს. 34].

დავით იესეს ძე თუმანიშვილს, სოფელ ხელთუბანში, სამიკიტნო დუქანი ჰქონდა, რომელიც 1881 წელს, ალექსანდრე თანდიევს 1 წლის ვადით 18 მანეთ თეთრ ფულად მიაქირავა [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 8028]. როგორც ირკვევა, თუმანიშვილებს დუქნის ასაშენებლად განკუთვნილი მიწებიც გააჩნდათ. 1816 წ. 24 მარტის საბუთის თანახმად, *„კოლეჟსკი ასესორ“* დიმიტრი თუმანიშვილს *„სამი დუქნის ალაგი“* ჰქონია, რომელიც პოდპოლკოვნიკ მირზა აბრამ ენაკოლოფოვისათვის 15 თუმნად მიუყიდია [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 52, ს. 7].

სათუმანიშვილოში ხელოსნობა კარგად განვითარებული უნდა ყოფილიყო და ხელოსნებიც მრავლად უნდა ჰყოლოდათ, თუმცა პირდაპირი მნიშვნელოვანი ცნობები ამ მხრივ მწირია. თუმანიშვილების სათავადოში სხვადასხვა ხელსაქმის მცოდნე გლეხებს ვხვდებით. მაგ. 1664 წლის დოკუმენტში მოიხსენიება მათი ყმა, მჭედელი პაატა რაზმაძე [**ქართული.., 1985**: 844; **პირთა.., 1993**: 338]. 1704 წ. ნასყიდობის წიგნში იხსენიება გივი მდივნის ყმა *„ხურო ოსია ჩატურასშვილი“* [**დოკუმენტები.., 1940**: 126]. დაახლოებით XVIII ს. შუა ხანებში შედგენილ საბუთში მოიხსენიება *„მღებრის-შვილი ქიტუა მჭედელი“* [**გსიემ**, 7782/4, ფ. 376; **სეასცა**, ფ. 1448, ს. 1692]. XVIII ს. II ნახევრის დოკუმენტში ჩანს *„პაპუა თუმანიშვილის ყმა ფეიქარი არუთინა“* [**ქალაქ.., 2013**: 88]. 1808 წლის საბუთში იხსენიება გორჯასპი მდივნის ფეიქარი ყმა – ოჰანეზა ბაღდასაროვი [**აკოფაშვილი, 1962**: 74-75]. 1816 წლის 1 ოქტომბერს გიორგი თუმანიშვილმა იყიდა ყმა *„ხარატი სარქისა შვილი ამირანა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 56, ს. 122]. თუმანიშვილთა სათავადოში გვხვდება ხელოსნობიდან ნაწარმოები გვარებიც. 1700-1719 წწ. გივი მდივნის ყმების ნუსხაში მოიხსენიება *„დალაქიშვილი“* [**დოკუმენტები.., 1940**: 112]. სათუმა-

[13] თოფის (იარაღის) შესანახი ადგილი ბატონის (ერეკლე II) მოედანთან [**ზარდალაშვილი, 1978**: 35].

ნიშვილოს ყმების აღწერაში ფიქსირდება: *„დალაქი შვილი დათუნა“, „ხარაზი შვილი დათუნა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 32, ს. 57].

ხელოსანი ყმები იმავდროულად ინტენსიური მიწათმოქმედებიც იყვნენ და სოფლის მეურნეობასთან კავშირს არ წყვეტდნენ. გ. აკოფაშვილის დაკვირვებით, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ საბუთებში სისტემატურად იხსენიება მისი ყმის, ფეიქარი გოგიას მოხნული ყანები და მასზე შეწერილი ღალა [**აკოფაშვილი, 1967**: 128].

თავი VI. თუმანიშვილების სათავადოს მართვა-გამგეობა

თუმანიშვილების სათავადოს, სხვა ფეოდალური სახლების მსგავსად, სამართავად უნდა ჰყოლოდა თავისი მოხელეები – მოურავი, ნაზირი და სხვ. თუმცა, ამ მხრივ მწირი ინფორმაციაა წყაროებში. 1676 წ. 3 დეკემბრის დავის გადაწყვეტილების წიგნში იხსენიება ყალანდარ ჯიმშიტას ძე თუმანიშვილის მსახური ლეკი, რომელსაც შემოაკვდა ატენელი ეზია ბერიშვილი: *„თქუენი ძმა ყალანდარა საურზედ გორგასლისშვილს ბეჟანს ახლდა. ჩვენს ძმას ეზიას და თქუენს მსახურს ლეკს ჩხუბი გამორეოდა. ლეკს ჩვენის ძმის ეზიასათვის ჯოხი გარდეკრა. იმ საბაბით ეზია ერთ თვეს უკან მოკვდა* [**ქართული.., 1972**: 139; **პირთა.., 1993**: 361; **დოკუმენტები.., 1940**: 53].

1775 წ. 20 ნოემბერს, ერეკლე II-ს მანუჩარ თუმანიშვილი სთხოვდა თელავიდან თავისი ერთ-ერთი ყმა მსახურად წამოეყვანა: *„რაც თქვენი წყალობა გვყავს იმათში ძმიანი და სახლის კაციანი კომლი გლეხი არავინ გახლავთ რომ მსახურათ გამოვართვათ და ჩვენ დიაღ მსახურზედ ნაკლებათ გახლავართ აქ თელავს ერთის ჩვენის ყმისა სამი ობოლნი გახლავან, წყალობას ვითხოვ თუ თქვენი ნება იქნება ერთი ოქმი მებოძოს რომ ერთ-ერთი ძმა მსახურათ გამოვიყვანო“* [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 1418; **გსიემ**, 7782/3, ფ. 201]. ირკვევა, რომ მანუჩარს თავისი ყმა-გლეხებიდან მსახურის აყვანის პრობლემა ჰქონია. ერეკლე მეფემ დააკმაყოფილა აღნიშნული თხოვნა, თუმცა იმავე დოკუმენტზე მიწერილი მოხსენებით, მორდალმა მანუჩარს ყმა მსახურად ვერ გაატანა: *„ამათი ერთი ძმა მადანჩის შაგირდად გახლავთ და ამას ეპასუხებოდენ ოსმალობას ვარ მოსული ამ ქვეყანაშიო და თქვენი* (ერეკლე II – **რ.მ.**) *ოქმიც ქონდა. თუ ამას სამართლით დარჩებოდა, თქვენ ფასი უნდა გებოძებინათ. ამისთვის ვერ მივეცით მსახურად“* [**სეასცა**, ფ.1448, ს. 1418; **გსიემ**, 7782/3, ფ. 201; **ერეკლე II-ის.., 2008**: 106]. 1787 წლის 22 აპრილის წერილში მანუჩარ თუმანიშვილი აღნიშნავდა, რომ ჰყავდა მსახური ალექსი [**მასალები.., 1953**: 73]. 1794 წ. 1 ივნისს შედგენილ განჩინებაში იხსენიება ეგნატე და პაპუა თუმანიშვილების *„მოახლე ქალი“* [**ქართული.., 1974**: 639-642; **მასალები.., 1955**: 251-253].

1788 წლის საბუთში თუმანიშვილები წერდნენ, რომ *„გორს მემკუიდრე ქეთხუდა ყმები გვყოლია და გვყავსო“* [**ქართული.., 1981**: 765]. ქეთხუდა (ქევხა) სპარსულად მამასახლისს ნიშნავს. ტერმინი გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში XVI ს. ბოლო ათეული წლებიდან საქალაქო და სასოფლო ადმინისტრაციულ მმართველობაში მამასა-

ხლისის მნიშვნელობით. ქეთხუდები გვევლინებიან სხვადასხვა ტიპის საბუთების მოწმეებად და დამამტკიცებლებად, სავაჭრო საქმეების გამრიგეებად. ისინი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ქეთხუდები ისტორიულ დოკუმენტებში მამასახლისებთან და სხვა ადგილობრივ მოხელეებთან ერთად არიან დასახელებულები, რაც მიანიშნებს, რომ მიუხედავად მათთან ფუნქციური მსგავსებისა, ისინი ცალკე რგოლს ქმნიდნენ ადგილობრივ სამოხელეო იერარქიაში. ქეთხუდა ექვემდებარებოდა ქალაქისა და სოფლის მოურავს და ჩანს, რომ უთანაბრდებოდა მამასახლისს. ზოგიერთ ქალაქსა და სოფელში შეიძლებოდა ერთდროულად რამდენიმე ქეთხუდა ყოფილიყო [**ცენტრალური.., 2017**: 309].

როგორც ჩანს, თუმანიშვილები ქეთხუდას მამასახლისის შესატყვისად არ იყენებდნენ, რადგან ისინი მამასახლისებსაც ასახელებდნენ საბუთებში. დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ მამასახლისები მოურავის ხელქვეითები იყვნენ და ასრულებდნენ მის ბრძანებას ადგილზე. სამოურავოში შეიძლებოდა რამდენიმე სოფელი ყოფილიყო, მაგრამ მამასახლისი ყველა სოფელში იჯდა [**გვრიტიშვილი, 1955**: 277]. აქედან გამომდინარე, თუმანიშვილების მფლობელობაში მყოფ ყველა სოფელს უნდა ჰყოლოდა მამასახლისი, თუმცა დოკუმენტებში გარეჯვრის, ახალდაბისა და ხელთუბნის მამასახლისები იხსენიებიან, რაც წყაროების სიმწირით აიხსნება.

მოხელე – მამასახლისი იხსენიება რამდენიმე საბუთში. მაგ. 1656 წელს თუმანიშვილებს გაყრის წიგნისა და წილის ბარათების მიხედვით, ჰყავდათ მამასახლისები – პატა (გარეჯვარში) და ოთია (ახალდაბაში) [**პირთა.., 1993**: 352, 363; **საქართველოს.., 1910**: 549-550]. XVIII საუკუნეში შედგენილ ერთ-ერთ უთარიღო დოკუმენტში ქრისტეფორე და გორჯასპი თუმანიშვილები სოფ. ახალდაბის მამასახლისად ასახელებენ დათუნა გოგებაშვილს [**დოკუმენტები.., 1940**: 263; **ქართული.., 1972**: 389]. 1704 წლის საბუთში იხსენიება მდივან შიოშ თუმანიშვილის ყმა, ახალდაბის მამასახლისი გოგია რაზმაძე, რომელმაც გორელი დათინა შატბერაშვილისგან 4 დღის მიწა იყიდა ახალდაბაში [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 40]. 1738 წლის ახლო ხანებში შედგენილ საბუთში, თუმანიშვილთა ყმებს შორის მოიხსენიება მამასახლისი იასე [**დოკუმენტები.., 1940**: 285]. იგი დაახლოებით XVIII ს. შუა ხანებში შედგენილ თუმანიშვილების ყმათა ნუსხაშიც ჩანს [**გსიემ** 7782/4, ფ. 376]. 1791 წ. მანუჩარ მდივნის ხელთუბნელ მამასახლისად იხსენიება

დავით თუთუნაშვილი [**ხეც**, Sd-3532], ხოლო 1811-1812 წლებში ნინია თანდიაშვილი [**ხეც**, Sd-3475].

დ. გვრიტიშვილის თქმით, მამასახლისზე უფლებრივად მაღლა იდგა ნაცვალი, აღნიშნულ სახელოებზე სათავადოში ინიშნებდა გლეხი, რომელიც *„მრავალსა სამსახურსა შინა“* გამოჩენილად ითვლებოდა [**გვრიტიშვილი, 1955**: 277-278]. მაგ. 1656 წ. თუმანიშვილების გაყრისას მანუჩარს წილში ერგო ნაცვალი გოგია ახალდაბაში [**პირთა.., 1993**: 352; **საქართველოს.., 1910**: 549-550].

ამრიგად, სათუმანიშვილოს სამოხელეო აპარატში გვხვდება: ქეთხუდა, ნაცვალი, მამასახლისი, მსახური. აღნიშნული საფეოდალოს მართვა-გამგეობის სრული სურათის აღდგენა წყაროთა სიმწირის გამო რთულდება.

თავი VII. თუმანიშვილები – სასულიერო მოღვაწენი

ისტორიული წყაროების მიხედვით, თუმანიშვილთა სახლის რამდენიმე წარმომადგენელი სასულიერო მოღვაწე იყო. ამ მხრივ, პირველი ცნობა XVII საუკუნეს ეკუთვნის. ფარსეღ/ფარისეღ (ტერ-ფარსეღ) თუმანიშვილი, გრიგორიანული სარწმუნოების სასულიერო პირი იყო, რომელმაც 1612 წელს ეპისკოპოს ანდრონიკიშვილ-თაყასშვილ ტერ-ანდრიასთან ერთად მიწა იყიდა [**პირთა.., 1991**: 153; **პირთა.., 1993**: 359]. ფარისეღ თუმანიშვილი მთავარეპისკოპოსის წოდებით,[1] თავის ძმისწულ – თუმანთან ერთად მოწმედ მოიხსენიება 1645 წ. 1 მარტს შედგენილ ნასყიდობის წიგნში: *„არიან ამისი მოწმენი... ბატონი თუმანის შვილი მთავარეპისკოპოსი ფარისეღ მისი ძმისწული თუმან...“* [**ხახანაშვილი, 1891**: 174; **პირთა.., 1993**: 359]. სხვა ცნობებს ფარსეღ მთავარეპისკოპოსის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

თუმანიშვილებს შორის, ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო პირი იყო ქარმიშა/ქარიმშა ყალანდარის ძე. 1719 წელს იგი ბერად შედგა ქრისტეფორეს სახელით, იმოგზაურა იერუსალიმში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თბილელი ეპისკოპოსი გახდა [**ბაქრაძე, 1983**: 92]. როგორც ირკვევა, ქარიმშამ იერუსალიმში წასვლამდე, 1719-1720 წლებში თავისი წილი ქონება გაყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 139; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 47, ს. 90]. ის 1720 წლის 7 აპრილს თავის სახლიკაცებისადმი გარეჯვრელი და რეხელი ყმების ნასყიდობის წიგნში წერს: *„მე ამ სოფელზედ ხელი ავიღევ და ბერად შედგომა მოვინდომე...ზოგი ერთ რამ გარეშეს კაცზე გავყიდე ზოგი რამ სახლის კაცთაც მივყიდე... რადგან ამ სოფელზედ ხელი ავიღევ ჩემი სულის სამჯობინოთ ვარჩივე“* [**სეასცა**, ფ. 1450, დავთ. 3, ს. 129].

ცნობილია, რომ ათანასე თბილელი 1752 წელს დიპლომატიური მისიით გაემგზავრა რუსეთში. ირკვევა, რომ მან თავის ადგილზე თბილელ-მიტროპოლიტად ქრისტეფორე თუმანიშვილი დატოვა. ეს დასტურდება, როგორც 1752 წ. 28 მაისს ანტონ I კათალიკოსის მიერ ათანასე თბილელის ნაიბად ქრისტეფორეს განწესების წიგნიდან [**ქართული.., 1970**: 824-825], ასევე 1752 წ. 29 მაისს უშუალოდ ათანასე თბილელის მიერ ქრისტეფორე თუმანიშვილისადმი სამწყსოს მიბარების დოკუმენტიდან, რომელშიც ვკითხულობთ: *„ჩვენ, ტფილელ მიტროპოლიტი ათანასე მეფემ თეიმურაზ, მეფემ ერეკლემ რუსეთს ელჩად გამგზავნეს... მე მოვახსენე ჩემად ნაიბად დამეყენებინა ვინმე. იმათ ნება მიბძანეს ვინც გინდოდეს, დააყენე შენი ნებითაო. ახლა შენ, მროველი ქრისტეფორე*

[1] თუმცა, ტერ-ფარსეღად აღარ მოიხსენიება.

დაგაყენე და მეფეთაც ნება დამრთეს. ჩვენის საყდრისა მამულით შემოსავალი თუ საყდრითა და ან სამწყსოთი ყველა შენ დაგიგდე და მოგაბარე... თუ სიკუდილი არ მეწია, მე მოუსვლელი არ დავდგები. თუ სიკუდილი მეწიოს, მეფემ და პატრიარქმა ვითაც ინებონ, ეგრეთ განაგონ“ [**ქართული.., 1970**: 825-826; **ბერიძე, 2001**: 12]. მოტანილი ციტატიდან ნათელია, რომ ქრისტეფორეს თბილელობამდე მროველის (რუისის ეპისკოპოსის) თანამდებობა ეკავა.

1756 წლის სიონის ტაძრის გუჯრიდან ირკვევა, რომ ქრისტეფორე თუმანიშვილი თბილისის ეპარქიის საჭეთმპყრობელი ოფიციალურად 1756 წ. გახდა: *„ჯვარის მტვირთველო ჩვენ მაგიერად ყოვლად სამღვდელოს ბატონს თბილელს ქრისტეფორეს მრავალი მოკითხვა, წმიდას მარჯვენას ამბორება მოახსენოთ. ამ ხანათ თფილელობა გვინდა დაგიმტკიცოთ და მოგცემთ“* [**ქართლ-კახეთის.., 1903**: 217-218].

ქრისტეფორემ დაამტკიცა, 1727 წელს თბილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი დომენტის მიერ გივი ამილახვრისათვის მიცემული გუჯარი [**ხახანაშვილი, 1891**: 5-8; **ქართული.., 1970**: 711-713; **ქართლ-კახეთის.., 1903**: 212-213] და ათანასე თბილელის მიერ 1752 წლის იანვარში სიონის კანდელაკ შიოსადმი სამწყსოს წყალობის წიგნი: *„თუმანიშვილმან თბილელ მიტროპოლიტმან ქრისტეფორემ ჩვენს წინთ წმინდათ თბილელთ ნაბოძები წყალობის წიგნი... დაუმტკიცეთ კიდევ“* [**ქართული.., 1970**: 824]. საყურადღებოა, რომ ქრისტეფორეს თბილელობის დროს მომხდარა საეკლესიო გალობის გარდაქმნა [**ხელთუბნელი, 1938**: 177].

სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი დიდძალი ქონების მფლობელი იყო, როგორც თბილისში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლის განკარგვა და მოვლა სხვა საქმეებთან ერთად საუკუნეების მანძილზე სიონის ეპისკოპოს-თბილელის ფუნქციებში შედიოდა. თბილისში და მის გარეუბანში თბილელის კუთვნილებაში არსებული ქონებიდან აღსანიშნავია აბანო, ქარვასლა და ბაღი [**ბერიძე, 2001**: 12].

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ქრისტეფორე თბილელი იძენდა ყმა-მამულს სიონის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის. 1757 წ. 5 იანვარს მან აბდულა-ბეგის[2] ძის, დავით ბატონიშვილისგან სოფ. მონასტერში[3] ყმა-მამული იყიდა: *„ნასყიდობის წიგნი... მოგეცით ჩვენ აბდულაბეგის შვილმა... დავით... თქვენ ტფილელ მიტროპოლიტს თუმანისშვილს ქრისტეფორეს. ამა პირსა ზედა რომელ სოლაღაშვლს იესეს გასჭირებოდა*

[2] არჩილი (აბდულა-ბეგი) – ქართლის მეფის იესეს ძე.

[3] მონასტერი – სოფელი ქვემო ქართლში [**ბოშიშვილი, 2012**: 99].

და თავისი სამკვიდრო წილსა და ბარათში გაყოლილი მეოთხედი მონასტერი რომანოზ მთავარეპისკოპოსისათჳს მიეყიდა. მერმე რომანოზს რუსეთს წასვლა მოენდომებინა. მოვიდა და ბატონს მამა ჩვენს შემოევაჭრა აიღო ბატონმა დედა ჩვენმა ბეგუმ და თავისის სამკაულით იყიდა... ახლა... დაგვეჭირა და ეს ნასყიდი მონასტერი თქვენ მოგყიდეთ სიონთა ღვთისმშობლისათჳს... რომ დღეს არიან აბრამაშვილი აბრამა, ამილბარაშვილი ბერიუა, ამილბარაშვილი ოქრუა, ხარებაშვილი ივანა, ხარებაშვილი ადუა, როსებაშვილი მამუკა, ქარვისშვილი მახარა, ბასილა, ბერიკა შვილი რაზმაძე პეტრია შვილი პეტრია ბიბილური დათუნა, მჭედლიშვილი ბერუა, იმედა შვილი ბერუა და რევაზა გულიაშვილი ნადირა. ამათ გარდა რომელნიც აყრილი და დაკარგული არიან რომ... მონასტერში სახლებიან და ან ბატონ მამა ჩვენს სახლებიან ამათ გამოაჩენ... მოგვიყიდია... თქვენს დიდებულს ხარისხსა და ეკლესიაზე მჯდომელთა ტფილელთა“ [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 2761].

მოგვიანებით, ქრისტეფორე თბილელმა უშუალოდ სოლოღაშვილებისგან იყიდა ყმა-მამული სოფ. მონასტერში. 1763 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: *„სოლაღაშვილმა მანუჩარ... თქვენ თუმანიშვილს თბილელს ქრისტეფორეს... მოგყიდეთ მონასტერს ჩემი მკვიდრი ყმა სულხანაშვილი გიორგი... ფასი სრული აგვიღია თქვენც წმიდის ქალაქის სიონის თღისმშობლის ეკლესიისათვის იყიდეთ“* [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 4464]. 1764 წლის საბუთის მიხედვით, თბილელმა ქრისტეფორემ *„ტფილისის წმიდის სიონთამღთისმშობლისათჳს“* კიდევ იყიდა მამულები. დოკუმენტს ბოლოში ახლავს მინაწერი: *„ქ. სოლაღასშვილისაგან მოსყიდული მონასტრის მონასყიდობის სიგელი“* [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 4367].

ქრისტეფორე თუმანიშვილი თბილელ მიტროპოლიტის რანგში, 1763 წელს მანუჩარ სოლოღაშვილის მიერ გაყიდული სამკვიდრო სოფ. ტაგნაგეთის ნასყიდობის წიგნის მოწმედ იხსენიება [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 26, ს. 26]. იგი ხელს აწერს 1764 წ. 18 ოქტომბერს შედგენილ საეკლესიო კრების განჩინებას: *„ხელი აწერია... ტფილელ მიტროპოლიტის ქრისტეფორესი“*[**ქართული.., 1972**: 508].

ქრისტეფორე ტფილელის წოდებით მოიხსენიება 1764 წელს შედგენილ დოკუმენტში, საიდანაც ვიგებთ, რომ მას ლეკებისაგან ყმა დაუხსნია: *„ესე წიგნი მოგართვი მე ანაგელმა ყორღანასშვილის ყმამ ბეჟუას შვილმა დარჩიამ თქვენ თუმანის შვილს ბატონს ტფილელ მიტროპოლიტს ქრისტეფორეს ასე რომე მე... ლეკმა ლეკისაგან დამიხსნა... ახ-*

ლა შენთან მოველ იმ ჩემის ნაბატონევის ყორღანაშვილებით და... შემოგეხვეწენით და თქვენ დამიხსენით სანამ თქვენ ცოცხალი ბძანებოდეთ თავით ცოლით და შვილებით ერთგულათ გემსახუროთ“[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 122].

საყურადღებოა, რომ ქრისტეფორე თუმანიშვილი თბილელ-მიტროპოლიტის წოდებით მოიხსენიება სააღმშენებლო წარწერებში. მას 1762 წელს აუშენებია ზედაშესთვის მარანი. სააღმშენებლო ქვა ჩასმული ყოფილა თბილისში მდებარე თუმანიშვილისეული მარნის კედელში, კარის თავზე. იგი ინახებოდა საეკლესიო მუზეუმში, საიდანაც 1930 წელს სხვა საგნებთან ერთად გადაეცა საქართველოს მუზეუმს. წარწერაში ვკითხულობთ:

> *„ქ. ჩვენ, თუმანისშვილმა ტფილელ მიტრაპოლიტმა ქრისტეფორემ, ეს ზედაშის მარანი აღვაშენე. ვისაც ამ მარნიდამ ზედაშე ან ღვინო მოგერთვასთ, ან ეს წერილი აღმ(ო)იკითხოთ და ცოდვის შენდობა გვიბძანოთ, თქვენც თქვენის ცოდვის შენდობა გიბოძოსთ ღმერთმან, წელსა ჩღ&ბ“*[**საქართველოს.., 1953**: 35].

მ. ხელთუბნელი აღნიშნავს, რომ თბილელმა მოტროპოლიტმა ქრისტეფორემ XVIII საუკუნის 60-იან წლებში ხელთუბანში ეკლესია ააშენა [**ხელთუბნელი, 1938**: 177]. რამდენიმე ისტორიული წყარო გვაფიქრებინებს, რომ იგი თბილელის მიერ აგებულ ტაძარში სოფ. ხელთუბნის ცენტრში მდებარე წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიას უნდა გულისხმობდეს, რომელიც თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით და ამჟამად ნანგრევების სახით არის შემორჩენილი [**საქართველოს.., 1990**: 122]. საინტერესოა, რომ ქრისტეფორე თუმანიშვილი თბილელის თანამდებობით მოიხსენიება 1763/1764 წწ. სააღმშენებლო წარწერაში, რომელიც დიდი ალბათობით, ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ, სააღმშენებლო ქვის მუზეუმში მოხვედრის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. წარწერაში ვკითხულობთ:

> *„ქ. დიდება, მადლობა და თაყუანისცემა სამრიცხვთ ერთნათლოვანება(ს)ა. ყ˜თა წინა განმგებელსა და მმართებელსა, რომელი გულად უღებს ყ˜თა ჩემ ტვირთმ-ძიმეთა, ვითარ მოხედა ჩემ ზედაცა და ღირს მყო თაყუანისცემად სამგ&ზის წმიდასა აღდგომასა და აღთქმისა ქვეყანასა და ყოველთა მუნებურთა თაყუანისაცემელთა ადგილთა. და კვალად მომაქცია მშობელსა ჩემსვე ქვეყანასა და გულს მიდვა მე აღშენე(ბ)ად სახლი თჳსი, ეკლესია ესე, სახელსა ზედა წმიდათა ყოვლად ქებულთა ათო(რ)მეტთა მოციქულთასა ჟამსა სახელოვანისა, ზეამაღლებულისა*

სრულიად ქართველთ მეფის ირაკლისსა, და ღირს-მყოცა შესრულებად სიყრმითგან აღთქმულისა წა(დ)ილისა ამის ჩემისა მე, უნდო, უღირსს მონასა, ტომად ვიდრემე ქართველთ მ(ე)ფის მწიგნობართუხუცესის ძეს თუმანისშვილს, მროველყოფილს ტფილელს (ქრ)ისტეფორეს მოსახსენებელად სულისა ჩემისა და აღსაჴოცელად ბრალთა ჩემთა. (მ)ხილველნ(ო), აღმომკითხველნო, შენდობას გეაჴები ყოველთა. მაისს კ ქ˜კს: უნბ: წელსა ქ˜ესით (ჩ)ღდგ" [**საქართველოს.., 1953**: 37].

1800 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ქრისტეფორე თბილელის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-ს თუმანიშვილებისთვის *„ბიძის... ქრისტეფორე თბილელისაგან დარჩომილი ხელთუბნის წმიდათ მოციქულთ ეკლესიის ასაშენებელი თეთრი"*[4] მიუცია. 1794 წელს ერეკლე II-მ აღნიშნული თანხის *„ანგარიშის შეტყობა"* მოინდომა, 1800 წელს კი გიორგი XII-მ თუმანიშვილებს მოსთხოვა ეს ფული მისთვის დაებრუნებინათ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 113].

1924 წელს სოფ. ხელთუბანში იმყოფებოდა გ. ბოჭორიძე, რომელმაც აღწერა ეკლესიები და მათში დაცული ნივთები. მას ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიის (იგი დაინგრა 1920 წლის მიწისძვრის დროს) ტრაპეზზე უნახავს ორად გატეხილი მარმარილოს ქვა, წარწერით, რომელშიც იხსენიებოდა ტფილელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე [**ბოჭორიძე, 2011**: 90, 314]. გ. ბოჭორიძემ ასევე ნახა *„ხელთუბანის ქართველთა ეკლესიის"*[5] ნივთები წარწერებით: ხელით ნაკერი ოლარი, შეწირული ს. თუმანოვის მიერ 1833 წ.; ვერცხლის ბარძიმი, შეწირული ტფილელი მიტროპოლიტის ქრისტეფორეს მიერ; ვერცხლის ჯვარი, შეწირული სულხან მდივნის შვილის გიორგის მიერ; ფიცარზე ნახატი წმ. გიორგის დაზიანებული ხატი შეჭედილი ვერცხლით მანუჩარ თუმანოვის მიერ [**ბოჭორიძე, 2011**: 90, 314].

საყურადღებოა, რომ 1794 წ. 18 მაისს ერეკლე II-მ უბრძანა ნიკოლოზ თუმანიშვილს მოეძებნა ქრისტეფორე თბილელის ყმა და ხელთუბანში წაეყვანა ტაძრის სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად: *„თუმანის შვილო ნიკოლოზ მერმე შენ უნდა მიხვიდე სადაც იყოს იპოვნო თბილელის ქრისტეფორეს ნასყიდი კასპელი*

---

[4] ამ თანხას თუმანიშვილები სავაჭრო-სამევახშეოდ იყენებდნენ. 1787 წ. 1 მაისს სულხან მდივანმა სახლთუხუცეს ზაქარია ციციშვილს ასესხა: *„ქრისტეფორე თბილელის საყდრის თეთრი ასი თუმანი"* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 112].

[5] ხელთუბანში რამდენიმე ტაძარია და კონკრეტულად უცნობია რომელს გულისხმობს იგი ქართველთა ეკლესიაში. ალბათ, წმ. გიორგის ეკლესიას, ვინაიდან ერთგან ცალკე სათაურით გამოყოფს და ასახელებს *„ხელთუბნის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის"* ნივთებს.

დემეტრე და იმისი შვილები აჰყარო და ხელთ უბანს მიიყვანო ჩვენ ღთ˜ით იმ საყდარს აშენებას უპირებთ როგორც თბილელის დროს იმ საყდრის მუშისათვის ხელი გაუ-მართავთ და უმსახურნიათ ახლაც ისე უნდა მსახურონ აუყრელობა არ იქნება" [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 177]. ალბათ, თბილელის მიერ აგებული პეტრე მოციქულის ეკლესია მტრის შემოსევის შედეგად დაზიანდა და ერეკლე მეორემ *„აშენებაში"* მისი განახლება-რესტავრაცია იგულისხმა ან მეფეს ხელთუბანში მდებარე სხვა რომელიმე სალოცავი[6] ჰქონდა მხედველობაში. ნათლად ჩანს, რომ ერეკლე II თუმანიშვილებს გვერდში ედგა და დიდ ყურადღებას აქცევდა ხელთუბნის ეკლესიებს.

თ. ბერიძე ქრისტეფორე თუმანიშვილის თბილელად ყოფნას 1752-1764 წლებით განსაზღვრავს, რაც არასწორია [**ბერიძე, 2001**: 15]. ის *„თფილელ ქრისტეფორედ"* მოიხსენიებს საკუთარ თავს ერეკლე II-სადმი 1766 წ. 2 თებერვალს მირთმეულ არზაში, რომელიც თბილელის ბაღს ეხება [**ქართული.., 1972**: 526-527; **ქართლ-კახეთის.., 1903**: 219-221]. მართალია, საბუთში ქრისტეფორე საკუთარ გვარს არ ახსენებს, მაგრამ იგი დიდი ალბათობით თუმანიშვილი უნდა იყოს. *„ქრისტეფორე მიტროპოლიტი ტფილისსა"* მოიხსენიება დაახლოებით 1770 წ. 5 აპრილს შედგენილ ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსების სიაშიც [**მაჭარაძე, 1988**: 552]. ქრისტეფორე სწორედ ამ წელს გარდაიცვალა, რადგან შემორჩენილია 1770 წ. ბარათები თუმანიშვილებისა, იკორთის, მროვლის, ურბნელის, სამთავნელის, ეკლესიაში ქრისტეფორე თბილელისათვის წირვისა და

---

[6] ამის დადგენა ძნელია, თუმცა საყურადღებოა, რომ 1677 წ. 20 ნოემბერს შედგენილი საბუთის თანახმად, ბეჟან თუმანიშვილმა მიწა შესწირა *„ხელთუბნის მონასტერს"* [**პირთა.., 1993**: 326], რომელშიც შესაძლებელია წმ. გიორგის, ღვთისმშობლის ეკლესია ან აგიას (ადიას) საყდარი იგულისხმებოდეს. წმ. გიორგის სალოცავი სოფლის განაპირას, სამხრეთით მდებარეობს და თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით [**საქართველოს.., 1990**: 125]. 2021 წლის 3 აპრილს ხელთუბანში ყოფნისას ჩვენთან საუბარში ზაალ და ნაზი თუმანიშვილებმა აღნიშნეს, რომ წმ. გიორგის ტაძარი მათი საგვარეულო არ არის და იქ არც ძველი საფლავებია შემორჩენილი. თუმანიშვილებმა დაგვათვალიერებინეს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სოფლის განაპირას ჩრდილოეთით მდებარეობს და თუმანიშვილების ძველ სასაფლაოდ თვლიან. ეკლესიიდან დაახლოებით 5 მ. მოშორებით ვნახეთ თუმანიშვილთა, მათ შორის, მამიკონ ზაალის ძე თუმანოვისა (გარდ. 1872 წ.) და მისი მეუღლის საფლავები. მიმდებარედ საფლავები მრავლადაა, რომლებიც ძირითადად XIX-XX საუკუნეებს ეკუთვნის და თუმანიშვილთა გარდა, სხვა გვარის წარმომადგენლებიც არიან დაკრძალულები, ზოგი ქვის წარწერა საერთოდ აღარ იკითხება. ხელთუბნის ჩრდილოეთით 1 კმ-ზე მდებარეობს აგიას საყდარი, რომელიც თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით [**საქართველოს.., 1990**: 122]. საყდართან ნასოფლარია, სადაც ძველად ყოფილა სოფ. ხელთუბანი, რომელსაც თავდაპირველად უწოდებდნენ *„ხევთუბანს"*. მოსახლეობა უწყლოობის გამო, ქვევით, ახლანდელი ხელთუბნის ადგილას ჩამოსახლებულა. მ. ხელთუბნელის თქმით, თუმანიშვილებმა ხელთუბანსა და გორში ააშენეს რამდენიმე ეკლესია [**ხელთუბნელი, 1938**: 17] და არ არის გამორიცხული აღნიშნული სალოცავებიც მათი აგებული იყოს.

პანაშვიდის გადახდის შესახებ [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 2236, 2502, 2521, 2523]. ამრიგად, ქრისტეფორე თუმანიშვილის თბილელობის თარიღად უნდა განისაზღვროს 1752-1770 წწ. რომელიც 1771 წელს შეცვალა მიხეილ თბილელმა [**ბერიძე, 2001**: 15].

როგორც ირკვევა, სასულიერო პირი იყო მდივან იოსებ თუმანიშვილის ძე სპირიდონი. მან 1809 წლის 20 ივნისს საკუთარი ყმა-მამული თავის ძმებს მისცა და დაიტოვა მხოლოდ ერთი ყმა: *„მღვდელ მონაზონო სფირიდონ თუმანოვო შენის ნებით შენი წილი მეშვიდედი ყმა და მამული ჩვენ მოგვეცი... შენის წილის ყმიდამ... ერთი ბიჭი გვთხოვე ჩვენც... მოგართვით პეტრე ნინიკას შვილის ბიჭი ნინია თავისის დედით... ჩემის ნების დართვით ხელს ვაწერ თავადი დიმიტრი თუმანოვი თ~ა ზაქარია თუმანოვი კაპიტანი თ~ა გიორგი თუმანოვი პორუტჩიკი თ~ა დავით თუმანოვი კაპიტანი თ~ა სვიმონ თუმანოვი თ~ა იოვანე თუმანოვი“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 49, ს. 187].

მოგვიანებით, 1824 წ. 15 სექტემბერს, აღნიშნულ ყმას მონაზონმა სპირიდონმა სითარხნის წიგნი მისცა: *ესე თავისუფლების წერილი მომიცია მე... მღუდელ მონაზონმა სფირიდონ თუმანოვმა შენ ჩემს გასდილს ყმის შვილს იოან პეტრე შვილს ასე რომე... რადგანაც პატარა შვილივით აღგზარდე და ამაგიც მაქვს შენზე და ამისათვის მოგეც თავის უფლება... რადგანაც ამაგი მაქვს შენზედა ეს სამსახური დამიდვია სანამ ცოცხალი ვიყო წელიწადში ექვსი მინალთუნი მაძლივე როდესაც მოვკდე თვეში ერთს მიწირვინებდე რომ სხვა შენთან საქმე არა... სად გნებავ დეს იქ იცხოვრე“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 49, ს. 188]. სხვა ცნობებს მღვდელ-მონაზონი სპირიდონ თუმანიშვილის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

კათოლიკე სასულიერო პირი იყო ანტონ თუმანიშვილი, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია მწირია. იგი სწავლობდა ვენეციაში, შემდეგ რომში, სადაც სწავლის დასრულებისთანავე უკურთხებიათ *„ლათინის ტიპიკონით“.* ანტონს ამის შემდეგ, როგორც სასულიერო პირს ვენეციაში, კონსტანტინოპოლში, ტრაპიზონში და ყირიმში უმოღვაწია. საბოლოოდ იგი საქართველოში, ბათუმში ჩამოსულა, შემდეგ ახალციხეში, სადაც 1860 წელს გარდაცვლილა. ანტონ თუმანიშვილი საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობაში განსწავლული ყოფილა. იგი ქართველ ყმათა მიმართ დიდ სიბრალულს იჩენდა და თავისი მოღვაწეობის დროს კონსტანტინოპოლში 60 ქართველი ყმა, ტრაპიზონში 30 ყმა, ხოლო ყირიმში ყოფნის დროს 15 კაცი დაუხსნია, საქართველოში საკუთარი სახსრებით დაუბრუნებია და ყველა მათგანი კათოლიკე გამხდარა. აღნიშ-

ნული ამბების თხრობისას ჩვენს ყურადღებას იპყრობს ზ. ჭიჭინაძის შემდეგი სიტყვები: *„...ამისი* (ანტონ – **რ.მ.**) *მოღვაწეობის ცნობები, დაწერილი თვით მის დროსვე, გვაუწყებს...“* [**ჭიჭინაძე, 1925**: 345-346]. მას შესაძლებელია ხელთ ჰქონდა ანტონ თუმანიშვილის მოგზაურობის ჩანაწერები ან დღიურები, რომელიც გარდა ზემოთქმულისა უდავოდ მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი იქნებოდა.

ანტონს სომხურიდან ქართულად უთარგმნია ვენეციაში 1818 წელს ბეჭდური სახით გამოცემული მინა მხითარისტის გეოგრაფიის III და IV ნაწილები. ხელნაწერის თავფურცელზე წერია: *„სომხურისაგან ითარგმნა ქართულს მხედრულსა ენასა ზედა ახალციხელი მღვდლის ტერ ანტონ თუმანოვისაგან, სამოციქულო მისიონარისა, გონების განათლებისათვის ქართულის ენის მქონე ძმათათვის წელსა უფლისასა 1831 ქუთაისსა*[7] *შინა“* [**საქართველოს.., 1957**: 454]. მოტანილ ციტატაში საყურადღებოა სიტყვები *„ტერ ანტონ თუმანოვისაგან“,* რაც უდავოდ ადასტურებს, რომ იგი სანამ კათოლიკე გახდებოდა, გრიგორიანული სარწმუნოების სასულიერო მოღვაწე იყო. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში *„გეოგრაფიის“* თარგმნის ორი სხვადასხვა თარიღია ნაჩვენები. ხელნაწერის აღმწერთა ვარაუდით 1831 წ. თარგმნისაა, ხოლო 1834 წ. გადანუსხვის [**საქართველოს.., 1957**: 456].

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საბუთი – მისალი ქართულ ენაზე, რომლის დამწერი უნდა იყოს ანტონ თუმანიშვილი. ხელნაწერს ერთვის მისი მოსახსენებელი *„...მისალი ესე... გარდმოღებული იმავე ლათინთ მისალთაგან... აღიწერა და აღესრულა ვინმე წერვის მოყვარისაგან სახელად ტერანტონ წოდებულისა, უღირსი მღვდლისა, აბასტუმნელი თუმანიანთ გვარისა, ძისა იოსებისა საშუალითა“.* უცნობია, მან როდის შეადგინა მისალი, რადგან ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი წარმოადგენს ანტონისეული მისალის გადაწერილ ვერსიას, რომელიც 1845 წელს იოანე პავლეს ძე მამულოვს გადაუწერია [**საქართველოს.., 1957**: 163-164].

XIX ს. 40-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ნუსხაში მოიხსენიება მღვდელი ნიკოლოზ ზაქარიას ძე თუმანიშვილი, რომელსაც ჰყავდა მეუღლე, ანა და შვილები – ილია, ვახტანგ, სოფიო [**ქართლ-კახეთის.., 2005**: 252].

[7] როგორც ჩანს, ანტონი ქუთაისშიც მოღვაწეობდა.

თავი VIII. თუმანიშვილების ურთიერთობა სხვა წარჩინებულ საგვარეულოებთან

ყველა ფეოდალის მიზანი მიმართული იყო სამფლობელოს გაფართოებისაკენ, მეზობლად არსებული სათავადოთა მამულების ხარჯზე, რაც ხშირად კეთილმეზობლობის ზღვარს სცდებოდა. თუმცა, თუმანიშვილები ნაკლებად იყვნენ ორიენტირებულები, მეზობლად მდებარე მამულების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდებით. ისინი იძენდნენ ყმა-მამულს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. მათთვის მთავარი იყო ეკონომიკურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ფეოდალი, რომელიც ქონებას ყიდდა.

XVII-XIX საუკუნეებში თუმანიშვილებმა სამამულე მფლობელობა გაზარდეს, ციციშვილებისაგან [**დოკუმენტები.., 1940**: 126], ჩხეიძეებისაგან [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 123], აბაშიძეებისგან [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 122], საკაძეებისაგან [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 67; **პირთა.., 2007**: 92; **სეასცა**, ფ.1450, დ. 3, ს. 56; **პირთა.., 1993**: 355; **ხეც**, Hd-14397], ფავლენიშვილებისაგან [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 13, ს. 50; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 184; **დოკუმენტები.., 1940**: 77-78; **პირთა.., 1993**: 360], ჩოლოყაშვილებისგან [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 269], ორბელიანებისაგან [სეასცა, ფ. 1450, დ. 13, ს. 91] და სხვ. ფეოდალებისაგან შესყიდული ყმა-მამულის ხარჯზე.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ თუმანიშვილები ხშირად ჯავახიშვილებისა და მათი ყმებისგან აქტიურად იძენდნენ ქონებას. 1673 წელს ზურაბ ჯიმშიტას ძე თუმანიშვილმა უშვილოდ გარდაცვლილი ზაქარია ჯავახიშვილის ყმის ბასილა სულხანიშვილისგან, წოდორეთსა და ლისში მამულები იყიდა [**პირთა.., 1993**: 346; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 317-319]. 1681 წლის 15 მარტს სულხანიშვილებმა ზურაბ თუმანიშვილს, იგივე შინაარსის ნასყიდობის საბუთი დაუწერეს, ალბათ ძველი (1673 წ.) სიგელის გასამყარებლად [**პირთა.., 1993**: 346; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 15; **ხეც**, Qd -9037იბ].

მოგვიანებით, 1681 წ. 20 ივლისს აღნიშნული წოდორეთის მამული გიორგი XI-მ ზურაბ თუმანიშვილს დაუმტკიცა: *„ესენი* (სულხანიშვილები – **რ.მ.**) *წოდორელნი ჯავახიანთ ყმანი ყოფილან, როიცა ამათი ბატონი ჯავახიშვილი ამოვარდნილა... იქიდამ ესენი როსტომ [მ]ეფეს აუყრია და ავლაბარში დაუსახლებია და სახასოდ დაუჭერია. ვითაც სულხანიანთ აქედამ წოდორეთს თავიანთი მამული ველარ ეჭამათ, დასჭირებოდათ და თავიანთი წოდორული სამკვიდრო და ნასყიდი, უსყიდი მამული სრულობით*

მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლითა... სრულებით თქუენთვის მოეყიდათ... რა რიგათაც იმათ მოგყიდა... იმავ სამძღვრით და წესით ჩუენც წყალობა გიყავით“ [**დოკუმენტები.., 1953**: 13; **საქართველოს.., 1910**: 565-566; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 11].

აღნიშნული მამულის ნასყიდობამ, გამოიწვია დავა თუმანიშვილებსა და ჯავახიშვილებს შორის 1699 წელს. განჩინებიდან ირკვევა, რომ ზურაბ და სულხან თუმანიშვილებს წოდორეთში სულხანიშვილებისაგან ნასყიდი მიწის მეხუთედ ნაწილზე შეედავა შერმაზან ჯავახიშვილი. იგი ამტკიცებდა, რომ *„ნახუთალი“* რვა თუმნად ჰქონდა ნაყიდი. ვინაიდან, მთელი მამული ხუთი ძმის წილი სულხანიშვილებს ოც თუმნად ჰქონდათ გაყიდული, რომლის *„ნასყიდობის წიგნებიცა ჰქონდა და მეფეს გიორგის წყალობადაც ებძანებინა და წყალობის წიგნებიცა ჰქონდა თუმანიანთა... ჯავახიშვილი ველარას შეუვიდოდა“.* სასამართლომ, მამულის მეხუთედის ფასად 4 თუმანი მიიჩნია, სადაო მიწა თუმანიშვილს დაუტოვეს, რადგან *„მეხუთედის ნასყიდობის წიგნი ჯავახიშვილს ჰქონდა“,* თუმანიშვილებს ჯავახიშვილისთვის ოთხთუმანნახევარი უნდა გადაეხადათ [**ქართული.., 1972**: 179-180; **პირთა.., 1993**: 346]. აღნიშნულ დავამდე, შერმაზან ჯავახიშვილმა თვითონაც გაასხვისა მიწა თუმანიშვილებზე. 1696 წ. 23 ივლისს ყალანდარ თუმანიშვილს შერმაზანმა მიჰყიდა წოდორეთში თავისი ყმის, ტატიას მენახევრის, პაპუნა მირიანაშვილის მამული – 14 დღის მიწა, სახლ-კარი, ჭურ-მარანი, ბაღ-ბოსტანი, წისქვილი და სასაფლაო [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 6; **პირთა.., 1993**: 360; Qd-9037თ].

XVIII ს. დასაწყისიდან თუმანიშვილებმა ჯავახიშვილებისაგან ყმა-მამულის აქტიურად შეძენა გააგრძელეს. ამ მხრივ, გამოირჩეოდნენ, მდივანი გივი თუმანიშვილი და მისი შვილი დავითი. ოთარ, როინ, ფარემუზ და ნიკოლოზ ჯავახიშვილები პერიოდულად ასხვისებდნენ მათზე ყმა-მამულს. 1703 წ. 22 მაისს გივი თუმანიშვილმა ნიკოლოზ ჯავახიშვილისგან წოდორეთში მამული იყიდა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 4]. 1719 წლის ივნისის დამდეგს გივიმ ოთარ ჯავახიშვილისაგან იყიდა ყმა, რომელიც შეიძლება წოდორეთელი იყო, რადგან ამ პერიოდში თუმანიშვილები მათგან სწორედ ამ სოფელში იძენდნენ მამულებს: *„ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეც მე ჯავახისშვილმან ოთარმა შვილმა ჩემმან შიომ თქუენ მდივანს გივს შვილსა თქვენსა დავითს და ზურაბს ასე რომე როდეს დამეჭირა და მოგყიდე ჩემი მემკვიდრე ყმა გულია შვილი*

აბრამა ავიღე ფასი სრული“ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 4, ს. 182]. 1717 და 1719 წლებში გივი თუმანიშვილს როინ ჯავახიშვილმა, მიჰყიდა ყმა-მამული სოფ. წოდორეთში [**დოკუ-მენტები.., 1940**: 175-176, 181-182; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 5].

1706 წლის თებერვალში გივი მდივნის შვილმა დავითმა, ფარემუზ როინის ძე ჯავახიშვილისაგან წოდორეთში 26,5 დღის მიწა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 9], ხოლო 1715 წ. 1 იანვარს ნიკოლოზ ჯავახიშვილისაგან ყმა მამულით იყიდა: *„ალალი სამკვიდრო გლეხი წოდორეთს ელიოზისშვილები ხუცესი შიო მისი ძმა პეტრე მათი შვილები ესენი თავათის მამულითა მიწა წყლითა სახნავ სათესითა ქვევრ მარნითა მთითა ბარითა წყლითა წისქვილითა საძებრითა და უძებრითა“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 2].

სულხან თუმანიშვილმა 1738 წელს სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილისგან შეიძინა სოფ. კიკეთი [**გოგოლაძე, 2012**: 229]. პაპუა გერმანოზიშვილისაგან მდივანმა, გორჯასპი თუმანიშვილმა ალგეთის ხეობის სოფელი მარაბდა იყიდა. საინტერესოა, რომ ის 1763 წელს 6 თუმნად იესე ბარათაშვილს უნდა ეყიდა, თუმცა მას მანუჩარ სოლოღაშვილმა უთხრა – *„ჯოჯოხეთში მამულის შეძენას როგორ ბედავ“.* იესემ მანუჩარის ჩაგონებით მარაბდის მამული აღარ შეისყიდა [**მასალები.., 1950**: 38-40], მაგრამ პაპუა გერმანოზიშვილმა სოფელი 1764 წ. 13 იანვარს მაინც გაყიდა და როგორც აღვნიშნეთ, გორჯასპი მდივანს მიჰყიდა. საბუთიდან ჩანს, მარაბდა არ იყო კარგ მდგომარეობაში, რადგან ხარაბა, გლეხთაგან მიტოვებულ სოფლად იხსენიება, მიუხედავად ამისა, გორჯასპიმ მაინც შეისყიდა: *„ნასყიდობის წიგნი... მოგეცით ჩვენ გერმანოზის შვილმან პაპუამ... თუმანის შვილს მდივანს გორჯასპის... ასე რომე დიდად დამეჭირა და... შემოგეხვეწე და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული ხარაბა მარაბდა... შესავლითა გასავლითა ყოვლითა... მისის სამართლიანის სამძღვრითა... ზვარი ხოდაბუნი წყალი წისქვილი... საკომლოები... თავის ციხითა... რაც ამ ხანში აყრილი კაცი არის ჟამთა ვითარებისაგან ისიც შენი არის და დღეს იქით რაც გამოჩნდება ისიც ჩემი წილი საუფროსო იქიდამ რაც მერგება თქვენთვინ მომიყიდნია“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 14, ს. 28].

თუმანიშვილები მაჩაბლებისგანაც ყიდულობდნენ მამულებს, რაც ამ უკანასკნელთა ეკონომიკური გაჭირვებით უნდა ავხსნათ. 1716 წ. 20 თებერვლის ნასყიდობის წიგნში, აღნიშნულია: *„ესე... ნასყიდობის წიგნი მოგეც მე მაჩაბელმა ფარემუზ და ქობულმა თქვენ თუმანიშვილს მდივანს გივს... ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მიწა ორსავ ფშანშუა, მუხის მიწა ოთხის დღისა“*[**საქართველოს.., 1910**: 411].

თუმანიშვილებსა და მაჩაბლებს შორის სამამულე დავაც ყოფილა. XVII ს. II ნახევარში შედგენილი განჩინებიდან ვიგებთ, რომ მანუჩარ თუმანიშვილს ბორტი მაჩაბელთან სოფლის ბოლოსა და თავში მდებარე მიწების საზღვრებზე ჰქონდა უთანხმოება. სასამართლომ მანუჩარს მიაკუთვნა სოფლის თავში სადავო მიწის ნახევარი, რომელზეც ბორტი აცხადებდა პრეტენზიას. თუმანიშვილებს სადავო ვენახისა და მიწის ღოღობერიძეებისაგან, ნასყიდობის წიგნიც ჰქონდათ. ამ მიწის პირზე მდებარე საწისქვილე ნასყიდობის საბუთში არ იყო დასახელებული და ბორტის მისცეს. რაც შეეხება *„ნაწინდს“,* წისქვილსა და მათოზაშვილისაგან ნასყიდ მამულს, მათზე მანუჩარს გარეჯვრელი ყმები და სხვა მოწმეები უნდა დაეფიცებინა [**ქართული.., 1972**: 184-185; **პირთა.., 1993**: 351]. განჩინებაში არ არის დასახელებული რომელი სოფლის მამულებზე დავობდნენ მაჩაბელი და თუმანიშვილი, თუმცა ის ფაქტი, რომ მანუჩარს სადავო მიწების და წისქვილის საქმეზე გარეჯვრელი ყმები უნდა მოეყვანა მოწმეებად, მიუთითებს, რომ დავა სოფელ გარეჯვრის მამულებზე ჰქონდათ. თუმანიშვილებს მაჩაბლებთან ნათელ-მირონობაც აკავშირებდათ. 1804 წ. 24 აგვისტოს ისააკის პაპა, სულხანი თავის ძმას, ყოფილ ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილს წერდა: *„პატარა ისაკ ლუა მაჩაბელს მოვანათვლინეთ და ჩვენს სახლში რაც დაეტეოდა, სტუმრობა გარდავიხადეთ“* [**ბერძნიშვილი, 1983**: 43].

მიუხედავად იმისა, რომ თუმანიშვილები სხვადასხვა ფეოდალებისაგან იძენდნენ ყმა-მამულს, ზოგჯერ, თვითონაც იდგნენ ქონების გასხვისების საჭიროების წინაშე. აღსანიშნავია, რომ თუმანიშვილთა სახლიკაცების მიერ გარეშე პირებზე ყმა-მამულის გაყიდვა XVIII საუკუნიდან დასტურდება. 1702 წ. 8 ივნისს თუმანიშვილებმა სოფ. დარბაზის მამული ორბელიანებს მიჰყიდეს: *„ნასყიდობის წიგნი... მოგართვით ჩვენ თუმანის შვილმა ფირან... მანუჩარ და ზაზამ... თქვენ ორბელიძეთ ასლან ბეგის შვილს სარდარ სახლთ უხუცესს ლუარსაბს ძმათა თქვენთა ბაზიერთ უხუცეს ოთარს... ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი და სამკვიდრო დარბაზს ბახუას სახლკარი და... ბაგა და რაც ბახუას მიწები არის თავისის წილის მთით და გარეშემოთ თავის სამართლიანის სამძღვრით თქვენთვის მოგვიყიდია“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 130].

1801 წ. 16 ივნისს მდივანმა ეგნატე თუმანიშვილმა თბილისში სამოსახლო მამული გაყიდა არა იმის გამო, რომ ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყო, არამედ მყიდველის თხოვნით, რადგან ეგნატე საბუთში წერს: *„სახლის ადგილი... მოხველ და შემომეხვეწე და მთხოე ეს მცირე ადგილი რადგანაც შენს სახლს ეკრა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 30,

ს. 156]. 1802 წ. 18 თებერვალს თუმანიანთ ოჰანეზას მეუღლე მარიამმა და მისმა შვილმა ბეჟანმა, აბელა როსტომაშვილს სახლი მიჰყიდეს. საბუთში შენობის საზღვრად იხსენიება ქუჩა, რაც გვაფიქრებინებს, რომ თუმანიშვილებმა გორში ან თბილისში მდებარე სახლი გაყიდეს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 5, ს. 111].

ზოგჯერ, თუმანიშვილები სახლიკაცების გარეშე პირებს უცვლიდნენ ქონებას. ასეთი შემთხვევა პირველად, 1482 წ. ჩანს, როცა ქიშვარ თუმანიშვილმა გაუცვალა *„თორոსაული“* სახლ-კარი ჟამატუნის გვერდით მდებარე ქულბაქებით ხუცეს ტერ-ასატურა პარვართაშვილს ეკლესიის გარშემო მდებარე ადგილსა და ქულბაქებში, რომელიც შემდგომ საყდარს შესწირა [**პირთა.., 1993**: 360]. მამულის გაცვლის შესახებ მომდევნო ცნობა 1686 წელს ეკუთვნის, როცა ოთარ თუმანიშვილმა ახპატის ეპისკოპოს ფარსეღ ყორღანაშვილს გორის ნაზვრევში, ხელთუბანში, გაუცვალა ხოსიტასეული მიწა [**პირთა.., 2015**: 74]. 1689 წ. 22 დეკემბერს ოთარ თუმანიშვილმა გაუცვალა ფარსადან ამირაღაშვილს – ბატონის ზვრის გზაში აკოფას ნასახლარის ნახევარი გორში *„იენგუასკენ“.* ამ ნასახლარის ნახევარი ეკუთვნოდა ოთარის ბიძას, ბეჟან თუმანიშვილს, შემდგომ ოთარს ზვრის გზა ისევ ბატონისათვის მიურთმევია, რის სანაცვლოდაც მიუღია საყდართან სახლები [**პირთა.., 1993**: 355]. 1711 წ. 17 სექტემბერს კი ციციშვილის აზნაურმა და თუმანიშვილებმა სოფელ რუისში გაცვალეს მამულები [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 68].

თავადის მიერ სამფლობელოს გაზრდის ერთ-ერთი ხერხი, მეზობელი ფეოდალის ქონების მიტაცება იყო, რაც დაზარალებული მემამულის განაწყენებას იწვევდა. კარალეთის მამულებზე თუმანიშვილებს დავა ჰქონდათ ქსნის ერისთავთან. ამაზე მეტყველებს 1703-1711 წლებში შედგენილი *„განჩინება ვახტანგ VI-ისა ქსნის ერისთავის, თუმანიშვილებისა და გორელების მამულის საქმეზე“.* სასამართლოს გადაწყვეტილებით, *„ნაკოშკარსა და წყაროს ზევით კარალეთისა ყოფილიყო“* და ქსნის ერისთავს დარჩა, ხოლო *„ამავე ნაკოშკარსა და ნეფის წყაროს ქვევით როგორათაც უწინ თუმანიშვილებსა და გორელებს ჰქონდათ, იმათთვის დაგვინებებია“* [**ქართული.., 1972**: 270].

თუმანიშვილებს სამამულე დავა ჰქონდათ მელიქებთან. *„ოსმალობის“* დასაწყისში რუსეთში ვახტანგ მეფეს გაჰყვა ოთარ თუმანიშვილი. მან ყმა-მამული მელიქ აშხარბეგს დაუტოვა და არა თუმანიშვილების სახლის რომელიმე წევრს. 1785 წ. 5 თებერვლის საბუთის თანახმად, ბიძაშვილები კაცია და იოსები, აშხარბეგის შვილიშვილ ავეტიქას ედავებოდნენ ოთარის წილ მამულზე [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 22, ს. 53]. 1788 წ. 15 ივნისს

„მირიშქარბაში მელიქი აღას შვილებმა მელიქმა ავეტიქამ მირიშქარამ იოსებმა“ ედიშერ მდივნის ძეს, იოსებ თუმანიშვილს ოთარის მამულიდან მცირე ნაწილი დაუბრუნეს: *„რადგან ოთარ მდივნის წილი სახლები ქალაქში რაც იმის წილში გატანილი და ან ნასყიდი აქვს შენ წილს სახლებს აკრავს და ხელთუბანს იმის წილი ნაზვრევი შენ მოინდომე აღარც ჩვენ დაგიჭირეთ და დაგითმევით“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 195].

ორი დღის შემდეგ, 1788 წ. 17 ივნისს მდივანმა იოსებ თუმანიშვილმა მელიქ ავეტიქასა და მის ძმას პირობა მისცა, რომ ოთარ მდივნის ყმა-მამულზე აღარ შეედავებოდა: *„როდესაც ოთარ მდივანი მეფეს ვახტანგს რუსეთს გადაჰყვა იმისი მამული და ყმები საცა იყვნენ ოსმალობას პაპას თქვენს მელიქს აშხარბეგს ეჭირა მასუკან ყიზილბაშობას თქვენ გეჭირათ როდესაც ღთ˜ნ საქართველოს ჩამოხედა ჩვენი მკვიდრნი ხელმწიფენი ისევ თავიანთს სამკვიდროს ტახტზედ დამკვიდრდნენ წყალობის წიგნით თქვენვე გიბოძესთ რომ დღევანდლამდის თქვენ გიჭირავსთ რადგან ამდენს ხანს თქვენ გეჭირათ და ბედნიერი მეფეთაგან ნაბოძები გქონდათ ჩვენცა ეს წიგნი მოგეცით რომ ოთარ მდივნის მამულთან ყმებთან ნასყიდთან თუ უსყიდთან რომელიც დღეს გიჭირავსთ არც საქმე მქონდეს და არც ხელი“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 22, ს. 45; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 25, ს. 118].

1802 წელს თუმანიშვილებს ფეოდალი როჭიკაშვილები ედავებოდნენ თეთრი სოფლის[1] მამულებზე [**ქართული.., 1985**: 749-750], რომელიც 1800 წელს დარეჯან დედოფლის მიერ მდივან სულხან თუმანიშვილისადმი ნაწყალობევი სოფელი იყო.

როგორც ირკვევა, სხვადასხვა მებატონეები ცდილობდნენ თუმანიშვილებისთვის ყმები წაერთმიათ. 1717-1719 წლების[2] განჩინებიდან ვიგებთ, რომ გორელი ხუდადაშვილები ბერაძე ღთისიასა და ესტატეს ძველი ნასყიდობის წიგნით უჩიოდნენ, რომ მათი ყმები იყვნენ. ბერაძეებმა ხუდადაშვილებისაგან თავდახსნილობის საბუთი წარმოადგინეს და ამტკიცებდნენ, რომ როსტომ მეფის მიერ თუმანიშვილების გაყრისას უკვე ჯიმშიტაშვილების ყმები იყვნენ. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გადაწყვიტა: *„თუ წადგეს ბერაძე... და ხუდადაშვილებს ასრე შეფიცონ, რომე: შენის მამა-პაპათაგან თავიც დავიხსენით და ეს წიგნიც მართალი არისო, ხუდადაშვილები არას ემართლება... და თუ ვერ იფიცონ, ბერაძეები დარჩეს ხუდადაშვილებსა... თუ შეფიცონ ბერაძეებმა ხუდადაშვილს, რადგან ამდენის ხნის ყმანი არიან თუმანიშვილებისა, თუნდა ისევ გორს დადგნენ, ვეღარას შეუვა ხუდადაშვილი“* [**ქართული.., 1972**: 286].

---

[1] თეთრი სოფელი შულავერის უახლოესი დასახლება იყო და მის სამხრეთით მდებარეობდა [**ბერძენიშვილი, 2014**: 317].

[2] აღნიშნულ საბუთს ექ. თაყაიშვილი 1717-1724 წლებით ათარიღებს [**საქართველოს.., 1910**: 428-429].

ყმაზე დავას ეხება 1768 წ. 25 მაისს შედგენილი განჩინება, რომლის თანახმად, იოსებ ედიშერ მდივნის ძე თუმანიშვილი ჩიოდა, რომ მისი რუისელი ყმა ლომკაცაშვილი ღთისია, ქართლის აღწერისას *„მროვლის აზნაურშვილებმა“* მიისაკუთრეს. სასამართლოში მოწმემ თქვა, რომ ლომკაცაშვილები მდივან ოთარ თუმანიშვილს თავადი ციციშვილისაგან უყიდია, შემდეგ ისინი მროველ ნიკოლოზთან მისულან, რომელსაც მამული უბოძებია და ეკლესიისთვის შეუწირავს. მოგვიანებით კი ეს ყმები *„თავისავ მამულზე დამდგარიყვნენ და თუმანიშვილისავ ყმა ყოფილიყვნენ“*. სასამართლომ ლომკაცაშვილს მოატანინა ნიკოლოზ მროველის მიცემული წიგნი, რის საფუძველზეც დაადგინა, რომ ეს ყმა არც მეფისგან, არც ციციშვილებისგან და არც თუმანიშვილებისგან ეკლესიას შეწირული არ ყოფილა. სამართლით, სადავო ყმა იოსებ თუმანიშვილს დარჩა [**ქართული.., 1972**: 560].

თუმანიშვილებს სოფ. ახალდაბის მამულთა ღალაზე დავა ჰქონდათ გარსევანიშვილებთან. ამას მოწმობს 1785 წ. 3 აგვისტოს შედგენილი არზა, რომელშიც დაწვრილებით აღწერენ დაზარალებული თუმანიშვილები გარსევანიშვილების მიერ ჩადენილ დანაშაულს: *„როდესაც თქვენი წყალობა ახალდაბა მოგვცემია* (თუმანიშვილებს – **რ. მ.**), *დიაღ დიდი ხნის ამბავია... საქართველოს ღალის აღება ასე არის: უნდა პატრონი მოიყვანოს, დაუთვალოს და ღალა ისე აიღოს. გარსევანაშვილი უპატრონოთ, როდესაც ან კვირა, ან უქმე იქნება, მოვა და მოიტაცებს. მთლათ სოფელი ჩივის, ზოგისა მესამედი მოუტაცნია, ზოგისა მეოთხედი. ორი წელიწადია იტაცებს. გვატყუა, სიგელი მაქვსო. რაც სიგელში უწერია, არც ჩვენ ვეცილებით... გამოიტანოს, გვიჩვენოს, სადამდინაც ეწეროს, იმისი იყოს. დიაღ, ბევრი კაცი არის მცოდნე, ან იმან მოიყვანოს, ან ჩვენ მოვიყვანთ. ერთი არზა ქალაქს მოგართვით, კაცი დავიქირავეთ და ახლა ეს მოგვირთმევია. ორასი კოდი პური მეტი მოგვტაცა შარშან და წლეულ... მოგეხსენებათ, ჩვენ, დიაღ... ჩხუბის მორიდალნი გახლავართ... ჩვენი მოგვცეს და სამართალში გველაპარაკოს“*[**ქართული.., 1981**: 665].

სოფ. გარეჯვარში თუმანიშვილების მომიჯნავედ სხვა ფეოდალებიც ფლობდნენ ყმა-მამულს. საბუთებიდან ჩანს, ამ სოფელში თუმანიშვილთა ყმა-გლეხებს სხვადასხვა მებატონეები და მათი ყმები ავიწროვებდნენ. 1762 წ. 14 აგვისტოს ბეჟან თუმანიშვილმა ერეკლე II-ს არზით სთხოვა სამართლის აღსრულება: *„შარშან მდივანბეგებთან ვიჩივლე, გარეჯვარს თუმისშვილს ჩემი ყმის ორგან მიწა ეჭირა არ დამანება... თქვენი მზე აფიცე და სამართალი მაღირსეთ“*[**ქართული.., 1981**: 64-65].

1771 წ. 5 სექტემბრის არზაში ნიკოლოზ თუმანიშვილი ერეკლე II-სთან ჩიოდა: *„თქვენი უხვი წყალობა ჩვენს თავზედ მოვიდა, მამული გვებოძა, ზოგიერთი მძლავრობით და ურდობით სხვათ უჭირავსთ. არცა აქვთ ნასყიდობის წიგნები და მოწმეებიც მოგახსენებენ და მამულის პატრონებიც, რომ თქვენის ნაწყალობევი არის... ვისაც წიგნი ქონდეს, გვიჩვენოს, ვისაც არა, ჩვენი მამული დაგვანებონ“* [**ქართული.., 1981**: 188]. მოტანილი ციტატა კარგად ასახავს თუმანიშვილების მიმართ გამოვლენილ ძალმომრეობას, რაც მამულების დაკარგვასა და განუკითხავობას იწვევდა.

1793 წ. 3 ოქტომბრის არზიდან ნათელია, რომ ნიკოლოზ თუმანიშვილს სოფ. რეხაში მიწები წაართვეს წისქვილის არხების გაყვანის მიზნით. იგი ითხოვდა კუთვნილი მამულების უკან დაბრუნებას: *„რეხას მამუკაშვილმა ორი მიწა გაჭრა ჩემი და ერთი მარანი გასჭრა, წისქვილის რუ გაიყვანა... ასე უსამართლოთ მართმევს... ვითხოვ, სამართალი მებოძოს, ჩემი მამული დამანებოს. პაპალაშვილმაც წისქვილის არხი გაასწორა მამა-პაპის გაკეთებული და აღარც ის მანებებს; წიგნიც მაქვს, რომ ჩემ სამკვიდროზედ წავიყვანო წყალიო, მაგრამ მძლავრობით არ მანებებენ“* [**ქართული.., 1985**: 242]. საინტერესოა, რომ ამ არზიდან 3 წლის შემდეგ, 1796 წ. 4 ოქტომბერს ნიკოლოზი ისევ რეხის მიწებზე გაყვანილი წყლის თაობაზე ჩიოდა. იგი მამუკელაშვილსა და სულიაშვილს, წისქვილის რუს გაყვანისას თავისი ორი კომლი კაცის ნასახლარის, მარანის გაჭრისა და ქვევრების დაზიანების გამო უჩიოდა. ნიკოლოზი ასევე აღნიშნავდა, რომ მათ კუთვნილი წისქვილის რუს სათავე მიატოვეს, ედიშერ ყაფლანიშვილს წიგნი დააწერინეს *„რასაც წამს წყალი დაპატარავდებაო, ისევ ჩვენს სათავეზედ* (წისქვილის რუს – **რ.მ.**) *გამოვიყვანთო“*. ის ითხოვდა იასაულს, თორტიზიდან და ზემო რეხიდან მოწმეების მოყვანას, რათა დაემტკიცებინა რომ ადგილი, სადაც მამუკელაშვილმა და სულიაშვილმა წისქვილის რუ გაიყვანეს მისი საკუთრება იყო [**ქართული.., 1985**: 386-387; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს, 198].

როგორც ირკვევა, ნიკოლოზ თუმანიშვილი მართალი ყოფილა. 1796 წ. 20 ოქტომბერს, მას მამუკელაშვილმა პირობის წიგნი მისცა და ზარალის პატიება სთხოვა: *„შენი მოხსენებული სწორე იყო... სულ მაპატიე. დღეის იქით მივიდე და ჩემის სათავიდამ ამოვიყვანო. თუ ვერ ამოვიყვანო ჩემს სათავეზე, მერე როგორც შენი გული შევიჯერო, ისე მოვრიგდეთ“* [**დოკუმენტები.., 1953**: 183; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 199]. 1773 წ. 14 ივნისის განჩინებიდან კი ვიგებთ, რომ ვინმე მამუკა ბეგის შვილი, იბრეიმი თავის ბაღზე

წყლის გატარებას უშლიდა მდივან სულხან თუმანიშვილს, მაგრამ სასამართლომ ვახტანგის სამართლის საფუძველზე დავა სულხანის სასარგებლოდ გადაწყვიტა: *„მეფის ვახტანგის სამართლით წყლის გატარებას ვერას ალაგს ვერ დაუშლის, ვერც საყდარში, ვერც ზვარში და ვერც ხოდაბუნში, ყველგან გაატარებს... იბრეიმ ვერას ედავება. თუნდა კიდეც მცირეს უხდენდეს ბაღისას, მაშინც ვერას ედავება და ვერც დაუშლის“* [**ქართული.., 1972**: 647-648].

1800 წ. 31 ოქტომბერს გიორგი XII-ს თუმანიშვილებმა ერთობლივად მირთმეული არზით აცნობეს, რომ რუს გაყვანა სურდათ და ითხოვდნენ ხელი არ შეეშალათ იმ მემამულეებს, რომელთა მიწაზეც სარწყავ რუს გაიყვანდნენ: *,,რადგანაც იმ მამულის* (სადაც სარწყავი წყალი გაივლიდა – **რ. მ.**) *პატრონების ბეგარა აძევს ჩვენს კაცთ ყოველ წლივ ხვნა და მკა, ამიტომ არ უნდა დაგვეშალოს*“. მეფემ მათი თხოვნა დააკმაყოფილა და სათანადო ოქმიც უბოძა [**ქართული.., 1985**: 683-684].

როგორც ვხედავთ, თუმანიშვილებისთვის წყლის გაყვანა ხშირ შემთხვევაში გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რაც გამოიხატებოდა ამა თუ იმ მიწის მესაკუთრეთა უკმაყოფილებით. ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი ადრეული პერიოდის საბუთი, რომელიც მოგვითხრობს თუმანიშვილების მიერ სარწყავი რუს გაყვანის ისტორიას. ეს არის 1678 წ. 18 დეკემბრით დათარიღებული მიწის წყალობის წიგნი დავით ქსნის ერისთავის მიერ თუმანიშვილებისადმი.

დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ თუმანიშვილებს იასე ქსნის ერისთავის დროს მდ. პატარა ლიახვიდან რუ გამოუყვანიათ, რადგანაც წყალი ჭირდა და ცუდად მოდიოდა თუმანიშვილებისათვის ელიზბარ ერისთავს სოფ. მარანას გვერდით, ლიახვისაკენ რუ დაუთმია. ამის სანაცვლოდ კი თუმანიშვილებს ქსნის ერისთავთა სოფ. მარანასათვის ხელმწიფისაგან (როსტომ-ხანი – **რ.მ.**) თარხნობა მიუღიათ. ვინაიდან *„მარანას ქვეით სოფლები აჯავრებდა* (თუმანიშვილებს – **რ.მ.**) *და წყალს უხეთქდა“,* თუმანიშვილებმა ითხოვეს მიწა რუს გასატარებლად. დავით ქსნის ერისთავმა მათ მისცა სოფ. ქიწნისის მიწები, რომელზეც სარწყავი რუ გაიყვანეს და გამოუყო სამი მერუე სოფ. მარანას ქვემოდან, გარეჯვრის თავამდე. აღსანიშნავია, რომ დავით ქსნის ერისთავი თუმანიშვილებს საბუთში მოიხსენიებს სიტყვებით – *„ჩვენთვის* (ქსნის ერისთავთა – **რ.მ.**) *კარგის მდომთა“* [**პირთა.., 1993**: 338-339; **ქართული.., 1985**: 853-854]. მოტანილ ინფორმაციას ნაწილობრივ იმეორებს 1716-1724 წლების განჩინება, რომელშიც აღნიშნულია, რომ

თუმანიშვილები და ქარუმიძეები[3] სოფ. ხელთუბნისა და სოფ. თორტიზის რუს გამო დავობდნენ. სასამართლომ ორივე მხარის საჩივარი მოისმინა. კერძოდ, როდესაც, მეფემ თუმანიშვილებს სოფ. ხელთუბანი უბოძა მისცა სოფლისთვის რუ, სათავით *„მეჯურის-ჯევიდამ მეჯუდის წყლიდამ“.*[4]

თუმანიშვილებს წყალი არ ჰყოფნიდათ და როსტომ მეფეს შეხვეწნიან, სხვა *„ალაგით სხვა რუ და სათავეს“.* მეფეს სოფ. მარანა გაუთარხნებია, დიდი და პატარა ლიახვიდან წყალი გამოუყვანია, ერთ რუდ შეუერთებია და თუმანიშვილებისათვის სოფ. ხელთუბნის სარწყავად უწყალობებია. *„ძევერულთა, ტყიურელთა, კარალელთა, ორთავ გარეჯურელთა და თორტელთათვინ თავეთი რუები ზოგი ზედ გარდაეტარებინა და ზოგი ქვეშ გაეძურენინებინა. ასრე ყოვლის კაცის უცილებლად ჰქონდათ* (სარწყავი რუ თუმანიშვილებს – **რ.მ.**)“. როსტომ მეფის მიერ ნაწყალობევ რუში წყალი ცოტა მოდიოდა. თუმანიშვილებს ქსნის ერისთავისთვის – *„ფეშქაში მიერთმიათ და პატარას ლიახუზედ სხვას ალაგს[5] სათავე აეღოთ, რუ“* და მეფის მიერ ნაბოძები სარწყავი წყლისთვის შეუერთებიათ. შედეგად, თუმანიშვილებს წყალი ჰქონდათ, მაგრამ სხვადასხვა მემამულეებმა დაინახეს მათი გამართული სარწყავი სისტემა და *„ყველანი ამ თუმანიანთა რუს დასწოლოდნენ“.* თუმანიშვილები ითხოვდნენ, რომ ყველას საკუთარი რუ გამოეყენებინა.

ვახტანგ VI-მ საქმის გარემოებათა გამორკვევის შედეგად, თუმანიშვილებისათვის დამაკმაყოფილებელი განაჩენი გამოიტანა: *„ძევრას* (სოფ. ძევერა – **რ. მ.**) *ზედგენიძეს ამ რუს წყლით* (თუმანიშვილების – **რ. მ.**) *რომ წისქული უბრუნავებია, ის ისრევ დააქციონ და მოშალონ. თუმანიანთ წყალთან ჴელი არავის არა აქუსთ. კარალელეთ თავისი წყალი ღარით ქვეშ გააძურინონ. აგრევე გარეჯურელთ თავისი წყალი ქვეშ გააძურინონ... აქეთ თორტელთ ქვეშიდამ რომ რუ ჩამოდის, მდგნალიანის რუს რომ შემოერთვის, ის ღარით თუმანიშვილების რუზედ გარდაატარონ თავითივ წყალი. კიდევ თორტელთათვის თამარ დედოფალს რომ ქვეშური წყალი ბოგირის რუ რომ უბოძებია, იმისი წყალი თუმანიშვილების რუს ქვეშ გააძურინონ და... თუმანიანთ სამძღურამდინ თავეთი მინდორი მეჯუდას გაღმა-გამოღმა იმ წყლითა და თავეთის რუთი მორწყონ; თუმანიანთ წყალთან*

---

[3] ქარუმიძეები, ამილახვრების აზნაურები იყვნენ [**აკოფაშვილი, 1965**: 136-138].

[4] ნაზი და ზაალ თუმანიშვილების თქმით, თუმანიანთ რუ, რომელიც მდ. მეჯუდიდან იღებს სათავეს ამჟამადაც მწყობრშია და წყალუხვობის გაზრდის მიზნით, ტირიფონის სარწყავი არხია მიერთებული.

[5] ალბათ იგულისხმება ზემოთ ნახსენები, დავით ქსნის ერისთავის მიერ თუმანიშვილებისადმი მიცემული სოფ. ქიწნისის მიწები.

და რუსთან ჴელი არა აქუსთ“ [**ქართული.., 1972**: 304-306; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 57]. საბუთზე დაყრდნობით ნათელია, რომ სოფ. ძევერის, კარალეთის, თორტიზის, გარეჯვრის მცხოვრებნი სარგებლობდნენ თუმანიშვილების სარწყავი სისტემით, რაც იწვევდა ბუნებრივია ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას.

მოგვიანებით თუმანიშვილებსა და ქარუმიძეებს შორის, სარწყავ წყალზე დავა განახლდა. 1768 წ. 17 ივნისის დოკუმენტის თანახმად, თუმანიშვილებმა სასამართლოში წარადგინეს ვახტანგ მეფის ნაბოძები და დავით ქსნის ერისთავის მიცემული წიგნი,[6] რომლებიც თუმანიშვილებს ამართლებდა. ქარუმიძეები კი ამტკიცებდნენ: *„ეს განაჩენი რომ აგიღიათ, როგორც მაგაში სწერია, ეგრე არას დროს არ უდენიაო“*. თუმანიშვილებმა ასევე *„ქსნის ერისთავის კაცნიც“* მოწმეებად მოიყვანეს, რომლებიც ასევე თავად თუმანიშვილთა მიერ წარმოდგენილი საბუთების არსს იმეორებდნენ, მაგრამ სასამართლო მოწმეებს არ ენდო და შემდეგი განაჩენი გამოიტანა: თუ თუმანიშვილები ხატზე დაიფიცებდნენ – *„თქვენს* (ქარუმიძეების – **რ. მ.**) *რუს ამ ჩვენს რუზე ზედ გარდუვლია, როგორც ძველს განაჩენში*[7] *გვიწერია, ისე უდენია და მეორეს თქვენს რუს ქვეშ გაუვლია“,* ქარუმიძეებს თავიანთი წყალი ცალკე უნდა გაეყვანათ. თუ ხატზე ვერ დაიფიცებდნენ თუმანიშვილების რუთი საჭიროებისამებრ უნდა ესარგებლათ. აღნიშნულ დავაშიც თუმანიშვილები გამართლდნენ, რადგან საბუთში წერია: *„მოასილი მაყაშვილი ლუარსაბი იყო. თუმანიანიც და ქარუმიძეებიც რუზედ მიეყვანა, ხატი და ჯვარიც მიესვენებინა. ქარუმიძეებს თუმანიანი აღარ დაეფიცებინათ და თავისის ორისავ წყლის გატანა... თავს ედვათ. დღეის იქით ქარუმიძეებს თუმანიანთ რუსთან ხელი არ აქვთ“* [**ქართული.., 1972**: 568-569].

ხელთუბანში, გარეჯვარში, რეხაში და სხვ. თუმანიშვილებისა და ამილახვრების მამულები ერთმანეთს ესაზღვრებოდა. XVII-XVIII საუკუნეების ისტორიული საბუთებიდან ნათელი ხდება, რომ თუმანიშვილები სოფ. ხელთუბანში, მიწებს იძენდნენ ამილახვრებისა და მათი ყმებისაგან [**სეასცა,** ფ. 1450, დ. 3, ს. 55; **პირთა.., 1993**: 350-351]. თუმანიშვილებსა და ამილახვრებს შორის ხშირი იყო დავა სხვადასხვა საკითხებზე. 1669 წ. 2 თებერვლის დოკუმენტის თანახმად, ბაინდურ თუმანიშვილის ყმებს, როსტომა

---

[6] ზემოთ მოტანილი 1678 წ. 18 დეკემბერს დავით ქსნის ერისთავის მიერ თუმანიშვილებისადმი ქიწნური მიწების ბოძების წიგნი [**ქართული.., 1985**: 853-854].

[7] იგულისხმება ზემოთ განხილული ვახტანგ VI-ის განჩინება თუმანიშვილებსა და ქარუმიძეებს შორის სადავო სარწყავი წყლის შესახებ.

და ავთანდილ წატურაშვილებს უყიდიათ საწისქვლე, გამოუყვანიათ რუ და ოთხთვალა წისქვილი გაუკეთებიათ. გორის მოურავი გივი ამილახვარი ბაინდურის ყმებს ნაყიდ საწისქვილეზე ედავებოდა. თუმცა საქმის გარჩევის შემდეგ გამტყუნდა და სადავო ქონება თუმანიშვილის ყმებს დარჩათ [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3. დოკ. 60].

თუმანიშვილები, როგორც ირკვევა, მეზობელი ამილახვრების ვრცელი ტყე-ველით სარგებლობდნენ, რაც ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას იწვევდა. აღნიშნულის გამო, თუმანიშვილებმა ერეკლე II-სთან იჩივლეს. 1785 წ. 20 იანვარს მეფემ ამილახვრებს თუმანიშვილებისათვის ტყეში შეშის მოჭრისა და მინდორში საქონლის ძოვების ნებართვის მიცემის შესახებ უბრძანა: *„ეს როგორი საქმე არის კაცს მაგისთანა ვაება მთა ჰქონდეს ყოვლის ხით სავსე და მინდვრის კაცს და საწვავის შეშას და სახლის ხეტყეს და ურმის იარაღს არ ანებებდეს ამისთანა საქმე ვის დროს ქნილა... ახლავ რაც მათის კაცების ნაცარცვი ჰქონდესთ თქვენს კაცებსა უკლებლად უკანვე მოეცით... აღარც ტყეში შესვლა საწვავს შეშისა სახლის ხეტყისა და ურმის იარაღის გამოტანა დაუშალოთ და არც მინდორში საქონლის ძოება თორემ იცოდეთ ამაზე დიდად გავჯავრდებით“* [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 3076; **სეასცა**, ფ. 1450. დ. 3, ს. 191]. როგორც ირკვევა, თუმანიშვილებისთვის ხეტყით სარგებლობა დიდი პრობლემა იყო. ჯერ კიდევ, 1699 წელს მათ და გორელებმა ნაზარალი-ხანის წყალობით, ფარსადან ციციშვილისაგან მიიღეს მთაში შეშის მოჭრის უფლება, რომელსაც ეს უკანასკნელი უკრძალავდა [**პირთა.., 1993**: 340].

დაპირისპირებულები იყვნენ ერთმანეთთან ოთარ ამილახვარი და მანუჩარ თუმანიშვილიც. 1789 წელს, გორელებს ოთარ ამილახვარზე საჩივარი ერეკლე II-თან ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილის წაქეზებით მიურთმევიათ, სადაც ამილახვრისაგან ძალადობასა და სისასტიკეზე ჩიოდნენ. სამაგიეროდ, ამილახვარმა თუმანიშვილების ყმები დაარბია დიდ გარეჯვარში. დარბეულებს შორის ბირთველ თუმანიშვილის ყმებიც მოჰყვნენ, რომელთანაც ამილახვარს მტრობა არ ჰქონდა. მანუჩარის მიერ გენერალ ლაზარევისადმი 1802 წ. 23 მარტს გაგზავნილი მოხსენების თანახმად, გადასახადების აკრეფისას მოხელეებს განსაკუთრებული სისასტიკე სწორედ საამილახვრო სოფლებში გამოუჩენიათ. ი. ალიმბარაშვილი საამილახვრო სოფლების აკლების წამქეზებლებს შორის, მანუჩარ თუმანიშვილსაც ვარაუდობს. ამჯერადაც, მანუჩარს ოთარ ამილახვრის *„დამდაბლებით“* უსარგებლია და მისთვის ორაგული დაუკისრებია, სამაგიეროდ, *„შენს სადღეგრძელოს განსაკუთრებით მივირთმევო“,* – წერდა ცინიკურად ამილახვარს ქვემოჭა-

ლაში. ამილახვარმა კი საპასუხო წერილში მანუჩარს ურჩია *„ლობიოთი“* დაკმაყოფილებულიყო [**ალიმბარაშვილი, 2017**: 21-23].

ზოგჯერ თვითონ თუმანიშვილები იყვნენ თავდასხმის ობიექტები. 1717-1724 წწ. ბაქარ მეფე იასაულისადმი გაგზავნილ ბრძანებაში წერდა: *„თუმანიშვილს მანუჩარს ბიეთელნი* (სოფ. ხეითელნი? – **რ.მ.**) *ბაილურები მოხტომ(ი)ან და კაც(ე)ბი, დაურბევიათ, ღვინო ამოუსხამთ, ცხვრები დაუხოციათ და ზოგი თან წაუსხ(ა)მთ. მიდი, ჩაუდეგ და რაც ამისი ან წაუხდენიათ, ან წაუსხ(ა)მთ, სულ გამოურთვი“* [**საქართველოს.., 1910**: 416].

დოკუმენტებიდან ნათელია, რომ თუმანიშვილთა ყმებს არბევდნენ სხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები. მაგ. 1793 წ. 19 თებერვლის საბუთიდან ვიგებთ, რომ ზურაბ თუმანიშვილის ყმა დაურბევია ანტონ ავალიშვილს. იგი აღნიშნულ საქმეზე ჩიოდა და მისგან *„ნარბევის“* დაბრუნებას ითხოვდა [**ქართული.., 1985**: 197-198]. თუმანიშვილთა ყმების ჩაგვრას ეხება 1798 წ. 30 დეკემბრის დოკუმენტიც, რომლის თანახმად, მდივან ეგნატეს ყმა, სოსია, მეორედ მიმართავდა გიორგი XII-ს, რომ ვინმე *„დავითის შვილმა ბერმა და ლევანიკამ“* უღელი ხარი წაართვეს 10 თვის წინ და მის დაბრუნებას ითხოვდა [**დოკუმენტები.., 1953**: 197].

თუმანიშვილებისთვის ერთგვარი თავსატეხი იყო მათ მამულებზე მდგარი სხვადასხვა მებატონეთა ყმების მოშორება. 1799 წ. 27 აპრილის დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ზურაბ თუმანიშვილის ქვრივ-ობლები სოფ. ხელთუბანში კუთვნილი სასახლის ადგილიდან სახლიკაცებისა და სხვა მებატონეთა შეხიზნული ყმების აყრას ითხოვდნენ: *„ჩვენი მამა-პაპის სასახლე საუმცროსო ბარათით გვრგრბია ხელთუბანს. ამ სასახლის ალაგს ჩვენი სახლის კაცებისა და სხვების ყმანი ხიზნათ სახლობენ. ახლა ჩვენი სახლის ალაგი ჩვენ გვეჭირება. პირით და მოციქულით ველაპარაკეთ, რომ ჩვენი ადგილი დაგვიცალეთ და თავ-თავის ადგილს დადექით. ქვრივ-ობლობით არას გვეპასუხებიან. გევედრებით ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ ჩვენი სამკვიდრო მამულიდამ აიყარნენ და ჩვენი მამული ჩვენ მოვიხმაროთ“* [**ქართული.., 1985**: 537]. 1800 წ. 24 მაისის არზით, ზურაბ თუმანიშვილის ქვრივ-ობლები ისევ ითხოვდნენ თავიანთი მამულებიდან სხვადასხვა მებატონეთა ყმების აყრას ან გამოსაღებს. საბუთში ისინი წერდნენ, რომ ადრეც მიუმართავთ აღნიშნული თხოვნით გიორგი XII-სთვის. მეფეს მათი თხოვნა დაუკმაყოფილებია და შესაბამისი ბრძანებაც გაუცია, თუმცა ყმა-გლეხები არ დამორჩილებიან [**ქართული.., 1985**: 644].

ამრიგად, თუმანიშვილები ხშირად იდგნენ ფეოდალების მხრიდან სხვადასხვა სახით გამოვლენილი ძალადობის რისკის ქვეშ, რასაც მოხერხებულად უპირისპირებ-დნენ სასამართლოსა და სამეფო კარს. ისინი კარგი ფინანსური შემლებიდან გამომ-დინარე იძენდნენ ყმა-მამულს, ამგვარი იყო მფლობელობის ზრდის ტენდენცია სათუ-მანიშვილოში.

თავი IX. თუმანიშვილების ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუმანიშვილები XV ს. დასაწყისიდან იხსენიებიან წყაროებში და საქართველოს სამეფო კარზე მდივან-მწიგნობრის სახელო ეკავათ,[1] რაც მათ საგვარეულო გერბზეც აისახა[2] [**ასათიანი, 2010**: 105-106]. დადგენილია, რომ სამეფო კარზე მდივნობის სახელო თუმანიშვილთა საგვარეულოში *„ძველთაგანვე“* მემკვიდრეობითი იყო [**ბაქრაძე, 1960**: 74]. ა. ბაქრაძე მივიდა დასკვნამდე, რომ თუმანიშვილები XV საუკუნის შუა წლებიდან გამუდმებით ჩანან მდივან-მწიგნობრის თანამდებობაზე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე. XV-XVIII საუკუნეებში თუმანიშვილთა საგვარეულოში მდივნის თანამდებობაზე 44 პირს ვხვდებით [**ბაქრაძე, 1983**: 100].

ა. ბაქრაძის აზრით, სამეფო კარზე მოღვაწე მდივან-მწიგნობართა შორის გარკვეული იერარქია უნდა ყოფილიყო, რომლის სათავეშიც თუმანიშვილები ჩანან [**ბაქრაძე, 1960**: 77]. 1482 წ. საბუთის დამწერი მირველ თუმანიშვილი მდივანთუხუცესად იწოდება, 1640 წ. კი ამ სახელოთი ბირთველი იხსენიება [**ბაქრაძე, 1963**: 163, 168]. მდივან-

---

[1] პირველად ამ საგვარეულოში მდივან-მწიგნობრად 1454-1487 წწ. ჩანს ზაქარია თუმანიშვილი [**ბაქრაძე, 1963**: 163].

[2] თბილისის საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ოსკარ გეტლინგის არქივში ინახება საფოსტო მარკის სახით შესრულებული, თუმანიშვილების საგვარეულო გერბის 3 ნიმუში. მარკაზე აღბეჭდილ ოვალურ წრეში თუმანიშვილთა გერბია ჩასმული: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში – ოქროზე სევადის შემობრუნებული ძაღლი, ზედა მარცხენაში – ლაჟვარზე ვერცხლის საკალმე, ქვედა მარჯვენაში – ლაჟვარდზე ოქროს სასწორი, ქვედა მარცხენაში კი – ოქროზე ბუნებრივი ფერის საკალმე ფრთის მპყრობელი სევადის მკლავი ბუნებრივი შეფერილობის ხელის მტევნით; ფარს სათავადო გვირგვინი ადგას თავზე. როგორც ჩანს, ამ საგერბე საფოსტო მარკას (**იხ. დანართი №11**) თუმანიშვილები იყენებდნენ, ეპისტოლეზე მათი ვინაობის ხაზგასასმელად, ისე, როგორც ეს ბეჭდის ან ლუქის გამოყენების შემთხვევაში ხდებოდა. გეტლინგისავე გლიპტიკურ კოლექციაში შემონახულია თუმანიშვილების ლუქის ბეჭედი საგვარეულო გერბის გამოსახულებით, რომელიც ზემოთ აღწერილისაგან მხოლოდ ზედა ორი მეოთხედის განლაგების ურთიერთგადანაცვლებით გამოირჩევა. ამასთანავე, ბეჭედზე ამოტვიფრულ გერბს გარს სათავადო გვირგვინიანი მოსასხამი არტყია, ფარი კი ორ ფარისმპყრობელ ლომს უჭირავს. მ. ვადბოლსკისეული თუმანიშვილების საგერბე ფარი ხსენებულ საფოსტო მარკაზე გამოხატული გერბის იდენტურია. ვ. ციხინსკისთანაც ასეთივე საგერბე კომპოზიციას ვხვდებით, თუმცა მ. ციხინსკის *„კავკასიის საგერბეში“* გერბის კიდევ ერთი ვარიანტია დაფიქსირებული: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის პირველ ზედა მარჯვენა ნაწილში – შემობრუნებული ძაღლი, მეორეში საკალმე, მესამეში – ორ კოშკიანი ციხესიმაგრე, მეოთხეში კი – კალმიანი მკლავი და მის თავზე განთავსებული სასწორი; ფარისმპყრობელებს ორი ლომი წარმოადგენს; ფარი სათავადო მოსასხამითა და გვირგვინით არის შემკული. გერბის ფიგურებიდან, საკალმე და კალმიანი მკლავი მეფის კარზე თუმანიშვილების ტრადიციულ თანამდებობაზე – მდივანბეგობაზე (ასევე, მდივანმწიგნობრობაზე **– რ. მ.**) მიუთითებს. ძაღლი ერთგულების საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოა, სასწორი კი სამართლიანობისა [**ასათიანი, 2002**: 66; **ასათიანი, 2010**: 105-106].

მწიგნობართ-უხუცესად 1746 წ. ვხვდებით ოთარს, ხოლო 1749 წ. გორჯასპი თუმანიშვილს [**ბაქრაძე, 1960**: 77-78].

მდივან-მწიგნობარმა თუმანიშვილებმა გადაწერეს უამრავი ხელნაწერი წიგნი და დაწერეს ისტორიული საბუთების დიდი ნაწილი, რომლებიც ძვირფას ცნობებს გვაწვდიან საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესახებ. მაგალითად, 1466 წელს კონსტანტინე მეფის მიერ ზაქარია ჯავახიშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის სიგელი დაწერა სამეფო კარის მწიგნობარმა ზაქარია თუმანიშვილმა [**ქართული.., 1965**: 135]. შაველ თუმანიშვილის მიერ 1591 წლის 7 აგვისტოს დაწერილია სვიმონ მეფის მიერ იოვანე ბარათაშვილისათვის მიცემული სოფლების ბოძების წიგნი [**საქართველოს.., 1920**: 408-409]. 1799 წლის 3 ივნისს გიორგი XII-ის მიერ ჩოლოყაშვილებისადმი მიცემული წყალობის სიგელი შეადგინა ეგნატი თუმანიშვილმა [**საქართველოს.., 1909**: 533].

თუმანიშვილები მრავალ საბუთში მოწმეებად იხსენიებიან. მაგალითად, 1702 წ. 20 ივნისს, ვახტანგ გერმანოზიშვილის მიერ ორბელიშვილ ერასტისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნის დამწერი და მოწმეა გივი თუმანიშვილი [**საქართველოს.., 1909**: 188-189]. 1830 წლის 10 დეკემბერს შედგენილი ხელშეკრულების წიგნში კი აღნიშნულია: *„ივანე ტოგონიძის თხოვნით ამ წერილის მოწამე ვარ თავადი გიორგი თუმანოვი“*[**დოკუმენტები.., 1953**: 260].

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თუმანიშვილები ხშირად იღებდნენ მონაწილეობას დავების განხილვაში. მაგალითად, 1646 წელს როსტომ მეფის ბრძანებით, სოლოღაშვილების სამამულე დავა გაარიგეს მანუჩარ ციციშვილმა, ყაფლან ბარათაშვილმა და მდივანმა ბირთველ თუმანიშვილმა [**ქართული.., 1972**: 85-86]. 1775 წელს გიორგი და როსტომ ერისთავისშვილების ყმა-მამულზე დავის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღო მდივანმა სულხანმა: *„ჩვენ, ამილახორი რევაზ, ციცისშვილი თეიმურაზ მდივანბეგი და თუმანიშვილი სულხან მდივანი მათმა სიმაღლემ ქსნის ერისთვისშვილების სამართლის გარდასაწყვეტლად განგვაწესა“* [**ქართული.., 1972**: 687]. დოკუმენტების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ თუმანიშვილების სახლის ყველა წარმომადგენელი სამეფო კარზე დაწინაურებული არ იყო და მდივან-მწიგნობრის ან სხვა სახელოს არ იკავებდა. ძნელი სათქმელია, ეს რეალობაა თუ წყაროების სიმწირის გამო გვესახება ასეთი სურათი. XV საუკუნეში თუმანიშვილებს, მხოლოდ მდივან-მწიგნობრის სახელო უჭირავთ სამე-

ფო კარზე, ხოლო მოგვიანებით, ისინი მდივნობის გარდა, სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობას იკავებენ, რაც არაერთი საბუთით დასტურდება.

ქართლის მეფე სიმონ I-ის (1556-1600) კარზე საბუთების შემდგენელი 1581-1591 წწ. შაველ/შაჰველ თუმანიშვილი იყო [**პირთა.., 1993**: 361]. მის მიერ დაწერილი საბუთებიდან მხოლოდ ერთ 1581 წლის სვიმონ მეფის მიერ ქართლის კათალიკოს ნიკოლოზისათვის სოფლის შეწირულობის წიგნში იგი ვაზირად მოიხსენიება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთდროულად შაველს მდივან-მწიგნობრისა და ვაზირის[1] სახელო ეკავა: *„ჴელითა კარისა ჩუენისა ვაზირისა თუმანიშვილისა შაჰველისითა“* [**ქრონიკები.., 1897**: 420]. XVI საუკუნეში სამეფო კარზე მდივან-მწიგნობრისა და ვაზირის გარდა სხვა თანამდებობაზე თუმანიშვილების საქმიანობა არ დასტურდება.

XVII საუკუნიდან თუმანიშვილები სამეფო კარისადმი ერთგულებით მეფეებისაგან წყალობასაც იღებდნენ. ნასრ/ნასრია თუმანიშვილს, რომელიც 1593-1624 წწ. მდივან-მწიგნობრად ჩანს ოთხი მონარქის კარზე (სვიმონ I, ლუარსაბ II, ბაგრატ-ხანი და სვიმონ II) [**ბაქრაძე, 1983**: 85], ბაგრატ-ხანმა 1618 წ. სომხითში ნასოფლარი ხანძორისი უბოძა [**დოკუმენტური.., 2019**: 147-148].

მაჰმადიანი სიმონ-ხანის კარზე თუმანიშვილები დაწინაურებული და ერთგული მოხელეები იყვნენ. როცა ქართლელები შაჰ-აბასის წინააღმდეგ გამოსულან, თუმანიშვილები ციხეში ხლებიან ქართლის მმართველ სიმონ-ხანს და ერთგულება აღუთქვამთ. მხარდაჭერის სანაცვლოდ, 1626 წ. 1 ივლისს მან მანუჩარ თუმანიშვილსა და მის ძმებს, თაყას, ბირთველსა და დავითს სოფ. დარბაზი უწყალობა: *„როდეს ქართველთ ბედინიერ ყენს უორგულეს და წუვიდეს და ჩუენ ქალაქს ციხეშიგ გვიახლნენით და არმა ჩუენმა ყმამ არ გუიყურა, მანუჩარ შენ ციხეშიგ შემოგუიყევა და გუიერდგულე და ჩუენის სამსახურის გაუყრელი იყავ და მისად ჯილდოდ... გიბოძეთ დარბაზი“* [**საქართველოს.., 1909**: 128-129]. მოგვიანებით, 1628 წელს სიმონ-ხანმა მანუჩარ თუმანიშვილს მამულები ქვემო ქართლის სოფელ ჯილიზაში უწყალობა [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 74-75; **პირთა.., 1993**: 350].

მანუჩარ თუმანიშვილი, რომელიც ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეობდა, დოკუმენტებში 1626-1673 წწ. ჩანს. მას ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა თანამდებობა ეკავა.

[1] ვაზირი/ვეზირი არაბული სიტყვაა და მრჩეველს ნიშნავს. იგი იყო უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის მოხელე შუა საუკუნეების საქართველოში. XVI საუკუნიდან ვეზირი ეწოდებოდა, როგორც მმართველობის ცენტრალური აპარატის, ისე მეფისა და მთავრის კარის პირველ მოხელეს [**ცენტრალური.., 2017**: 190].

იგი მდივნად იხსენიება 1670 წ. და 1673 წ. ორ საბუთში [**პირთა.., 1993**: 349]. თუმცა, მის მიერ შედგენილია, მხოლოდ ერთი, 1626 წელს სვიმონ-ხანის გაცემული წყალობის სიგელი, საიდანაც ვიგებთ, რომ მანუჩარს მერიქიფეთუხუცესის[1] სახელო ეკავა: *„დაიწერა სიგელი ესე ქ(ო)რონიკონსა ტიდ, ხელითა თუმანისშვილის მერიქიფეთუხუცის მანუჩარისათა“* [**დოკუმენტური.., 2019**: 205]. მანუჩარს მერიქიფეთუხუცესის სახელო ეჭირა 1628 წელსაც და 1638-1666 წწ. მორდარი[2] იყო [**პირთა.., 1993**: 349]. 1638 წელს როსტომ მეფემ მანუჩარს მორდალის სარგოს წყალობის წიგნი უბოძა: *„მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ... წყალობისა და სარგოს წიგნი... გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და მრავალფერად წესისაებრ თავდადებით ერთგულად გულით მისანდოსა და ხუაშიადის შემნახავს ყმასა თუმანიშვილს, ჩუენის ბეჭდის შემნახავს მურდარს პატრონს მანუჩარს... შეგიწყალეთ და გიბოძეთ საბეჭდავი სარგო“*[**ქართული.., 1965**: 215; **პირთა.., 1993**: 350].

წყაროების სიმცირის გამო, სამწუხაროდ, უცნობია ერთდროულად ეკავა მანუჩარს სამი სახელო (მერიქიფეთუხუცესი, მორდარი, მდივანი) თუ სხვადასხვა დროს. შესაძლებელია, მას შეთავსებით მდივნისა და მერიქიფეთუხუცესის სახელო ეკავა, რადგან იგი სვიმონ მეფის კარზე ერთადერთ საბუთს ადგენს, როგორც მერიქიფეთუხუცესი. როგორც ვხედავთ, სიმონ-ხანის ერთგული მანუჩარ თუმანიშვილი, როსტომ მეფის კარზეც დაწინაურებული იყო და 1638 წლიდან მორდარის სახელო ეკავა.

როსტომ-ხანის დროს, მოურავის სახელო ეკავა ელიზბარ თუმანიშვილს. 1639 წელს გიორგი და იორამ ბატონიშვილებმა მას შულავერის მოურავობა უწყალობეს [**პირთა.., 1993**: 341]. როსტომ მეფის კარზე თუმანიშვილებს სხვა სახელოც ეკავათ. მორდალ მანუჩარ თუმანიშვილის ძმის შვილს, ზურაბს, როსტომ ხანმა 1656 წ. *„ელის პირისთავის მკრეფელობა“* უბოძა. საბუთის სპარსულენოვან ტექსტში ვკითხულობთ: *„საქონლის დარწყულების[3] და საბალახოს ფულის აკრეფა... მაღალი ხაზინის კუთვნილ ელიდან*

---

[1] მერიქიფეთუხუცესი – მეფის კარზე მოხელე, მერიქიფეთა უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში [**ქართული.., 1983**: 588].

[2] მორდალი, მორდარი, მურდარი (სპარს. მოჰრდარ – ბეჭდის მცველი) მეფის ბეჭდის მცველი XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში. მას ევალებოდა მეფის მიერ გაცემულ საბუთზე ბეჭდის დასმა და პატრონისათვის ჩაბარება. იგი ექვემდებარებოდა სახლთუხუცესს. XVIII ს. II ნახევარში 2 სამეფო (ქართლის და კახეთის) მორდალი იყო [**ქართული.., 1984**: 120].

[3] საბუთის გამომცემელი ვ. ფუთურიძე აღნიშნავს, რომ ქართული ისტორიული სინამდვილისათვის ასეთი გადასახადი უცხოა. ჩვენი აზრით *„საქონლის დარწყულება“* გულისხმობდა პირუტყვზე დაკისრებული ბეგარის აკრეფას, რაც *„დასტურლამალით“ „პირისთავის მკრეფელს“* ევალებოდა: *„აგრევ პირის თავზე იქნებოდეს. ყოველ მჴარეს მობალახეცა და მოპირისთავეცა დავთარს დაიჭერდეს და რა-*

ჩვენ დავუმტკიცეთ ზურაბ თუმანიშვილს, რათა მან... ანგარიშები აწარმოოს " [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 259].

თუმანიშვილებისადამი ლოიალური დამოკიდებულება როსტომ ხანმა მამულების წყალობით არაერთხელ დაადასტურა. 1635 წ. 14 ივნისს მან თაყა თუმანიშვილს უწყალობა ბეითალმანი მამული სომხითში – სოფელი ჯილიზა [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 118-120; **პირთა.., 1993**: 347-348]. 1637 წ. 27 მარტს მან პაპუნა/პაპია ნასრის ძე თუმანიშვილს განუახლა სოფელ ხანძორისის წყალობა [**პირთა.., 1993**: 357]. სამეფო კარზე დაწინაურებულ მორდარ მანუჩარს როსტომ მეფემ 1657 წელს სოფელ ტინისხიდში (გორის მუნიც.) მამული უწყალობა: *„შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და წესისებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა: თუმანიშუილს მუჰრდარს მანუჩარს... სოფელი ტინისჴიდი, რისაც მქონებელი ჰამზა-ბეგ ყოფილიყოს"* [**ქართულ-სპარსული.., 1984**: 27]. 1658 წელს კი როსტომ-ხანმა ერთგულ თუმანიშვილებს ქვემო ქართლში სოფელი ბერდიკი უბოძა: *„ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა და ჩვენის... ხვაშიადის შემნახავთა ყმათა თუმანიშვილთა... დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ ბოლნისის ჴევს სოფელი ბერდიკი ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა... უნაკლულოთ"* [**საქართველოს.., 1909**: 130; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 281].

საყურადღებოა, თუმანიშვილებისა და როსტომ-ხანის ურთიერთობის ერთი საინტერესო დეტალი. 1652 წელს როსტომ მეფის შვილობილი – ლუარსაბ ბატონიშვილი შემთხვევით მოკლეს ნადირობის დროს. მკვლელობა დაბრალდა ბაინდურ თუმანიშვილს. ამის შესახებ *პარიზის ქრონიკა* მოგვითხრობს: *„მეფემ როსტომ დებედაზედ გატეხილი ხიდი ააშენა ქვითკირის კამრით... იმაების გასასინჯავათ მიბძანდა იქ. ვაჟმა კაცებმან ბატონისშვილს ლუარსაბს: „მეფე ხუთს-ექვსს დღეს აქეთ არ აიყრებაო... გაღმა გავიდეთ და ჭალა ვინადიროთო"... იმასაც იამა და მეფესაც დასტური სთხოვეს და გაღმა გავიდნენ, ჭალას ნადირობა დაიწყვეს. ღორნი გაჩნდნენ კარებზედ, თოფის და ისრის სროლა შეიქნა ადგილ-უადგილოსა. და ბატონისშვილს ლუარსაბს ძუძუსთან თოფი დაჰკრეს და ზურგში გააგდებინეს. შეიქნა ტირილი და კივილი და ნადირობა მოიშალა. და მეფეს... ეს ანბავი აცნობეს. მეფემ... თვითანც ცხენს შეაჯდა და წაბძანდა... მტირალი გვერდს მოუჯდა და გამოჰკითხა თუ, „როგორ მოხდა, ან მკვლელი იცან თუ არაო?" ბა-*

საც კომლს რამთონი ბატკნიანი, რამთონი მშრალი ან თხა ეყოლებოდეს, დასწერდეს და რასაც აიღებდეს, იმასაც დასწერდეს" [**ქართული.., 1965**: 259].

ტონიშვილმან მოახსენა: „თუ მოვრჩიო, ჩემს მკვლელს მე ვიპოვნიო და თუ არ მოვრჩიო, თქვენი თავი კარგათ იყოსო, რომელიც გეპრიანებოდეს, თქვენ ისი ქენითო“. იმ მეორეს ღამესაც შუაღამემდის ცოცხალ იყო და მას უკან მიიცვალა... ბარათაშვილს შიოშს ათქმევინეს გზის დასაკარგავათ თუ, სითკენაც თუმანისშვილი ბაინდური იყო, ბატონისშვილს თოფი იქითა ჰკრეს. ეს სამეფოთ გახადეს და ბაინდურ: „აშორო“, – თქვა. ქართველნი და ბატონი დედოფალი შიოშს მიუდგნენ და თათარნი და სომეხნი ბაინდურს მიუდგნენ და მოახსენეს: „ამრიგი სამართალი უკლმოთ არ იქნებაო“... მეფის სასახლის პირდაპირ მტკვარს გაღმა საომარი გააჩინეს, რომე ყველგნით ჯარი უმზერდეს. ბაინდურ და შიოშ ორნივ შეიკაზმნენ ჯაჭვითა და იარაღითა და... ცხენს შესხდეს და გაღმა გავიდნეს. მეფემ ექვსი იასაული ომის ადგილს უჩინა... უწინ შიოშ მოუხდა ცხენჭენებითა და შუბი შემოამტვრია, ჯაჭვიც გაუტეხა და გვერდში გაავლო. და შუბის ნატეხი შიგ შერჩა. და აწ ბაინდურ აძგერა შუბი და ბარკალს შეამტვრია და შიოშ მოუხდა და ბაინდურს ლახტი სცა და გასცილდა. ბაინდურ მოეწია და შიოშ თავს ლახტი დაჰკრა და ვითაც თავისავე სისხლით ჴელი გასვრილი აქონდა, ჴელით ლახტი წაუვიდა. და ბაინდურის ცხენმან თავგაზიდულობა ქნა და შიოშს გასცილდა. შიოშ ლახტის ცემით უკან მისდევდა. ბაინდურ წაიკრა ჴმალს ჴელი და ჴელუკუღმა მოუქნია და საცხვირესა ჰკრა და შიოშ ცხენით გარდმოვარდა. თათართა და სომეხთაგან – ალაჰ, ალაჰის ჴმა ამაღლდა. ბაინდურ მიუხდა შიოშს მოსაკლავად, იასაულთ არ დაანებეს. შიოშის ცხენი მოკლა. და ბატონმა ბძანა, შიოშ ქალაქის ციხეში ტყვეთ მიაბარეს და ბაინდურ ამ დაკოდილობით ცხენით სადგომს მივიდა. და დიდის სარჯლით შუბის ნატეხი ამოართვეს და ორს წელიწადს დაკოდილი არ გაუმრთელდა. და შიოშ ქართველთ იპატივეს და ბატონისშვილმა ცუდათ ჩაიარა“ [**ცხოვრება.., 1980**: 102-104]. ფარსადან გორგიჯანიძე კი ამ ამბავს შემდეგ სათაურს უძღვნის: *„ამ ჟამს ბარათაშვილი სიაოშ და თუმანისშვილი ბაინდურ სამართალსზედ შეაბეს“* [**გორგიჯანიძე, 1925**: 264].

მორდარი მანუჩარი, მისი ძმა ჯიმშიტა და ძმის შვილები ერთგულებას იჩენდნენ, როგორც როსტომ ხანის, ისე ვახტანგ V შაჰნავაზის მიმართ. 1662 წელს, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ერეკლე, რუსეთიდან ჩამოვიდა და თუშების დახმარებით კახეთში გამეფებას შეეცადა. იგი დაუპირისპირდა ვახტანგ V შაჰნავაზს და 1664 წელს თუშეთიდან, კახეთში მყოფ მეფე შაჰნავაზს თავს დაესხა, თუმცა ერეკლე დამარცხდა [**ბატონიშვილი, 1973**: 450-451]. თუმანიშვილებმა ვახტანგ V შაჰნავაზის მხარე დაიჭირეს და ამ ბრძო-

ლაში თავი გამოიჩინეს. მანუჩარ თუმანიშვილი ბრძოლაში დაჭრეს, ხოლო მისი ძმა, ჯიმშიტა მოკლეს. ჯიმშიტას შვილებმა – ზურაბმა და სულხანმა მეფეს ორი თუშის თავი მიართვეს. გაწეული დახმარების საპასუხოდ ვახტანგ V შაჰნავაზმა მანუჩარს უწყალობა სოფ. ტინისხიდში მამუკა თავაქალაშვილის ობლები მამულით: *„მანუჩარ-ბეგ თუმანიშვილმა და მისმა ძმამ ჯემშიდმა თეიმურაზის შვილიშვილისა და დაწყევლილი თუშების ღამით თავდასხმის ბრძოლაში უკიდურესი ერთგულება და ერთსულოვნება გამოიჩინეს, მანუჩარი დაიჭრა და ჯემშიდმა სიცოცხლე შესწირა ხელმწიფისათვის, ხოლო ზურაბ-ბეგმა და სულხანმა მისმა შვილებმა, ივაჟკაცეს და მტრის თავები მოგვიტანეს, ამიტომ... ვუწყალობეთ... ჯილდოდ სოფელ ტინისხიდში მდებარე სახლი მამუკა თავაქალაშვილისა, მისი მკვიდრი და დაწერილი მამულებით“* [**პირთა.., 1993**: 350; **ქართულ-სპარსული.., 1955**: 308].

თუმცა, 1675 წლის ახლო ხანებში შედგენილი საბუთიდან ირკვევა, რომ მანუჩარის გარდაცვალების,[1] შემდეგ მის ძმისწულ ზურაბ თუმანიშვილს *„ბატონმა“* ჩამოართვა მამულები სოფ. ტინისხიდში.[2] კახეთის მეფემ, არჩილმა (შაჰნაზარ-ხანი) სთხოვა თავის ძმებს, გიორგისა და ლევანს, რათა ზურაბისთვის ერთი კომლი თავაქალაშვილი მაინც დაებრუნებინათ: *„ერთი კუამლი კაცი თავაქელაშვილი ნაჯილდოებად ნაბოძები ჰქონდა[3] და ამას წინათაც ბოძების იმედი ებძანათ... ნაჯილდოებიც არ იყოს ბატონმან ეგ ერთი კუამლი ჩუენის გულისათვის უბოძოს დიდად წყალობაში ჩავიგდებთ“* [**პირთა.., 1993**: 345-346; **გსიემ**, 7782/2, ფ. 3].

კეთილგანწყობილი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო თუმანიშვილებსა და გიორგი XI-ს შორისაც. 1681 წ. 20 ივლისს მან ზურაბ თუმანიშვილს წოდორეთში მამული დაუმტკიცა [**დოკუმენტები.., 1953**: 13]; **საქართველოს.., 1910**: 565-566; **სეასცა,** ფ. 1450, დ. 3, ს. 11]. 1685-1694 წწ. საბუთით კი გიორგი XI-მ ლიპარიტ თუმანიშვილს განუახლა მორდალის სახელო, რომელიც მის სახლს ადრეც ჰქონდა [**პირთა.., 1993**: 348]. ეს დოკუმენტი გვაფიქრებინებს, რომ როგორც მდივან-მწიგნობრობა იყო თუმანიშვილთა გვარში სამემკვიდრეოდ ქცეული სახელო, ასევე შეიძლება ყოფილიყო მორდალის თანამდებობაც.

---

[1] მანუჩარ თუმანიშვილი, როგორც 1712 წ. საბუთიდან ჩანს უძეოდ გარდაცვლილა [**ბაქრაძე, 1983**: 88]. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1657 წელს მან დაწერა ანდერძი, რომლის თანახმად, თავისი წილი ქონება სიკვდილის შემდეგ მისი ძმის, ჯიმშიტას შვილებს უნდა დარჩენოდათ [**პირთა.., 1993**: 351].

[2] მათ შორის, 1657 წელს როსტომ მეფის მიერ მანუჩარისადმი ნაწყალობევი ტინისხიდის მამული.

[3] იგულისხმება ზემოთ ნახსენები 1664 წელს ვახტანგ V შაჰნავაზის მიერ თუმანიშვილებისადმი სოფ. ტინისხიდში მამუკა თავაქალაშვილის ობლების მამულის წყალობა.

სამეფო კარზე ერთ-ერთი დიდი მოხელე ნაზირი (არაბ-სპარს – მეთვალყურე ზედამხედველი) იყო, რომელიც სასახლის სალაროს, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწყობებს განაგებდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს სახელო როსტომ ხანის დროსაა შემოღებული ეზოსმოძღვარის ნაცვლად [**ცენტრალური.., 2017**: 276; **სურგულაძე, 1952**: 181]. ნაზირად იხსენიება ზაალ თუმანიშვილი 1688 წ. და 1697 წ. ნასყიდობის წიგნებში მოწმის სტატუსით [**პირთა.., 1993**: 344]. 1703 წლის 10 მაისს ერეკლე I ნაზარალი-ხანის მეუღლის, ანა დედოფლის მიერ თუმანიშვილებისადმი მამულის წყალობის სიგელში ნაზირად და მდივნად მოიხსენიება ოთარ თუმანიშვილი [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 146].

ნათელია, რომ თუმანიშვილებსა და ერეკლე I ნაზარალი-ხანს შორის ლოიალური დამოკიდებულება იყო. თუმანიშვილებს სამეფო კარზე ეკავათ მეჰმანდარბაშის[1] სახელოც. 1698 წლის დოკუმენტში ამ თანამდებობით მოიხსენიება იესე თუმანიშვილი [**პირთა.., 1993**: 348]. ერეკლე I ნაზარალი-ხანის კარზე გადასახადების ამკრეფად ჩანს, მდივანი ზურაბ თუმანიშვილი, 1696 წელს ის მეფემ გააგზავნა გარეჯის მამულებში საურის ასაკრეფად [**პირთა.., 1993**: 346]. მან 1689 წლის 30 მარტს ზურაბის ვაჟს, მდივან გივი თუმანიშვილს ატენის ბოლოს *„თიკანაანთ უბანი“* უბოძა და იქ მოსახლე გლეხები გაუთარხნა [**პირთა.., 1993**: 333]. წყაროებიდან ირკვევა, რომ მეფე ერეკლე I ნაზარალი-ხანის მმართველობისას, მდივანი გივი თუმანიშვილი, მოურავის სახელოსაც ითავსებდა. 1688 წ. 27 დეკემბერს მას ნაზარალი-ხანმა წედისის მოურავობა უწყალობა [**პირთა.., 1993**: 333]. 1692 წლის საბუთიდან ვიგებთ, რომ გივი თურანის მოურავიც იყო. მას პირობა მისცა ატოცის წმინდა გიორგის დეკანოზმა ნათანმა, რომ არ მოუშლიდა ქართველთა მეფისაგან ატოცისათვის შეწირული ნასოფლარის, თურანის მოურავობას. საინტერესოა, რომ გივის თურანში 20 კომლი დაუსახლებია. [**ბერძენიშვილი, 2014**: 19-20]. როგორც ვხედავთ, გივი მდივანს ნასოფლარი თურანი აუღორძინებია.

როგორც აღვნიშნეთ, 1688 წელს წედისის მოურავობა ნაზარალი-ხანმა გივი თუმანიშვილს უწყალობა. თუმცა, 1697 წლის დოკუმენტით სოფ. წედისის მოურავი შიოშ თუმანიშვილი[2] იყო. საბუთიდან ირკვევა, რომ შიო/შიოშს ერეკლე I ნაზარალი-ხანმა

[1] მეჰმანდარი (მემანდარი) სპარსული სიტყვაა და ქართულად მესტუმრეს ნიშნავს. მეჰმანდარბაში მემანდრების უფროსი იყო. მემანდარი საპატიო სტუმრებს, დარბაისლებსა და უცხო ქვეყნების ელჩებს ეგებებოდა, თან ახლდა მათთვის ბოძებულ საჩუქრებს, რომლებიც მოლარეებს სალაროდან გამოჰქონდათ [**გაბაშვილი, 1942**: 190-191].

[2] შიოშ სულხანის ძე თუმანიშვილი ნაზარალი-ხანისა და იმამყული-ხანის კარზე მოღვაწეობდა. მას ერეკლე I ნაზარალი-ხანმა თუშეთის მდივნობა უბოძა. იგი მდივნად 1693-1714 წწ. გვხვდება, ხოლო საბუთებში 1673 წლიდან [**ბაქრაძე, 1983**: 91].

ხელახლა უწყალობა ადრე ნაბოძები წედისის მოურავობა, რომელიც გორიჯვრის წმინდა გიორგისათვის შეწირვის შემდეგ, ნაზარალი-ხანს *„პატი მოციქულისათვის“* გადაუცია. ამ უკანასკნელისა და წედისელების შუამდგომლობით, ნაზარალი-ხანმა წედისის მოურავობა ისევ შიოშს ჩააბარა იმ პირობით, რომ ბეგარასა და მოსავალს *„მოციქულ პატის“* მისცემდა და თავის სახლიკაცებს სოფელს არ გააძარცვინებდა [**პირთა.., 1993**: 361-362].

აღსანიშნავია, რომ ერეკლე I ნაზარალი-ხანსა და მდივან-მწიგნობარ შიოშ თუმანიშვილს შორის, ნათესაური კავშირიც არსებობდა. კერძოდ, ნაზარალი-ხანის (ერეკლე I) პაპიდაშვილი, ელენე ცოლად ჰყავდა შიოშს [**ქართულ-სპარსული.., 1955**: 398]. 1696 წ. 1 დეკემბერს მეფემ ელენეს მზითვად მისცა მამული ტანის პირს. საბუთში ვკითხულობთ: *„ხელმწიფემან პატრონმა ნაზარალიხან... მამულის წიგნი... გიბოძეთ თქვენ ამირეჯიბის ზალის ქალს ელენეს ასრე რომე ჩვენი ნათესავი იყვენით და ჩვენ თუმანი შვილს ჩვენს მდივანს შიოშს მიგათხოვეთ და მზითვათ გიბოძეთ ამოვარდნილის ლოლაძის ქაიხოსროს მამული ტანის პირს სოფელი თიკანანთს უბანი გლეხი სასახლე ზვარი ხოდაბუნი საყდარი თავის სასაფლაოთი თავის ბაღითა და ბაღჩითა წყლითა და წისქვილითა ტყითა და მინდურითა“*[**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 50].

სამეფო კარზე მოღვაწე თუმანიშვილთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია გივი ზურაბის ძე თუმანიშვილს. უკვე აღინიშნა, რომ ის ნაზარალი-ხანის მეფობისას სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის მოურავი იყო. დადგენილია, რომ გივი თუმანიშვილს სამეფო კარის მდივნის თანამდებობა ეკავა 1681-1723 წწ. დოკუმენტებში კი 1664 წლიდან ჩანს. იგი მოღვაწეობდა ჯერ გიორგი XI-ისა და ნაზარალი-ხანის, შემდეგ ვახტანგ VI-ისა და ბაქარის კარზე, ადგენდა აგრეთვე ლევან და სვიმონ ბატონიშვილების მიერ გაცემულ საბუთებსაც. მის მიერ შედგენილია 1701-1703 წწ. არჩილ მეფის თხზულებათა კრებული. გივი მდივანი ავტორია ვახტანგ VI-ის ეპიტაფიისა [**ბაქრაძე, 1983**: 90-91]. 1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით გივი თუმანიშვილმა ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად, მეწინავე სადროშოს (ქვემო ქართლის) მოსახლეობა აღწერა: *„ხოლო აღწერა მეწინავე დროშის საბარათაშვილოსა და სომხეთისა უბძანა ძესა თვისსა ბატონიშვილს სარდალს ვახუშტის, და თანა ხლება ჩვენ უნარჩევესის მონის მდ(ი)ვან მწიგნობრის თუმანიშვილის გივისა“*[**მასალანი.., 1907**: 2-3].

იას. ლორთქიფანიძემ *„დასტურლამალსა“* და 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერაში მოხსენიებული გივი და ოთარ მდივნები, რომლებიც მოურავებად იყვნენ განწესებულები ტაშირის, თრიალეთის, ყაიყულისა და ელის სხვადასხვა სოფლებში, თუმანიშვილებად გააიგივა [**ლორთქიფანიძე, 1938**: 388], რაც სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. მით უფრო, რომ მანუჩარ თუმანიშვილი ერეკლე II-ისადმი მირთმეულ ერთ საბუთში აღნიშნავდა: *„მდივნობას გარდა რამთენი რიგი სხვა სახელები ყოფილა ჩვენს ოჯახში რომ ამის წყალობის წიგნების მორთმევით და დასტურლამალის გასინჯვით დავამტკიცებთ“* [**გსიემ**, 7782/6, ფ.545].

„დასტურლამალში“ დასახელებულ სოფ. ბარქდარაში გივი თუმანიშვილის მოურავობას ადასტურებს, 1703-1709 წლებში ვახტანგ VI-ის მიერ გივისადმი გაცემული აღნიშნული სახელოს წყალობის საბუთი, რომელშიც წერია: *„ჩვენი ბძანება არის: ტაშირზედ ბარქდარას ნასოფლარის მოურაობა მდივნის გივისათვის გვიბოძებია როგორც იქაურობის რიგი და წესი არის, იმ რიგად ამისთვის წყალობა გვიქნია“* [**საქართველოს.., 1910**: 416]. 1713 წელს მელიქმა თეიმურაზმა გივი თუმანიშვილს სომხითის მამულის – სოფ. თოხქილის მოურავობის წიგნი მისცა. როგორც ირკვევა, მოურავობა თვითონ გივიმ შესთავაზა და თავის სამმართველო ტერიტორიას თოხქილიც მიუმატა: *„ჩვენი სოფლის თოხქილის მოურაობა გვთხოვე, ვითაც ჩვენის კარგის მდომი იყავით და ბევრი სიკეთე და რგება გექნა ჩვენთვის, ჩვენც ამის გულისათვის მოგეცით თოხქილის მოურაობა“* [**საქართველოს.., 1910**: 408]. *„დასტურლამალის“* მიხედვით, თუმანიშვილებს სამეფო კარზე სხვადასხვა სახელო ეკავათ. კერძოდ, ფირანი და ავთანდილი ყაფიჩები (მაგრამ არა კარის ყაფიჩები[1]) ყოფილან, *„გივის მდივნის შვილი“*[2] – ყული,[3] სალმახანი – სალაროს მოლარე და თამაზი მერიქიფე[1] იყო [**ქართული.., 1965**: 241-242, 245-246].

---

[1] ყაფიჩი (ყაფუჩი) თურქული სიტყვაა და ქართულად *„მეკარეს“* ნიშნავს. *„დასტურლამალში“* რამდენიმე სახის ყაფიჩია მოხსენიებული: *„კარის“, „კარით წარვლენილი“, „დავთარხანის“* და *„მეთოფეთა“*. ყაფიჩს ებარა: მეფის ან მდივანბეგის გარიგებისა და განაჩენის წიგნები, საპოლიციო საქმის ქაღალდები, სასამართლო განაჩენები. მისი მოვალეობა იყო დამდგარიყო იასაულად საქმე გამოეძია ან საგანგებო დავალება და განაჩენი სისრულეში მოეყვანა. ყაფიჩი ისევე, როგორც იასაულები, ეშიკაღაშბაშისა და ბოქაულთუხუცესის განკარგულებებს ასრულებდნენ, მაგრამ საგანგებო ვითარების დროს სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ყაფიჩები მეფის მცველთა მოვალეობასაც ასრულებდნენ, როგორც მეფის სასახლის ყარაულები [**გაბაშვილი, 1942**: 191-192].

[2] ვფიქრობთ, იგულისხმება სამეფო კარის ცნობილი მდივნის გივი თუმანიშვილის ერთ-ერთი ვაჟი – ზურაბი, დავითი ან ქაიხოსრო.

[3] ყული – მეფის პირადი დაცვის წევრი. ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი შვილები მეფის ან ბატონიშვილის *„ყულებად“* მოეწყოთ. მეფის მცველთა ჯარის უფროსს ყულარაღასი ეწოდებოდა [**ცენტრალური.., 2017**: 313-314].

XVIII საუკუნეში შედგენილი საბუთების მიხედვით, თუმანიშვილები თავლიდარები[2] იყვნენ [**ქართული.., 1972**: 444-445; **ქართული.., 1985**: 899]. 1707 წლის თებერვალში ვახტანგ VI-მ ფირან თუმანიშვილი თავლიდარად დანიშნა: *„ბოქაულთხუცებისა და რასაც ვერის საიასეულოს მოსვლისა თავილდრად თუმანიშვილი ფირან დაგვიყენებია. უამისოდ განაჩენს ნურავინ დამალავს, ის გაგზავნიდეს და რომელიც სარგო მოვიდოდეს, მართებულად თავთავის კერძს ნურავის დააკლებს“* [**საქართველოს.., 1910**: 407].

ვახტანგ VI-მ სამეფო კარზე დაწინაურებული თუმანიშვილებისადმი კარგი დამოკიდებულება ყმა-მამულის წყალობით არაერთხელ გამოხატა. 1705 წელს მან გივი თუმანიშვილს ერთგულების ნაცვლად ატენში სახასო 1 კომლი გლეხი უწყალობა მამულით: *„საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან ვახტანგ... თქვენ ჩვენთა დიდათ ერდგულთა და მრავალ გვარად ნამსახურთა ყმათა თუმანიშვილის ზურაბ მდივნი შვილს მდივანს გივს... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ატენს ჩვენი სახასო ერთი კვამლი გლეხი გიორგაშვილი ბატატა... სახლ-კარითა მამულითა მთითა ბარითა...“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 49].

1717 წელს ვახტანგ VI-მ ერთგულ მოხელეს, მდივან თამაზ თუმანიშვილს ყმები უბოძა. საბუთში მეფე ხაზს უსვამს წყალობის მიზეზს: *„პატრონმან ვახტანგ... გიბოძეთ... მტკიცე და შეუცვალებელი... სიგელი თქვენ ჩვენთა დიდათ ერდგულად... ნამსახურის ყმასა ჩვენსა თუმანიშვილს თამაზასა... ოდეს... ჩვენას ისპანს ყოფნაში ბევარს გვემსახურე და... შეგიწყალეთ თქვენის ბევრის გარჯილობისათვის და გიბოძეთ თქვენი ბარათში გამოყოლილი ტერმაკოზასშვილები... თავათის წყლითა და წისქვილითა შესავლითა და გასავლითა“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 174]. 1723 წ. 1 მაისს კი თამაზ თუმანიშვილს ვახტანგ VI-მ ერთგულების სანაცვლოდ სოფელი ხოჟორნი უწყალობა: *„პატრონმან ვახტანგ... წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქვენ თუმანიშვილს მდივანს თამაზასა ძმასა შენსა ბირთველსა... მას ჟამს ოდეს მოგვიდექით კარსა დარბაზისა ჩვენისასა მრავალს გვემსახურენით ჩვენცა თქვენის სამსახურის სანუფქოდ ეს წყალობა გიყავით ბაბას ნასყიდი ხოჟორნია თქვენთვის გვიბოძებია თავის სამართლიანის სამძღვრითა მთითა და ბარითა გქონდეს და გიბედნიეროს ღ˜თნ“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 10, ს. 167].

---

[1] მერიქიფე – მწდე გვიანდელი ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის მოხელე, რომელსაც სუფრაზე ღვინის მიწოდება ევალებოდა. მერიქიფე შეიძლებოდა საპატიო კაცის შვილი ყოფილიყო [**ქართული.., 1983**: 588].

[2] თავლიდარი – მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში, რომელიც სამეურნეო ფუნქციებს ასრულებდა. *„დასტურლამალის“* მიხედვით, აღნიშნული თანამდებობა გათვალისწინებული იყო სალაროში, სამზარეულოში, საჯინიბოში, საღვინეში, საფარეშოში და სხვ. მისი წლიური სარგო ოთხი თუმანი იყო [**ცენტრალური.., 2017**: 192].

სამეფო კარზე მოღვაწეობდა მდივან გივი თუმანიშვილის ძე ზურაბი, რომელსაც ნაზირის სახელო ეკავა. მას ბაქარ მეფე აღნიშნული თანამდებობით მოიხსენიებს 1724 წლის საბუთებში [**საქართველოს.., 1910**: 415; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 34]. თუმანიშვილებს ერთგულების გამო სწყალობდნენ ბაქარი და იესე ალიყული-ხანი, რასაც რამდენიმე დოკუმენტი ცხადყოფს. საგულისხმოა, რომ მათ ერეკლე I ნაზარალი ხანის მიერ ნაბოძები ტანის პირს *„თიკანაანთ უბანი“* ჩამორთმევიათ, რომელიც ბაქარ მეფის წყალობით 1724 წელს დაიბრუნეს [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 3, ს. 34; **საქართველოს.., 1910**: 415]. როგორც ირკვევა, თუმანიშვილებს ჩამოერთვათ სოფელი რეხაც, რომელიც 1724 წელს იესემ (ალიყული-ხანი) მათ, როგორც *„ძველთაგან“* რეხის მფლობელებს დაუბრუნა: *თქვენ* (თუმანიშვილებს – **რ.მ.**) *ჩვენთა ერთგულთა და მრავალგვარად გარჯილსა და ნამსახურს ყმათა... ვინათგან ძველადგან თქუენის სახლის კაცის ნაქონი ყოფილიყო და მერმე ჩვენდა სახასოდ დაჭერილიყო და სხვა მოდავე და მემამულე არავინ იყო ამისათვის შეგიწყალეთ და გიბოძეთ სოფელი ქვემო რეხა* [**სეასცა**, ფ . 1450, დ. 3, ს. 116]. უდავოა, რომ თუმანიშვილები მეფეს განუდგნენ, რამაც *„თიკანაანთ უბნისა“* და რეხის ჩამორთმევა გამოიწვია. სამწუხაროდ, უცნობია, როდის და რომელ მეფესთან/მეფეებთან გამოიჩინეს ორგულობა თუმანიშვილებმა.

ცნობილია, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, 1724 წლის ივლისში ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გადაიხვეწა. 1724 წ. ვახტანგ VI-ის ძის, ბაქარ ბატონიშვილის ამალის წევრთა შორის იყვნენ თუმანიშვილები: ქაიხოსრო შიოშის ძე, დემეტრე, ბირთველ, ალხაზ და *„ალხაზის ძმა“*[1] [**ყუბანეიშვილი, 1955**: 134].

1737 წ. 25 მარტს ვახტანგ VI გარდაიცვალა. იმავე წლის 11 მაისს მეფის სასახლის კაბინეტმა გრაფ ანდრია ივანეს ძე ოსტერმანისა და თავად ალექსი მიხეილის ძე ჩერკასკის ხელმოწერით აცნობა გრაფ სიმონ სალტიკოვს, რომ შეედგინა ვახტანგის ამალის წევრთა ზუსტი სია, რომელსაც დართული უნდა ჰქონოდა შემდეგი ცნობები: ვინ, როდის და რამდენი მოვიდა რუსეთში, ან გაბრუნდა საქართველოში, ვინ გარდაიცვალა, რამდენია ამჟამად სახეზე და ვინ რამდენს იღებდა ჯამაგირს, პურს, შეშას, ქერს, შვრიასა და თივას [**ყუბანეიშვილი, 1955**: 13].

1737 წლის ვახტანგ მეფის ამალის წევრთა ნუსხაში თუმანიშვილთა მონაცემები არასრულია და ასე გამოიყურება [**ყუბანეიშვილი, 1955**: 169]:

[1] თუმცა 1769 წლის საბუთში ერეკლე II აღნიშნავს, რომ ალხაზი და მისი ორივე ძმა საამი და ბეჟანი ვახტანგ მეფეს რუსეთში გაჰყვა [**საქართველოს.., 1910**: 470-471].

ამალის წევრი	სულადობრივი რაოდენობა ნუსხის შედგენის დროს	ვის ამალაში იყო	თარიღი/ მოვლენა
დიმიტრი თუმანიშვილი[1]	1	ბაქარ ბატონიშვილი	
ზაალ თუმანიშვილი		ვახტანგ VI	1728
იოსებ თუმანიშვილი	2	გიორგი ბატონიშვილი	
ქაიხოსრო თუმანიშვილი	3	ბაქარ ბატონიშვილი	1729 წელს დაბრუნდა საქართველოში
მირველ თუმანიშვილი	2	ბაქარ ბატონიშვილი	
საამ თუმანიშვილი	2	ბაქარ ბატონიშვილი	
თუმან თუმანიშვილი		სვიმონ ბატონიშვილი	1727 წელს დაბრუნდა საქართველოში

თუ დავაკვირდებით, 1724 წლისა და 1737 წლის ვახტანგ მეფის ამალის ნუსხები ურთიერთგამომრიცხავია. საყურადღებოა, რომ არცერთ მათგანში არ მოიხსენიება ოთარ მდივანი, რომელიც მეფეს გაჰყვა რუსეთში. 1788 წელს მისი დატოვებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საბუთში წერია: *„ასე რომ ოთარ მდივანი მეფეს ვახტანგს რუსეთს გარდაჰყვა რაც ამისი წილი მამული და ყმანი არის... ჩვენ გვიჭირავს რომ ურუმობას და ყიზილბაშობას მირი და მალუჯაჰათი ჩვენ მიგვიცია“* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 46, ს. 195]. ოთარ თუმანოვი[2] იხსენიება 1753 წლის ქართულ ჰუსართა პოლკის სიაში, რომელშიც 1748 წელს კაპიტნის ჩინით ჩარიცხულა [**ყუბანეიშვილი, 1955**: 260]. 1724 წ. და 1737 წლის ვახტანგ მეფის ამალის ნუსხებში აგრეთვე არ ჩანან ივანე და ხეჩატურიც, რომლებიც 1753 წლის ქართულ ჰუსართა პოლკში ირიცხებოდნენ [**ყუბანეიშვილი, 1955**: 282, 284, 294]. აღნიშნული პოლკის წევრი იყო მირველ თუმანიშვილიც, რომელსაც *„პრა-პორშჩიკის“* ჩინი ჰქონდა. 1747 წელს იგი სხვადასხვა სამხედრო მეთაურებთან ერთად, ხელს აწერს წარდგინებას (დახასიათებას) დავით გურამიშვილის ქართულ ჰუსართა

[1] თარიღი მითითებული არ აქვს. დიმიტრი თუმანიშვილი 1739 წელს ცხენების შესაძენად საქართველოში გამოგზავნეს, ვინაიდან 1739 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომში გაწვეულ ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ ჰუსართა ასეულს, ბრძოლაში მონაწილეობისათვის ცხენების სიმცირე აბრკოლებდა [**ყუბანეიშვილი, 1955**: 55]. იგი 1724 წლის ამალის ნუსხაში მოხსენიებული დემეტრე უნდა იყოს.

[2] კაპიტანი ოთარ თუმანოვი რუსეთის მთავრობის სამსახურში ჩადგა და 1754-1756 წლებში ქართლ-კახეთში მზვერავად გამოიგზავნა. იგი მოხსენებითი ბარათებით დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა რუსულ მხარეს ქართლ-კახეთში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების შესახებ [**ცინცაძე, 1946**: 1-32].

პოლკში *„პრაპორშჩიკად“* დანიშვნის შესახებ [**ყუბანეიშვილი, 1955**: 181]. 1748 წლიდან მირველს *„პორუჩიკის“* წოდება ჰქონდა [**ყუბანეიშვილი, 1955**: 183, 185].

თუმანიშვილები ლოიალურ დამოკიდებულებაში იყვნენ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიმართაც. 1784 წ. სიგელში ერეკლე II მდივან ედიშერ და იოსებ თუმანიშვილების სამეფო კარისადმი ერთგულებას ასე ახასიათებს: *„ბატონის მამის* (თეიმურაზ II – **რ.მ.**) *ჩვენის ერთგულად და თავდადებით ნამსახური იყო კურთხეული მამაშენი* (იოსებ მდივნის მამა – ედიშერი – **რ.მ.**) *და ასრეთვე ჩვენიც დიდათ ერთგულათ ნამსახური იყო და შენც სიყრმითვე ჩვენს სამსახურში აღზრდილიყავ“* [**საქართველოს.., 1910**: 518]. იოსებს, ერეკლე II-ის კარზე დიდი გავლენა ჰქონდა. მას ქსნის საერისთავოს გაუქმების საკითხის გადაწყვეტისას დიდი წვლილი შეუტანია. პ. იოსელიანის თქმით: *„მეფემან ირაკლიმ განიზრახა... სრულად აღხოცვა ქსნის საერისთავოსი... შეგროვილთა მეფის სასახლეშია შინა მდივანბეგთა განიხილეს საქმე და ორგულება, რომელთაცა შესწამებდნენ ერისთავთა. ჭაბუა ორბელიანმან და იოსებ თუმანიშვილმან და სხვათა სძლეს სხვათა და განაჩინეს სრულიად უკუნითი უკუნისამდე მოეღოს მათ საერისთაო“* [**იოსელიანი, 1978**: 77-78].

თუმანიშვილთა შორის ერთ-ერთი ცნობილი სამხედრო პირი იყო გიორგი, რომელსაც ერეკლე მეორემ 1789 წელს არტილერიის კაპიტნობა უბოძა: *„ცნობილ... არს... თავადის გიორგი თუმანოვისაგან სამსახური, რომელმანცა არტილერიასა შინა ჩვენსა იმსახურა რაოდენთამე წელთა შინა, პირველად თოფჩად, მერმე კაპრალად და უნდერაფიცრად და შემდგომად სერჟანტად... შესაბამად შრომისა თჳსისა მიენიჭა არტილერიისა ჩვენისა აფიცრობა... უხუცესი ხარისხი კაპიტნობისა“*. 1798 წელს გიორგი XII-მ მას აღნიშნული წყალობა განუახლა [**მასალები.., 1948**: 82].

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობდა მდივანი, ეგნატე თუმანიშვილი. 1760 წელს მეფე თეიმურაზს, ეგნატესა და ბიძამის პაპუასთვის მათი სახლის კაცების *„მამუკასი, გიორგისა და თაყას წილი ყმა და მამული წიგნით წყალობათ“* უბოძებია, რომელიც მოგვიანებით ერეკლე II-საც განუახლებია [**სეასცა**, ფ. 1449, ს. 1256]. აღამაჰმად ხანის თბილისში შემოჭრამდე, ეგნატე მდივანი თან ახლდა ყაზახში ლაშქრით მყოფ მეფე ერეკლეს და სოლომონ II-ს, რომლებიც სპარსელების თბილისისაკენ დაძვრის ცნობისთანავე 7 სექტემბერს უკან დედაქალაქში დაბრუნდნენ. ეგნატე თუმანიშვი-

ლი მეფის ოჯახს გაჰყვა თავისი ხიზნით არაგვის საერისთავოში თავშესაფარებლად [**მასალები.., 1955**: 256].

ერეკლე მეორისა და გიორგი XII-ის მეფობისას ეგნატი თუმანიშვილს რამდენიმე პირთან ერთად ქართლ-კახეთის სამეფოში სურსათისა და სხვა სახელმწიფო ბეგარის შეწერა ევალებოდა: *„მეფის ირაკლის დროს მე ვიყავ შემწერი სურსათისა და სხუათა ხარკთა, ვინაითგან იყო ჩემდა რწმუნებული დავთარნი*[1] *ხარკთა შეწერისანი... უკანასკ-ნელსა ჟამსა მეფის ირაკლისასა თვით მეფემან განჰყო სამად ნაწილად სურსათის შეკ-რება: გორის უეზდისა ნაწილი პირველი მიბოძა მევე, მეორე თავადს მანუჩარ თუმა-ნოვსა და მესამე თავადს ომან ხერხეულიძესა. ხოლო დროსა მეფისა გიორგისასა კვალად ვიყავ შემწერი სურსათისა და სხუათა ხარკთა და მევე მებარა დავთარნი“* [**დოკუმენ-ტები.., 1953**: 231; **მასალები.., 1955**: 146].

როგორც ირკვევა, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის სამეფო კარის მიმართ კეთილ-განწყობილ თუმანიშვილებს მდივან-მწიგნობრობის გარდა, სხვა სახელოებიც ეკავათ. 1790 წლის დოკუმენტით იესე თუმანიშვილი მორდალი იყო [**საქართველოს.., 1909**: 498-499]. თუმანიშვილები იყვნენ იასაულებიც.[2] 1799 წ. 22 იანვარს შედგენილ არზაში ია-საულად დასახელებულია ნიკოლოზ თუმანიშვილი [**ქართული.., 1985**: 515].

ერეკლე II-ის კარზე სამხედრო კანცელარიის მოხელე, ლაშქარნივისი, მანუჩარ გორჯასპის ძე თუმანიშვილი იყო. შოთა მესხია აღნიშნავს, რომ ერეკლე II-მ XVIII საუ-კუნის II ნახევარში ჩატარებული სამხედრო რეფორმების შედეგად, შემოიღო აღნიშ-ნული თანამდებობა. სულ ქართლ-კახეთის სამეფოში 6 ლაშქარნივისი იყო, ხოლო მათ შორის, ორი მთავარი მანუჩარ თუმანიშვილი და ომან ხერხეულიძე უნდა ყოფილიყვნენ [**მასალები.., 1948**: 027-028]. 1800 წ. 1 მაისს მანუჩარ მდივანი ლაშქარნივისის სახელოზე გიორგი XII-მაც დაამტკიცა [**მასალები.., 1948**: 42-43]. მას ევალებოდა დაქირავებული ჯარისკაცების, მათი უფროსებისა და მორიგე ლაშქრის მეთაურების აღრიცხვა, მომა-რაგება და ჯამაგირის გაცემა. საინტერესოა, 1803 წ. 20 ივნისს მანუჩარის მოხსენება

---

[1] 1804 წ. 3 იანვარს რუსეთის იმპერიის მოხელე ტარასოვმა ეგნატი თუმანიშვილს ზემო ქართლის აღწერის დავთრების ომან ხერხეულიძისთვის გადაცემა მოსთხოვა. ეგნატე საპასუხოდ წერდა ტარასოვს, რომ ისინი ჯერ ივანე ლაზარევმა გამოართვა, ხოლო მოგვიანებით ხელი მოაწერინეს დავთრის *„დასრუ-ლებაზე“* [**დოკუმენტები.., 1953**: 222; **მასალები.., 1955**: 142-143].

[2] იასაული – ადმინისტრაციულ-პოლიციური აპარატის ყველაზე დაბალი მოხელე. მისი ფუნქცია აღმას-რულებელ-საპოლიციო ხასიათის მუშაობაში გამოიხატებოდა, ისინი სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგში მოღვაწეობდნენ [**სურგულაძე, 1952**: 283].

პავლე ციციანოვისადმი, ლაშქარნივისის უფლება-მოვალეობის გასაცნობად: *„საქართველოს ჩვეულებრივ ჯარის გამოყვანას გარდა, მეფემ ირაკლიმ თავის საბძანებლიდამ მოიწვია ჯამაგირის აღთქმით ნოქრათ და თოფჩათ დასადგომნი კაცნი... ჰქონდათ მიჩენილი მინბაში, ფონსადბაში, უზბაში, თოფჩიბაში და დაჰბაში... იმათი მწერალი და ანგარიშის შემნახავი მე ვიყავ და სამს თვეში ერთხელ ჯამაგირი ჩემის ჭელით მიეცემოდათ. მას უკან, მეფემ ინება თავის საბძანებლიდამ სულზე მორიგის გამოყვანა, რომ უჯამაგირო ჯარი იყო. ამათაც მიუჩინა ჯამაგირით მინბაში, ფონსადბაში, უზბაში და დაჰბაში, რომ ამათი მწერლობა და ანგარიშის შენახვა მე და ჩემს ამხანაგს, თავადს ომან ხერხეულიძე ლაშქარნივისს, მოგვიბოძა და ერთად ვმოქმედებდით ჩვენსა სახელოს საქმეს... მორიგეში დაკლებულის კაცისა, თავადისა და კეთილშობილისა დარბევა იყო განწესებული...“*[**მასალები.., 1948**: 42].

1771 წელს ერეკლე II-მ ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილსა და ტეტია გარსევანიშვილს უბრძანა, ქსნისა და არაგვის ხეობის მოსახლეობა აეღწერათ [**ერეკლე II-ის.., 2008**: 76]. 1774 წელს მანუჩარმა, ტეტია გარსევანიშვილთან ერთად ქსნის ხეობის მოსახლეობა [**ჯავახიშვილი, 1967**: 183], ხოლო ლუარსაბ მაყაშვილის დახმარებით არაგვის ხეობა აღწერა: *„ზე ადიდნეს ღ˜თმან მეფობა მათის უმაღლესობის მეფის მეორის ირაკლისა! გვებძანეს ჩვენ მათ მიერ მონათა მაყასშვილს ლუარსაბს და თუმანისშვილს მდივნის გორჯასპისშვილს მანუჩარს აღწერად არაგვისა“* [**მასალანი.., 1907**: 407]. 1781 წ. ერეკლე მეფის ბრძანებით, მანუჩარ ლაშქარნივისმა დიმიტრი გარსევანიშვილთან ერთად ქსნის ხეობა აღწერა [**ჯავახიშვილი, 1967**: 205].

მიუხედავად იმისა, რომ მანუჩარ თუმანიშვილი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის სამსახურში ჩადგა, არ შეუწყვეტია კავშირი რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან. იგი ერეკლე II-ის შვილიშვილის, იოანე ბატონიშვილის დავალებით ქვეყნისათვის ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა. 1808 წლის გაზაფხულზე იოანე ბატონიშვილის მითითებით, მანუჩარმა დავით-გარეჯის მონასტერი წინამძღვარ ილარიონთან და ხელოსანთან ერთად დაათვალიერა და სარემონტო საჭიროებათა ანგარიში შეადგინა, რაც 600-700 თუმანს უდრიდა [**მასალები.., 1955**: 24-26]. მანუჩარი და ილარიონი პერიოდულად აწარმოებდნენ დავით გარეჯის მონასტერში 1808-1810 წწ. ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას და რუსეთში მყოფ იოანე ბატონიშვილს უგზავნიდნენ [**მასალები.., 1938**: 265-273, 280-295, 297-298, 326-329]. აღნიშნული საბუ-

თები გამოაქვეყნა ნიკო ბერძენიშვილმა და ივარაუდა, რომ 1808-1810 წლებში იოანე ბატონიშვილმა დავით გარეჯის უდაბნოში სარემონტო სამუშაოები მანუჩარ თუმანიშვილის შუამავლობით ჩაატარა [**მასალები.., 1955**: 24].

არსებობს 1788 წლის 10 მაისით დათარიღებული ხარჯის ნუსხა, რომელიც იწყება სათაურით *„მანუჩარ მდივნის ბრძანებით საყდარზე მუშა დავაყენე“.* ნ ბერძენიშვილი *„საყდარში“* დავით გარეჯის მონასტერს გულისხმობს [**მასალები.., 1955**: 6], მაგრამ თუ იქ სარესტავრაციო სამუშაოები 1808-1810 წლებში მიმდინარეობდა, 1788 წელს რა ხდებოდა? შესაძლებელია იოანე ბატონიშვილი რუსეთში გადახვეწამდე აწარმოებდა დავით გარეჯის მონასტერზე აღდგენით სამუშაოებს, ან *„საყდარში“* მანუჩარი სულ სხვა მაგალითად, თავის საგვარეულო ეკლესიას გულისხმობს.

1808 წელს იოანე ბატონიშვილი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში, მანუჩარ თუმანიშვილს დავით გარეჯის უდაბნოს აღმშენებლობასთან დაკავშირებით გარკვეულ მითითებებს აძლევდა: *„ცხენები რომ გეთხოა, მანდ იყიდე თორმეტის თუმნისა ორი ცხენი. ერთი კარგი შენთვის და მეორე ბიჭისათვის, ფასს მე გამოგიგზაუნი. მუშებისა რომ მოგეწერა, ქვისმჭრელის, მჭედლისა, კალატოზისა თავანთ სამყოფის მუშის, ფულად ვგონებ გარდაუჭრა სჯობდეს, ვინემ სასმელ-საჭმლის მიცემა და როგორც ამჯობინო, ან კაცზედ რა დაჯდება, ის შენ მაცნობე“* [**მასალები.., 1955**: 27].

1810 წ. 2 ივნისს დავით-გარეჯის მონასტერზე რესტავრაციის განხორციელებისთვის უსახსრობას უჩიოდა წინამძღვარი ილარიონი და მანუჩარ თუმანიშვილს ფულს სთხოვდა: *„თუ მონასტრის შენობას იკითხავთ, კოშკის ადგილი მომზადდა, პირველად ფული არის საჭირო, რომ არა გვაქვს და მეორეთ კარის ჰჭის ქვები. რაც დავაქციეთ, იმასაც თავში იცემენ ბერები, რომ შენობა არა ჩანს რა. არამ თუ ახლა კიდევე გალავნის კარი მოგვეშალა... ამისთვის საჭირო არის კარის ქვები და თუ ქვები არ მოვა კოშკს ჭელი არ მიეყოფება. თუ შენობა გინდათ, ფული გვიბოძეთ ადრე და კარის ქვები. თუ არ გნებავსთ, ის გვიბძანეთ“.* საბუთზე გაკეთებული მინაწერით, 8 ივნისს ილარიონისთვის მანუჩარს 20 თუმანი გაუგზავნია [**მასალები.., 1938**: 296-297], რაც დასტურდება იმავე დღეს შედგენილი სხვა დოკუმენტითაც: *„უფალო წინამძღვარო, წმინდის დავითის ყმის პატარძეულელის კალატოზიშვილის იოსების ხელით მოგართვი ერთის პარკით ოცი თუმანი... მანუჩარ თუმანიშვილი მოგახსენებ“* [**მასალები.., 1955**: 413].

1810 წ. 18 ივლისს მანუჩარმა კალატოზი დაიქირავა და დავით-გარეჯის უდაბნოში სამუშაოდ გააგზავნა: *„ეს წიგნი მოგეცი შენ სტეფანა კალატოზს. ასე რომ... დავით გარეჯის უდაბნოში სამუშაოთ გაგისტუმრე, რომ იქ კოშკზე და გალავანზე იმუშაო შენის შაგირდით დღეში რვა აბაზი თეთრი ფული მოგცე და შენი სმა-ჭამაც უდაბნოში ჩვენი იყოს... იქიდამ რომ მოხვალ, რამთენის დღის სამუშაოსაც მოსაცემს ვიქნები... შეგისრულებ და მოგცემ“.* საბუთიდან ვიგებთ, რომ მანუჩარის დაქირავებულმა კალატოზმა გარეჯის უდაბნოში 2 სექტემბრამდე 38 დღე იმუშავა და გასამრჯელო 6,5 თუმანი მიიღო მისგან [**ქართული.., 1985**: 941-942; **მასალები.., 1938**: 295-296]. თუმცა, მანუჩარს სტეფანა კალატოზის ხელფასის ანგარიში ცალკეც აქვს შედგენილი, რომლის მიხედვითაც 31 დღის სამუშაოს გასამრჯელო გადაუხადა [**მასალები.., 1955**: 32-33].

1817 წლის ახლო ხანების საბუთის მიხედვით ვიგებთ, რომ 1814 წელს იოანე ბატონიშვილმა რუსეთიდან გამოგზავნა ნივთები და მათი გაყიდვა მანუჩარ თუმანიშვილს სთხოვა. მიღებული თანხა დავითგარეჯის მონასტრის გალავნის გაკეთებას უნდა მოხმარებოდა. მანუჩარის მიერ გაყიდული საქონლის ღირებულებამ 42 თუმანი, 8 მინალთუნი და 19 შაური შეადგინა. მან გაუყიდავი ნივთები და ვაჭრობის ანგარიში დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტს, ილარიონსა და ვინმე მიხაილ სარაჯოვს გადასცა [**მასალები.., 1955**: 456-458].

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მოღვაწეობდა მანუჩარის ძმა, სულხან გორჯასპის ძე თუმანიშვილი. იგი ერეკლე II-ის კარზე მსაჯული, მდივანი, დიპლომატი და მეფის ერთ-ერთი მრჩეველი იყო. სულხანს ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული, კარგად იცოდა რუსული ენა, 1783 წელს – გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების დროს – ერეკლე მას თავის ერთგულ პირად თვლიდა. 1788 წ. მაისიდან 1792 წ. იანვრამდე სულხანი ერეკლე II-მ გ. ჭავჭავაძის მაგივრად რუსეთის საიმპერატორო კარზე ელჩად დანიშნა. 1796 წლის ზაფხულში სულხანს ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა დაბრალდა, თუმცა მაინც მოახერხა სამეფო კარზე გავლენის შენარჩუნება. გიორგი XII-ის მიერ სულხანი შევიწოვებული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, იგი რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩადგა.[1]

როგორც ცნობილია, 1797 წლის მიწურულს, ფარნაოზ ბატონიშვილმა სურამის ციხე მიიტაცა და გაამაგრა. 8 დეკემბერს ამ ამბავს შეშფოთებული დარეჯან დედოფალი ატყობინებდა ზემო ქართლის სადროშოს სარდალს, ოთარ ამილახვარს, ქართლის მო-

[1] სულხან თუმანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწვრ. იხ: [**ცქიტიშვილი, 1980**].

ხელეებს და მოუწოდებდა ამბოხებულის მხარე არ დაეჭირათ. მეფეს ავადმყოფობის გამო საქმის ვითარება არ აცნობეს. ფარნაოზ ბატონიშვილის შემორიგებას მისი ძმები და დედოფალი ცდილობდნენ. იულონი 11 დეკემბერს გორში ჩავიდა და წერილი მისწერა ფარნაოზს, რათა მასთან მოსალაპარაკებლად მისულიყო. იულონმა მასთან მოციქულად გაგზავნა წინამძღვარი გამალიელი, მღვდელი იოანე ქართველიშვილი და მდივანი სულხანი [**ლაცაბიძე, 2015:** 81-82], რომელიც თუმანიშვილად უნდა მივიჩნიოთ.

თუმანიშვილები საზოგადოებაში იმდენად ცნობილები იყვნენ, რომ ხშირად წყაროებში გვარის დასახელების გარეშე იხსენიებიან (მაგალითად – მდივანი გივი, ედიშერ მდივანი, სულხან მდივანი და ა.შ), რაც ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას გარკვეულწილად ორაზროვნებას იწვევს. პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებაში მოიხსენიებს, გორჯასპი დემეტრე, ედიშერ და ზურაბ მდივნებს, რომლებიც ერეკლე II-ის მიერ წარმოებული სხვადასხვა ღონისძიების წარმართვისას ერთგულებას იჩენდნენ. ისინი შესაძლებელია თუმანიშვილები იყვნენ [**ორბელიანი, 1981**: 78, 135-136, 163, 189, 198, 200]. პლატონ იოსელიანის ცნობით, 1798 წელს გიორგი XII-ის ბრძანებით, სულხან და დიმიტრი თუმანიშვილებმა, ესავ ბეგთაბეგიშვილთან და ეშიკაღასბაშ ასლან ყაფლანიშვილთან ერთად სომხითი აღწერეს [**იოსელიანი, 1978**: 66].

როგორც ჩანს, 1799 წ. 30 მარტს სულხან მდივანს სამეფო კარისადმი კეთილგანწყობის სანაცვლოდ, გორში სადედოფლო წისქვილი, ჯერ დარეჯან დედოფალმა უბოძა *„სამკვიდრო წყალობად“* [**დოკუმენტები.., 1953**: 198], ხოლო 1801 წლის 22 დეკემბერს მარიამ დედოფალმა: *„ციციშვილის ასულმან მარიამ... თქვენ, მდივანბეგს თავადს სულხან თუმანოვს... გიბოძეთ ჩვენდა ქონებული სადედოფლო გორის წისქვილი სრულებით, რომელიცა მოცემულ უკუნ იყო ჩვენდა მათის უმაღლესობის ჴელმწიფე მეუღლისა ჩემისაგან რიცხვთა სხვათა შორის მამულთა ჩემთასა და აწ წყალობის წიგნითა ამით ჩვენითა იქმნების სამკვიდრო მამულად თქვენდა შეუცვალებლად ყოველთა და ყოველსა დროისა“* [**დოკუმენტები.., 1953**: 120]. მარიამ დედოფალმა გორის მამასახლისსაც უბრძანა: *„მანდ გორს რომელიც ჩვენი წისქვილი არის სადედოფლო ბარხუდარასშვილის სეული და შენ გაბარია ჩვენგან, ეგ წისქვილი ჩვენს მდივანბეგს სულხან თუმანოვს უბოძეთ“* [**დოკუმენტები.., 1953**: 120].

1800 წ. 15 სექტემბერს, ერეკლე II-ის მეუღლემ დარეჯანმა, მდივან სულხან თუმანიშვილს სახასო სადედოფლო მამული – თეთრი სოფელიც უბოძა. წყალობის სი-

გელში ხაზგასმულია სულხანის, ერეკლე მეფისადმი ერთგულება: *„დედოფალმან... დარეჯან... თქჳნ ბრწყინვალეს თავადს თუმანოვს... მდივანს სულხანს... ჩემის ხელმწიფის მეუღლისადმი შენმან მრავალ გვარად მამულის ერთგულებითმან სამსახურმან, და მისმან სამართლად თქჳნდამი კეთილ მოაზრეობამ აღზრა გონება ჩჳნი თქჳნზედა მოწყალებად და გიბოძეთ ძჳლადჳ ჩჳნი სამკვიდრო და საკუთარი სადედოფლო თეთრი სოფელი სრულად აქაურის მემკვიდრეს გლეხებითა მთითა ბარითა... და ყოვლისა მისისა სამართლიანის საზღვრითა თქჳნთვის სამკვიდროდ და საუკუნოდ წყალობად დაგვიმტკიცებია“* [**სეასცა,** ფ. 1450, დ. 52, ს. 113].

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მოღვაწეობდა სულხანის ძე – შიოშიც. 1791 წლის 1 ივლისს ერეკლე II-მ შიოშ თუმანიშვილს ქართლ-კახეთის ფეშქაშნივისობა[1] უწყალობა [**მასალები.., 1948**: 23-24]. შიოშს ეს სახელო მოგვიანებით ისევ ეკავა, რადგან 1797 წელს ერეკლემ მას საფეშქაშნივისო სარგო დაუმტკიცა, ხოლო 1798 წ. გიორგი XII-მ აღნიშნული სარგოს წყალობა განუახლა [**მასალები.., 1948**: 22–23].

როგორც ვხედავთ, თუმანიშვილებმა გიორგი XII-ის დროსაც შეინარჩუნეს გავლენა სამეფო კარზე. მეფემ მათ ერეკლე II-ის მიერ ბოძებული სახელოთა წყალობებიც განუახლა და ყმა-მამულიც უბოძა,[2] თუმცა გიორგი XII მათ დიდად არ სწყალობდა. 1799 წელს გიორგი XII-ის ბრძანებით, ლეკთა ჯარისათვის მისაცემი ფულის შოვნის მიზეზით, თუმანიშვილები დაარბიეს. თანხის გაღებაზე ისინი მხოლოდ პატიმრობისა[3] და შერისხვის შემდეგ დასთანხმდნენ, 600 თუმანი ვალი აიღეს და გიორგი XII-ს გადასცეს [**ალიმბარაშვილი, 2013**: 148].

თუმანიშვილებმა მეფისათვის მისაცემი თანხის ნაწილი ქონების დაგირავებით გადაიხადეს: *„მათის უმაღლესობის მეფის გიორგის მისართმევათ საიდამაც გირაოებით თეთრი ავიღევით სარგებლით, ამას ქვეით სწერია“* [**მასალები.., 1953**: 145-147]. თანხის ნაწილი კი (რაც ხელთ არ ჰქონდათ), როგორც რ. კაშიამ გაარკვია მათ მევახშე აზნაურის,

---

[1] ფეშქაშნივისი – (სპარს. საჩუქართა, ძღვენთა აღმწერი). *„დასტურლამალის“* თანახმად, არსებობდა *„ფეშქაშის“* საწყობი, სადაც ინახებოდა მეფისადმი მიძღვნილი ძვირფასი საჩუქრები, რომელთა გასაჩუქრება შეიძლებოდა მეფისავე თხოვნით. ფეშქაშნივისს ევალებოდა ფეშქაშის მიღება-გაცემის ანგარიშის წარმოება. ქართლ-კახეთის სამეფოში ორი ფეშქაშნივისი იყო – ქართლისა და კახეთის [**ცენტრალური.., 2017**: 309].

[2] მაგ. მდივან ეგნატე თუმანიშვილს გიორგი XII-მ ვანქის უბანში ბეითალმანი ყმა-მამული დაუმტკიცა [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 30, ს. 156].

[3] ჯერ დააპატიმრეს მანუჩარი და გივი, მოგვიანებით სულხანი.

კვეზერელისგან ისესხეს. თუმანიშვილების დარბევისას, სახლიდან უამრავი ნივთი წაიღეს [**კაშია, 2006**: 54-55].

მანუჩარ თუმანიშვილს შეუდგენია მეფის რისხვას გადარჩენილი ქონების სია: *„ქ˜კს უპზ, აპრილის ზ მეფე გიორგიმ რომ აგვიკლო, რაც წაღებინა იმისი ნუსხა სხვა არის მე, მანუჩარის სახლიდამ, და რაც დამრჩა, ამას ქვეით სწერია“*. ამის შემდეგ ჩამოთვლილია 90 ერთეულზე მეტი ნივთი, ძირითადად ტანსაცმელი [**მასალები.., 1955**: 294-296].

1801-1803 წწ. მანუჩარ თუმანიშვილი არზით სთხოვდა დავით ბატონიშვილს წარ-თმეული ნივთების დაბრუნებაში დახმარებოდა და უყვებოდა აკლების დეტალებს: *„ორის ჩემის მეულლის მზითვისა რაც მოეწონათ... ჩემი ქონება წამოიღეს... ცემით თრევით და ლეკებისაგან ნათელღებულნი პირზე ფურთხვით ექვსასი თუმანი გამოგ-ვართვეს რომ დღეს ოთხასი თუმანი ვალად გვმართებს... იასაულისაგან* (ელიაზარ ფალავანდიშვილი – **რ.მ.**) *გასაკვირველი დამემართა რაც ბატონის* (გიორგი XII – **რ.მ.**) *ნება არა ჰქონდა და თავისი ნება იყო სულ ის იმოქმედნა ცოლშვილით სახლიდამ გა-მომრეკა ორი კვირე თვითონ ჩემს სახლში დაჯდა ღამე და დღე თავისის კაცებით ჩემი სახლის რაგინდ არა ჩხრიკა იქიდამ ჩვენი ქონების ნუსხა ბატონს მოართო ბატონმა რაც ინება იმისი წამოღება მოსწერა და სხვისი ისევ ჩვენთვისვე დანებება უბძანა... აკლებით საპალნები ღამე გამოისტუმრა“* [**გსიემ**, 7782/7, ფ. 569-570].

ჩვენ ხელთ გვაქვს, 1799 წ. 10 აპრილს სულხანის მიერ მანუჩართან საპატიმროში გაგზავნილი მანუგეშებელი წერილი, რომელშიც სულხანი დარბევის სავარაუდო მიზე-ზად, თუმანიშვილებისადმი მტრულად განწყობილი პირების მიერ მეფის წაქეზებას ასახელებდა [**ბერძნიშვილი, 1965**: 181-182]. 1799 წ. 11 და 13 აპრილს სულხანი, მანუჩარ და გივი თუმანიშვილებისადმი გაგზავნილ წერილებში აკლებისა და დაპატიმრების სავარაუდო მიზეზად, მანუჩარის მეფესთან დასმენას ასახელებდა და წერდა: *„საკვირ-ველი მტრის მანქანება არის ჩვენზედა, თორემ ამას როგორ მოვიგონებდი. ალბათ, თუ სიმართლე გვაქვს, ჩვენს მტრებს და შემასმენელთ შეარცხვენს და თუ სიმართლე არ გვექნება სამართლით რაც დაგვემართება, ღირსნი ვიქნებით... ასე გვესმის, რომ შენ* (მა-ნუჩარ თუმანიშვილი – **რ. მ.**) *როგორმე შებეზღებული იყო და შენის სამდურავით მომ-ხდარიყოს. მე ღ˜თით სარწმუნო ვარ, რომ რაც შესმენა იყოს, მომხსენებელი გაცრუვ-დეს... თუ ბატონს გულში წყენა რამ ჰქონდა, ისევ სჯობს, რომ ერთხელ გაწმნდეს“* [**ბერძ-ნიშვილი, 1965**: 182-183].

სულხან თუმანიშვილი ცდილობდა ძმისა და შვილის დასახსნელად მეფესთან მოლაპარაკება შემდგარიყო [**ბერძნიშვილი, 1965**: 182-184]. 1799 წლის 14 აპრილს სულხანის მიერ მანუჩარისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, გიორგი XII-სთან შეხვედრა და პატიმრობის მიზეზის გამოცხადება მუხრანში უნდა მომხდარიყო: *„ბატონის ნებას რა გაეწყობა, მესმის, რომ დაბარებულიყო და დღეს მუხრანსაც მეგულებით... თურმე ბძანებს ბატონი, მანუჩართან საქმე მაქვს. პირდაპირ რომ დამიდგება, მაშინ გამოვაცხადებ წერილსო“*[**ბერძნიშვილი, 1965**: 185].

თუმცა, როგორც 1799 წ. 16 აპრილს სულხანის მიერ მანუჩარ და გივისადმი გაგზავნილი წერილიდან ნათელია, რომ შეხვედრა მუხრანში არ შედგა, არც საქმის ვითარება გააცნეს თუმანიშვილებს. სულხანი მათ დაპატიმრებაში საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა: *„არც ლაპარაკია არც დანაშაულის თავს დადება... რუსეთიდამ თუ მოვიტანე რამე მაგისი* (გიორგი XII – **რ.მ.**) *ანგარიში არც შენთვის მომიცია და არც გივისათვის... თუ შემჯერდებიან ანგარიშის ჩვენებით, მე უნდა შემჯერდნენ და თუ არ შემჯერდებიან, მე უნდა მტანჯონ. არც შენ ყოფილხარ რუსეთს და არც გივი... ასე შეცვლილი საქმე როგორ იქნება და ასე უმაგალითო დასჯა: ბრალეულისათვის უბრალო ისჯებოდეს!“* [**ბერძნიშვილი, 1965**: 185–186]. გიორგი XII-მ სულხანიც დააპატიმრა [**მასალები.., 1953**: 142] და, როგორც ზემოთ აღინიშნა, თუმანიშვილები ლეკის ჯარისათვის მისაცემი თანხის გამოძალვისა და მათი სახლებიდან ძვირფასი ნივთების წაღების შემდეგ გაათავისუფლეს.

საინტერესოა, რატომ შერისხა გიორგი XII-მ სამეფო კართან დაახლოვებული თუმანიშვილები? თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი მსხვილი ვაჭარ-მევახშეები იყვნენ, მათი ასე განაწყენება-დაზარალება მეფის ინტერესებში ნაკლებად უნდა შესულიყო, რადგან მეფეს მათგან ფინანსური რესურსი პერიოდულად დასჭირდებოდა. შესაძლებელია, თუმანიშვილებისადმი ზიანის მიყენების რეალური ანარეკლი სულხანის ნავარაუდებ მიზეზებში (მანუჩარის მეფესთან დასმენა, მტრების მიერ დაგებული მახე, სულხანის დიპლომატიური საქმიანობა) ვეძიოთ.

განხილული მასალების საფუძველზე უნდა ვთქვათ, რომ თუმანიშვილები რეაქციონერ თავადთა რიგებში არ იყვნენ და თითქმის ყველა მეფის მიმართ ინარჩუნებდნენ ლოიალურ განწყობილებას და ადგილს სამეფო კარზე.

თავი X. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში და თუმანიშვილების საგვარეულო

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებისთანავე თუმანიშვილთა ნაწილი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის მხარდამხარ იბრძოდა. აღნიშნულის გამო, ზაალ და ფარსია თუმანიშვილებს ქონება ჩამოერთვათ. ამასთან დაკავშირებით მ. ხელთუბნელი წერს: *„ბირთველის ძმა, მაშასადამე, მიხეილის ღვიძლი ბიძა ფარსადანი ანუ ფარსია, ალექსანდრეს აქტიურ მომხრეთა შორის იყო. თავის ნათესავ ზაალ თუმანიშვილთან ერთად იგი ტოვებს ხელთუბანს და მიდის ალექსანდრესთან ირანის სამფლობელოში, რაც გორის საერობო მილიციის სამმართველომ გენ. ციციანოვს მოახსენა. ბატონიშვილისაგან ქართლისა და ახალციხის მემამულეების სახელზე წერილების მიღებისას, ისინი გამოემგზავრნენ ერევნიდან... საქართველოში შეიპარნენ რუსეთის... წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად. რუსეთის აგენტები თავს დაესხნენ მათ და დაიჭირეს. ასეთი გამოსვლისათვის მათ დაკარგეს თავიანთი ქონება. იმპერატორი ალექსანდრე I-ის 1803 წლის ნოემბრის 11-ის სპეციალური რესკრიპტით ციციანოვს წინადადება ეძლეოდა, მიეღო სახაზინო მმართველობად ამირეჯიბთა, თუმანიშვილთა და თარხნიშვილთა სამი ოჯახის წევრთა უძრავი ქონება... ციციანოვი დაეშურა ამ ბრძანების აღსრულებას და უკვე 1804 წლის თებერვალში აუწყებდა წერილობით საქართველოს მოსახლეობას ფარსიას და ზაალის ქონების ჩამორთმევას და სახელმწიფო ხაზინაში გადაცემას, როგორც ისეთი პირებისას, რომელნიც რუსეთის მეფის წინააღმდეგ აღდგნენ“* [**ხელთუბნელი, 1938**: 10].

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისთანავე რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოები. ფეოდალები, მათ შორის თუმანიშვილები, რომელთაც სხვადასხვა სახელოები ეკავათ, უმუშევრად დარჩენის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების პირველ ხანებში მდივანი და ლაშქარნივისი, მანუჩარ თუმანიშვილი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს განცხადებით სთხოვდა თავისი კოლეგების მსგავსად ჩინი და პენსია მინიჭებოდა: *„მეცა ვმსახურებდი საქართველოს მეფეთ სახელოთი მდივნობისა და ლაშქარნივისობისა, ვიდრე უკანასკნელ ჟამადმდე საქართველოსა შინა მეფობისა და ვიღებდი სხვათა შორის მდივანთა თანა ნაწილსა მდივნობის შემოსავლისასა და ლაშქარნივი-*

სობისათვისვე, როგორც დანიშნულს ჯამაგირს და ულუფას... რადგანაც მე ვერა მივიღე ჩემს ამხანაგთ მდივანთა და ლაშქარნივისთა შორის ვერც ჩინი და ვერც პენცია... და დავრჩი ესეთსა ობიდასა ქვეშე... უმორჩილესად ვთხოვ ამა საზოგადო შეკრებასა, რათა მეც არა დამაგდოთ სხვათა თანა წარუდგენელად" [**დოკუმენტები.., 1953**: 263]. როგორც ჩანს, 1802-1806 წწ. პავლე ციციანოვს მანუჩარ თუმანიშვილი პენსიის დანიშვნის მიზნით მოახსენებდა, მისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე დანიშნული ჯამაგირისა და ულუფის რაოდენობას [**მასალები.., 1955**: 143].

საინტერესოა, რომ 1803 წლის ახლო ხანებში შედგენილ მოხსენებაში გიორგი თუმანიშვილი პავლე ციციანოვს წერდა: *„მქონდა არტილერიის კაპიტნობა და აღვწერ... სარგებლობასა..."* [**მასალები.., 1948**: 81]. ალბათ, გიორგის, როგორც ჩინოსანს სურდა გარკვეული შემწეობის დანიშვნა. იგი 1813 წ. 14 ოქტომბერს შედგენილი საბუთის მოწმეა და კაპიტნად მოიხსენიება [**დოკუმენტები.., 1953**: 237]. 1803 წელს მთავარმართებელ ციციანოვის წარდგინებით რუსეთის იმპერიამ უმუშევრად დარჩენილ თავადაზნაურობას, მათ შორის მანუჩარ, სულხან, ეგნატე, დიმიტრი, ბირთველ, შიოშ თუმანიშვილებს სახელოების სანაცვლოდ, ფულადი პენსიები დაუნიშნა [**Акты.., 1868**: 39-42, დოკ. № 57].

თუმანიშვილთა დიდი ნაწილი, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსული მმართველობის სამსახურში ჩადგა. რუსულმა ხელისუფლებამ *„ტიტულარული მრჩევლის"* თანამდებობა უბოძა, ყოფილ ლაშქარნივის, მანუჩარ თუმანიშვილს. 1808 და 1816 წელს შედგენილ საბუთებში მანუჩარი *„ტიტულარნი სოვეტნიკად"* მოიხსენიება [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 7643; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 56, ს. 94; **სეასცა,** ფ. 1450 დ. 41, ს.126.] რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ, იულონ, ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილების ყმა-მამული მანუჩარს მიაბარა სამართავად. კერძოდ, 1802 წლის 15 იანვარს შედგენილ დოკუმენტში წერია: *„დედოფლის დარეჯანის პატივ სიკეთით სახსოვარო თუმანის შვილო მდივანო მანუჩარ მერე რადგანაც ჩვენის შვილების მამული შენ გაბარია და ღენერალისაგანაც სიტყვა გაქვს რომ ვისაც სადაო რამ ექნებათ... შენ უნდა გარდაუჭრა სამართალი ეს ამილღამბარ ციცის შვილი ამ დიმიტრი მღვდელს რომ მამულს ართმევს ვისის ბრძანებით ართმევს ეს უნდა კარგათ გამოიძიო"* [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 24, ს. 30]. აღნიშნული ბატონიშვილების მამულებს, რომ მანუჩარი პატრონობდა ჩანს, ასევე, მის მიერ 1802 წლის 23 მარტს გენერალ ლაზარევისადმი გაგზავნილი მოხსენებიდან [**ალიმბარაშვილი, 2017**: 21].

რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგნენ მანუჩარ თუმანიშვილის შვილებიც. მას პირველ მეუღლესთან, ხანუმთან რამდენიმე შვილი ჰყავდა, მათ შორის ჯიმშერი, რომელიც *„კოლეგიის ასესორის“* ჩინით გარდაიცვალა 1830 წ. 19 აგვისტოს და დაკრძალეს თბილისში. ჯიმშერის შვილი, იასონიც რუსეთის იმპერიის მოხელე, კერძოდ, გუბერნიის სეკრეტარი მეფისნაცვლის კანცელარიის პირველი განყოფილების სტოლონაჩალნიკის უმცროსი თანაშემწე იყო. მანუჩარს მეორე მეუღლე ელისაბედთან, რამდენიმე შვილი ჰყავდა, მათ შორის დავითი, რომელიც ნახჩევანში *„ნადვორნი სოვეტნიკი“* იყო. იგი იქ დაასაფლავეს 1840 წელს [**ბერძნიშვილი, 1983**: 43-44].

ქართულ და რუსულ პოლიტიკურ წრეებში დიდი გავლენა ჰქონდა ეგნატე თუმანიშვილს. იგი, ჯერ კიდევ ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობის დროს, მომხრე იყო რუსული ორიენტაციისა და მონაწილეობდა რუსეთ-ქართლ-კახეთს შორის გაგზავნილი დიპლომატიური წერილების განხილვაში. გიორგი XII-ის გარდაცვალების დღეს – 1800 წ. 28 დეკემბერს – გენერალ-მაიორი ლაზარევი იულონ, ვახტანგ, მირიან და ფარნაოზ ბატონიშვილებს წერილში წერდა, რომ ამიერიდან ყველა ბრძანება ხელმოწერილი და ბეჭედდასმული იქნებოდა იოანე ბატონიშვილის, ეგნატე მდივნისა და მის მიერ [**Акты.., 1866**: 188, დოკ. № 139]. გენერალ-მაიორი ლაზარევი ეგნატე თუმანიშვილს რუსეთის იმპერიის ერთგულად ასახელებს 1801 წლის 21 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგისადმი გაგზავნილ რაპორტში [**Акты.., 1866**: 324-326 დოკ. № 413].

1801 წლის მაისში რუსეთის იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა გენერალმა კარლ კნორინგმა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის მემკვიდრე, დავით გიორგის ძე გადაყენა და გენერალ ივანე ლაზარევის მეთაურობით საქართველოში შექმნა დროებითი მმართველობა (გაუქმდა 1802 წლის 8 მაისს) [**ცქიტიშვილი, 1980**: 102-103], რომლის წევრები სხვა ქართველ თავადებთან ერთად, ეგნატე და სულხან თუმანიშვილები იყვნენ: *„განსხნეს მმართველობა დროებითი, სადაცა ისხდნენ ღენერალ-მაიორი ლაზარევი და თავადნი ზაალ ბარათოვი, იოანე ჩოლაყაევი, სულხან მდივანი თუმანოვი და ეგნატი მდივანი თუმანოვი“* [**იოსელიანი, 1978**: 229]. ცხადია, ეგნატე თუმანიშვილი რუსეთის იმპერიის ერთგული მოხელე იყო.

1804 წელს ეგნატე, ტარასოვისადმი გაგზავნილ წერილს იწყებდა შემდეგი სიტყვებით – *„მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო!...“* და ამთავრებდა – *„მე ნიადაგ იმისის იმპერატორების დიდებულებისათვის ერთგულებით მიმსახურნია და ახლაცა ვმსახურებ მა-*

დამდისაცა სიცოცხლე მექნება. თქვენის მაღალკეთილშობილებისა მოწყალისა ხელმწიფისა ჩემისა უერთგულესი მოსამსახურე თავადი ეგნატი თუმანოვი“ [**დოკუმენტები.., 1953**: 222; **მასალები.., 1955**: 142-143]. რუსეთის სახელმწიფო მოხელისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ დოკუმენტში ეგნატე თუმანიშვილი თავს მოიხსენიებს – *„მდაბალ მოსამსახურედ“*[**დოკუმენტები.., 1953**: 231].

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ეგნატე ატარებდა *„კოლეგიის სოვეტნიკის“* წოდებას [**ბერძნიშვილი, 1983**: 42]. იგი აღნიშნული ჩინით მოიხსენიება XIX საუკუნის დასაწყისიდან 1817 წლამდე დათარიღებულ დოკუმენტებში [**დოკუმენტები.., 1953**: 213, 228, 237-239, 246-249]. 1805 წელს დავით ბატონიშვილი მოითხოვდა ეგნატისა და მისი შვილის, გიორგი თუმანიშვილის, რუსეთში გადასახლებას, რაც მისი აზრით საქართველოს სიმშვიდისთვის აუცილებელი იყო. პ. ციციანოვი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენებდა, რომ ეგნატე და გიორგი თუმანიშვილები, ყოველთვის სულით და გულით რუსეთის ერთგულები იყვნენ და გულწრფელად ემსახურებოდნენ იმპერიას [**Акты..,. 1868**: 178, დოკ. № 337]. პ. ციციანოვის სიტყვით, ისინი საქართველოდან გაძევებას გადაურჩნენ.

დავით ბატონიშვილის ცნობით, ეგნატე 1818 წელს გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ ხელთუბნის ეკლესიაში, თუმცა: *„რა ქუა დაადეს, რისხვითა ღვთისათა მეხი ეკვეთა ციდამ და მკუდარი იგი ამოაგდო საფლავით“* [**ბატონიშვილი, 1905**: 138]. მისი ცნობა 1818 წელს ეგნატეს გარდაცვალების შესახებ მცდარია. *„კოლეჟსკი სოვეტნიკი“* ეგნატე თუმანიშვილი 1819 წ. 81 წლის[1] მოხუცი იყო და საჯაროდ მადლობას უცხადებდა ექიმ რუჟენჩკას ქალაქ გორში წყალმანკისაგან განკურნებისათვის [**საქართველოს.., 3. 10. 1819**, # 31: 123]. იგი 1820 წლის 21 მარტს გარდაიცვალა [**ბერძნიშვილი, 1983**: 42].

უკვე აღვნიშნეთ, რომ გიორგი ეგნატეს ძეც რუსეთის იმპერიის ერთგული იყო. იგი ჯერ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე მდივანი და 1801 წ. 27 მარტს საქართველოდან პეტერბურგში ჩასული დელეგაციის წევრი იყო [**ბერძნიშვილი, 1983**: 41]. 1801 წ. 13 ოქტომბერს, მას დელეგაციის წევრებთან ერთად აჩუქეს 775 მანეთად შეფასებული ბრილიანტის ბეჭედი [**Акты.., 1866**: 760, დოკ. № 1121]. 1813-1814 წ. ჩანს, რომ გიორგი მუშაობდა საბაჟოს ხელმძღვანელად [**Акты.., 1873**: 946, დოკ. № 1059; **Акты.., 1873**: 237,

[1] თუმცა, ა. ბაქრაძის მოძიებული დოკუმენტის თანახმად, ეგნატე თუმანიშვილი 1746 წ. დაიბადა [**ბაქრაძე, 1983**: 86] და 1819 წ. 73 წლისა უნდა ყოფილიყო.

დოკ. № 295]. მან თავისი ხარჯით ბაქოდან ჩამოასვენა პ. ციციანოვის ცხედარი, რისთვისაც უმაღლესი მადლობა დაიმსახურა [**ბერძნიშვილი, 1983**: 41].

გიორგი თუმანიშვილი 1816 წლის მარტში და ივნისში შედგენილ საბუთებში, *„ნადვორნი სოვეტნიკად“,* ხოლო იმავე წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში *„კოლლეჟსკის სოვეტნიკად“* მოიხსენიება [**სეასცა**, ფ. 1450, დ. 56, ს. 82, 122; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 42, ს. 34; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 55, ს. 147]. 1820 წელს იგი *„სტატსკი სოვეტნიკი“* იყო, 1823 წელს კი სამსახურიდან გადადგა. 1830 წლიდან გიორგი ყალბი საბუთების გამოსააშკარავებელი კომისიის წევრად, ანაზღაურების გარეშე მუშაობდა. 1836 წ. კი ის ქართული საოლქო სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტი იყო [**ბერძნიშვილი, 1983**: 43]. გიორგი ფიგურირებდა 1832 წლის შეთქმულებაში.

რუსეთისადმი ერთგულებას იჩენდა ეგნატეს ვაჟი იესეც. 1810 წლის იმერეთის აჯანყების დროს სოლომონ II-ს გვერდში ედგა ლეონ იულონის ძე ბატონიშვილი, რომელმაც ქართლში ანტირუსული აჯანყების ხელმძღვანელობა იკისრა [**ტყავაშვილი, 2011**: 41-42]. 1810 წ. 31 ივლისს, როდესაც ლევან იულონის ძე თავს ესხმოდა ცხინვალს, იესე თუმანიშვილი მოხალისედ იბრძოდა მის წინააღმდეგ. 1811 წელს საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის წარდგინებით იესეს მიენიჭა *„პრაპორშჩიკობა“.* იგი იყო საერობო პოლიციის გორის გამგეობის *„ზასედატელი“.* 1819 წ. 8 ოქტომბერს, ამ თანამდებობიდან გადააყენეს ელიზბარ ციციშვილი და დანიშნეს იესე თუმანიშვილი, რომელიც 1821 წლის იანვარში მეორე ვადით აირჩიეს [**ბერძნიშვილი, 1983**: 43]. *„გორის უეზდის სუდის ზასედატელი პრაპორშჩიკად“* იესე ეგნატის ძე იხსენიება 1832 წლის 29 აპრილის დოკუმენტშიც [**დოკუმენტები.., 1953**: 261]. რუსეთის იმპერიის ერთგულება გააგრძელა იესეს შვილმა, გიორგიმ (1839-1901), რომელიც რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი იყო. გიორგი დაკრძალულია სოფ. ხელთუბანში, ყოვლად წმინდა სამების თუმანიშვილების საგვარეულო ეკლესიაში.

1802 წ. 25 მაისს გაიხსნა გორის სამაზრო სასამართლო და საპოლიციო სამმართველო, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლებიდან დაინიშნენ თავადები: ნ. ციციშვილი და ბ. თუმანიშვილი [**მამისთვალიშვილი B, 2018**: 107-109]. 1802 წ. ბირთველმა *„გუბერნიის სეკრეტარის“* ჩინი მიიღო [**ბერძნიშვილი, 1983**: 40]. იგი მონაწილეობდა 1832 წ. შეთქმულებაში და იმ დროისთვის *„ტიტულიარნი სოვეტნიკის“* წოდება ჰქონდა [**გოზალიშვილი, 1935**: 252-255]. ბირთველი 1836 წ. გარდაიცვალა [**ბერძნიშვილი, 1983**: 40].

ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ ბირთველის ვაჟის, ავთანდილ (თადია) თუმანიშვილის შესახებ, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა და დავით ბატონიშვილის მდივანი იყო. ავთანდილმა ქ. გორის მოკლე აღწერა დაგვიტოვა, რომელიც 1816 წ. პეტერბურგში გამოიცა და მნიშვნელოვანი წყაროა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გორის ისტორიის შესასწავლად [**Туманов, 1816**]. ავთანდილი არაკჩეევის რეჟიმს შეეწირა [დაწვრ. იხ: **რატიანი, 1982**].

რუსეთის იმპერიის ერთგული იყო ერეკლე II-ის კარზე მოღვაწე მსაჯულის, მდივნის, დიპლომატისა და მეფის ერთ-ერთი მრჩევლის, სულხან გორჯასპის ძე თუმანიშვილის ვაჟი – შიოში (ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე მდივანი და ფეშქაშნივისი). 1804 წლის იანვარში შიოშმა მიიღო *„კოლეგიის სეკრეტარის“* ჩინი [**ბერძნიშვილი, 1983**: 44], ხოლო 1813-1814 წწ. შედგენილ საბუთებში *„კოლეჟსკის ასესორად“* მოიხსენიება [**დოკუმენტები.., 1953**: 237-246]. 1804 წელს რუსეთის მთავრობამ შიოშს დაუნიშნა: პენსია 148 მანეთი და 50 კაპ. ვერცხლით; ასიგნაციებით 534 მანეთი და 60 კაპ.; დამატებით 198 მანეთი ვერცხლით [**ბერძნიშვილი, 1983**: 44].

საყურადღებოა, რომ დავით ბატონიშვილი 1805 წელს მოითხოვდა შიოშისა და მისი მამის სულხანის რუსეთში გადასახლებას, რაც მისი აზრით საქართველოს სიმშვიდისთვის აუცილებელი იყო. პავლე ციციანოვი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენებდა, რომ სულხანი არანაირ ეჭვს არ იწვევდა და მან ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროს დიდი დევნაც განიცადა, ხოლო შიოშის შესახებ პ. ციციანოვი წერდა, რომ იგი იყო: *„არამზადა და არასაიმედო პირი, მაგრამ სანამ არ გამოაშკარავდებოდა მისი ეს თვისება, ისე მისი პიროვნების ხელყოფა უსამართლობა იქნებოდა“* [**Акты.., 1868**: 178, დოკ. № 337]. მამა-შვილი – სულხანი და შიოში პ. ციციანოვის წყალობით საქართველოში დატოვეს. შიოში 1828 წ. თბილისში გარდაიცვალა [**ბერძნიშვილი, 1983**: 45].

რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგა შიოშის ძე ისააკი, რომელიც 1834 წ. გენერალ ვასილ ბებუთოვის ადიუტანტი, გვარდიის *„პრაპორშჩიკი“* იყო [**ბერძნიშვილი, 1983**: 43; **Акты.., 1881**: 225-226, დოკ. № 154]. 1839 წ. საბუთში ის მოიხსენიება, როგორც *„ღვარდიის პორპორუჩიკი“* [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 5856]. მოგვიანებით, ისაკ თუმანიშვილმა გენერლის ჩინი მიიღო [**ბერძნიშვილი, 1983**: 43].

1820 წლის 29 ნოემბრის რაპორტის თანახმად, რევაზ თუმანიშვილი მოიხსენიება *„გორის უეზდის კოლეეჟსკი რეღისტრატორად“* [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 10546]. რუსეთის იმპერიის ერთგული მოხელე იყო ერეკლე II-ის კარზე მოღვაწე მდივან-მწიგნობრის, იოსების შვილი, დიმიტრი, რომელიც 1810, 1815 და 1816 წწ. დოკუმენტებში მოიხსენიება *„კოლეჟსკის ასესორის“* წოდებით [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 7643; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 55, ს. 120; **სეასცა**, ფ. 1450, დ. 40, ს. 174; **სეასცა**, ფ. 1450. დ. 56, ს. 94]. იგი რუსეთის იმპერიის მთავრობისაგან ითხოვდა 8,147 მანეთსა და 55 ½ კაპიკს ვერცხლით. ეს თანხა გიორგი XII-ს გამოურთმევია დიმიტრის მამისთვის ლეკთა დამხმარე ჯარის შენახვის მიზნით. 1818 წელს იმპერატორმა ალექსანდრემ დიმიტრის აღნიშნული ვალის ნაცვლად და რუსეთის მთავრობის ერთგულებისათვის, სიკვდილამდე დაუნიშნა 600 ვერცხლის მანეთი წელიწადში 250 მანეთი პენსიის დამატებით. იმპერატორის განკარგულება, ერმოლოვთან გააპროტესტა დიმიტრის ძმამ, თბილისის გარნიზონის ბატალიონის მაიორმა – სიმონმა, რომ დიმიტრი სახელმწიფოსაგან დანიშნულ თანხას ძმებს არ უნაწილებდა. იგი 1820 წ. თებერვალში გარდაიცვალა და მისი მეუღლე სალომე ცდილობდა დიმიტრისთვის დანიშნული 600 მანეთი მისთვის ეძლიათ, მაგრამ მთავრობისაგან უარი მიიღო [**ბერძნიშვილი, 1983**: 42].

XIX ს. 40-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ოჯახების წევრთა ნუსხაში მოხსენიებულ თუმანიშვილთა უმრავლესობას, სხვადასხვა რუსული წოდებები გააჩნდათ. ესენი იყვნენ: *„გუბერნსკი სეკრეტარი“* მიხეილ ბირთველის ძე; *„პოდპორუჩიკი“* გიორგი რევაზის ძე და მისი ძმა *„პორუჩიკი“* დიმიტრი; *„პრაპორშჩიკი“* მალხაზ ზაალის ძე; *„კაპიტანი“* კონსტანტინე დიმიტრის ძე; *„მაიორი“* ანტონ გიორგის ძე და მისი ძმები – *„კაპიტანი“* გრიგოლი და *„პოდპორუჩიკი“* დიმიტრი; *„კაპიტანი“* კირილე სიმონის ძე; *„პორუჩიკი“* ალექსანდრე სიმონის ძე და მისი ძმა *„პრაპორშჩიკი“* ივანე; *„პორუჩიკი“* გიორგი ბირთველის ძე და *„პრაპორშჩიკი“* ზაქარია ბირთველის ძე [**ქართლ-კახეთის.., 2005**: 251-252].

თავი XI. თუმანიშვილების სათავადოს პოლიტიკური ისტორია XVIII–XIX სს.

თუმანიშვილების სათავადოს პოლიტიკური თავგადასავალის შესახებ ცნობები მწირია და უმთავრესად, XVIII საუკუნის ამბების ამსახველია. 1735 წლიდან ქართლში *„ოსმალობა“ „ყიზილბაშობამ“* შეცვალა, მაგრამ ქვეყნისათვის ამ მოვლენას სასიკეთო შედეგები არ მოჰყვა. ქართლს ირანული გადასახადები დააკისრეს. 1735 წელს თამაზ ყული-ხანმა (შემდგომში ნადირ შაჰმა) ქართლ-კახეთის მმართველად თეიმურაზის ძმის დავითის (იმამ-ყული-ხანის) ძე ალექსანდრე დანიშნა, რომელმაც ნადირის ბრძანებით თბილისს 8 000 თუმანი შეაწერა. დამატებით კი 3 000 თუმანი ფული და 75 000 ფუთი ხორბალი გლეხობას გადაახდევინა. აღნიშნული ხარკი და 2 000 მოლაშქრე ალექსანდრემ ნადირს გაუგზავნა [**მეგრელიძე, 1973**: 446-447].

1736 წელს ნადირ-შაჰის მიერ ქართლ-კახეთში გამოგზავნილმა სარდალმა სეფი-ხანმა ახალი ხარკი დაუწესა ქართლს. კერძოდ, 3 300 თუმანი ფულის გადახდა და 500 ნოქრის[1] გამოყვანა კაც-ცხენ-იარაღით, რომელიც თბილისში უნდა მდგარიყო [**მეგრელიძე, 1973**: 447]. ქართლის ასე მძიმედ დახარკვას, ყიზილბაშების წინააღმდეგ ქართველ ფეოდალთა აჯანყება მოჰყვა. სეხნია ჩხეიძის ცნობით: *„უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი“* [**ჩხეიძე, 1913**: 49]. როგორც ვხედავთ, სეხნია ჩხეიძე თუმანიშვილებს ანტიყიზილბაშური აჯანყების მონაწილეებად არ ასახელებს, მაგრამ მისი თქმით, აჯანყდა *„სულ ზემო ქართლი“,* რაც მიანიშნებს, რომ თუმანიშვილები ანტიირანულ აჯანყებას მხარს უჭერდნენ. მით უფრო, რომ მათ სეხნია ჩხეიძე ყიზილბაშების მხარეს გადასულ თავადებს შორისაც (ბარძიმ არაგვის ერისთავი, ციციშვილები, ბარათაშვილები) არ ახსენებს [**ჩხეიძე, 1913**: 49]. აჯანყებულების შეტევამ ყიზილბაშების წინააღმდეგ სეფი-ხანი აიძულა თბილისის ციხისთვის შეეფარებინა თავი [**მეგრელიძე, 1973**: 448], თუმცა მან მალე მოახერხა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგობის გატეხვა.

ყიზილბაშმა სარდალმა კახთ ბატონი თეიმურაზი და ფეოდალები მიიტყუა და დაატიმრა ხელთუბანში,[2] რომელიც თუმანიშვილების მკვიდრი სოფელი იყო: *„სულთანი* (სეფი-ხანი – **რ.მ.**) *ფხვენისიდამ, ჩავიდა ხელთ-უბანს. რას მოტყუებითა დაუძახა კახს*

[1] ნოქარი – სამხედრო ტაქტიკური შენაერთი [**ცენტრალური.., 2017**: 193-194].

[2] ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მეფე თეიმურაზი გორში მიიტყუეს და იქ დაიჭირეს [**ბატონიშვილი, 1973**: 627].

ბატონს თეიმურაზს... თარხანს ლუარსაბს... ჩოლაყაშვილს გივს... ესენი ერთ-პირათ დაიჭირეს“ [**ჩხეიძე, 1913**: 50]. როგორც მივუთითებდით, ქ. გორთან ახლოს მდებარეობს თუმანიშვილების სამკვიდრო სოფელი ხელთუბანი, სადაც მათი რეზიდენცია იყო. აღსანიშნავია, რომ 1771 წ. ივნისში სოლომონ I და სუხოტინი ერეკლე II-სთან მოსალაპარაკებლად ქართლში გადმოვიდნენ. მათ სურდათ, რომ ერეკლე ფოთის ციხის დაპყრობაში დახმარებოდა. მოლაპარაკება შედგა 15 ივნისს გორის მახლობლად სოფ. ხელთუბანში [**მამისთვალიშვილი, 2018A** : 153].

XVIII საუკუნეში საქართველოსთვის უდიდესი გამოწვევა იყო *„ლეკიანობა“* და ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცეოდა თავდაცვითი სისტემის მოწყობას. როგორც ი. ალიმბარაშვილი აღნიშნავს: *„ლეკები დიდი ლაშქრითა და არტილერიით იშვიათად მოდიოდნენ, სამაგიეროდ მათი თავდასხმების ინტენსივობა იყო ძალზე მაღალი, ამიტომ აღნიშნული პერიოდისათვის აქცენტი, ძირითადად, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობასა და მშენებლობის ტემპზე კეთდებოდა. გრანდიოზული მშენებლობებისათვის არც დრო იყო და არც სახსრები. მთავარი იყო მოსახლეობას სიმაგრეში შესვლა მოესწრო და საქონელი შეერეკა, შემდეგ კი მდევარი, ან მორიგე ჯარი შეებმებოდა მომხდურს და უკუაქცევდა“* [**ალიმბარაშვილი, 2013**: 124]. ამ თავდაცვითი ნაგებობების მოვლა-პატრონობა შესაბამის მოხელეებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის, თავადების უშუალო მოვალეობასაც წარმოადგენდა, რადგან მათი ოჯახების უშიშროებას უზრუნველყოფდა. უნდა აღინიშნოს, რომ თუმანიშვილები უსახსრობის გამო დაზიანებულ საფორტიფიკაციო ნაგებობას ვეღარ აშენებდნენ.

1780 წელს თუმანიშვილები და მათი გლეხები ერეკლე II-სთან ჩიოდნენ, რომ თავდაცვითი ნაგებობის გარეშე დარჩნენ და დახმარებას ითხოვდნენ: *„...მერმე ამას მო[გახსენებთ] რომ ამდენი სული ასე უსიმაგროვოთ ვყრივართ. [ცოტა რამ] ვიცოდვილეთ, გავაკეთეთ. ნახევარი ხალხი აიყ[არა] აღარავინ დავრჩით. აღარ შეგვიძლია მარტოკა გა[კე]თება. ამ მოწყალებას ვითხოვთ: ჩვენც მრავალს კაცს დავხმარებივართ ურმითაც, გუთნითაც, მუშითაც და სხვანიც მოგვეჴმარნენ. ნახევარზედ გაკეთებული გვაქვს და ვეღარ შევიძელით თორემ თავს არ შეგაწყენდით ქართლისა შესამატისნი ვართ, მუდამ შინ გვიდგანან ჯარათ თუ მგზავრათა, ჩვენც თითო ოროლა დღეს მოგვეჴმარნენ, თუ არავინ მოგვეჴმარებიან, დღეის იქით აღარცავის ჩვენ მივეჴმარებით. ამდენის სულის*

ქრისტიანის მადლი გეყოფათ, ჩვენო მოწყალევ რომ ერთი სიმაგრე რამ გაგვიკეთდესო“ [**ალიმბარაშვილი, 2013**: 142].

ხელთუბანი ხშირად იყო ლეკთა მარბიელი თავდასხმების სამიზნე. 1774 წელს ერეკლე II წუხდა ლეკების მიერ ხელთუბნისა და მისი მიდამოების ძარცვა-რბევის გამო: *„ხელთუბანი და იმის გარეშემო სოფლების ცოტა რამ საქონლის წახდენა გავიგონე, მეტად გვეწყინა, მაგრამ ისევ სიმხნეობის მეტი არა გაგვეწყობა რა“* [**სეასცა**, ფ. 1461, რვ. 12, ს. 108]. 1777 წ. 16 ნოემბერს ლეკებს ქართლში დაუტყვევებიათ სულხან მდივნის ძე გოგია თუმანიშვილი. იგი ტყვეობიდან 30 თუმნად მოქალაქე *„პეტრეს შვილს ზეინალას“* დაუხსნია: *„მე ლეკებმა დამატყვეს ქარლთში და ანდარიას მამიყვანეს და შენ ანდარიას დამხვდი. შემოგეხვეწე... მიმადლე და დამიხსენი“* [**უჩანეიშვილი, 1967**: 69].

ერეკლე II-ზე განაწყენებული ქართველი ფეოდალები ლეკთა ჯარებს აქეზებდნენ ქართლ-კახეთზე თავდასასხმელად. ასეთ დიდგვაროვანთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ქსნის ერისთავის შვილები და მათთან დამოყვრებული ციციშვილები, რომლებმაც 1789 წელს ახალციხიდან გადმოყვანილი ლეკების დახმარებით, ჯერ ხელთუბანი მოარბიეს, შემდეგ ყარაღაჯი [**ქიქოძე, 1958**: 149; **საქართველოს.., 1980**: 178]. *„იყო... ხდომვა ლეკთაგან ახალციხით... მოვიდნენ და დაეცნენ ჭელთუბანს და წარტყვენვეს იგი“* [**ბაგრატიონი, 1983**: 61; **ბატონიშვილი, 1941**: 19]. მსგავსი თავდასხმა იყო 1802 წელს, როცა მიხეილ და ელიზბარ ერისთავებმა თურქები და ლეკები მოიყვანეს, სხვა სოფლებთან ერთად ხელთუბანი ერთ ღამეში დაარბიეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ [**ხელთუბნელი, 1938**: 176].

1795 წელს აღა-მაჰმად ხანის თბილისზე თავდასხმა შეეხო თუმანიშვილებსაც. მტერმა გადაწვა სულხან, მანუჩარ და ეგნატე თუმანიშვილების სახლები თბილისში, რა დროსაც განადგურდა წლების განმავლობაში მათ მიერ შეგროვებული, ძველი ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისაგან შემდგარი მდიდარი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი. როგორც ირკვევა, აღა-მაჰმად ხანის თბილისში შემოჭრისას, თუმანიშვილები ერეკლე II-ის ოჯახთან ერთად არაგვის საერისთავოში შეხიზნულან. მათ შორის იყო მდივანი ეგნატე, რომელსაც გზაში ნივთები დაკარგვია: *„დედოფალი და ბატონისშვილები არაგვზედ საერისთაოში დასახიზნავად გაისტუმრა ჩვენმა ჭელმწიფემ და მეც თან ვეახელ ჩემის ხიზნითა. რადგანაც მისი უგანათლებულესობა ბატონიშვილი ქეთავან და მუხრანის ბატონი... ჩემი მწყალობელნი იყვნენ, ჩემის ხიზნით განუშორებ-*

ლად ამათთან ვახლდი და ერთ სახლად ვიყავით და რაც რამ მეგადა, ან ტფილისში დამრჩა, ან მუხრანის ბატონმა თავის ყმებს წამოაღებინა ბარგი... მუხათგვერდში დავკარგეთო, ბარგის წამომღებნი ამბობენ“ [**მასალები.., 1955**: 256].

მდივან ეგნატე თუმანიშვილს დუშეთშიც დაკარგვია ნივთები, რომელთა ნაწილი უპოვნია და XVIII საუკუნის დასასრულს მათი სიაც შეუდგენია [**მასალები.., 1955**: 323]. ეგნატე მდივანს ხიზნობის დროს დაეკარგა წლების განმავლობაში ყმა-მამულის ბოძების თუ ნასყიდობის დამადასტურებელი წიგნებიც. მათ ნაცვლად, 1795 წ. 8 ოქტომბერს ერეკლე II-მ მას დაუწერა მამულის წყალობის განახლების წიგნი: *„რაც წიგნები დაგკარგვოდა ეს წიგნი იმ წიგნების სამაგიეროთ გვიბოძებია რაც ყმა მამული... თუ სამკვიდრო დღევანდლამდის გჭერიათ და ან გიჭირამსთ ქართლში თუ სომხითში... დღეს იმას ვერავინ შემოგეცილებათ“* [**სეასცა**, ფ. 1449, ს. 1256].

აღსანიშნავია, რომ მანუჩარ თუმანიშვილს 1795 წლის ახლო ხანებში შეუდგენია, როგორც თბილისიდან წამოღებული, ისე დაკარგული ნივთების ვრცელი ნუსხა: *„ქ˜კს უპგ, ღვინობისთვის ᲑᲔ ქალაქიდამ რომ ავიყარენით, რაც ან თან წამოვიღეთ და ან იქ დაგვრჩა, დავსწერეთ, რომ აქ სულ გარჩევით სწერია“.* საბუთის მიხედვით დგინდება, რომ მანუჩარმა ნივთები დუშეთში გადამალა, თუმცა იქაც დაეკარგა და მათი ნაწილი მოგვიანებით იპოვა [**მასალები.., 1955**: 264-272]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანუჩარის საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბუთების შედგენასთან. აღა-მაჰმად ხანის თბილისზე თავდასხმის გამო მას ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ხელთ აღარ ჰქონდა, რასაც არაერთ საბუთში წუხილით აღნიშნავდა.

1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის გამო, მანუჩარის ძმას, სულხან მდივანსაც დუშეთში გადაუმალია ქონება, რომლის ნაწილი ვეღარ იპოვა. 1795 წელს შედგენილი ნივთების ნუსხაში იგი წერს: *„ქ˜კს უპგ ამ წელს რაც დუშეთს წიწუას-შვილის სახლში ჩვენი საქონელი დაიკარგა, თითვეულად ამას ქვეით სწერია... ესენი სულხან მდივნის სახლისა არის“* [**მასალები.., 1955**: 255-256]. 1795 წ. 8 ოქტომბერს ერეკლე II-სთან მყოფი შიოშ თუმანიშვილი თიანეთიდან წერდა სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს, რომ დუშეთში ასულიყვნენ და ომის შედეგად გადამალული ნივთები წაეღოთ [**ბერძნიშვილი, 1965**: 123-124]. მათ დაკარგული ნივთების მოძიებასა და დაბრუნებაში ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრებიც ეხმარებოდნენ [**სეასცა**, ფ. 1448, ს. 1158].

თუმანიშვილები მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში, მათ შორის, ბირთველი, რომელიც გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში ისე საუბრობდა, თითქოს, შეთქმულების შესახებ დიდხანს არაფერი იცოდა. ბირთველი წერდა: *„მისვლა-მოსვლა ქონდა თავადს ელიზბარ შანშეს ძესთან… ალექსანდრესა და ვახტანგს ორთავ ძმათ ორბელიანოვთ... მათს ჟამს ვერას მივხვდი მათ რადგანაც რუსულად ლაპარაკობდნენ... ერთ ჟამადაც მოვიდნენ... ხმა მაღლა რუსულად ლაპარაკი დაიწყეს მე ცოტა რასმე მივხვდი მაშინ უპასუხე... მე რათ მიმალავთ რაისთვის ქართულად არ შემატყობინებთ... ვახტანგ ორბელიანოვმა მითხრა ჩვენ რუსებს გაწყვეტას უპირებთო აბა შენ რას იტყვიო მე რა უნდა ვთქვა თუ შეგიძლიათ დიახ კარგი იქნება ნეტამც არ დავსნეულებულიყავ... მეც წინ გაგიძღვებოდით მაგრამ... რა ვქნა მეთქი მას უკან გიორგი ერისთოვმა მითხრა შენ რაში გვეჭირები ბებერო კაცოო... რადგანაც... მეგობრობა მქონდა შტაფ დოხტურის ნიკიფორ ივანიჩის იავლენცკის სახლში მიველ ეს ანბავი მეთქვა ნიკიფორ ივანიჩისათვის... გამოვბრუნდი და დავფიქრდი... მოხსენება ამისთანის მძიმე საქმისა ადვილი არ არის ვინიცობაა არის რომ არ გატყდნენ* (შეთქმულების მონაწილეები – **რ.მ.**) *მოწამე ხომ არა მყავს თუ ეს საქმე კარგათ არ შევიტყე და ისე არ მოვახსენე მე სამართალში მივეცემი და დავიტანჯები შემდეგ მეც იმათს ლაპარაკს და რაც იმათ* (შეთქმულებს – **რ.მ.**) *იამებოდა იმას ვლაპარაკობდი...“* [**გოზალიშვილი, 1935**: 252-255]. ნათელია, რომ ბირთველ თუმანიშვილი შეთქმულთა გარემოცვაში ტრიალებდა და ხშირად ესწრებოდა მათ შეკრებებს ელიზბარ ერისთავის სახლში, ამას ადასტურებს *„პრაპორშჩიკ“* მამაცოვის, იასე ფალავანდიშვილისა და სხვათა ჩვენებები [**გოზალიშვილი, 1970**: 301, 221, 459, 520]. საინტერესოა, რომ ზაალ ავთანდილაშვილი ჩვენებაში წერდა: *„1832 წლის ოქტომბერში ელიზბარ ერისთავთან ვახშამზე იყო ჩვენთან ერთად თავადი ბირთველ თუმანოვი, რომელიც ელიზბართან ცხოვრობდა და... გვიამბობოდა 1812 წელს კახეთის ამბოხების შესახებ“* [**გოზალიშვილი, 1970**: 202].

დაპატიმრებულთა დაკითხვის მასალები მეტყველებს, რომ ბირთველ თუმანოვს შეთქმულები ჩანაფიქრს უმალავდნენ. ალექსანდრე ორბელიანი ჩვენებაში მიუთითებდა, რომ ერთ-ერთ საღამოს ელიზბარ ერისთავის სახლში სტუმრად მისულმა თანამოაზრეებმა ვერ ისაუბრეს შეთქმულების შესახებ, რადგან იქ ბირთველ თუმანოვი დახვდათ [**გოზალიშვილი, 1935**: 423]. ანტონ აფხაზის თქმით, მოგვიანებით, შეთქმულები ბირთველ თუმანიშვილის გარდა ალ. ორბელიანმა მიიწვია [**გოზალიშვილი, 1935**: 221].

ელიზბარ ერისთავი ჩვენებაში წერდა: *„ბირთველ თუმანოვს წელს გამოუცხადე ჩვენი განზრახულება, მაგრამ მან იგი არ მოიწონა მის შვილ პორუჩიკ გიორგი თუმანოვთან ამ საქმეზე არ მილაპარაკნია“* [**გოზალიშვილი, 1970**: 93-94]. როგორც ჩანს, შეთქმულები გრძნობდნენ, რომ ბირთველს აჯანყებაში ჩაბმა არ სურდა, ამიტომ ერიდებოდნენ მასთან ერთად ამ თემაზე საუბარს, თუმცა მასში მონაწილეობა მაინც შესთავაზეს და მისგან უარი მიიღეს. ბუნებრივია, ამის შემდეგ, შეთქმულები ბირთველის თანდასწრებით აჯანყების შესახებ აღარ ილაპარაკებდნენ. ბირთველი, რომ აჯანყებას მხარს არ უჭერდა ადასტურებს გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენებაც [**გოზალიშვილი, 1976**: 351].

ბირთველ თუმანიშვილის ჩვენების თანახმად, შეთქმულთა ყრილობებს ესწრებოდა პავლე თუმანიშვილიც [**გოზალიშვილი, 1935**: 255]. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენების მიხედვით, პავლემ იცოდა შეთქმულების შესახებ [**გოზალიშვილი, 1935**: 359]. თავის მხრივ, ბიძინა ერისთავი პავლე თუმანოვთან აჯანყების შესახებ საუბარს გამორიცხავდა და არ იცოდა, იგი აჯანყების საქმის კურსში იყო თუ არა: *„პავლე თუმანოვთან ამ განზრახულებაზედ ლაპარაკი არა მქონია და არც ვიცი, იცის იმან თუ არა“* [**გოზალიშვილი, 1935**: 422]. ლუარსაბ ორბელიანი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერდა: *„1832 წელს პავლე თუმანოვის შესახებ ალექსანდრე ვახტანგის ძე მეუბნებოდა, რომ თუმანოვსაც შეატყობინეს,* (შეთქმულების შესახებ – **რ.მ.**) *მაგრამ არ ვიცი გამოუცხადა თუ არა“* [**გოზალიშვილი, 1970**: 384]. მოგვიანებით, ლუარსაბ ორბელიანი საგამოძიებო კომისიას პასუხობდა, რომ შეთქმულებაში პავლე თუმანოვის მონაწილეობის შესახებ უნდა სცოდნოდათ ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანს [**გოზალიშვილი, 1970**: 420].

ალექსანდრე ორბელიანი კი ჩვენებაში წერდა: *„ჩვენ საზოგადოს ესრეთ სძულდათ ეს თუმანოვი* (პავლე – **რ.მ.**) *რომ აგინებდენ და მაშენიკსაც იხსენიებდენ ხოლმე, – ამისა გამო რომ ხელმწიფე იმპერატორის ერთგული არის დიდი და მთავრობის მაქებრი, – ბევრჯელ გამიგონია ჩვენ საზოგადოთ შორის, რომ როდესაც აქ ბუნტი მოხდებაო, პავლე თუმანოვსა ავიკლებთო, ამისათვის რომ ბევრი ფული აქვსო და იმის ფულს ჩვენ ხაზინათ გამოვიყენებთო. თვითონ მაიორს, თავად ლუარსაბ ორბელიანოვს რაოდენჯერმე ჩემთვის დარიგება მოუცია, რომ ხუმრობა არ არის, პავლე თუმანოვს არ ენდოო და ეს ჩვენი განძრახვა არ უთხრაო“* [**გოზალიშვილი, 1935**: 414]. არსებობდა ვერსია, რომ პავლე თუმანიშვილი აჯანყებისთვის საჭირო შეგროვილ თანხას ინახავდა, თუმცა ამას გიორგი

რევაზის ძე ერისთავი ჩვენებაში უარყოფდა და აღნიშნავდა, რომ შეთქმულები პავლეს არა სანდო პირად თვლიდნენ: *„იმის შესახებ კი, თითქოს ფული მოეგროვებინათ და თ. პავლე თუმანოვისთვის მიეგარებინათ, მე არა გამიგონია რა და ამ უკანასკნელისათვის შეთქმულების გამოცხადება კიდეც გვეშინოდა“*[**გოზალიშვილი, 1970**: 135].

როგორც ვხედავთ, პავლე და ბირთველ თუმანიშვილები შეთქმულთათვის არასაიმედო პირები იყვნენ, მაგრამ გასაკვირია, რომ ბირთველის ძე, *„პორუჩიკი“* გიორგი შეთქმულების დამსმენის იასე ფალავანდიშვილის ჩვენების თანახმად, პირველი ღამის განკარგულებით, რამდენიმე პირთან ერთად (არტილერიის *„პრაპორშჩიკი“* ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ბეჟან ამილახვარი, ივანე ერისთავი) 50 კაცით დანიშნული იყო თავდასასხმელად: არსენალზე, *„საპროვიანტო მაღაზიაზე“,* ხაზინაზე და *„ორდონანს-ჰაუსზე“* [**გოზალიშვილი, 1935**: 89, 137]. აღნიშნულს ადასტურებდა ელიზბარ ერისთავის ჩვენებაც, თუმცა გამომძიებლის კითხვაზე თუ რა იყო *„პორუჩიკი“* გიორგი თუმანოვის ამ პოზიციაზე დანიშვნის მიზეზი, ელიზბარი პასუხობდა: *„არ მახსოვს... თუმცა თუ იგი დანიშნა იასე ფალავანდოვმა, უთუოდ იმიტომ, რომ მე მას ვუთხარი ბირთველ თუმანოვმა ამ თუმანოვის მამამ, იცის მეთქი ჩვენი შეთქმულება. მაგრამ მე არ დამინიშნავს განკარგულებაში იგი თუმანოვი“*[**გოზალიშვილი, 1976**: 412-413].

ბირთველ თუმანიშვილის ჩვენების მიხედვით, შეთქმულებთან კავშირი ჰქონდა გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს [**გოზალიშვილი, 1935**: 255], ხოლო ელიზბარ ერისთავი ამას უარყოფდა: *„არც მითქვამს მისთვის* (ბირთველისთვის – **რ.მ.**), *რომ გიორგი თუმანოვთან ჭავჭავაძე დაიარება მეთქი. არა თუ გიორგი თუმანოვისას არა ყოფილა არავითარი თათბირი, არამედ არც კი ვიცი, იცოდა მან რაიმე განზრახულების შესახებ თუ არა. მე არ ვიცი ჰქონდა თუ არა გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს შეთქმულების გამო რაიმე ურთიერთობა თავად გიორგი თუმანოვთან“*[**გოზალიშვილი, 1970**: 584-585]. როგორც ჩანს, ელიზბარ ერისთავი ცრუობდა, რადგან შეთქმულებთან გიორგი თუმანიშვილის კავშირს ადასტურებდა სოლომონ დოდაშვილიც: *„გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს წინათ რამდენჯერმე შევხვედრივარ სხვადასხვა ადგილას: სენატორ თავად ერისთოვთან, სტატსკი სოვეტნიკ თავად თუმანოვთან* (გიორგი ეგნატის ძე – **რ.მ.**) *და მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან“*[**გოზალიშვილი, 1976**: 9].

1833 წლის სექტემბერში საგამოძიებო კომისიამ მუშაობა დაასრულა და ხელისუფლებას ანგარიში ჩააბარა. კომისიამ მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის

მიხედვით 10 ჯგუფად დაჰყო [**გრძელიძე, 1998**: 36]. 1833 წლის 1 ნოემბერს სამხედრო მინისტრის გენერალ-ადიუტანტის გრაფ ჩერნიშოვის მიერ მთავარმართებელ ბარონ როზენისადმი დაწერილი მიმართვიდან ნათელია, რომ საგამოძიებო კომისიამ *„ტიტულიარნი სოვეტნიკი“* ბირთველ თუმანიშვილი მეშვიდე კატეგორიის დამნაშავედ სცნო და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა [**გოზალიშვილი, 1976**: 430]. მეცხრე-მეათე კატეგორიაში შემავალი პირები, მათ შორის, გიორგი ბირთველის ძე და პავლე თუმანიშვილები გამოძიებამ პასუხისგებისაგან გაათავისუფლა, რადგან შეთქმულებაში უშუალო მონაწილეობა არ დაუმტკიცდათ და არასასურველი საუბრების მოსმენა ედებოდათ ბრალად [**გოზალიშვილი, 1976**: 427-430; **გრძელიძე, 1998**: 36-38]. გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი გამოძიებამ ჩათვალა პიროვნებად, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევდა [**ბერძნიშვილი, 1983**: 41].

დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას მიღებული ძირითადი შედეგები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. გვარების დიდი ნაწილი წარმოქმნილია წინაპრის სახელიდან. იოანე ბატონიშვილთან ნახსენები *„სომეხი თუმანა“* უნდა ჩაითვალოს თუმანიშვილების წინაპრად, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისა და დამკვიდრების (დაახლ. XI-XII საუკუნეები) შემდეგ, დაუდო სათავე საგვარეულოს. სახელი „თუმან“ იქცა გვარის აღმნიშვნელ *„თუმანიშვილად“.* ნაშრომში უარყოფილია მეცნიერებაში არსებული მოსაზრება თუმანიშვილების, სომხური გვარების – მამიკონიანთაგან და თუმანიანთაგან ჩამომავლობის შესახებ. წყაროების თანახმად, თუმანიშვილი და თუმანაშვილი პარალელური ფორმები არ არის, ეს უკანასკნელნი გლეხები იყვნენ. აღნიშნულ საგვარეულოში გავრცელებული იყო გრიგორიანული, მართლმადიდებლური და კათოლიკური მრწამსი.
2. XV საუკუნის დასაწყისში შედგენილი საბუთით, სოფ. ახალდაბა, როგორც ძველ მეპატრონეს, თუმანიშვილს მისცეს. აღნიშნული გარემოებისა და XV ს. შუა ხანებიდან სამეფო კარზე თუმანიშვილების მდივან-მწიგნობრებად არსებობის გამო ნ. ბერძენიშვილი და ა. ბაქრაძე, ვარაუდობენ, რომ თუმანიშვილების წინაპრები XIII ს. ან XIV საუკუნის დამლევს მაინც ქართლში ცხოვრობდნენ. 1441 წ. კი მდივანი თუმანი სოფ. მისაქციელში ყმა-მამულს ფლობდა. თუმცა, თუმანიშვილები, ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში ქართლში მყარად დასახლებულები ჩანან, რადგან 1788 წლის დოკუმენტში ისინი წერდნენ, რომ ქ. გორში მამულები და საგვარეულო ეკლესია ჰქონდათ 6-7 საუკუნით ადრე. XV ს. საქართველოში სათავადოთა სისტემის აღმოცენებასთან ერთად თუმანიშვილების სახლი სათავადოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, რომ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა თავადთა ისეთი კატეგორია, რომელთაც სხვადასხვა ტერიტორიაზე ჰყავდათ გაფანტული კუთვნილი ყმა-გლეხები და შესაბამისად, ისინი იყვნენ თავადები სათავადოს გარეშე. ერთი შეხედვით ასეთ თავადებად გვევლინებიან თუმანიშვილები, რომ-

ლებიც ყმა-მამულს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ფლობდნენ, თუმცა მათი სამფლობელოს სათავადოდ არ აღიარება ვფიქრობთ, მიუღებელია. ისეთი დიდი სათავადოებიც კი მაგ. საამილახორო, ქსნის საერისთავო, რომლებსაც ყმა-მამული ერთიან ტერიტორიაზე ჰქონდათ მოქცეული ქონებას მეზობელ საფეოდალოებშიც ფლობდნენ. ამიტომ, გაბნეული ყმა-მამულის (შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში) გამო, თუმანიშვილების საფეოდალო არატიპიურ, მცირე სათავადოს წარმოადგენდა. *„სათუმანიშვილოს“* არსებობას ადასტურებს, ჩვენს მიერ მოძიებული რამდენიმე საბუთი (ყმების აღწერის დავთრები, შეწერილი გადასახადების ნუსხები და სხვ.). თუმანიშვილებს ჰქონდათ ყველა ის მახასიათებელი ნიშანი, რაც მათ საკუთრებას სათავადოდ წარმოაჩენდა: თავდაცვითი ნაგებობა, არაერთი ეკლესია-მონასტერი, საძვალე, ყმა-მამული, მეურნეობა და სხვ. მათი რეზიდენცია იყო შიდა ქართლში, სოფ. ხელთუბანში, საფორტიფიკაციო ნაგებობით (კოშკი ჰქონდათ ხვითშიც) და რამდენიმე საგვარეულო ეკლესიით. მათ ეკუთვნოდათ ქალაქ გორის ყოვლად წმინდა ეკლესია და სასახლეები ხელთუბანში, გორში, თბილისსა და ჯილიზაში. XVII ს. 10-იანი წლებიდან ხდება თუმანიშვილების თანდათანობითი აღზევება და ფეოდალური სამფლობელოს არეალის გაფართოვება, რასაც სამეფო კარისადმი ერთგულებით აღწევდნენ. ქართლის გამაჰმადიანებული მმართველების ბაგრატ, სიმონ და როსტომ ხანისადმი კეთილგანწყობით საფუძველი ჩაეყარა თუმანიშვილთა სამამულო ფლობას ქვემო ქართლში. აღნიშნული სათავადო, ისევე, როგორც საქართველოში არსებული სხვა სათავადოები მუდმივ ტერიტორიულ სახეცვლილებებს განიცდიდა, რაც დაკავშირებული იყო, ყმა-მამულის ყიდვა-გაყიდვასთან, სამეფო ხელისუფლების მიერ მამულების წყალობა-ჩამორთმევასთან და სხვ. ისტორიული წყაროების საფუძველზე სხვადასხვა დროს თუმანიშვილების მფლობელობა ფიქსირდება შემდეგი სახით: შიდა ქართლში – გორი, ხელთუბანი, სვენეთი, ახალდაბა, რეხა, გარეჯვარი, ვარიანი, ხვითი, კარალეთი, სათემო, რუისი, ურბნისი, ტინისხიდი, ატენი, ტანის პირს *„თიკანაანთ უბანი“,* მისაქციელი; ქვემო ქართლში – თბილისი, ლისი, კიკეთი, წოდორეთი, მა-

რაბდა, ვეძისი, თეთრი სოფელი, ხოჟორნი, ბერდიკი, მწყნეთი, ჯილიზა, დარბაზი, შუა და ქვემო ბოლნისი, ვანქი, შულავერი, ზემო და ქვემო ოძისი, გვარეთი, ჩრდილისუბანი, წინვენახი, ნასოფლარები – შამირზა და ხანძორისი; კახეთში – ახმეტა. თუმანიშვილები ცდილობდნენ სამამულე მფლობელობის გაფართოვებას და იძენდნენ ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლების მიერ გაყიდულ ყმა-მამულს. ნასყიდი ქონების სიმრავლე თუმანიშვილების ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს. XVII ს. შუა ხანებიდან მათი ყმების რიცხვი მატულობდა, აღნიშნული ზრდის დინამიკა შეფერხდა *„ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“* დროს, თუმცა XVIII საუკუნის შუა ხანებიდან *„სათუმანიშვილოში“* ყმა-გლეხთა რაოდენობამ ზრდა გააგრძელა.

3. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე, დავადგინეთ თუმანიშვილების ფეოდალური სახლის სურათი. ვახტანგ VI-ის სამართალზე დაყრდნობით, თუმანიშვილები საშუალო, ანუ მეორე ხარისხის თავადები იყვნენ. XVII საუკუნის შუა ხანებში, აღნიშნულ საფეოდალოში განშტოებების აღმოცენება საგვარეულოს ცალკეულ წევრებს – თაყას, ბირთველსა და ჯიმშიტას უკავშირდება. სათავადო სახლის წარმომადგენელთა ურთიერთობა, მართვა-გამგეობა, ქონების განკარგვა ხორციელდებოდა, სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული *„სახლის რიგის“* საფუძველზე, რომელიც მყარი არ იყო, ხშირად ირღვევოდა და თავადიშვილთა უფლებები ილახებოდა. წარმოქმნილ დავაში სამეფო კარი ერეოდა და სამართალს წყვეტდა. თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა შორის ჩაგვრის აშკარად გამოხატული ტენდენცია იყო, უმწეო მდგომარეობაში მყოფი თავადიშვილები განიცდიდნენ ზეწოლას, რაც ვლინდებოდა ფიზიკური დაპირისპირებითაც. ხშირი იყო მამულის, ღალის წართმევის შემთხვევები. დაუკითხავად ხდებოდა განაყოფთა მიერ სახასო, საერთო მამულის გაყიდვა, რაც მწვავე დაპირისპირებას ქმნიდა თავადიშვილთა შორის. ამა თუ იმ სახლიკაცის უფლებების შელახვა და ქონების ხელყოფა, სენიორიაში იწვევდა ქონებრივ უთანასწორობას. დაჩაგრული, ობოლი თავადიშვილები, ღარიბდებოდნენ და თავის გასატანად ქონებას ყიდდ-

ნენ. XVII ს. 60-იანი წლებიდან ისინი ყმა-მამულს ერთმანეთისაგან იძენ-დნენ. თუმანიშვილთა სათავადოში გვხვდება დაშლილი ოჯახის ან საგ-ვარეულოს კვლავ გაერთიანების შემთხვევები, რაც დამახასიათებელია ფეოდალიზმის ხანაში. თუმანიშვილები მათთან *„შეკედლებული“* უმემკ-ვიდრეოდ დარჩენილი თავიანთი სახლის წარმომადგენლების დანატოვა-რი ქონების მიღების ხარჯზეც აფართოვებდნენ მამულს. რაც შეეხება სა-თავადო საკუთრების სახეებს, თუმანიშვილების გაყრის ანდა სხვა დამა-დასტურებელ საბუთებში ვხვდებით: *„სახასო“, „სათავისთავო“, „საუფრო-სო“, „საშუალო“, „საუმცროსო“*საკუთრების ფორმებს.

4. ნაშრომში შესწავლილია, თუმანიშვილების სათავადოს გლეხობა, მათი სოცი-ალური მდგომარეობა. გლეხთა სხვადასხვა სახეებად დაყოფა ფეოდალუ-რი ურთიერთობის თანმდევი პროცესია. ჩვენს მიერ მოძიებული ისტო-რიული მასალების საფუძველზე კვლევამ ცხადყო, რომ თუმანიშვილები:

   - ფლობდნენ სხვადასხვა კატეგორიის ყმა-გლეხებს. ესენი იყვნენ: *„მკვიდრი“, „ნასყიდი“, „ხიზანი“, „ბოგანო“, „ნებიერი“*(წყალობის ყმა), *„ნაწყალობევი“, „თავდახსნილი“, „თარხანი“* (აზატი) და სხვ.
   - ყმა-მამულს, ძირითადად, თავიანთი საგვარეულოს სახლის წევ-რებზე ყიდიდნენ და ამგვარად ახერხებდნენ საერთო *„სათუ-მანიშვილო“*ყმა-გლეხთა ფონდის შენარჩუნებას.
   - სხვადასხვა მებატონეებისგან ყიდულობდნენ *„მკვიდრ“* ყმებსაც, რომლებიც სათავადოში ინტენსიური მეურნეობის მწარმოებ-ლები იყვნენ.
   - იძენდნენ ყმებს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა შესასყიდი ყმა-მამული მეზობლად იყო თუ მოშორებით. თუმანიშვილებისთვის მთავარი იყო ეკონო-მიკურად გაჭირვებული ფეოდალი, რომელიც ქონებას ყიდდა.
   - ყმა-გლეხების რაოდენობას ზრდიდნენ სამეფო კარის მიერ ნაჩუ-ქარი *„ნაწყალობევი“*გლეხებით.

- თუმანიშვილები სხვადასხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებისაგან ნაჩუქარი ყმების ხარჯზეც ზრდიდნენ საბატონო მეურნეობას.
- თავიანთ ყმებს გარკვეული დამსახურების სანაცვლოდ ათავისუფლებდნენ საბატონო გადასახადისაგან, ასეთ გლეხს *„თარხანი“* ეწოდებოდა, თუმცა გათარხნების შემთხვევა ძალიან ცოტაა.
- დახმარებას უწევდნენ თავის გამოხსნაში მათთან შეკედლებულ ყმებს სრული დაპატრონების მიზნით. თუმანიშვილების მამულები სხვადასხვა საფეოდალოდან გამოქცეულ ხიზან ყმათა თავშესაფარი იყო.
- ფლობდნენ *„ნებიერ“* ანუ წყალობის ყმებსაც. ასეთი გლეხი თავისი ნებით მიდიოდა ბატონთან და მას წასვლის უფლება ჰქონდა. ამ შეთანხმებას გლეხი ახალ ბატონთან დებდა წერილობით ან ზეპირად. თუმანიშვილები ცდილობდნენ *„ნებიერი“* გლეხებისათვის კარგი პირობები შეექმნათ, რათა სხვასთან არ წასულიყვნენ.
- ფლობდნენ ბოგანო ყმებს, რომლებიც სოციალურად ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ.
- შეწუხებულები იყვნენ საკუთარ გლეხთა ხიზნობით (აყრა-გაქცევით), რაც დაკავშირებული იყო *„ოსმალობა“*-*„ყიზილბაშობასთან“, „ლეკიანობასთან“* და სხვ. მიზეზებთან. ყმების აყრა-გაქცევა, ხიზნობა, თავდახსნა, ჩივილი, სათავადოში კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება იყო. ზოგჯერ, თუმანიშვილები აყრილი ყმის პოვნის შემთხვევაში ამჯობინებდნენ მის გაყიდვას და თავდახსნილობის წიგნს აძლევდნენ, რადგან ასეთი გაქცეული გლეხი არ იყო სანდო, არსებობდა მისი ხელმეორედ გაქცევისა და სამუდამოდ დაკარგვის რისკი. თუმანიშვილების ყმა-გლეხობა მებატონის სასარგებლოდ იხდიდა, ნატური, ფულადი და შრომითი ბეგარის სახით დაწესებულ გადასახადს, რასაც ემატებოდა სახელმწიფო ბეგარა და გლეხს გაუსაძლის პირობებში

ამყოფებდა. XIX ს. 50-60-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში აუტანელი გადასახადებისა და ბატონყმური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით გლეხობა ეწეოდა მასობრივ ანტიფეოდალურ ბრძოლას. ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხთა მღელვარება განსაკუთრებით ძლიერი იყო გორის მაზრაში, სადაც მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა იყო. ბუნებრივია თუმანიშვილების სათავადოშიც ამგვარი მწვავე ვითარება იქნებოდა და მათ ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებისას, თავისთავად, ჩამოერთმეოდათ ყმები ან შესაძლოა რეფორმამდელ პერიოდშიც, როცა არსებობდა სახელმწიფო ხაზინაზე ყმების დარიცხვის პრაქტიკა.

5. თუმანიშვილების სათავადოში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. დიდი ყურადღება ექცეოდა მიწათმოქმედებას, მოჰყავდათ სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურები: ხორბალი, სიმინდი, ჭვავი, ფეტვი, ქერი. მათ მამულების ნაწილი განკუთვნილი ჰქონდათ ბოსტნეული კულტურების – კიტრის, ნიორის, ჭარხლის, სტაფილოს, ნიახურის, და სხვ. საწარმოებლად. მისდევდნენ: მეცხვარეობას, მეფუტკრეობას, მეხილეობას, განსაკუთრებით კი მევენახეობა-მეღვინეობას. თუმანიშვილები ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკურ გაუმჯობესებაზე, აწესრიგებდნენ ირიგაციის საქმეს, ზრდიდნენ საბატონო მეურნეობას. დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდა წისქვილებს, რომლებიც თუმანიშვილებს ჰქონდათ: გორში, ხელთუბანში, ბერდიკში, რეხაში, ბერბუკში და სხვ. პირველი ცნობა მათ შესახებ დასტურდება XVII ს. შუა ხანებში.

6. მოკვლეული მასალების საფუძველზე, დადგენილია, რომ თუმანიშვილების ფეოდალური სახლის ათეულობით წარმომადგენელი, მევახშე იყო. ისინი XVII საუკუნიდან სამევახშეო ოპერაციებით იყვნენ დაინტერესებულები. თუმანიშვილებმა გვიან ფეოდალურ ხანაში, *„კაპიტალის დაგანდების“* პროცესში დიდი წვლილი შეიტანეს. ისინი მევახშეობდნენ ეკლესიის ქონებითაც და აღმოსავლეთ საქართველოში იმდენად ძლიერი კრედიტორები იყვნენ, რომ მათთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონდათ, სამეფო სახ-

ლის წარმომადგენლებს, ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას, სავაჭრო ამხანაგობის წევრებს და სხვ. საკრედიტო ოპერაციები ხორციელდებოდა თუმანიშვილების ოჯახის წევრთა შორისაც. თუმანიშვილებთან საპროცენტო განაკვეთი ბევრად დაბალი იყო, რაც მათდამი მსესხებლების ხშირი მიმართვიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. დოკუმენტებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ზოგჯერ თუმანიშვილებს თამასუქით განსაზღვრულ ვალს ვერ/არ უბრუნებდნენ, ასეთ შემთხვევაში მათ საკუთრებაში გადადიოდა მევალის დაგირავებული უძრავ-მოძრავი ქონება. ამ გზით თუმანიშვილებმა დიდძალი ქონების ხელში ჩაგდება მოახერხეს.

7. თუმანიშვილები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაინტერესებულები იყვნენ სავაჭრო ოპერაციებით. ისინი XVIII საუკუნის II ნახევარში მსხვილ ფინანსურ არისტოკრატიის რიგებში მოექცნენ და ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ. სავაჭრო სფეროში წარმატებულები იყვნენ გორჯასპი, მანუჩარ და სულხან თუმანიშვილები, რომლებიც ქმნიდნენ და მართავდნენ *„სავაჭრო ამხანაგობებს“.* მათ მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ: საქართველოს, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ოსმალეთისა და რუსეთის ქალაქებთან. ისინი ვაჭრობდნენ: საფეიქრო ნაწარმით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, ღვინით, მარცვლეული კულტურებით, პურით, ნიგვზით და სხვ. XVIII საუკუნეში თუმანიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები ოზურგეთში გადასახლდნენ და XIX საუკუნეში დიდი წვლილი შეიტანეს გურიასა და ოზურგეთში ვაჭრობის სფეროს გამოცოცხლების საქმეში. აღნიშნულ საფეოდალოში ხელოსნობა კარგად განვითარებული უნდა ყოფილიყო და ხელოსნებიც მრავლად უნდა ჰყოლოდათ, თუმცა ამის შესახებ ცნობები მწირია. მოძიებული მასალების საფუძველზე თუმანიშვილების სათავადოში სხვადასხვა ხელობის/საქმის მცოდნე გლეხებს ვხვდებით: მჭედელი, ხარატი, ხარაზი, დალაქი, ფეიქარი, ხურო.

8. ყველა სათავადოს, მათ შორის *„სათუმანიშვილოს“* მართვა-გამგეობის საკუთარი სისტემა გააჩნდა. ჩვენს მიერ მოძიებული წყაროების საფუძველზე, თუმანიშვილთა სენიორიაში გვხვდება: ქეთხუდა, ნაცვალი, მამასახლისი, მსახური. სავარაუდოდ, თუმანიშვილების სახლს საქართველოში არსებული სხვა სათავადოების მსგავსად სამართავად უნდა ჰყოლოდა მოხელეები – მოურავი, ნაზირი და სხვ. ამრიგად, *„სათუმანიშვილოს“* სამოხელეო აპარატის სრული სურათის აღდგენა წყაროთა სიმწირის გამო რთულია.

9. შესწავლილი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ თუმანიშვილების ფეოდალურ სახლში, რამდენიმე პირი სასულიერო მოღვაწე იყო: ფარსეღ/ ფარისეღ (1612 წ. საბუთის მიხედვით, გრიგორიანული სარწმუნოების საეკლესიო პირი იყო, რადგან ტერ-ფარსეღად მოიხსენიება, ხოლო 1645 წ. 1 მარტს შედგენილ ნასყიდობის წიგნში მთავარეპისკოპოსის წოდებით (თუმცა, არა ტერ-ფარსეღად); მღვდელ-მონაზონი სპირიდონი; მღვდელი ნიკოლოზ ზაქარიას ძე, რომელიც XIX ს. 40-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაშია შეტანილი; ანტონი (კათოლიკე, თუმცა სანამ კათოლიკურ მრწამსზე გადავიდოდა გრიგორიანული სარწმუნოების სასულიერო პირი იყო) და ქრისტეფორე თბილელ-მიტროპოლიტი, რომელიც თავისი აქტიური მოღვაწეობით გამოირჩეოდა. იგი 1719 წელს ბერად შედგა და თბილელობამდე მროველის (რუისის ეპისკოპოსის) თანამდებობა ეკავა. ჩვენს მიერ დადგენილია, მისი თბილელ-მიტროპოლიტად ყოფნის წლები – 1752-1770 წწ. 1763/1764 წწ. ქრისტეფორე თბილელი თუმანიშვილის მიერ აგებულ იქნა სოფელ ხელთუბანში წმ. პეტრე მოციქულის ეკლესია, რომლის სააღმშენებლო წარწერამ დღემდე მოაღწია, ხოლო სალოცავმა ნანგრევების სახით.

10. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა თუმანიშვილების, როგორც მეზობელ, ასევე საქართველოში არსებულ სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულოებთან ურთიერთობას. ფეოდალიზმის ხანაში თავადთა მიზნები მიმართული იყო სამფლობელოს გაფართოებისაკენ, რაც უმთავრესად მეზობლად მდებარე სენიორიათა მამულების მითვისების ხარჯზე ხდებოდა. აღნიშნული ტენდენცია უმეტესად ორმხრივი ხასიათის იყო, თუმცა თუმანიშვილთა

შემთხვევაში ცალმხრივად ჩანს, რადგან ისინი არ იყვნენ ორიენტირებულები მოსაზღვრედ არსებული მამულების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდებით. კარგი ფინანსური შეძლებიდან გამომდინარე, თუმანიშვილები სამართლებრივი ფორმით, ფეოდალებისაგან იძენდნენ (ხანდახან ცვლიდნენ) ყმა-მამულს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. მათთვის მთავარი იყო ეკონომიკურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელიც ქონებას ყიდდა. ამგვარი იყო მფლობელობის ზრდის ტენდენცია სათუმანიშვილოში. ზოგჯერ, თუმანიშვილები, მათი ყმა-გლეხები, იდგნენ ფეოდალების მხრიდან სხვადასხვა სახით გამოვლენილი ძალმომრეობის რისკის ქვეშ, რასაც მოხერხებულად უპირისპირებდნენ სასამართლოს, სამეფო კარს და სამართალსაც აღწევდნენ.

11. ნაშრომში შესწავლილია თუმანიშვილების ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან. ისინი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ გაწონასწორებულ ლოიალურ დამოკიდებულებას თითქმის ყველა მეფესთან, რის საფუძველზეც წარმატებით ახერხებდნენ ყმა-მამულის რაოდენობის გაზრდას. მეფეების მიმართ ერთგულების დასტურად თუმანიშვილები სამეფო კარზე სხვადასხვა სახელოთი გვევლინებიან: მდივანთუხუცესი, მდივან-მწიგნობართ-უხუცესი, მდივან-მწიგნობარი, მდივანბეგი, ვაზირი, ნაზირი, მორდალი, მეჰმანდარბაში, მერიქიფეთუხუცესი, მერიქიფე, ყაფიჩი, მოურავი, თავლიდარი, ყული, იასაული, ლაშქარნივისი, ფეშქაშნივისი და სხვ. თუმანიშვილები რეაქციონერ თავადთა რიგებში არ იყვნენ, თუმცა XVII-XVIII საუკუნეების ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება მათთვის სოფ. ტინისხიდის, რეხისა და ატენური მამულების ჩამორთმევა, რაც უდავოდ მიანიშნებს, რომ სამეფო ხელისუფლებისადმი თუმანიშვილების მხრიდან ღალატს ჰქონდა ადგილი.

12. რუსული კოლონიური პოლიტიკის მიმართ, თუმანიშვილებში აზრი ორად იყო გაყოფილი. მათი უმეტესობა რუსეთის ქვეშევრდომობას ამჯობინებდა, ხოლო ნაწილი იმპერიის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდა. თუმანიშვილები რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისთანავე, რუსეთის მმართველობის სამსახურში ჩადგნენ. 1802 წ. 25 მაისს გახსნილი

გორის სამაზრო სასამართლო და საპოლიციო სამმართველოს წევრი იყო ბირთველ თუმანიშვილი. რუსეთის ხელისუფლებამ იულონ, ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილების ყმა-მამულიც ყოფილ ლაშქარნივისს მანუჩარ თუმანიშვილს მიაბარა სამართავად. თუმანიშვილთა სახლის რამდენიმე წევრი, იმდენად დიდ ერთგულებას იჩენდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ, რომ დავით ბატონიშვილი 1805 წელს დაჟინებით მოითხოვდა მათი საქართველოდან გადასახლებას, რასაც ქვეყნის სიმშვიდისთვის აუცილებლობით ხსნიდა. იმპერიისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას, თუმანიშვილების მიერ მიღებული სხვადასხვა სახის რუსული წოდებებიც ადასტურებს: *„გუბერნსკი სეკრეტარი“, „კოლეგიის სეკრეტარი“, „კოლეგიის სოვეტნიკი“, „კოლეგიის ასესორი“, „ტიტულარნი სოვეტნიკი“, „ნადვორნი სოვეტნიკი“, „კოლეჟსკი რეღისტრატორი“, „ზასედატელი პრაპორშჩიკი“, „მაიორი“, „პოდპორუჩიკი“, „პორუჩიკი“, „პრაპორშჩიკი“, „კაპიტანი“, „გენერალი“* და სხვ.

13. ნაშრომში გაშუქებულია თუმანიშვილების სათავადოს პოლიტიკური ისტორია, რომელიც მოკვლეული მასალების საფუძველზე XVIII-XIX საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებს ასახავს. აღნიშნულ სენიორიას მძიმე ტვირთად აწვა *„ლეკიანობა“.* ლეკთა მარბიელი თავდასხმის ობიექტი ხშირად იყო მათი სამკვიდრო სოფლები, ძირითადად კი ხელთუბანი. ლეკების შემოსევების შედეგად, ზიანდებოდა თუმანიშვილთა საფორტიფიკაციო ნაგებობები და ზარალდებოდა მათი ყმა-გლეხობა. ზოგჯერ, ლეკები უშუალოდ თავად თუმანიშვილებსაც ატყვევებდნენ. ერეკლე II-ზე განაწყენებული ქართველი ფეოდალები ახალციხეში, ჭარში გადადიოდნენ და ლეკთა ჯარებს აქეზებდნენ ქართლ-კახეთზე თავდასხმის მიზნით. ამგვარი გზით ლეკებმა ქართველ ფეოდალთა თაოსნობით თუმანიშვილების სამკვიდრო სოფელიც დაარბიეს. 1799 წელს ლეკთა ჯარისათვის მისაცემი ფულის შოვნის მოტივით გიორგი XII-ს ბრძანებით, თუმანიშვილები აიკლეს. თუმანიშვილებს დიდი ზიანი მიაყენა 1795 წ. აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ, რა დროსაც გადაიწვა მათი სახლები თბილისში და განადგურდა უამრავი ძვირფასი წიგნი, ხელნაწერი და სხვ. ისინი მონაწი-

ლეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში, თუმცა მასში უნებლიედ იყვნენ ჩართულები. მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულება რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთი მძლავრი გამოსვლა იყო, თუმანიშვილები ამ დიად მიზანს მხარს ნაკლე-ბად უჭერდნენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ა) საარქივო მასალა

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი.

1. სეასცა, ფ. 1448, საბ. 811
2. სეასცა, ფ. 1448, საბ. 1158
3. სეასცა, ფ. 1448, საბ. 1389
4. სეასცა, ფ. 1448, საბ. 1418
5. სეასცა, ფ. 1448, საბ. 1692
6. სეასცა, ფ. 1448, საბ. 1818
7. სეასცა, ფ. 1448, საბ. 2236
8. სეასცა, ფ. 1448, საბ. 2502
9. სეასცა, ფ. 1448, საბ. 2521
10. სეასცა, ფ. 1448, საბ. 2523
11. სეასცა, ფ. 1448, საბ. 2519
12. სეასცა, ფ. 1448, საბ. 2761
13. სეასცა, ფ. 1448, საბ. 3009
14. სეასცა, ფ. 1448, საბ. 3076
15. სეასცა, ფ. 1448, საბ. 3602
16. სეასცა, ფ. 1448, საბ. 4033
17. სეასცა, ფ. 1448, საბ. 4280
18. სეასცა, ფ. 1448, საბ. 4367
19. სეასცა, ფ. 1448, საბ. 4464
20. სეასცა, ფ. 1448, საბ. 5856
21. სეასცა, ფ. 1448, საბ. 6645
22. სეასცა, ფ. 1448, საბ. 7643
23. სეასცა, ფ. 1448, საბ. 8028
24. სეასცა, ფ. 1448, საბ. 10546
25. სეასცა, ფ. 1449, საბ. 188
26. სეასცა, ფ. 1449, საბ. 959
27. სეასცა, ფ. 1449, საბ. 1256
28. სეასცა, ფ. 1449, საბ. 1869
29. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 1, საბ. 25
30. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. 153
31. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. 156
32. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. 157
33. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 2
34. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 4
35. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 5
36. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 6
37. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 9
38. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 10
39. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 11

40. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 15
41. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 31
42. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 33
43. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 34
44. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 40
45. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 41
46. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 46
47. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 49
48. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 50
49. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 51
50. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 53
51. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 54
52. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 55
53. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 56
54. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 57
55. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 60
56. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 64
57. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 67
58. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 68
59. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 81
60. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 85
61. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 90
62. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 105
63. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 110
64. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 116
65. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 122
66. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 123
67. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 125
68. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 126
69. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 128
70. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 129
71. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 130
72. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 139
73. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 177
74. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 183
75. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 187
76. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 191
77. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 193
78. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 196
79. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 198
80. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 199
81. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 1
82. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 5
83. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 6

84. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 9
85. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 34
86. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 35
87. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 37
88. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 40
89. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 42
90. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 170
91. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 179
92. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 182
93. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 184
94. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 269
95. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 5, საბ. 111
96. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 159
97. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 161
98. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 166
99. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 167
100. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 171
101. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 174
102. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 10, საბ. 175
103. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 13, საბ. 49
104. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 13, საბ. 50
105. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 13, საბ. 59
106. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 13, საბ. 91
107. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 14, საბ. 28
108. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 17, საბ. 83
109. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 17, საბ. 178
110. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 22, საბ. 42
111. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 22, საბ. 45
112. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 22, საბ. 46
113. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 22, საბ. 53
114. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 24, საბ. 30
115. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 5
116. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 19
117. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 21
118. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 112
119. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 113
120. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 118
121. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 26
122. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 51
123. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 54
124. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 50
125. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 30, საბ. 156
126. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 32, საბ. 20
127. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 32, საბ. 57

128. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 33, საბ. 68
129. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 37, საბ. 80
130. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 40, საბ. 174
131. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 41, საბ. 126
132. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 41, საბ. 160
133. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 42, საბ. 34
134. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 42, საბ. 162
135. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 42, საბ. 164
136. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 114
137. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 115
138. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 117
139. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 118
140. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 119
141. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 121
142. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 122
143. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 123
144. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 124
145. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 130
146. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 133
147. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 137
148. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 139
149. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 144
150. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 145
151. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 146
152. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 147
153. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 151
154. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 152
155. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 156
156. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 157
157. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 158
158. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 161
159. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 167
160. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 178
161. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 180
162. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 181
163. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 182
164. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 183
165. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 190
166. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 192
167. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 194
168. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 195
169. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 196
170. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 198
171. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 199

172. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 201
173. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 206
174. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 208
175. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 233
176. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 238
177. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 244
178. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 266
179. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 267
180. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 268
181. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 47, საბ. 83
182. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 47, საბ. 90
183. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 48, საბ. 34
184. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 48, საბ. 37
185. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 48, საბ. 38
186. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 49, საბ. 187
187. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 49, საბ. 188
188. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 52, საბ. 7
189. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 52, საბ. 110
190. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 52, საბ. 113
191. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 55, საბ. 120
192. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 55, საბ. 147
193. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 82
194. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 94
195. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 104
196. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 105
197. სეასცა, ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 122
198. სეასცა, ფ. 1461, რვ. 5, საბ. 25
199. სეასცა, ფ. 1461, რვ. 12, საბ. 27
200. სეასცა, ფ. 1461, რვ. 12, საბ. 108

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

201. ხეც. ფ. Ad - საბ. 1008
202. ხეც. ფ. Hd - საბ. 2111
203. ხეც. ფ. Hd - საბ. 3131
204. ხეც. ფ. Hd - საბ. 3571
205. ხეც. ფ. Hd - საბ. 3599
206. ხეც. ფ. Hd - საბ. 3712
207. ხეც. ფ. Hd - საბ. 3718
208. ხეც. ფ. Hd - საბ. 7971
209. ხეც. ფ. Hd - საბ. 10203
210. ხეც. ფ. Hd - საბ. 13051
211. ხეც. ფ. Hd - საბ. 13128

212. ხეც. ფ. Hd - საბ. 13665
213. ხეც. ფ. Hd - საბ. 13957
214. ხეც. ფ. Hd - საბ. 14397
215. ხეც. ფ. Qd - საბ. 77
216. ხეც. ფ. Qd - საბ. 200
217. ხეც. ფ. Qd - საბ. 7676
218. ხეც. ფ. Qd - საბ. 9037თ
219. ხეც. ფ. Sd - საბ. 6
220. ხეც. ფ. Sd - საბ. 10
221. ხეც. ფ. Sd - საბ. 11
222. ხეც. ფ. Sd - საბ. 14
223. ხეც. ფ. Sd - საბ. 24
224. ხეც. ფ. Sd - საბ. 30
225. ხეც. ფ. Sd - საბ. 35
226. ხეც. ფ. Sd - საბ. 44
227. ხეც, ფ. Sd - საბ. 47
228. ხეც, ფ. Sd - საბ. 48
229. ხეც. ფ. Sd - საბ. 54
230. ხეც. ფ. Sd - საბ. 56
231. ხეც. ფ. Sd - საბ. 59
232. ხეც. ფ. Sd - საბ. 179
233. ხეც. ფ. Sd - საბ. 837
234. ხეც. ფ. Sd - საბ. 3475
235. ხეც. ფ. Sd - საბ. 3532
236. ხეც. ფ. Sd - საბ. 3679
237. ხეც. ფ. Sd - საბ. 3715
238. ხეც. ფ. Sd - საბ. 4189

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

239. გსიემ - 7486/2, ფ. 392-393
240. გსიემ - 7782/2, ფ. 53-56
241. გსიემ - 7782/2, ფ. 87
242. გსიემ - 7782/2, ფ. 94-95
243. გსიემ - 7782/3, ფ. 201
244. გსიემ - 7782/4, ფ. 375-378
245. გსიემ - 7782/5, ფ. 406-407
246. გსიემ - 7782/6, ფ. 485-488
247. გსიემ - 7782/6, ფ. 491-496
248. გსიემ - 7782/6, ფ. 532-533
249. გსიემ - 7782/6, ფ. 544-546
250. გსიემ - 7782/7, ფ. 569-571

ბ) პრესა

251. *„საქართველოს გაზეთი“,* 8. 03. 1819 წ. № 1, 1–4 გვ.
252. *„საქართველოს გაზეთი“,* 14. 03. 1819 წ. № 2, 5–8 გვ.
253. *„საქართველოს გაზეთი“,* 25. 04. 1819 წ. № 8, 29–32 გვ.
254. *„საქართველოს გაზეთი“,* 6. 06. 1819 წ. № 14, 53-56 გვ.
255. *„საქართველოს გაზეთი“,* 13. 06. 1819 წ. № 15, 57-60 გვ.
256. *„საქართველოს გაზეთი“,* 27. 06. 1819 წ. № 17, 65-68 გვ.
257. *„საქართველოს გაზეთი“*, 3. 10. 1819 წ. № 31, 121-124 გვ.

გ) წყაროები

258. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. **ს. ჯიქიამ** და პროფ. **ნ. შენგელიამ,** თბ., ,,ჰოროსი XXI“, 2009, წ. I, 832 გვ.
259. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. **ს. ჯიქიამ** და პროფ. **ნ. შენგელიამ,** თბ., ,,ჰოროსი XXI“, 2010, წ. II, 726 გვ.
260. **ბაგრატიონი, თ.** ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **ლ. მიქიაშვილმა**, თბ., ,,მეცნიერება“, 1983, 100 გვ.
261. **ბაგრატიონი ი**. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რედ. **ზ. კაცელაშვილი,** თბ., ,,დიალ“,1997, 178 გვ.
262. **ბარათაშვილი ი.** იასე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით **ა. იოსელიანმა,** მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1950, ნაკვ. 28, 121 გვ.
263. **ბატონიშვილი დ.** ახალი ისტორია, **თ. ლომოურის** გამოცემა, თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1941, 1-44 გვ.
264. **ბატონიშვილი დ.** მასალები საქართველოს ისტორიისთვის, 1744-1840, წწ., ტფ. ,,წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხ. სტ.“, 1905, 187 გვ.
265. **ბატონიშვილი ვ.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. IV, თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1973, 1104 გვ.
266. **ბერძენიშვილი ნ.** ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს. (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მსკი., 1937, ნაკვ. I, 124 გვ.
267. **ბერძნიშვილი მ.** მასალები XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა). - ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., ,,მეცნიერება“, 1965, კრებ. I, გვ. 121-209.
268. **ბოჭორიძე გ.** ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს **ზ. სხირტლაძემ** და **ნ. ჩიტიშვილმა, ი. გოგბერიშვილის** მონაწილეობით, თბ., ,,ფავორიტი პრინტი“, 2011, 460 გვ.
269. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **გ. პაიჭაძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1983, 150 გვ.
270. **გოზალიშვილი გ.** 1832 წლის შეთქმულება, თბ., ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1935, ტ. I, 528 გვ.
271. **გოზალიშვილი გ.** 1832 წლის შეთქმულება, თბ., ,,მერანი“, 1970, ტ. II, 655 გვ.
272. **გოზალიშვილი გ.** 1832 წლის შეთქმულება, თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1976, ტ. III, 483 გვ.
273. დოკუმენტები თბილისის ისტორიისთვის (XVI-XIX სს.), შეადგინეს **ნ. ბერძენიშვილმა** და **მ. ბერძნიშვილმა,** თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1962, წ. I, 384 გვ.

274. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), **ნ. ბერძენიშვილის** რედაქციით, თბ., ,,სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა“, 1940, ტ. I, 650 გვ.

275. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.), **ნ. ბერძენიშვილის** რედაქციით, თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1953, ტ. II. 360 გვ.

276. დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, **თ. ქართველიშვილის, ხ. ბაინდურაშვილის, ი. გელაშვილის, თ. გოგოლაძის, მ. შაორშაძის** და **თ. ჯოჯუას** ავტორობით, თბ., ,,ნათლისმცემელი“, 2019, ნაწ. I, 414 გვ.

277. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, თბ., ,,ტორი პლუსი“, 2008, 251 გვ.

278. **თაბუაშვილი ა.** ,,მეფის სადროშოს“ აღწერის დავთარი (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2012, V, გვ. 173-192.

279. **იოსელიანი პ.** ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, **ა. გაწერელიას** რედაქციით, თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1978, 268 გვ.

280. **კაკაბაძე ს.** ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა, საისტორიო მოამბე, ტფ. 1925, წ. II. გვ. 27-104.

281. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, **ე. თაყაიშვილის** რედაქტორობით, თბ., ,,სტ. ძმობა“, 1907, 486 გვ.

282. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, (ხელფასი, ქირა ფასები), მასალები შეარჩია და გამოსცა **ნ. ბერძენიშვილმა,** თბ., ,,სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1938, წ. I, 399 გვ.

283. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა) მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა **ნ. ბერძენიშვილმა,** თბ., ,,სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1953, წ. II, 329 გვ.

284. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა **ნ. ბერძენიშვილმა**, თბ., ,,სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1955, წ. III, 574 გვ.

285. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, (X- XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს **ზ. ალექსიძემ** და **შ. ბურჯანაძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1964, წ. I, 283 გვ.

286. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისთვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო **შ. მესხიამ**, ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის“, 1948, ნაკვ. I (26), 130 გვ.

287. **მაჭარაძე ვ.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის, თბ., ,,უნივერსალი“, 2007, ნაწ. I, 222 გვ.

288. **მაჭარაძე ვ.** მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1968, ნაწ. II, 583 გვ.

289. **მაჭარაძე ვ.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1988, ნაწ. III, 599 გვ.

290. **ორბელიანი პ.** ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **ე. ცაგარეიშვილმა**, თბ., ,,მეცნიერება“, 1981, 284 გვ.

291. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: **დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა,** თბ., ,,მეცნიერება“, 1991 ტ. I, 782 გვ.

292. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: **დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1993, ტ. II, 592 გვ.

293. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: **გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა,** თბ., ,,არტანუჯი“, 2007, ტ. IV, 417 გვ.

294. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს **დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ,** თბ., 2015, ტ. V, 524 გვ.

295. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **ი. დოლიძემ,** თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1981, 334 გვ.

296. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, (XVII-XIX სს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო **ავთ. იოსელიანმა,** თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1980, 383 გვ.

297. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი **ე. მეტრეველისა** და **ქრ. შარაშიძის** მიერ **ილ. აბულაძის** რედაქციით, თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1957, ტ. I, 510 გვ.

298. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული **ა. ბაქრაძისა** და **ს. ბოლქვაძის** მიერ, **ი. აბულაძის** ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1953, 91 გვ.

299. საქართველოს სიძველენი, **ექ. თაყაიშვილის** რედაქტორობით, ტფ., ,,საქართველოს საისტოგრაფიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა“,1920, ტ. I., 224 გვ.

300. საქართველოს სიძველენი, **ექ. თაყაიშვილის** რედაქტორობით, ტფ., ,,საქართველოს საისტოგრაფიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა“, 1909, ტ. II., 600 გვ.

301. საქართველოს სიძველენი, **ექ. თაყაიშვილის** რედაქტორობით, ტფ., ,,საქართველოს საისტოგრაფიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა“, 1910, ტ. III., 612 გვ.

302. **უჩანეიშვილი დ.** დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისთვის (XVII-XIX ს.ს.), თბ. ,,მეცნიერება“, 1967, 240 გვ.

303. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, **ს. კაკაბაძის** გამოცემა, ,,საისტორიო მოამბე“, 1925, წ. II, 198-320 გვ.

304. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), ტექსტები შესავლით, გამოკვლევით, კომენტარებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა **ა. თაბუაშვილმა,** თბ., ,,მერიდიანი“, 2013, 152 გვ.

305. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა **ზ. ჭუმბურიძის** რედაქციით, თბ., ,,არტანუჯი“, 2005, 348 გვ.

306. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი **თ. ჟორდანიას** მიერ, ფოთი, ,,სტამბა ლ. მ. ტუღუშისა“, 1903, 272 გვ.

307. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო **ვ. ფუთურიძემ,** თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1955, 528 გვ.

308. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **ნ. დუნდუამ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1984, 111 გვ.

309. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს **თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა,** თბ., ,,მეცნიერება“, 1984, ტ. I, 420 გვ.

310. ქართული ისტორიული საბუთები XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს **თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ,** თბ., ,,ფავორიტი პრინტი“, 2013, 354 გვ.

311. ქართული ისტორიული საბუთები, XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-სათაბაგო), ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა **მ. სურგულაძემ,** სპარსული ტექსტები მოამზადა **თ. აბაშიძემ,** რედ. **ზ. აბაშიძე** და **ელ. ცაგარეიშვილი,** თბ., 2016, ტ. IV, 746 გვ.

312. ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1963, ტ. I, 772 გვ.
313. ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1965, ტ. II, 764 გვ.
314. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1970, ტ. III, 1324 გვ.
315. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1972, ტ. IV, 788 გვ.
316. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.) ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1974, ტ. V, 713 გვ.
317. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1977, ტ. VI, 846 გვ.
318. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა, შენიშვნები დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1981, ტ. VII, 872 გვ.
319. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი დოლიძემ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1985, ტ. VIII, 1128 გვ.
320. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი **თ. ჟორდანიას** მიერ, ტფ., ,,მ. შარაძის და ამხანაგობის სტამბა“, 1897, ტ. II, 561 გვ.
321. **შენგელია ნ.** XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1974, 310 გვ.
322. **ჩხეიძე ს.** საქართველოს ცხოვრება, **ზ. ჭიჭინაძის** გამოცემა, თბ., ,,ა. კერესელიძის სტამბა“, 1913, 375 გვ.
323. **ცინცაძე ი.** კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1946, ტ. XXVII, გვ. 1-32.
324. ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **გ. ალასანიამ,** თბ., ,,მეცნიერება“, 1980, 172 გვ.
325. **ჭიჭინაძე ზ.** საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტფ. ,,მწიგნობარი“, 1925, 504 გვ.
326. **ხანთაძე შ.** სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1955, ნაკვ. 32, გვ. 153-176.
327. **ხახანაშვილი, ა.** გუჯრები, ქუთაისი, ,,დეკ დ. ღამბაშიძის გამოცემა“, 1891, 178 გვ.
328. **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბ., ,,მეცნიერება“, 1967, წ. I, 234 გვ.
329. **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), თბ., ,,მეცნიერება“, 1974, წ. II, 208 გვ.
330. **ჯამბურია გ.** დოკუმენტები ქართლის სათავადოების ისტორიისთვის XVII-XVIII სს. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1960, ნაკვ. 33. გვ.108-142.
331. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, Тифл. ,,Типография Главнао управления Наместника Кавказского“, 1866, т. I, 816 с.

332. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, Тифл. ,, Типография Главнао управления Наместника Кавказского“, 1868, т. II. 1238 с.

333. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, Тифл. ,, Типография Главнао управления Наместника Кавказского“, 1873. т. V. 1170 с.

334. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, Тифл. ,,Типография Главнао управления Наместника Кавказского“, 1881, т. VIII. 1009 с.

335. Грузинские церковные гуджари (грамоты), составитель **Д. П. Пурцеладзе**, Тфл., ,,тип. Гл. упр. наместника кавк.“,1881, 154 с.

336. **Туманов А. Б.,** Описание грузинского города Гори, СПБ, ,,в типографии И. Иоаннесова“ 1816.

დ) სამეცნიერო ლიტერატურა

337. **აკოფაშვილი გ.** გვიანფეოდალური ხანის საწყისები საქართველოში, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, 1980, III, გვ. 119-128.

338. **აკოფაშვილი გ.** გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII-XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1962, ნაკვ. 34, გვ. 67-83.

339. **აკოფაშვილი გ.** გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 5, გვ.124-141.

340. **აკოფაშვილი გ.** გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, ნაწ. 1. გვ.121-168.

341. **აკოფაშვილი გ.** ეკონომიური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. 40-80-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1973, ტ. IV, 518-569 გვ.

342. **აკოფაშვილი გ.** მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი - XIX ს. დამდეგი), კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 405-411.

343. **აკოფაშვილი გ.** სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა), თბ., ,,მეცნიერება“, 1965, 195 გვ.

344. **აკოფაშვილი გ.** ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგის საქართველოში (მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობის მასალების მიხედვით), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1963, ტ. VII, გვ. 93-103.

345. **ალიმბარაშვილი ი.** ,,ლეკიანობა“ და ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა, (XVIII- XIX ს. 30-იანი წლები) დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2013, 195 გვ.

346. **ალიმბარაშვილი ი.** ორაგულისა და ლობიოს ,,არგუმენტები“ ქართლის დიდგვაროვანთა დაპირისპირებაში, ჟურნალი ისტორიანი, თბ., 2017, № 12, გვ. 18-23.

347. **ალიმბარაშვილი ი.** ოქონის ტაძრებისა და ხატების ისტორიიდან, თბ., ,,უნივერსალი“, 2012, 152 გვ.

348. **ასათიანი ნ.** საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისთვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში, თსუ შრომები, 1959, ტ. 77, გვ. 27-55.

349. **ასათიანი ნ.** ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბ., 2002, 118 გვ.

350. **ასათიანი ნ.** ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბ., ,,მხედარი“, 2010, 200 გვ.

351. **ახობაძე მ.** გლეხთა მოძრაობა საქართველოში საგლეხო რეფორმის წინ (1857-1864 წ.წ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1953, 308 გვ.

352. **ბაქრაძე ა.** თუმანიშვილთა გენიალოგიის დადგენის ცდა XV-XVII სს., საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1963, V, გვ. 163-177.

353. **ბაქრაძე ა.** თუმანიშვილთა საგვარეულოს გენიალოგიის დადგენის ცდა XVII-XVIII სს., საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 4, გვ. 84-105.

354. **ბაქრაძე ა.** ქართველ მდივან-მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1960, II, გვ. 65-80.

355. **ბახტაძე მ.** A. კახეთ-ჰერეთის ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, XII-XVIII საუკუნეები, თბ., ,,უნივერსალი", 2008, 32 გვ.

356. **ბახტაძე მ.** B. ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში, თბ., ,,არტანუჯი", 2008, 84 გვ.

357. **ბახტაძე მ.** სურამელთა ფეოდალური საგვარეულო, თბ., ,,არტანუჯი", 2006, 32 გვ.

358. **ბერიძე თ.** თბილელი, ძეგლის მეგობარი, თბ., 2001, №1 (112), გვ. 10-16.

359. **ბერძენიშვილი დ.** ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., ,,სეზანი", 2014, 500 გვ.

360. **ბერძენიშვილი ნ.** XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1944, ნაკვ. I, გვ. 170-211.

361. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. (კონსპექტი), საქართველოს ისტორიის საკითხები, 1965 წ. II, 49-70 გვ.

362. **ბერძენიშვილი ნ.** ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ, 1965, წ. II, 111-140 გვ.

363. **ბერძნიშვილი მ.** მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის, თბ., ,,მეცნიერება", 1983, წ. II, 280 გვ.

364. **ბოშიშვილი ა.** ქვემო ქართლის მცირე სათავადოები (მელიქიშვილები, სოლაღაშვილები, დოლენჯიშვილები) დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2012, 218 გვ.

365. **გაბაშვილი ვ.** დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ჟურნ.: *,,ენიმკის მოამბე"*, XIII, 1942, გვ. 159-206.

366. **გაბაშვილი ვ.** ,,სათათრო გამოსაღებელი" გვიანფეოდალურ საქართველოში, *მიმომხილველი*, 1953, ტ. III, გვ. 133-166.

367. **გაბაშვილი ვ.** ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა", 1958, 443 გვ.

368. **გენგიური ნ.** კუპელჰალე, თბ., ,,პოლიგრაფი", 2005, 206 გვ.

369. **გვასალია, ჯ.** აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., ,,მეცნიერება", 1983, 202 გვ.

370. **გვახარია ლ.** სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბ., 1955, 155 გვ.

371. **გვრიტიშვილი დ.** გორის ისტორია, თბ., ,,სახელგამი", 1954, 303 გვ.

372. **გვრიტიშვილი დ.** ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.) თბ., ,,საბჭოთა საქართველო", 1965, 512 გვ.

373. **გვრიტიშვილი დ.** ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები, თბ., ,,სახელგამი", 1955, 512 გვ.

374. **გოგოლაძე დ.** საქართველოს ისტორიის გვიანფეოდალური პერიოდი, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, III, თბ., 1980, გვ. 129-141.

375. **გოგოლაძე დ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) 1800-1864 წწ., თბ., ,,მეცნიერება“, 1971, 479 გვ.

376. **გოგოლაძე თ.** აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2012, 242 გვ.

377. **გრძელიძე რ.** 1832 წლის შეთქმულება საქართველოში, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998, 60 გვ.

378. **გუჩუა ვ.** კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიან ფეოდალურ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1963, ნაკვ. 35, გვ. 141-154.

379. **გუჩუა ვ.** ხიზან გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1962, ნაკვ. 34, გვ. 43-65.

380. **ზაგაშვილი გ. ციბაძე მ.** ჰერალდიკის საფუძვლები, თბ., ,,საქართველოს მაცნე“, 2006, 104 გვ.

381. **ზარდალაშვილი გ.** თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1978, 87 გვ.

382. **თაბუაშვილი ა.** ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.), თბ., ,,კოლორი“, 2019, 336 გვ.

383. **თავზიშვილი, გ.** ეკატერინე გაბაშვილი, თბ., ,,ნაკადული“, 1963, 61 გვ.

384. **თოფჩიშვილი რ.** საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., ,,უნივერსალი“, 2011, 470 გვ.

385. **თოფჩიშვილი რ.** საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., ,,კლიო“, 2021, 536 გვ.

386. **კაშია რ.** თურქეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები XVIII საუკუნის II ნახევარში (სავაჭრო ამხანაგობები), ,,ქართველური მემკვიდრეობა“, 2007, ტ. XI, გვ. 211-216.

387. **კაშია რ.** რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების პირველი ეტაპი XVIII საუკუნის II ნახევარში, ,,ქართველური მემკვიდრეობა“, 2011, ტ. XV, გვ. 180-184.

388. **კაშია რ.** სავაჭრო ,,ამხანაგობები“ XVIII საუკუნის საქართველოში, მაცნე ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1990, № 2, გვ. 102-114.

389. **კაშია რ.** სამეფო ხელისუფლება და ახალი თაობის აზნაურები XVIII საუკუნის საქართველოში, ქუთაისის ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ,,ხანძთა“ ქუთაისი, 2006, № 4., გვ. 52-55.

390. **კაშია რ.** სესხი და კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში, ,,ქართველური მემკვიდრეობა“, 2012, ტ. XVI, გვ. 79-87.

391. **კაშია რ.** ქართლ-კახეთის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობა ირანთან XVIII საუკუნის II ნახევარში (სავაჭრო ამხანაგობები), ,,ქართველური მემკვიდრეობა“, 2008, ტ. XII, გვ. 149-153.

392. **ლაცაბიძე თ.** ვეზირიშვილები, ისტორიული საგვარეულოები ხაშურის რაიონში, ხაშურის მხარედმცოდნეობის მუზეუმი, ხაშური, 2015, წ. 1. 139 გვ.

393. **ლაცაბიძე თ., ლაცაბიძე თ.** B. იამბე ციხის ნაშალო... (ხაშურის რაიონის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ხაშური, ,,ხაშურის სტამბა“, 2015, 128 გვ.

394. **ლაცაბიძე თ., ლაცაბიძე თ.** იტრია, ხაშური, ,,ლიხი“, 2010, 178 გვ.

395. **ლაცაბიძე თ.** იტრიელი ჩხეიძეები, (ქართლის ჩძეიძეთა საგვარეულოს ისტორიისთვის), ხაშური, ხაშურის მუზეუმის მოამბე, 2010, ტ. I, გვ. 97-123.

396. **ლაცაბიძე თ.** ქართლის ჩხეიძეები, ისტორიული საგვარეულოები ხაშურის რაიონში, ხაშური, ,,ხაშურის სტამბა“, 2016, წ. 2, 174 გვ.

397. **ლორთქიფანიძე ი.** ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, წყაროების გამოკვლევა და საგეოგრაფო ცნობები, თბ., ,,ზაკგიზი“, 1935, ნაწ. I და II, 516 გვ.

398. **ლორთქიფანიძე ი.** ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა, თბ., ,,სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა“, 1938, ნაწ. III და IV, 527 გვ.
399. **მაისურაძე ი.** ქართული გვარსახელები: სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1979, 86 გვ.
400. **მამისთვალიშვილი ელ.** ამილახვრები, გორი, ,,ქართლი“, 1996, 45 გვ.
401. **მამისთვალიშვილი ელ.** A. გორის ისტორია, თბ., 2018 ტ. I, 626 გვ.
402. **მამისთვალიშვილი ელ.** B. გორის ისტორია, (1801-1921), თბ., 2018 ტ. II, 537 გვ.
403. **მეგრელიძე დ.** ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ, ,,საბჭოთა საქართველო“, 1973, ტ. IV, 444-454 გვ.
404. **მესხია შ.** საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., ,,მეცნიერება“, 1983, 695 გვ.
405. **მეტრეველი ელ.** ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1951, ტ. 43, გვ. 141-152.
406. **მეტრეველი ელ.** ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 2012, ნაკვ. 2, 100-145 გვ.
407. **მიჩიტაშვილი მ.** საციციანოს ისტორია, თბ., ,,უნივერსალი“, 2016, წ. I, 401 გვ.
408. **ნეიმანი ა.** ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., ,,განათლება“, 1978, 559 გვ.
409. **ნინიძე დ.** ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII- XVIII საუკუნეები), თბ., ,,მერიდიანი“, 2004, 400 გვ.
410. **ნინიძე დ.** ,,პროვინციის მეფეები“ XIV-XV სს. საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან), თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1995, 216 გვ.
411. **ოთხმეზური, გ.** ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან (აბაზასძე-მარილელი-აბულეთისძე), თბ., 2006, 40 გვ.
412. **ოთხმეზური გ.** ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, ამირეჯიბი, თბ., 2009, 67 გვ.
413. **ოთხმეზური გ.** შეწირულობის წიგნი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბის ღვთისმშობლისადმი, თბილისის უნივერსიტეტის შრომები - ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1966, № 321, გვ. 197-206.
414. **ოთხმეზური გ.** შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.) დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, 217 გვ.
415. **ოთხმეზური თ.** ოსმალური გადასახადები ქართლში, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., ,,მეცნიერება“, 1973, № 4, გვ. 18-33.
416. **რატიანი პ.** ცოცხლად დამარხული ტალანტი (ავთანდილ თუმანიშვილი) თბ., ,,მეცნიერება“, 1982, 56 გვ.
417. **სანაძე მ. კაშია რ.** ფეოდალური არისტოკრატია და პირველადი კაპიტალის დაგროვების პროცესი XVIII ს-ის საქართველოში (თუმანიშვილის საგვარეულო), მაცნე ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1992, № 1, გვ. 79-88.
418. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბ., ,,ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა“, 1990, ტ. 5, 504 გვ.
419. **სოსელია ო.** ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოთა სისტემა), თბ., ,,მეცნიერება“, 1966, 239 გვ.
420. **სოსელია ო.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ., ,,მეცნიერება“, 1973, წ. I, 331 გვ.
421. **სოსელია ო.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ., ,,მეცნიერება“, 1981, წ. II, 218 გვ.
422. **სოსელია ო.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ., ,,მეცნიერება“, 1990, წ. III, 205 გვ.
423. **სოსიაშვილი გ.** დიდი ლიახვის ხეობის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ოკუპირებული სოფლები „ოსმალობის“ პერიოდში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის II

კონფერენცია, ,,ქართულ-თურქული ურთიერთობები“, კონფერენციის მასალები 2019, გვ. 114-147.

424. **სოსიაშვილი გ.** თავხელიძე-მაჩაბლების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ სავანეებთან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, 2012 №3, გვ. 46-54.

425. **სოსიაშვილი გ.** მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში, თბ., ,,მერიდიანი“, 2014. 150 გვ.

426. **სოსიაშვილი გ.** მაჩაბლების ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ (XIX საუკუნის I ნახევარი), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, 2016 №12, გვ. 18-36.

427. **სოსიაშვილი გ.** მაჩაბლების ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, ,,ქართული დიპლომატია“ 2018 №18, გვ. 113-134.

428. **სოსიაშვილი გ.** სამაჩაბლოს ისტორია (XV-XIX სს.), თბ., 2005, 199 გვ.

429. **სოსიაშვილი გ.** სამაჩაბლოს ისტორია, შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა) თბ., 2021, 664 გვ.

430. **სოსიაშვილი გ.** სამაჩაბლოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (გლეხები), საისტორიო ალმანახი ,,კლიო“, 2003 №18, გვ. 45-52.

431. **სოსიაშვილი გ.** საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., ,,უნივერსალი“, 2008, 70 გვ.

432. **სოსიაშვილი გ.** ქართულ–ოსური ურთიერთობები და სამაჩაბლო, ,,ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, 2020 №4 გვ. 212–231.

433. **სოსიაშვილი გ.** ძიებანი, თბ., 2007, 128 გვ.

434. **სურგულაძე ივ.** საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის თბ., ,,სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1952, ტ. I, 525 გვ.

435. **სურგულაძე მ.** თუხარელები, ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიიდან, თბ., ,,ლამარა თუხარელის გამოცემა“, 1999, 104 გვ.

436. **ტერ-ბაღდასაროვი დ.** საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-404 ხელნაწერის ანდერძი, ,,აღმოსავლეთმცოდნეობა“, 2018, № 7, გვ. 242-255.

437. **ტერ-ბაღდასაროვი დ.** H-404 ხელნაწერის ქართულენოვანი ტექსტის ენობრივი თავისებურებები, აღმოსავლეთმცოდნეობა, 2019, № 8, გვ. 93-102.

438. **ტყავაშვილი მ.** ლეონ იულონის ძე ბაგრატიონის პოლიტიკური პორტრეტისთვის, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., ,,უნივერსალი“, 2011, № 2, გვ. 35-47.

439. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, შეადგინა **ა. ელერდაშვილმა,** თბ. ,,ფანტაზია“, 2004, წ. 1. 240 გვ.

440. **ფირცხალაიშვილი რ.** იოსებ ტფილელი და მისი ,,დიდმოურავიანი“, თბ. ,,მეცნიერება“, 1978, 187 გვ.

441. **ფრუიძე ლ.** ,,საცივის მარანი“ ატენში, ძეგლის მეგობარი, თბ., 1976, № 42, გვ. 30-33.

442. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ,,ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 1983, ტ. 6, 720 გვ.

443. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ,,ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 1984, ტ. 7, 720 გვ.

444. **ქიქოძე გ.** ერეკლე მეორე, თბ., ,,ნაკადული“, 1958, 184 გვ.

445. **ქიქოძე მ.** ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII ს.ს. (საამილახვრო), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, 1963,ნაკვ. 35, გვ. 97-113.

446. **ქოიავა ნ.** ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1963, 252 გვ.

447. **ღლონტი ალ.** ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., ,,განათლება“, 1971, 278 გვ.

448. **ყუბანეიშვილი სოლ.** დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1955, 324 გვ.

449. ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი), **მ. სურგულაძის** რედაქტორობით, თბ., ,,სეზანი“, 2017., 335 გვ.

450. **ცქიტიშვილი ც.** საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი (XVIII ს. II ნახევარი - XIX ს. დამდეგი) თბ., ,,მეცნიერება“, 1980, 110 გვ.

451. **ჭაია ზ.** ქვემო ქართლის სათავადოების ისტორია, თბ., ,,ფრანი“, 2013, 248 გვ.

452. **ჭიჭინაძე ზ.** ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფ., ,,ხელაძის სტამბა“, 1905, 128 გვ.

453. **ხელთუბნელი მ.** სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., ,,ფედერაცია“, 1938, 228 გვ.

454. **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ. ,,ქართული წიგნი“, 1930, წ. I, 441 გვ.

455. **ჯავახიშვილი ნ.** შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა) თბ., 1997, 62 გვ.

456. **ჯამბურია გ.** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., ,,საბჭოთა საქართველო“, 1973, ტ. IV, 187-224 გვ.

457. **ჯამბურია გ.** ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., ,,საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1955, 208 გვ.

458. **ჯანაშია ს.** ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, თბ, 1952; ტ. II, 464-481 გვ.

459. **ჯანაშია ს.** ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, ანალები, 1947, ტ.1 გვ. 1-12.

460. **Бердзенишвили Н.** Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии в XIII-XVI вв.), საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ, 1965წ. II, 71-110 გვ.

461. **Какабадзе С.** Черты феодального строя и крестянские повинности в Грузии в конце средних веков, Тиф., ,, электропеч. **С.**М. Лосаберидзе, 1912, 15 с.

462. **Toumanoff C.** Les dynasties de la Caucasie Chrétienne de L'Antiquité jusqu ' an XIXe siécle. Tables généalogiques et chronologiques, Roma, 1990, 600 p.

463. **Toumanoff C.** Manuel de généalogie et de chronologie pour l'histoire de la Caucasie chrétienne (Arménie, Géorgie, Albanie), Rome, Éd. ,,Aquila“,1976, 632 p.

464. **Toumanoff C.** Studies in Christian Caucasian History, Washington, ,,(Wetteren)“ Georgetown University, 1963, 599 p.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი №1

სოფ. ხელთუბნის ყოვლად წმინდა სამების ეკლესია (ხედი სამხრეთიდან)

დანართი №2



სოფ. ხელთუბნის ყოვლად წმინდა სამების ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა

დანართი №3



რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალ გიორგი იესეს ძე თუმანიშვილის (1839-1901) საფლავი სოფ. ხელთუბნის ყოვლად წმინდა სამების ეკლესიაში

დანართი №4

სოფ. ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიის ნანგრევები

დანართი №5

სოფ. ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა თბილელ ქრისტეფორე თუმანიშვილის მოხსენიებით. 1763/1764 წ.წ.
[საქართველოს., 1953: ტაბ. XXVI]

დანართი №6

სოფ. ხელთუბნის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

დანართი №7

სოფ. ხელთუბნის წმ. გიორგის ეკლესია

აგიას (ადიას) საყდარი და მისი შიგნითა ნაწილი სოფ. ხელთუბანში

თუმანიშვილების სასახლე სოფ. ხელთუბანში

დანართი №10



თბილისში თუმანიშვილების ზედაშეს მარნის სააღმშენებლო ქვის ფილა ქრისტეფორე თუმანიშვილის (თბილელ-მიტროპოლიტი) მოხსენიებით.
1762 წ. [საქართველოს, 1953: ტაბ. XXVI]



თუმანიშვილების საგვარეულო საგერბე საფოსტო მარკა [ასათიანი, 2010: 106]



თუმანიშვილების საგვარეულო გერბის მ. ვადბოლსკისეული ვარიანტი
[ასათიანი, 2010: 106]

დანართი №13

თუმანიშვილების საგვარეულო გერბი საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან. ავტ. მ. ვადბოლსკი [ზაგაშვილი, 2006: 69]

დანართი №14

თუმანიშვილების საგვარეულო გერბის ახალი რედაქცია ვ. ციხინსკის მიხედვით [ზაგაშვილი, 2006: 69]